

This is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC) project:

Author:

Title: IBERIA-COLCHIS Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period 14

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice>



DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

NYU | ISAW




იბერია-კოლხები

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევული პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



Nº 14 2018

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Journal of Otar Lordkipanidze Centre of Archaeology



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period

14

თბილისი 2018 Tbilisi

მთ. რედაქტორი: გელა გამყრელიძე

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,
დარეჯან კაჭარავა, მარინე კვაჭაძე, გურამ კვირკველია,
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,
ვახტანგ შატბერაშვილი, მაია ჩარკვიანი

ტექნიკური უზრუნველყოფა: ირაკლი დევდარიანი

Editor-in-Chief: Gela Gamkrelidze

Editorial & Reviewers Board:

Z. Bragvadze, D. Braund (UK), N. Lordkipanidze,
D. Kacharava, M. Kvatchadze, G. Kvirkvelia, D. Mindorashvili,
M. Charkviani, G. Narimanishvili, V. Shatberashvili

Layout: Irakli Devdariani

See the web site:

<http://ancientworldonline.blogspot.com/2014/09/open-access-journal-iberia-kolxeti.html>

<http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>

სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ
ემთხვეოდეს უურნალის სარედაქციო-სარეცენზიო საბჭოს შეხედულებებს.

Address: Otar Lordkipanidze Centre of Archaeology
3, Rustaveli Ave. Tbilisi, 0105, Georgia
E-mail: iberiacolchis@yahoo.com. gela.gamdz@yahoocom
© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2018

ISSN 1512-4207

UDC 94(479.22)+902.0-315

შინაარსი CONTENTS

დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე, ახლადაღმოჩენილი სამარხები ვანიდან, II ნაწილი (№ 22 სამარხი). (Darejan Kacharava, Sulchan Kharabadze, RECENTLY FOUND GRAVES FROM VANI, Part II (grave N 22)) -----	5
ანა ჭყონია, ბერძნული მითოლოგიური სიუჟეტის ანარეკლი ვანის ოქროს ბალთაზე. (Anna Chkonia, THE REFLECTION OF GREEK MYTHOLOGICAL THEMES ON VANI GOLDEN BUCKLE) -----	64
გოდერძი ნარიმანიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს ძ.წ. VII – ა.წ. VII სს კერამიკა (II ნაწილი). (Goderdzi Narimanishvilli, POTTERY OF 7 th CENTURY BC-7 th CENTURY AD FROM EAST GEORGIA, (part II)) -----	77
თინათინ ჭანიშვილი, სარკე - საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან. (Tinatin Chanishvili, MIRRORS (From the Archaeological sites of Georgia)) -----	145
თინათინ ჭანიშვილი, სავარცხელი საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან. (Tinatin Chanishvili, COMBS (From the Archaeological sites of Georgia)) -----	155
ნინო ერქომაიშვილი, ალიზი (ისტორია, მოვლა და კონსერვაცია). (Nino Erkomaishvili, ADOBE (History, Care and Conservation)) -----	160

რეცენზიები:

რეცენზია, გოგიტა ჩიტაიას ნაშრომზე „ხობის სიძველენი“ (ხობის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები), ლერი ჯიბლაძე. (Review of the work of Gogita Chitaia, “Antiquities of Khobi” (Cultural Heritage objects of Khobi municipality), Leri Jibladze)) ---	173
---	-----

PAPERS IN ENGLISH:

Gela Gamkrelidze, Vakhtang Shatberashvili, Marine Pirtskhalava, FOR THE MILITARY HISTORY OF GEORGIA OF THE CLASSICAL PERIOD -----	177
Nicolas J. Preud'homme (Sorbonne Université, Paris), ON THE ORIGIN OF THE NAME K'ART'LI: PITIAXĒS OUSAS' INTAGLIO AND KARCHĒDOI IBERIANS -----	212

SUMMARIES-----	224
შემოკლებების განმარტება/Abbreviations -----	231
ინფორმაცია ავტორებისათვის -----	232

დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე
ახლადაღმოჩენილი სამარხები ვანილან

II ნაწილი (№ 22 სამარხი)

ახლადაღმოჩენილი სამარხებიდან ორი - №№22 და 24 - თითქმის დაუზიანებლადაა ჩვენამდე მოღწეული. ორივე გამორჩეულია არა მხოლოდ მდიდრული და მრავალფეროვანი ინვენტარით, არამედ ინფორმაციულობის მაღალი ხარისხითაც. წარმოდგენილი სტატია ეძღვნება ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, № 22 სამარხს.

სამარხი № 22 ნაქალაქარის 213-ე ნაკვეთის $e_{5-6}-f_{3-5}-g_{3-6}-h_{4-5}$ კვადრატებში აღმოჩნდა (ტაბ. I). საბედნიეროდ, მოგვიანო ხანის სამშენებლო საქმიანობამ მხოლოდ სამარხი ორმოს დასავლეთი კედლის ზედა ნაწილი დააზიანა. წინასწარული ინფორმაცია სამარხის შესახებ მისი აღმოჩენისთანავე დაიბეჭდა [Kacharava 2004: 117-127; Kacharava, Kvirkvelia 2009: 246-263]; ოქროს ნივთების დიდი ნაწილი შევიდა უცხოეთში მოწყობილი ვანის ნაქალაქარის მონაპოვრის გამოფენების კატალოგებში [Medeas Gold 2007: 91-105; Kacharava, Kvirkvelia 2008: 206-208] და ძველი ქართული სამკაული-სადმი მიძღვნილ გამოკვლევაში [ლორთქი-ფანიდე 6. 2015: 242-246, №№ 245-250]. სამარხში აღმოჩენილი ოქროს სამკაულის შესახებ საგანგებო სტატიაც გამოქვეყნდა [კაჭარავა 2016: 64-78].

სამარხის ქვაყრილის თავზე აღმოჩნდა თიხის ვაზა (ინვ. № 07:1-03:1873) და ბრინჯაოს ზარაცი (ინვ. № 07:1-03:1874). ეს უკანასკნელი ტიპური ნიმუშია ე.ნ. მინიატურული ზარაკებისა (სიმაღლე – 1,4 სმ). ვაზა ყავისფერკეციანია, ბიკონუსურტანიანი, ბრტყელძირიანი; ყელი არა აქვს გამოკვეთილი, პირის კიდე გამოყვანილია; მხრებზე ორი ვერტიკალური, თანაბრად მორკალული, მრგვალგანივევეთიანი ყურია დაძერწილი (პირის დმ – 6 სმ, ძირის დმ – 5,5 სმ, სიმაღლე – 5,5 სმ; ტაბ. XXI, 4). ვაზა ორნამენტირებულია: ტანზე ირგვლივი ღარი გასდევს, რომლის ზემოთ ირიბი ნაჭ-

დევების სარტყელია დატანილი. ჯერჯერობით ვაზას უშუალო ანალოგია ვერ მოეძებნა, თუმცა ტანის ბიკონუსური მოყვანილობა და ორნამენტის ხასიათი მას ადრეანტიკური ხანის კოლხურ კერამიკასთან აკავშირებს.

თვით ქვაყრილში თავი იჩინა ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ტიპური ფორმების ნატეხებმა, როგორიცაა ისრისპირისებურ- და ოთხკუთხაგანივევეთიანი პირის გვირგვინის მქონე ქვევრები, ქოთხები, რომელთაც ყელის ძირში ირგვლივი ღარები აქვთ, ჭიქისებური და კონუსურძირიანი სასმისები, პირმოყრილი ჯამები, ძაბრისებურყელიანი დოქები (ინვ. №№07:1-03:1875-1896) [ჩამოთვლილი კერამიკული ფორმების შესახებ დაწვრ. იხ. ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი, კაჭარავა, ლიჩელი, ფირცხალავა, ჭყონია 1982]. ეს მასალა ადრეანტიკური ხანის იმ კულტურული ფენიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც სამარხი ორმოს ამოთხრის ღროს დაზიანდა და შემდეგ ქვაყრილის დასაფარად იქნა გამოყენებული.

სამარხი № 22, ისევე როგორც ზედა ტერასის ამ მონაკვეთზე გამოკვლენილი №№ 21, 23 და 24 სამარხები, ორი ნაწილისაგან შედგება: კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ბაქნისა და სამარხი ორმოსაგან [Kacharava 2004: 117-127]. ბაქანი (1,2x1,3 მ) ჩაჭრილი იყო თირის ზედაპირიდან 0,20-0,25 მ სიღრმეზე. ის აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზეა წაგრძელებული. სამარხი ორმო ბაქნის ჩრდილოეთითაა ამოკვეთილი. რადგანაც მიწის თანამედროვე ზედაპირი დახრილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ორმოს კედლები თანამედროვე ზედაპირიდან სხვადასხვა სიღრმეზეა ამოჭრილი: სამხრეთი კედლის დასავლეთი კიდე – 1 მ, ხოლო აღმოსავლეთი კიდე – 0,25 მ სიღრმეზე; ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი კიდე – 0,25 მ, ხოლო დასავლეთი –

1,5 მ სიღრმეზე. დასავლეთი კედელი არხის ფსკერის დონეზეა. ის, როგორც ჩანს, დააზიანა კლდეში ნაკვეთმა უფრო გვიანდელმა არხმა (ტაბ. VII, 1), რომელმაც სხვა სამარხებსაც მიაყენა ზიანი, ზოგს მეტი, ზოგს – ნაკლები. კერძოდ, მან № 22 სამარხის ორმოს ჩამოაჭრა დასავლეთი კიდე (1,4 მ სიგანეზე სამხრეთ ნაწილში და 0,3 მ სიგანეზე აღმოსავლეთ ნაწილში). აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთი კიდე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2,3 მ დონეზეა, ხოლო სამხრეთი კიდე – 2,9 მ სიღრმეზე. სამარხის ორმოს ზომებია: აღმოსავლეთი კედლის სიგრძე – 3,8 მ, სამხრეთი კედლისა – 4 მ, დასავლეთი კედლის – 3,84 მ, და ბოლოს, ჩრდილოეთისა – 4 მ. ორმოს კუთხები მომრგვალებულია. ოთხივე კედლის გაყოლებაზე ორმოში თირის ბელტების ზოლი გამოიკვეთა, რომლის სიგანე 0,5-0,7 მ-ა. ბელტების ზოლს რიყის ქვების ზოლი გასდევდა (ტაბ. II-VII).

როგორც ჩანს, სამარხის თავზე რიყის ქვების პატარა ყრილი იყო გამართული: ორმო ამოვსებული იყო დიდი ზომის რიყის ქვებით (ტაბ. II; VII, 1), რომელთა შორის თიხანარევი, მუქი ფერის მკვრივი მიწა დაფიქსირდა. ცენტრალურ ნაწილში ყრილი ჩავარდნილი იყო. რიყის ქვების განმენდის დროს აღმოჩნდა მცირე რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელფიგურული არიბალური ლეკითოსის პირ-ყელი (ტაბ. VII, 2). ლეკითოსის (ინვ. № 07:1-03:1793, ტაბ. XXII, 1) ტანი შემდგომ შიგ სამარხში აღმოჩნდა.

ბელტების ზოლის გაყოლებაზე, ორმოს სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებთან რკინის დიდი ზომის ლურსმნები (ინვ. №№ 07:1-03:1829-1838, 1845, 1847) და სამაგრები (ინვ. №№ 07:1-03:1839, 1827ბ, 1845) დაფიქსირდა (ტაბ. III, №№ 5-6, 15, 18; IV, №№ 24, 26-28; VII, 1). ლურსმნები ოთხკუთხაგანივეკვეთიანებია, ბოლოსკენ მკვეთრად დავიწროებული; თავი არა აქვთ გამოკვეთილი – კონუსურად შემსხვილებული ღეროს გაგრძელებას წარმოადგენს (ტაბ. VIII). მთელი ნიმუში არ არის

შემორჩენილი. შემორჩენილი ნიმუშების მაქ-სიმალური სიგრძე 12,8 სმ-ა, თავის მაქსიმალური ზომებია 1,9 X 1,9 სმ, მინიმალური - 0,9 X 0,9 სმ. სამაგრებიდან მხოლოდ ერთი ნიმუშია მთელი: წარმოადგენს ოთხკუთხაგანივეკვეთიან ღეროს, რომელიც მოხრილია და ბოლოსკენ ვიწროვდება, თავი არ არის გამოკვეთილი. მთელი ნიმუშის ღეროს ზომებია 1,1 X 1,2 სმ (თავთან), 0,4 X 0,3 სმ წვერთან (ტაბ. VIII, 32). მართალია, ხის ნაშთები არ დადასტურებულა, მაგრამ ლურსმნების და სამაგრების აღმოჩენა იმის მანიშნებელია, რომ ორმოში იდგა ხის რაღაც კონსტრუქცია (სარეცელი, კუბო ან სარკოფაგი), რომელზეც (თუ რომელშიც) იყვნენ დასვენებული მიცვალებულები.

სამარხი კოლექტიური აღმოჩნდა. მასში ხუთი ადამიანი იყო დაკრძალული. ერთი ინდივიდი (მიცვალებული № 1) დასვენებული იყო ბაქანზე. მისი ჩონჩხისაგან შემორჩია მხოლოდ კბილებისა და ქვედა კიდურების ძვლების ფრაგმენტები. მიცვალებულს თავი აღმოსავლეთით ჰქონდა, მოკეცილი მუხლებით ცხენის ხერხემალს ებჯინებოდა. კბილების სიახლოეს, ე.ი. თავის არეში აღმოჩნდა ოქროს ორი საყურე რგოლი¹ (ინვ. № 07:1-03:1601, მუზ. № 31-2006/1), ვერცხლისა (ინვ. № 07:1-03:1602) და რკინის საკისრე რგოლები (ინვ. № 07:1-03:1843), რკინის სამაჯურები (ინვ. №№ 07:1-03:1603-1604) და მინის თვალადი მძივი (ინვ. № 07:1-03:1844). რკინის სამაჯურების ორი გროვა განლაგებული იყო ქვედა კიდურების ძვლებსა და თავის არეს შორის, ე.ი. მაჯების არეში. ბაქანზე ცხენიც იყო დაკრძალული. ის გარდიგარდმო იწვა, სამხრეთ-აღმოსავლეთ-ჩრდილო-დასავლეთ ღერძზე, მარცხენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი. მისი ჩონჩხი ძლიერ დაზიანებული იყო, ფაქტობრივად მხოლოდ ძვლების ანაბეჭდები

¹ სამარხში აღმოჩენილი ოქროს ნივთები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში (№ 31-2006:1-60), დანარჩენი მასალა კი ინახება ოთარ ლორთქიფანიძის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

იყო შემორჩენილი. ადამიანისა და ცხენის ჩონჩხები იდო ნაშალი თირის თხელ, 0,10-0,15 მ სისქის ფენაზე (ტაბ. II, ჭრილი II-II; VI).

ოქროს საყურე რგოლები (ტაბ. IX, 2) თავგახსნილია, ბოლოებდაბრტყელებული და გახვრეტილი, დამზადებული ოთხუთხაგანივეთიანი ღეროსგან (დმ – 22 მმ). აქვე აღსანიშნავია, რომ ოქროს ასეთივე საყურე რგოლები ეკეთათ №№ 4 და 5 მიცვალებულებს (ტაბ. IX, 3-4). ისინი ანალოგიურია ვანის № 16 სამარხში აღმოჩენილებისა [კაჭარავა, მუავანაძე 1986: 17, 27, კატ. № 3, სურ. 9, 3] იმ განსხვავებით, რომ ახლადაღმოჩენილებს ბოლოები დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვს. ოქროს ექვსნახნაგა ღეროიანი, ბოლოებგახვრეტილი საყურები აღმოჩენილია მოდინახეს №№ 3 (ძვ.ნ. V საუკუნის მეორე ნახევარი) და 6 (ძვ.ნ. III საუკუნე) სამარხებში [ნადირაძე 1975: 29, 38, 41, სურ. 2]. ვერცხლის საკისრე რგოლი დამზადებულია მრგვალგანივევეთიანი მავთულისაგან, რკალგახსნილია, კაუჭებიანი. რგოლი დაზიანებულია – გაღუნულია, გატეხილია რამდენიმე ნატეხად, ერთი კაუჭი აკლია. ღერო კაუჭებთან ახლოს ორნამენტირებულია დაღარული ბურცობებით და ირგვლივი ღარებით (დმ – 16 სმ, ღეროს დმ – 0,3 სმ; ტაბ. XII, 2). რკინის საკისრე რგოლის ფრაგმენტია მხოლოდ შემორჩენილი, ძალიან დაუანგული, მრგვალგანივევეთიანი ღეროსი (დმ – 0,4 სმ). ზედ შეიმჩნევა ქსოვილის ანაბეჭდი. რკინის სამაჯურების ერთი გროვიდან მხოლოდ 4 ფრაგმენტია მოღწეული, რომელთაგან ზოგი ერთმანეთზეა მიუანგული (ღეროს დმ – 0,4 სმ). მეორე გროვა უკეთაა შემონახული – 2 ცალიდან ერთი ნაკლულია; მთელი ნიმუში თავგაუხსნელია (დმ - 6,7-7 სმ, ღეროს დმ – 0,7 სმ; ტაბ. XIV, 8). ლურჯი მინის თვალადი მძივი რგოლისებური ფორმისაა (დმ - 0,8 სმ, არხის სიგრძე - 0,4 სმ), შემკულია თეთრი მინის სამი თვალით (ტაბ. XV, 1).

საკუთრივ ორმოში ოთხი მიცვალებული (№№ 2-5) დაფიქსირდა. მათი ჩონჩხებისგან ძირითადად მხოლოდ კბილები შემორჩა.

ოთხივე შემთხვევაში კბილები სამარხი ორმოს აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩნდა, ერთმანეთისგან 0,2-0,4 მ დაცილებით. ამრიგად, დაკრძალულებს თავი აღმოსავლეთით ედოთ (ტაბ. IV).

№2 მიცვალებულის ჩონჩხისგან კბილებს გარდა ძლიერ დაშლილი წვივის ძვალი იყო შემორჩენილი (ტაბ. III, 2; XVIII, 1). ამ მიცვალებულს უკავშირდება სამკაულის რამდენიმე გროვა. ერთი მათგანი თავის არეშია დადასტურებული (ტაბ. IV, № 2; XVI, 1) და შედგება თავისა და ყელის სამკაულისაგან. ესენია: ოქროს ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლე (ინვ. № 07:1-03:1605, მუზ. № 31-2006/2), ოქროს (№№ 07:1-03:1606-1607, მუზ. №№ 31-2006/3-4), მინის, სარდიონისა და ქარვის (ინვ. № 07:1-03:1609-1614) მძივები, აგრეთვე მინისებური პასტის იოტები (ინვ. № 07:1-03:1608). ამავე გროვაში აღმოჩნდა 4 კოლხური თეთრი (ინვ. № 07:1-03:1616-1619) და ვერცხლის ფიბულის ფრაგმენტი (ინვ. № 07:1-03:1615). № 2 მიცვალებულთან დაკავშირებული ვერცხლისა (ინვ. № 07:1-03:1621) და რკინის სამაჯურების (ინვ. №№ 07:1-03:1620-1620ა, 1621ა) ორი გროვის (ტაბ. III-IV, №№ 2₂ და 2₃) განლაგება გვიჩვენებს, რომ მიცვალებული გვერდზე ინვა. თითო გროვაში ვერცხლის ერთი და რკინის რამდენიმე სამაჯური შედიოდა.

სასაფეთქლე დაზიანებული აღმოჩნდა – საყურე რგოლი გაღუნული იყო, ბურთულაკი - დაჭეჭყილი. როგორც კოლხური სასაფეთქლეებისა და საყურეებისათვის არის დამახსაიათებელი, საყურე რგოლის ბოლოები დაბრტყელებულია და გახვრეტილი; სარტყლის თავში ვარდულაა, რომლის ცენტრში დიდი ცვარაა; მას გარშემო დაკეჭნილი მავთული უვლის სპირალურად; სპირალის გარშემო კი მავთულის მარყუჟებია. ყველაფერი ეს დარჩილულია ვარდულის ფორმის გამოჭრილ ფირფიტაზე. სარტყელს ცენტრში დაკეჭნილი მავთულის ქედი გასდევს, კიდეებზე სადა მავთულია, რომელზეც ფუძეებით დგას ცვარათი გამოყვანილი სამ-

კუთხედები. ბურთულა ღერძზეა დამაგრებული; ღერძის თავში ორ-ორი S-ისებური დეტალია, რომელიც ბოლოებით რგოლს უკავშირდება. ბურთულა ჭვირულია: მერიდიანები სამ-სამი მავთულითაა გამოყვანილი, რომელთაგან კიდურები დაკეჭნილია. ბურთულის მაქსიმალური დიამეტრის ადგილზე ეკვატორული სარტყელია, რომელზეც ცვარათი პირამიდებია გამოყვანილი. ბურთულის ღერძის ბოლოში პირამიდებით შედგენილი მტევანია. სასაფეთქლის სიმაღლე - 68 მმ-ა (ტაბ. X, 4). ალსანიშნავია, რომ ოქროს ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლის ანალოგიური სასაფეთქლე № 3 მიცვალებულთანაც დადასტურდა [კაჭარავა 2016: 71, ტაბ. 2-4]. საფიქრებელია, რომ თავის დროზე ეს ორი საყურე წყვილს ქმნიდა.

რაც შეეხება № 2 მიცვალებულის ოქროს მძივებს (ტაბ. XXII, 8), ისინი ბიკონუსურთან მიახლოებული ფორმისაა და სადა, მიღებულია ორი ნახევარსფეროს მირჩილვით (დმ - 4 მმ)². აქვე აღმოჩნდა ერთი მძივი, ჭიკარტისებური ფორმისა (სიმაღლე - 2 მმ, დმ - 5 მმ, წონა - 0,23 გრ.) [კაჭარავა 2016: 71]. ასეთი სადაზედაპირიანი მძივები აღმოჩენილია ვანის № 6 სამარხში [ჭყონია 1981: 108, № 44].

ვერცხლის ფიბულისგან შემორჩენილია მხოლოდ ნალისებური მოყვანილობის რკალი, რომლის ცენტრალური შემსხვილებული ნანილი ირგვლივი ღარებით არის შემკული; რკალის ერთ ბოლოზე შერჩენილია მავთულის ხვეული (სიმაღლე - 2,5 სმ, სიგანე - 3,8 სმ; ტაბ. XIII, 1). როგორც ჩანს, ფიბულა ორნილადი იყო. ორნილადი ფიბულა, ოღონდ ოქროსი, ასევე შემკული დაღარული შემსხვილებებით, აღმოჩენილია ვანის № 6 სამარხში [ჭყონია 1981: 47, 109, № 51]. ვერცხლის სამაჯური მრგვალგანივევეთიანი ღეროსია, რკალგახსნილი, ზურგშედრეკილი. ბოლოები ირნამენტირებული აქვა; ერთ კიდესთან სამი, მეორესთან ორი დაღარული ბურცობით, ირგვლივი ღარებითა და ბოლოს სამ-

კუთხედებად განლაგებული ნაჭდევებით (დმ - 6,7 სმ, ღეროს დმ - 0,4 სმ; ტაბ. XII, 5). მსგავსი სამაჯურები, დამზადებული ვერცხლისაგან, ცნობილია ვანის №№ 3, 9 და 16 სამარხებიდან [ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია 1972: 208, სურ. 170ა; კაჭარავა, მუავანაძე 1986: 19, სურ. 11, 5; ხოშთარია 1979: რიც. 192], ოღონდ № 16 სამარხის სამაჯურების რკალი რვაკუთხაგანივევეთიანია, № 3-ისა არ არის ზურგშედრეკილი, ხოლო № 9-ისა უფრო მდიდრულადაა შემკული. შემსხვილებებითა და ღარებითაა ორნამენტირებული საირხის № 10 სამარხის ვერცხლის სამაჯური [მახარაძე, წერეთელი 2007: 77, № 22, ფოტო 123]. შემკულობის თვალსაზრისით ამავე რიგისაა ვანის № 12 სამარხის ბრინჯაოსა და ვერცხლის საკისრე რგოლები და ახალგორის განძის ერთ-ერთი ოქროს ხატისულელი [კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 76, სურ. 105, №№ 448-450; სმირნოვ 1934: თან. I, 3]. ასეთი შემკულობის, ოღონდ ოთხკუთხაგანივევეთიანი ღეროს ვერცხლის სამაჯურები ითხვისის სამაროვანზეც გვხვდება სამარხი № 2-ის (ძვ.ნ. IV საუკუნის პირველი ნახევარი) მთავარი მიცვალებულის პირად სამკაულს შორის [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 40, ფოტო 15]. განხილული ტიპის სამაჯურები შედის 6. გოგიბერიძის კლასიფიკაციის II ჯგუფში [გოგიბერიძე 2003: 37ცლ.].

№ 2 გარდაცვლილს თითო ხელზე 14 რკინის სამაჯური ეკეთა. ისინი ერთმანეთზეა მიუანგული და დაზიანებული; ზოგზე შერჩენილია ქსოვილის ანაბეჭდი. გვხვდება როგორც მრგვალგანივევეთიანი, ასევე ოთხკუთხაგანივევეთიანი ღეროსგან დამზადებული ცალები; პირველი ჯგუფი სჭარბობს. სამაჯურების დმ - 6,4-7,6 სმ-ა, ღეროს დმ - 0,3-0,7 სმ, ღეროს სიგანე - 0,3 სმ (ტაბ. XIV, 2-4).

რაც შეეხება მონეტებს, ისინი ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლებითაა ნარმოდგენილი.

როგორც აღინიშნა, დაკრძალულს ჩა-

² ასხმულია №№ 07:1-03:1636, 1640, 1673, 2009-თან (მუზ. № 31-2006/8, 10, 63) ერთად.

ტანებული ჰქონდა მინის, მინისებური პასტის, ქარვისა და სარდიონის მძივები. სარდიონის ხუთი მძივიდან (ტაბ. XV, 2) სამი ბიკონუსურია (დმ - 0,3 სმ, არხის სიგრძე - 0,2 სმ), ერთი - რგოლისებური (დმ - 0,4 სმ, არხის სიგრძე - 0,2 სმ), ერთიც – მომრგვალებული (არხის სიგრძე - 0,35 სმ, დმ - 0,5 სმ). ქარვის ორი მძივიდან ერთი მიღისებურია (დმ - 0,2 სმ, არხის სიგრძე - 0,5 სმ), გატეხილია; მეორე - ბრტყელი, წახნაგვანი (არხის სიგრძე - 0,5 სმ). მინის მძივებს შორის არის ლურჯი მინის სადა და თვალადი ცალები. სადა მძივები ბიკონუსურია (?), ხუთი ფრაგმენტის სახით მოღწეული (არხის სიგრძე - 0,3 სმ). თვალადი მძივები (3 ც, ტაბ. XV, 4) რგოლისებური ფორმისაა, შემკული თეთრი მინის სამი თვალით (დმ - 0,6 სმ, არხის სიგრძე - 0,4 სმ). სამი ე.ნ. „საზამთროსებური“ (ლურჯი მინის, ურთიერთმონაცვლე თეთრი და ყვითელი მინის გრძივი ზოლებით შემკული) მძივიდან ერთი მთელია, ერთი გატეხილი, ერთიც – ნაკლული (დმ - 0,5 სმ, არხის სიგრძე - 0,4 სმ). თაფლისფერი, გამჭვირვალე მინის მძივის (მძივების?) ორი ფრაგმენტია მხოლოდ შემორჩენილი. მინისებური პასტის რგოლისებური (დმ - 0,2 სმ, არხის სიგრძე - 0,15 სმ) იოტების (375 ც.) თანამედროვე ასხმის სიგრძე 22,5 სმ-ა (ტაბ. XV, 3).

№ 2 მიცვალებულიდან ჩრდილოეთით 0,35 მ დაცილებით დასვენებული იყო ინდივიდი № 3 (ტაბ. III, № 3-4; IV, № 3-4; XVI, 2; XVII; XVIII). მისი ჩონჩხისგან კბილებს გარდა ლულოვანი ძვლის ერთი ფრაგმენტია შემორჩენილი. კბილების განლაგება გვიჩვენებს, რომ მიცვალებულს თავი მარცხენა მხარეზე ედო. მისი კუთვნილი რკინისა და ვერცხლის სამაჯურების გროვის მდებარეობა იმას მოწმობს, რომ ერთი ხელი მას სახესთან ახლოს ედო, მეორე – ოდნავ ქვემოთ (მოკუნტული პოზა ჰქონდა?). კბილების ქვეშ სამკაულების გროვა გაინმინდა (ტაბ. IV, № 3), რომელშიც შედიოდა: ოქროს ორი დაღარულბურთულიანი სასაფეთქლე (ინვ. № 07:1-03:1623, მუზ. № 31-2006/5), ნახევარმთვარისებური საკიდები

(ინვ. № 07:1-03:1624, მუზ. № 31-2006/6), სფერული მძივები (ინვ. № 07:1-03:1625, მუზ. № 31-2006/7), რკინის საკისრე რგოლი (ინვ. № 07:1-03:1629), რკინისა და ვერცხლის სამაჯურები (ინვ. № 07:1-03:1622ა-1622ბ), მინის მძივები (ინვ. № 07:1-03:1626-1627), პასტის იოტები და 1 მძივი ბიკონუსური ფორმისა (ინვ. № 07:1-03:1628). ამავე მიცვალებულთან დაკავშირებულ სამკაულის მეორე გროვაში (ტაბ. IV, № 4) აღმოჩნდა რკინისა (ინვ. № 07:1-03:1638) და ვერცხლის (ინვ. № 07:1-03:1637) სამაჯურები, ოქროს ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლე (ინვ. № 07:1-03:1630, მუზ. № 31-2006/2), ოქროს მძივები (ინვ. № 07:1-03:1636, მუზ. 31-2006/8), მინის (ინვ. № 07:1-03:1631-1633), ქარვისა (ინვ. № 07:1-03:1634) და სარდიონის (ინვ. № 07:1-03:1635) მძივები.

ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლე (ტაბ. X,5) წყვილი უნდა იყოს №2 მიცვალებულის კუთვნილი სასაფეთქლისა.

ოქროს დაღარულბურთულიანი საყურებიდან ერთი გატეხილი იყო, მეორე – მთელი (ტაბ. XI, 17). საყურე რგოლი სადაა, ბოლოები დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვს. ბურთულა სიგრძივ დაღარულია, რგოლს მიღავით უერთდება და ბოლოვდება მიღავითვე, რომლის ბოლოზე მტევანია. ბურთულის მაქსიმალური დიამეტრის ადგილას სარტყელია, რომელზეც ცვარას პირამიდებია დასმული. მტევანზე რაღაცაა მიუანგული. ერთი საყურე მოწითალო, სპილენძნარევი(?) ოქროსია, მეორე – მოთეთრო ოქროსი (1. სიმაღლე - 56,45 მმ, ბურთულას დმ - 14,35 მმ, სიმაღლე - 56,82 მმ, ბურთულის დმ - 14,32 მმ) [Kacharava, Kvirkvelia 2008: 207, №16; Medeas Gold 2007: 98; კაჭარავა 2016:71]. რაც შეეხება ოქროს ჭვირულბურთულიან საყურეს, ის № 2 მიცვალებულის საყურის წყვილია, როგორც ზემოთ აღინიშნა.

ყურადღებას იქცევს ოქროს ნახევარმთვარისებური საკიდები (ტაბ. IX,1). 7 ცალიდან მხოლოდ ერთია მთელი, სხვები ნაკლულია. მთელი ნიმუში შედგება სფერული მძივისა და მასზე მირჩილული ფირფიტოვანი ნახევარმ

თვარისაგან, რომლის ბოლოებზე რგოლზე შეკიდულია თითო დისკო; ასეთივე დისკო შებმული ნახევარმთვარის ცენტრში მარყუჟის მეშვეობით (ნახევარმთვარის მაქს. სიგანე – 13 მმ, საკიდის საერთო სიგრძე – 16 მმ) [კაჭარავა 2016: 71-72]. საკიდებს უახლოესი ანალოგიები ფიჭვნარში ეძებნება ძვ.წ. V საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული ელინისტური ხანის ჩათვლით [კახიძე 2007: 152-153, სურ. 91, 9; კახიძე ა., კახიძე ე. 2014: 43-44]. ნახევარმთვარისებური საკიდები საირხეშიცაა დადასტურებული ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსში [ნადირაძე 1990: 94, ტაბ. VIII, 3; მახარაძე, წერეთელი 2007: 63, 65, ფერადი ფოტო 91]. ვანში ამგვარი საკიდები ნარჩინებული მეომრის სამარხშია აღმოჩენილი [ჭყონია 1981: 70, კატ. № 87, სურ. 44]. მათთან შედარებით, ახლადაღმოჩენილი საკიდები გაცილებით სადაა – ნახევარმთვარისებური ფირფიტები არ არის შემკული ცვარათი, კიდეები დაკეჭნილი აქვს (დაკეჭნილი მავთულის მირჩილვის ნაცვლად), ერთ მძივზეა მირჩილული (შეწყვილებული მძივის ნაცვლად), სადა დისკოები აქვს შებმული (ცვარათი შემკული დუგმისებური საკიდების ნაცვლად).

ოქროს ყველა მძივი სფერულია, სადა, მიღებული ორი ნახევარსფეროს მირჩილვით (ტაბ. XI, 18). მძივების ეს ჯგუფი (49 ცალი) უფრო მცირე ზომისაა (დმ - 3 მმ).

მრგვალგანივეკეთიანი ღეროსგან (დმ 0,4-0,5 სმ) დამზადებული რკინის საკისრე რგოლი ფრაგმენტების (10 ფრ.) სახითაა მოღწეული. ზოგ ფრაგმენტზე ორ-ორი ღეროა ერთმანეთზე მიუანგული.

მინის მძივებს შორის არის სხვადასხვა სახის ნიმუშები: თვალედი (ტაბ. XV, 9), ლურჯი მინისა; საზამთროსებური (8 ც., ტაბ. XV, 6, 8) და ბიკონუსური (1 ც., ტაბ. XV, 5) მოყვანილობის ცალები (დმ 0,4-0,6 სმ). ქარვის ორივე მძივი (ტაბ. XV, 10) ბრტყელია, დაწახნაგებული (არხის სიგრძე - 0,5-0,6 სმ). სარდიონის ორი მძივიდან (ტაბ. XV, 11) ერთი ბიკონუსურია (დმ - 0,4 სმ, არხის სიგრძე - 0,2 სმ), მეო-

რე – დაწახნაგებული (არხის სიგრძე - 0,35 სმ). ამ მიცვალებულს ზემოთ ჩამოთვლილი მძივების გარდა ჩატანებული ჰქონდა პასტის 65 იოტი და 1 მძივი (ტაბ. XV, 7). იოტები რგოლისებურია (დმ - 0,2 სმ, არხის სიგრძე - 0,15 სმ), მძივი – ბიკონუსური (დმ - 0,7 სმ, არხის სიგრძე - 0,3 სმ).

ამავე მიცვალებულთან დაკავშირებულ სამკაულის გროვებში (ტაბ. IV, № 4) აღმოჩნდა რკინისა და ვერცხლის სამაჯურები. ვერცხლის სამაჯურები № 2 მიცვალებულის კუთვნილის ანალოგიურია: თავგახსნილი და ზურგშედრეკილი, დამზადებული მრგვალგანივეკეთიანი ღეროსგან. ბოლოები ორნამენტირებულია დაღარული ბურცობებით, ირგვლივი და ტეხილი ღარებით (დმ - 6,8-7 სმ, ღეროს დმ - 0,4 სმ; ტაბ. XII, 3-4). რკინის სამაჯურები ძლიერ დაზიანებულია: ერთმანეთზეა მიუანგული და ნაკლული; ყველა თავგახსნილია. ერთ მათგანზე შერჩენილია ბურცობები, მეორეზე - შეზნექილი რკალი ჩანს. ერთ ჯგუფში 9 სამაჯური შედის (დმ - 6,8-8,2 სმ, ღეროს დმ - 0,3-0,5 სმ), მეორეში კი 8 (დმ - 7-8 სმ), ტაბ. XIV, 1, 5.

№ 4 მიცვალებული № 3-ისგან დაშორებული იყო 0,43 მ-ით (ეს მანძილია კბილების ნაშთებს შორის). ამ მიცვალებულს უნდა ეკუთვნოდეს ყელის არეში დადასტურებული სამკაულები (ტაბ. III, № 23; IV, № 23; XVIII; XIX, 1), ტყავის (?) ზონარი (ტაბ. IV, № 23¹) და რკინის სამაჯურების ორი გროვა (ტაბ. IV, №№ 23^{II}-23^{III}). სამაჯურების (ინვ. № 07:1-03:1840-1841) გროვებს შორის მანძილი 0,48 მ-ა. ყბის ნაშთებისა და სამაჯურების გროვების განლაგების მიხედვით პოზა ასეთია: თავით აღმოსავლეთით, ზურგზე გაშოტილი, გაშლილი ხელებით. სამკაულების გროვა შეიცავდა ოქროს ორ საყურე რგოლს (ინვ. № 07:1-03:1805, მუზ. № 31-2006/60, დმ - 23 მმ), ვერცხლისა (ინვ. № 07:1-03:1804) და რკინის (ინვ. № 07:1-03:1842) საკისრე რგოლებს, 19 თვალად მძივს (ინვ. № 07:1-03:1806). რკინის საკისრე რგოლის ერთ ფრაგმენტზე მიუანგულია ვერცხლის ნახევარმთვარისებური საკი-

დის ფრაგმენტი. აღსანიშნავია, რომ ასეთივე ვერცხლის საკიდი აღმოჩენილია № 5 მიცვალებულის ყელის არეში (იხ. ქვემოთ).

ამ დაკრძალულის კუთვნილი ორი ნივთი ბაქანზე დასვენებული ინდივიდის ნივთების ანალოგიურია. ესენია: ოქროს საყურე რგოლები (ტაბ. IX, 3) და ვერცხლის საკისრე რგოლი (ტაბ. XII, 6). რაც შეეხება რკინის საკისრე რგოლებს (2 ც., ტაბ. XIII, 8), ისინი ამჯერადაც ფრაგმენტების სახითაა მოღწეული (18 ფრ.), დამზადებულია მრგვალგანივე-თიანი ლეროსგან (დმ – 0,3-0,5 სმ). ორ-ორი ლეროა ერთმანეთზე მიუანგული ზოგ ფრაგ-მენტზე; რამდენიმეს შერჩენილი აქვს ქსოვილის ანაბეჭდი. რკინის სამაჯურები ძლიერ დაზიანებული, ერთმანეთზე მიუანგული და ნაკლულია. ყველა თავგახსნილია, მრგვალ-განივე-თიანი ლეროსი (დმ – 7 სმ, ლეროს დმ – 0,4-0,5 სმ). ერთ მაჯაზე – 3 (ტაბ. XIV, 6), მეორეზე კი 5 სამაჯური გამოიკვეთა. თვალადი მძივები ლურჯი მინისაა (ტაბ. XV, 12), რგოლისებური ფორმის (დმ – 0,6 სმ, არხის სიგრძე – 0,4-0,5 სმ), შემკული თეთრი მინის სამ-სამი თვალით.

№ 5 მიცვალებული № 4-ისაგან 0,75 მ-ით იყო დაცილებული (ტაბ. III, № 22; IV, №22). მიცვალებულის ჩონჩხიდან ამჯერად მხოლოდ კბილები და ქვედა ყბის ნაწილი იყო შემორჩენილი, ისიც ძლიერ დაზიანებული. კბილების მიხედვით ჩანს, რომ თავი სწორად იდო (და არა გვერდზე). ამ მიცვალებულს უკავშირდება სამკაულების გროვა ყელის არეში (ტაბ. XIX, 2) და ოქროს ორი საყურე რგოლი (ინვ. № 07:1-03:1799-1800, მუზ. № 31-2006/61). ამ უკანასკნელთაგან ერთი საკისრე რგოლის გარეთ, მისგან 0,20 მ-ის დაცილე-ბით აღმოსავლეთით იდო, მეორე კი – 0,25 მ-ის დაცილებით დასავლეთით (ტაბ. IV, №№ 22, 22₁ და 22₂). საყურე რგოლები (დმ – 24 მმ) ანალოგიურია №№ 1 და 4 მიცვალებუ-ლის კუთვნილ ინვენტარში აღმოჩენილებისა (ტაბ. IX, 4). ყელის არეში დაფიქსირებული სამკაულების გროვა შედგებოდა ვერცხლისა (ინვ. № 07:1-103:1794) და რკინის (ინვ. № 07:1-

03:1798) საკისრე რგოლებისაგან. ვერცხლის საკისრე რგოლი (დმ – 16,3 სმ; ტაბ. XII, 1) ფორ-მით (მრგვალგანივე-თიანი მავთულისგანაა დამზადებული, რკალგახსნილი, კაუჭებიანი) ანალოგიურია №№ 1 და 4 მიცვალებულები-სთვის ჩატანებული ცალებისა. რაც შეეხება ორნამენტს, ის უფრო მდიდრული ჩანს სხ-ვებთან შედარებით: დაღარულ ბურცობებ-სა და ირგვლივ ღარებს ემატება წიწვოვანი ორნამენტი. რკინის საკისრე რგოლისგან მხოლოდ მრგვალგანივე-თიანი დაუანგული ლეროს (დმ – 0,3-0,5 სმ) ნატეხია შემორჩე-ნილი, რომელზეც ქსოვილის ანაბეჭდია. ამ მიცვალებულის კუთვნილ ინვენტარში შე-დიოდა ლურჯი მინის თვალედი მძივები (ინვ. № 07:1-03:1797, 1801), რომელთაგან ერთი გა-ტეხილია ორად; 4 მძივი მომრგვალებულია (ტაბ. XV, 13), შემკული თეთრი მინის ცხრა-ცხრა თვალით (დმ – 0,8 სმ, არხის სიგრძე – 0,6 სმ); 2 მძივი რგოლისებურია, სამ-სამი თვალით შემკული (დმ – 0,8 სმ, არხის სიგრძე – 0,4 სმ); დარჩენილი 2 მძივი კასრისებური ფორმისაა (ტაბ. XV, 14), შემკული თეთრი მინ-ის ცხრა-ცხრა თვალით, რომელთა ცენტრში ლია ლურჯი წერტილია დასმული (დმ – 1,2 სმ, არხის სიგრძე – 1 სმ). მინისებური პასტის 1 იოტი დაფიქსირდა სამკაულის ამ გროვაში (ინვ. № 07:1-03:1803). ის რგოლისებურია (დმ – 0,2 სმ, არხის სიგრძე – 0,15 სმ). აქვე აღ-მოჩნდა ვერცხლის ნახევარმთვარისებური საკიდი (ინვ. № 07:1-03:1796) და თავგახსნილი რგოლი (ინვ. № 07:1-03:1795), აგრეთვე ბრინ-ჯაოს ზარაკი (ინვ. № 07:1-03:1802). ვერცხლის ნახევარმთვარისებური საკიდი (ტაბ. XIII, 2) ფირფიტისგანაა დამზადებული, ყუნწიანია. ყუნწი (დმ – 0,4 სმ, სიგანე – 0,2 სმ) ბრტყელი ლენტის მოკეცვითაა მიღებული. საკიდი ორა-და გატეხილი, ერთი ბოლო აკლია; რგოლი (საყურე? ტაბ. XIII, 3) მრგვალგანივე-თიანი ლეროსია, თავგახსნილი (დმ – 2 სმ, ლეროს დმ – 1,15 სმ); ერთი ბოლო აკლია, მეორე ბოლო ოდნავ ნაწვეტებულია. რგოლი გაღუნულია, ორადა გატეხილი; აღდგენილია. ბრინჯაოს ზარაკი (ტაბ. XX, 26) კონუსური მოყვანილო-

ბისაა, გვერდჩაჭრილი, ყუნწიანი და ენიანი. კედელზე სამკუთხედია ამოჭრილი, აკლია კიდის ფრაგმენტი (შემორჩ. სიმაღლე - 3,4 სმ, ყუნწის სიგანე - 0,8 სმ, სიმაღლე - 0,5 სმ).

№ 5 მიცვალებულის კუთვნილი სამაჯურები რკინისაა (ინვ. № 07:1-03:1798ა), ძლიერ დაზიანებული 16 ფრაგმენტის სახით წარმოდგენილი, რომელთაგან ზოგი ერთმანეთზეა მიუანგული. უმრავლესობა მრგვალგანივევეთიანი დეროსია (დმ - 0,3-0,5 სმ), რამდენიმეს ბრტყელი განივევეთი აქვს. ზოგ ფრაგმენტს შერჩენილი აქვს ბურცობები (ტაბ. XIV, 7).

№ 22 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის საკისრე რგოლები იმ სახეობისაა, რომელიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი ჩვენში. ამ ტიპის საკისრე რგოლები მიეკუთვნება 6. გოგიბერიძის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის I, 2 ტიპს [გოგიბერიძე 2003:71], რომლისთვისაც დამახასიათებელია ორნამენტის დატანა ოვალურ ბურცობზე კაუჭებთან ახლოს. საკუთრივ ვანში ამგვარი საკისრე რგოლები № 22 სამარხის გარდა აღმოჩენილია №12 (ძვ. ნ. III ს.) [კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 26-27, სურ. 105]³, 16 (ძვ. ნ. IV საუკუნის მიწურული-III საუკუნის დასაწყისი) [კაჭარავა, მუავანაძე 1986:18, სურ. 11, 5] და 24 სამარხებში [Kacharava, Kvirkvelia 2008:180]. ვანის გარდა, ისინი ცნობილია ითხვისიდან (სამარხი № 2 - ძვ. ნ. IV საუკუნის მეორე ნახევარი) [გაგოშიძე 1976:8], საირხიდან (№ 8 სამარხის სამივე თანადაკრძალული) [მახარაძე, წერეთელი 2007:70, ფოტო 108], მოდინახედან (№ 3 სამარხი - ძვ. ნ. V საუკუნის მეორე ნახევარი) და შრომისუბნიდან (№ 2 სამარხი - ძვ. ნ. V საუკუნის მიწურული) [ნადირაძე 1966: 29, 34, ტაბ. XII, 1]. ერთი სიტყვით, მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ. ნ. V საუკუნის მეორე ნახევრით-IV საუკუნის მეორე ნახევრით განისაზღვრება.

თითოეული მიცვალებული რამდენიმე

წყვილ რკინის სამაჯურს ატარებდა. ყველა ბოლოებგახსნილია. ფორმის აღდგენა არ ხერხდება იმდენად დაუანგულია სამაჯურები. ერთ შემთხვევაში რკალშეზნექილობა დასტურდება, ზოგიერთზე კი – ბურცობები. ძვირფასი ლითონების სამაჯურებთან ერთად რკინის სამაჯურები ვანს გარდა სხვა თანადროულ სამაროვნებზეც ფიქსირდება: მაგალითად, საირხის № 8 სამარხის მთავარი მიცვალებულის სარკოფაგში ვერცხლისა და რკინის სამაჯურები ერთადაა აღმოჩენილი [მახარაძე, წერეთელი 2007: 67, ფოტო 99], ასევე ითხვისის №№ 2 და 4 სამარხებში (ძვ. ნ. IV ს. დასაწყისი, პირველი ნახევარი) [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 39-40, 49].

ბურცობებიანი რკინის სამაჯურები აღმოჩენილია ითხვისის №№ 1, 2, 5, 7, 8 და 9 სამარხებში (ძვ. ნ. IV ს. დასაწყისი, პირველი ნახევარი-შუახანა) [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 37, 41, 44, 50, 52-54, ფოტო 6; გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2010: 55]. აღმოსავლეთ საქართველოში რკინის სამაჯურები ბურთულისებური შემსხვილებებით აღმოჩენილია გომარეთის (ძვ. ნ. IV-III სს.) [დავლიანიძე 1983:141, ტაბ. XVII, 22], ენაგეთისა [მარგიშვილი 2004: 62, ტაბ. XVIII, 9] (ძვ. ნ. V ს. მიწურული-IV ს.) და პაპიგორის სამაროვნებზე (ძვ. ნ. IV ს. შუახანები-მეორე ნახევარი) [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:25-26]. ითვლება, რომ რკინის ზურგდაბურთული სამაჯურები ძირითადად ძვ. ნ. IV საუკუნის შუახანებსა და მეორე ნახევარშია გავრცელებული [გოგიბერიძე 1984: 142].

ამ ოთხი მიცვალებულის გარდა, რომლებიც სამარხი ორმოს აღმოსავლეთ ნახევარში იყო დასვენებული, პირით დასავლეთისაკენ, თითქოს კიდევ ერთი ინდივიდი იკვეთება სამარხის დასავლეთ ნაწილში, ადგილობრივი ჭურჭლის ნატეხების ქვეშ (ტაბ. IV, № 11). აქ აღმოჩენდა წვივისა და ბარძაყის ძვლები, ძლიერ დაშლილი და დაზიანებული, მოკეცილ მდგომარეობაში. №10 გროვის ქვეშაც ჩანდა ძვლები, ასევე ძლიერ დაშლილი. თუ ეს მართლაც ცალკე ინდივიდია, მას №№ 2-5 მიცვა-

³ არქოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ლაბორატორიაში ჩატარებული სარესტავრაციო-განმენდითი სამუშაოების შედეგად რამდენიმე საკისრე რგოლი ვერცხლისა აღმოჩნდა.

ლებულებისგან განსხვავებული ორიენტაცია უნდა ჰქონოდა – თავით სამხრეთისაკენ, ფეხებმოკეცილი. № 15¹ გროვის (ვერცხლის ნივთების გროვა, ტაბ. IV) ქვეშ შედიოდა ძლიერ დაშლილი ლულოვანი ძვლები. ერთი ძვლის ნაშალი გამოჩნდა ორყურა დერგის (ტაბ. IV, № 13) ქვეშაც. თუკი აქ მიცვალებულია (№ 6), ის ძლიერ მოკუნტული უნდა ყოფილიყო, ისე პატარა ადგილია მისთვის დარჩენილი. აქ პირადი სამკაული არ გამოიკვეთა.

მიცვალებულებს შორის არეზე ცალკეული ნივთები თუ სხვადასხვა ნივთების გროვები დაფიქსირდა. სამარხი ორმოს კუთხებში თითო ამფორა იდგა (ტაბ. XXI, 1): ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხებში მენდეს ამფორები (ინვ. №№ 07:1-03:1848-1849) აღმოჩნდა (ტაბ. III-IV, №№ 1, 17), ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და დასავლეთი კედლის თითქმის შუაში (ტაბ. III-IV, №№ 7, 12) – ქიოსური ჩაჩისებურძირიანები (ინვ. №№ 07:1-03:1850-1851). მენდეს ამფორების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია გრძელი ცილინდრული ქუსლი, რომელიც მკვეთრად ფართოვდება ძირისაკენ; ძირის ცენტრში ჩაღრმავებაა, დანარჩენი ზედაპირი შეზნექილ-გამობერილია. სწორედ ამ ძირითადი მახასიათებლების მიხედვით ისინი პირველად გამოყო ი. ზეესტმა [Zeeest 1963:88] და „ჭიქისებურძირიანი ამფორები“ უწოდა. მათი წარმოების ცენტრის განსაზღვრა მოვიანებით მოხდა. თავდაპირველად ამ ტიპის ამფორების ნაწილი მაინც თასოსს ან მასთან დაკავშირებულ ჩრდილოეთ ეგეი-დის ცენტრებს მიაკუთვნეს [Шелов 1956:151; Шелов 1957:221; Брашинский 1961:296; BonA.-M., BonA. 1957:Nos. 2184-2210], შემდეგ კი ისინი კუნძულ მენდეს ნანარმად მიიჩნიეს [Брашинский 1976:67-74; Eiseman 1973:1-15, figs.1-3; Монахов 1999:165 სლეд.]. ჩვენი ნიმუშების უახლოესი ანალოგიები მენდეს ამფორების ე.ნ. პორტიჩელოს ტიპს მიეკუთვნება, რომელიც ძვ.ნ. V საუკუნის მინურულიდან ძვ.ნ. IV საუკუნის 60-იან წლებამდე მზადდებოდა. განხილული ტიპის მენდეს ამ-

ფორები ხშირად ჩნდება შავიზღვისპირეთის, მათ შორის კოლხეთის, ცენტრებში ძვ.ნ. IV საუკუნის დასასრულამდე. (ტაბ. XXI, 5, 7).

ჩაჩისებურძირიანი ამფორები ძვ.ნ. IV საუკუნეში ქიოსური კერამიკული ტარის ერთად-ერთი სახეობაა. ის ჩნდება საუკუნის დასაწყისში, მაგრამ პირველი ოცი წლის მანძილზე „ჩაჩი“ ჯერ არ არის გამოკვეთილი და ამ ხანის ამფორებს „პროტოჩაჩისებურძირიანებს“ უწოდებენ კიდევაც. ნამდვილი ჩაჩისებურძირიანი სერია ძვ.ნ. IV საუკუნის 70-იანი წლებიდან ვრცელდება. გვიანდელ (ძვ.ნ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი) ნიმუშებზე ჩაჩი კვლავ სუსტადაა გამოკვეთილი, თანდათანობით კონუსის სახეს იღებს, ყურები კი პირის გვირგვინიდან დაცილებით არის ყელზე მიძერნილი. ვანის სამარხში აღმოჩენილი ორივე ჩაჩისებურძირიანი ამფორა განვითარებული სერიის წარმომადგენელია [Монахов 1999: 153, 246, 392] და თარიღდება ძვ.ნ. IV საუკუნის შუახანებით. ვანის ნაქალაქარზე ჩაჩისებურძირიანი ამფორები ფრაგმენტების სახით ადრეც იყო აღმოჩენილი [ფუთურიძე 1983:9-10, 16-17, კატ. №№ 9-12], (ტაბ. XXI, 6).

სამარხი ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან (ტაბ. III-IV, № 16; XXI) აღმოჩნდა ზემოთნახსენები წითელფიგურული არიბალური ლეკითოსის (ინვ. № 07:1-03:1793) ტანი (სიმაღლე – 16 სმ, ძირის დმ – 7,9 სმ, პირის დმ – 5 სმ; ტაბ. XXII, 1). ლეკითოსზე გამოსახულია ორი სახე – ქალისა და მამაკაცის, ერთმანეთის პირისპირ. არიბალური ლეკითოსები, შემკული ქალის თავებით ან მთელი ფიგურებით, ფართოდაა გავრცელებული ე.ნ. გვიანკლასიკურ I ეტაპზე (ძვ.ნ. V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი-370-იანი წლები). ისინი განაგრძობენ არსებობას ძვ.ნ. IV საუკუნეშიც [Boardman 1989:170]. ძვ.ნ. 430 წლიდან არიბალისებური ლეკითოსი ატიკური სანელსაცხებლის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა. კლასიკური ლეკითოსისაგან ის განსხვავდება ერთმანეთისაგან გამოყოფილი ყელითა და მხრით,

მომრგვალებული ტანით, ფართო ძირით. განსაკუთრებით პოპულარულია ეს ფორმა ძვ.წ. 430-400 წლებში, შემდეგ კი კარგავს უპირატესობას და წითელფიგურულ ნიმუშებს სჭარბობს პალმეტიანი, ბადისებურორნამენტიანი და შავლაკიანი ცალები [Campenon 1944:85-88]. წითელფიგურული ლეკითოსები არსებობას წყვეტენ ძვ.წ. IV საუკუნის შუახანების შემდეგ. ფორმის მიხედვით ჩვენი ლეკითოსი მიეკუთვნება ძვ.წ. IV საუკუნეს, როცა ტანი სფეროსებურის ნაცვლად იღებს ოვალურ ფორმას, ხოლო ყელი გრძელდება [Передольская 1973: 62-70]. პირის გვირგვინის კონუსისებური მოყვანილობა თარიღის დაზუსტების საშუალებას იძლევა: გადაბრუნებული კონუსის ფორმის პირის გვირგვინები დამახასიათებელია ძვ.წ. 400-375 წლების ნიმუშებისათვის [Schefold 1934]. ამ ლეკითოსის პირ-ყელი, როგორც ზემოთ ითქვა, აღმოჩნდა სამარხის ქვაყრილის თავზე. აღსანიშნავია, რომ აპოლონიის სამაროვანზე ადგილ კალფატაში გვიანკლასიკური და ადრეელინისტური ხანის სამარხებში თავისებური წესია დადასტურებული: ლეკითოსები პირმოტეხილია ჩატანებული [Панайотова 2001:100-103].

№ 5 მიცვალებულის ჩრდილოეთით სამკაულის გროვასა და ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდგარ მენდეს ამფორას შორის იდო ვერცხლის ვაზა და მინის სანელ-საცხებლე (ტაბ. III-IV, №№ 19 და 33; XVIII, 1). ვაზა (ინვ. № 07:1-03:1807) ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ შესაძლებელია მისი ფორმის აღდგენა (სიმაღლე – 15,2 სმ, პირის დმ – 8,1 სმ, ტანის დმ – 13 სმ). მას გარეთ გადმოხრილი სადა პირის კიდე, შეზნექილი ყელი და ოვალური ტანი აქვს. ეს უკანასკნელი კანელურებითაა შემკული. ყელისა და ტანის შეერთების ადგილს გრავირებული ორნამენტი გასდევს, ძირზე კი ენების ორი სარტყელია გამოყვანილი (ტაბ. XXIII, 1).

მინის სანელ-საცხებლე (ინვ. № 07:1-03:1808, ტაბ. XXII, 2) მიეკუთვნება ჩვენში უკვე კარგად ცნობილ ტიპს – ნამნამებისა და ჭუთუთოების შესაძლები შავი საღებავისათვის

გამოყენებულ ე.წ. kohl-tube-ს [ფირცხალავა 1983: 83-84, 86, ტაბ. 37; საგინაშვილი 2000: 72-76]. სხვათა შორის, ჩვენს სანელ-საცხებლეში კიდეც აღმოჩნდა შავი ფხვნილი – სწორედ ამ kohl-ის ნაშთი. ლუვრის ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ფხვნილი ლიგნიტს (ყავისფერ ნახშირს) წარმოადგენს.

ვანის სანელ-საცხებლე დამზადებულია გაუმჯობესებულე შავი მინისაგან. მას აქვს ოთხ-კუთხა წაგრძელებული ტანი, მცირე ზომის დაბრტყელებული ძირი, ფართო და მოკლე ყელი, ძალიან ვიწრო მხრები. პირის გვირგვინი შესქელებულია და მომრგვალებული, გამოყვანილი ორი ძაფის გადაგრეხით. მხრების ოთხივე კუთხეში თითო შვერილია. ჭურჭლის ტანი დაფარულია მონოქრომიული ორნამენტით – შევრონებით, რომლებიც მოთეთრო-მწვანე ძაფითაა გამოყვანილი. შევრონები მთელ ტანს ამკობს, ძირთან მცირე არის გარდა. ზემოდან და ქვემოდან შევრონები შემოსაზღვრულია მოყვითალო-ყავისფერი ზოლებით. ოთხივე ვერტიკალურ კიდეს გასდევს ღია-ყავისფერი ზოლები, რომლებიც დატანილია შევრონებისა და პირიზონტალური ზოლების შემდეგ. ვანის სანელ-საცხებლის შიდა სივრცე ცილინდრულია, ოდნავ დავიწროებული ძირისაკენ (სიმაღლე – 8 სმ, მხრების სიგანე – 1,7 სმ, ძირის დმ – 1,2 სმ).

Kohl-tube-ები საგანგებოდ შეისწავლა დ. პ. ბარაგმა, რომელმაც ამგვარი ჭურჭლის არეალის საფუძველზე მისი ირანული წარმომავლობა ივარაუდა. ხოლო თარიღი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით განისაზღვრა, თუმცა დაუშვა ძვ.წ. V საუკუნეც [Barag 1975:23-36]. ვანის სანელ-საცხებლე მიეკუთვნება დ. ბარაგის კლასიფიკაციის I ჯგუფს. მისი უახლოესი ანალოგია დაცულია ერვინ ოპენლენდერის კოლექციიაში [Saldern, Nolte, La Baume, Haevernick 1974: Kat. No. 101, Farbtaf. 52], მაგრამ ის უკონტექსტოა.

საქართველოში უკვე 10 kohl-tube-ი არის აღმოჩნდილი (რვა მთელი და ორი ფრაგმენტი), თანაც კარგად დათარიღებულ კომპლექ-

სებში, განსხვავებით სხვაგან აღმოჩენილი ნიმუშებისაგან, რომლებიც უპირატესად შემთხვევითი მონაპოვრების რიცხვს მიეკუთვნება. ასე რომ ჩვენში აღმოჩენილი სანელ-საცხებლები, რომელთაგან ორი ვანიდან მომდინარეობს, ამ რიგის მინის ჭურჭლის თარიღის დაზუსტების საშუალებას იძლევა კიდეც. ვანში № 22 სამარხის გარდა, ოთხნახაგა kohl-tube-ი აღმოჩენილია № 6 სამარხში (ძვ.წ. V-ადრეული IV საუკუნე); ის დ. ბარაგის IA ჯგუფისაა [ფირცხალავა 1983: 83-84, 86, ტაბ. 37; საგინაშვილი 2000: 72, სურ. 2]. ოთხუთხაგანივევეთიანი kohl-tube-ები – 2 ცალი, რომელთაგან ერთი მთელია (დ. ბარაგის IA ტიპისა, აღმოჩენილია ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე ძვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედის სამარხში [კახიძე 2007: 172, სურ. 12₁₁ და 15, კახიძე 2008: 49-53]). ცნობილია ოთხნახაგა ნიმუშები აღმოსავლეთ საქართველოდანაც – ენაგეთიდან (სამარხი ძვ.წ. V საუკუნის დასასრულით- IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება) IA ჯგუფის [Gagošidze, Saginašvili 2000: 67-73; მარგიშვილი 2004: 62, ტაბ. CVIII, 1; საგინაშვილი 2000: 73, სურ. 4], ტახტიძირიდან 2 მთელი ნიმუში – ერთი IA ჯგუფისა, მეორე – IB ჯგუფის; ორივე ადრეელინისტური ხანის სამარხიდან მომდინარეობს [Gagošidze, Saginašvili 2000: 68; საგინაშვილი 2000: 74, სურ. 5 და 6]. იქნებ ოთხნახაგა სახეობა IB ჯგუფისა სწორედ IV საუკუნით შეიძლება დათარიღდეს ჩვენი მონაცემების საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ოთხნახაგა ნიმუშებისა საქართველოში აღმოჩენილია ცილინდრული ფორმის kohl-tube-ებიც - კუშჩიში [საგინაშვილი 2000: 72, სურ. 1] და ტახტიძირის სამაროვნის №18 სამარხში [საგინაშვილი 2000: 74, სურ. 7]; ცილინდრული ნიმუშების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე შავსაყდარა II სამაროვანზე შემთხვევით აღმოჩენილი ასეთი ჭურჭლი [მარგიშვილი 1992: 61-62, ტაბ. XVII, 5, XXIV, 2; საგინაშვილი 2000: 73, სურ. 3].

ზემოთ განხილული მინისა და ვერცხლის ჭურჭლის ჩრდილოეთით და № 5 მიცვალებუ-

ლის ნაშთების დასავლეთით (ტაბ. III-IV, №№ 20-20¹; XVIII; XXIV) ბრინჯაოს ორი ჭურჭლი აღმოჩნდა: ოინოხოა (ინვ. № 07:1-03:1810) და ფიალა (ინვ. № 07:1-03:1809). ფიალა ომფალოსიანია. ის, სამწუხაროდ, ძალიან დაზიანებულია და მისი აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ოინოხოას ტანი ძალიან დაზიანებულია; ყურის ბოლოები შემკულია რელიეფური თავებით: ზედა ბოლოზე ქალის თავია გამოსახული (ტაბ. XXII, 4), ხოლო ქვედაზე – სილენის (ტაბ. XXII, 5). მსგავსი ბრინჯაოს ოინოხოა აღმოჩენილია დაბლაგომის მდიდრულ სამარხში, რომელიც ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ოინოხოის ანალოგიები სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში იქნა მოძიებული [თოლორდავა 1976: 76].

ინვენტარის კიდევ ერთი ჯგუფი ზემოთ განხილული გროვის სამხრეთით გაინმინდა (ტაბ. III-IV, № 21; XVIII; XXIV, 2; XXV; XXVI). ამ ჯგუფში შემდეგი ნივთები აღმოჩნდა: ვერცხლის სარტყელი (ინვ. № 07:1-03:1828), ბრინჯაოსა და ვერცხლის⁴ ცილინდრული გვერდშეჭრილი ზარაკები (ინვ. №№ 07:1-03:1824-1826); ბრინჯაოს ორი ბალთა (ინვ. № 07:1-03:1822, მუზ. № 31-2006/62), რომელთა დისკოსებური მოყვანილობის თავებზე ოქროს ფურცელია გადაკრული (ტაბ. XXII, 9); მინის სხვადასხვაგვარი მძივები: ორი თვალედი მძივი (ინვ. №№ 07:1-03:1814, 1818), რომელთაგან ერთი (ტაბ. XV, 16) დიდი ზომებით გამოირჩევა (დმ – 2,7 სმ, არხის სიგრძე – 2,5 სმ) და შემკულია ხუთ რიგად განლაგებული თეთრი მინის თვალებით; მეორე კი (ტაბ. XV, 15) – რგოლისებური ფორმისაა (დმ – 0,9 სმ, არხის სიგრძე – 0,6 სმ), მუქი ლურჯი მინისა, შემკული თეთრი მინის ოთხი თვალით, რომელთა ცენტრში ლურჯი წერტილია გამობურცული; მნვანე მინის გატეხილი მძივი (ინვ. № 07:1-03:1821); აგრეთვე მოზაიკური მძივები – მოყვითალო (ინვ. № 07:1-03:1811, ტაბ. XV, 17), მომწვანო (ინვ. № 07:1-03:1812, ტაბ. XV, 18),

⁴ განმენდის შედეგად გაირკვა, რომ ზარაკების ერთი ნაწილი ვერცხლისაა. საველე დავთარში ყველა ზარაკი გატარებულია როგორც ბრინჯაოსი.

მოყავისფრო (ინვ. № 07:1-03:1813, ტაბ. XV, 19) და მუქი მწვანე (ინვ. № 07:1-03:1815, ტაბ. XV, 20) პასტისა; ყველა ბრტყელია, ოთხკუთხა, შერჩენილი აქვს ფერადი ჩანართები და ჩანართების კვალი (სიმაღლე - 0,9-1 სმ, არხის სიგრძე - 1,2-1,5 სმ); ქარვის 1 მძივი (ინვ. № 07:1-03:1820), რომელიც ფრაგმენტულია; ვერცხლის 5 მილაკი (ინვ. №№ 07:1-03:1816, 1823), რომელთაგან ერთი ნაკლულია; მეორეში, ასევე ნაკლულში, შერჩენილია მასში გაყრილი ვერცხლისავე მავთული; მილაკები მიღებულია ფირფიტის მომრგვალებით (სიგრძე - 4,4 სმ, დმ - 0,3 სმ; ტაბ. XIII, 5); ვერცხლის სამკაულები, რომელთაგან ორს (ინვ. № 07:1-03:1817) ჩაზნექილი პირამიდის ფორმა აქვს (სიმაღლე - 1 სმ, წახნაგის სიგანე - 1 სმ; ტაბ. XIII, 7; XXII, 6), სამი კი (ინვ № 07:1-03:1819) დალარულია, წახევარსფერული მოყვანილობის (სიმაღლე - 1,2 სმ, დმ - 2 სმ; ტაბ. XIII, 6; XXII, 7). ჩაზნექილი პირამიდის ფორმის ვერცხლის სამკაული მონეტების გროვასთანაც დადასტურდა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

გარდა ჩამოთვლილი ნივთებისა, სამარხეული ინვენტარის ამ ჯგუფში შედიოდა რკინის რამდენიმე ნივთი. ერთი მათგანი ლაგამს წარმოადგენს (ინვ. 07:1-03:1827). ის დაზიანებულია – დაუანგულია და აკლია ერთი საყბეურის ზედა კიდე. საყბეურები ბრტყელია და ოთხკუთხაგანივეკვეთიანი, სამყუნიანი; ზედა ბოლოს შიდა კიდე ზემოთ აქვს აშვერილი; ცენტრალური ყუნწი გადაბმულია მუნდშტუკთან. ამ უკანასკნელის ცენტრალური ნაწილი მოკლე ლერთი შეერთებულ ორ რგოლს წარმოადგენს, რომლის იქით-აქეთ ორ-ორი რგოლია. ამ უკანასკნელთაგან განაპირა რგოლები უკავშირდება როგორც საყბეურს, ასევე აღვირს (რგოლის მეშვეობით; ტაბ. XXIX, 1; XXX, 1)⁵. ვანში №16 სამარხშია აღმოჩენილი ბრტყელსაყბეურებიანი ბრინჯაოს ლაგამი [კაჭარავა, მუავანაძე 1986: 23, სურ. 13₅]. ახალგორის განძში ბრინჯაოს ორი ბრტყელსაყბეურიანი ლაგამი შედის [Смирнов

1934: 54], ითხვისის №2 [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 44, 55, სურ. 16, ტაბ. XIV, 39] და საირხის № 1 სამარხებში – თითო-თითო [მახარაძე, წერეთელი 2007: 44, ფოტო 48].

რაც შეეხება რკინის მეორე ნივთს (ინვ. № 07:1-03:1827ა, ტაბ. XXIX, 2; XXX, 2), რომელიც ძლიერ კოროზირებულია, ის შედგება ორი მორკალული ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთს უერთდება რგოლებით და ბოლოვდება რგოლებითვე. მორკალულ ნაწილებს მოხრის ადგილას თითო ყუნწი აქვს (ყუნწის დმ – 2 სმ, ღეროს დმ – 1 სმ). მსგავსი ნივთი აღმოჩენილია ითხვისის № 2 სამარხში, ცხენის აკაზმულობასთან დაკავშირებულ ნივთებთან (ავშარის ბალთები, ლაგამი, რგოლები) ერთად და მიჩნეულია ცხენის ბორკილად [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 45, 58, სურ. 16], აგრეთვე საირხის №1 სამარხის ქვაყრილში [მახარაძე, წერეთელი 2007: 36, ფოტო 27]. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნივთის ფუნქცია არ არის გარკვეული. ჩვენი აზრით, ვანისა და საირხის რკინის ნივთების შემთხვევაშიც საქმე უნდა გვქონდეს ცხენის ბორკილთან.

აქვე აღმოჩნდა ფრაგმენტი რკინის სამაგრისა (ინვ. № 07:1-03:1827ბ), რომელსაც თავი და ბოლო აკლია. როგორც ჩანს, ის ნაწილია თავმოკაუჭებული სამაგრისა (ტაბ. VIII, 35), რომელთა მსგავსი დადასტურებულია როგორც ვანში [კაჭარავა, მუავანაძე 1986: 25, ტაბ. 15, 12], ასევე ითხვისში [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 38, 12, სურ. 5].

ზემოთჩამოთვლილ ნივთთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სარტყელი. ის ფურცლოვანი ვერცხლისაგან არის დამზადებული (სიგანე – 6,5 სმ, სიგრძე დაახლ. – 110 სმ) და შემკულია მარტივი დეკორატიული მოტივებით (ტაბ. XXVII-XXVIII). კიდეების გაყოლებაზე რიგია ბურცობების, რომელზეც ფუძეებით დაყრდნობილია სამკუთხედები, repoussé-ს ტექნიკით გამოყვანილი ბურცობებით შედგენილი. თითო ასეთი სამკუთხედია გვერდით კიდეებზე. შიდა ფართობზე გამოსახულებებია: რამდენიმე სვასტიკა

⁵ რკინის ნივთები გაიწმინდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში.

და ერთი ჩიტი, რომლებიც გამოყვანილია repoussé-ს ტექნიკით. სარტყელის კიდეებს მთელ პერიმეტრზე მცირე ზომის ნახვრეტები გასდევს, რაც გვაფიქრებინებს, რომ თავის დროზე მას ქსოვილის ან ტყავის სარჩული ჰქონდა. ზემოთ ნახსენები ვერცხლისა და ბრინჯაოს ზარაკების, ვერცხლის მილაკებისა და საკიდების, აგრეთვე მინისა და მინისებური პასტის მძივების განლაგება სარტყლის კიდეების გაყოლებაზე საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნახვრეტების ნაწილი მაინც გამოყენებული იყო მათ ჩამოსაკიდებლად. სარტყელი დაზიანებულია, შემორჩენილია 8 დიდი ფრაგმენტი.

სარტყლები იშვიათად იჩენს თავს ანტიკური ხანის (კლასიკური და ადრეელინისტური ხანა გვაქვს მხედველობაში) სამარხებში, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. ცნობილია ოქროს ქამრის აღმოჩენის ფაქტი ახალგორის განძში; ის სადაც [Смирнов 1934: 52, თაბл.V]. ბრინჯაოს ქამრის ფრაგმენტები, ვანის სარტყლის ანალოგიურად კიდეების გაყოლებაზე შემკული თეგვით გამოყვანილი სამკუთხედებით, შედის ყაზბეგის განძში [წითლანაძე 1976: 89-90, ტაბ. XXXI]. აღსანიშნავია, რომ საირხის №8 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, აღმოჩენილია მცირე ზომის (33x22 მმ) ოქროს ფირფიტა, რომლის გრძივ კიდეებს ამკობს თეგვით გამოყვანილი სამკუთხედების რიგი [მახარაძე, წერეთელი 2007: 70, ფოტო 109]. სამივე შემთხვევაში სამკუთხედები ფუძეებით კიდეზე დევს. როგორც ჩანს, ორნამენტის ეს სახეობა პოპულარული იყო ამ ხანაში.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქამრები თუ დასაკრძალავი სარტყლები იშვიათია ანტიკურ სამყაროშიც: ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ფურცლოვანი ოქროს ქამარი, რომელიც სადაზედაპირიანია, ძვ.წ. 350-300 წლებით თარიღდება [Williams, Ogden 1994:107, № 61]; სანტა ეუფემიას (იტალია, კალაბრია) განძში, რომელიც იმავე მუზეუმშია დაცული, შედის ოქროს გოფრირებული ფურ-

ცლები, მიჩნეული ქამრის ნაწილებად [Williams, Ogden 1994: 209, №. 141; Williams 1988: 85-86]; იმავე მუზეუმში ინახება ვერცხლის თხელი ფირფიტის ქამარი. ელენე სტათატოსის კოლექციაში დაცულია ორი რთული ქამარი [Amandry 1953: nos. 265-266]. ოქროს ორი სამკაული კარპენისიდან შემკულია მცენარეული სახეებით, რომელთა გამოყვანისას გამოყენებულია ფილიგრანი, გრანულაცია და ინკრუსტაცია [Higgins 1980: 168]. ეს სამკაულები ელინისტური ხანით თარიღდება.

ლითონის სარტყლების არსებობა არქეოლოგიურად არც აქემენიდურ სპარსეთში დასტურდება, თუმცა არის ცნობები ლითონის სარტყლების ხმარებისა საგანგებო შემთხვევებში (მაგ., დარიუს III-ის ოქროს ქამარი – Quintus Curtius, III, 3,7).

როგორც ამას კლაზომენური და ატიკური ვაზათმხატვრობა მოწმობს, ბერძნულ სამყაროში ცხენებს ავი თვალის ასაცილებლად ზოგჯერ სარტყლებს უკეთებდნენ, რომელზეც შეკიდული იყო ლითონის დისკობი, ფუნჯები, კბილებიც კი [Anderson 1961: 85]. ამ სარტყლებს განასხვავებენ უნაგირის დასამაგრებელი და მკერდის დამცავი სარტყლებისაგან. ცხენის სარტყლები გვხვდება ძველაღმოსავლურ სამყაროშიც – ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ასირიულ რელიეფებზე ისინი მორთულია ზარაკებითა და ზანზალაკებით [Moorey 1971: 137]; პერსეპოლისის რელიეფებზეც გამოიკვეთება ცხენის სარტყლებზე ზარაკები [Schmidt 1953: pl. 35B].

როგორც ზემოთ ითქვა, სარტყელთან ერთად ინვენტარის ამ გროვაში შედიოდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ზარაკები, ვერცხლის მილაკები, ნახევარსფერული და პირამიდისებური სამკაული, აგრეთვე მინის, პასტისა და ქარვის მძივები. როგორც ჩანს, ისინი სარტყლის გრძივი კიდის გაყოლებაზე იყო განლაგებული და კიდეებზე არსებული ნახვრეტების მეშვეობით იყო სარტყელზე ჩამოკიდებული.

ზარაკებიდან სამი ცალი ვერცხლისაა. სამივე გვერდჩაჭრილია. მათ კონუსური და გოფრირებული ტანი აქვთ (სიმაღლე – 2,2

სმ, მაქს. დმ - 1,5სმ). ყუნწის თავი ოდნავ დაბრტყელებულია. ენა არც ერთზე არ არის შერჩენილი, ერთ ზარაკს ტანის მცირე ფრაგმენტი აკლია (ტაბ. XX, 1-3; XXII, 3).

ბრინჯაოს ზარაკების რაოდენობა 20-ს აღნევს (ტაბ. XX, 4-25). ზოგი ცილინდრული ფორმისაა, მცირე ზომის, ზოგიც – კონუსური. ყველა გვერდჩაჭრილია, ყუნწიანი და ენიანი. ზოგს ტანი გოფრირებული აქვს, ზოგს – სადა. ერთი ზარაკი დაფანჯრულია. უმრავლესობა ნაკლულია – აკლია ყუნწის, ტანის და ენის ნაწილები. ენა ზოგს რკინისა აქვს, ზოგსაც – ბრინჯაოსივე. ორ შემთხვევაში მხოლოდ ენაა შემორჩენილი. ზარაკები ე.ნ. მინიატურული ზარაკების რიცხვს მიეკუთვნება (საშუალო სიმაღლე 2,7 სმ-ა, დმ - 1 სმ).

ე.ნ. მინიატურული ზარაკების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. IV-III საუკუნეებით განისაზღვრება [ჭანიშვილი 2007: 105]. ზოგიერთ ძეგლზე ასეთი ზარაკები ორი დანიშნულებით არის დაფიქსირებული. მაგალითად, ითხვისის №21 სამარხში ბრინჯაოს ზარაკი ცხენის აკაზმულობის ნაწილია. თუმც ამის პარალელურად ამავე სამაროვნის № 2 სამარხში ზარაკები (10 ცალი) მიცვალებულის გულმკერდის არეში აღმოჩნდა მინისა და ძვლის მძივებთან ერთად [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 41, 59, ფოტო 17-19, 102] – ე.ი. ყელსაბამად იყო ასხმული. ასევეა ვანში: № 3 სამარხში ბრინჯაოს 18 ზარაკი აღმოჩნდა დაკრძალულის გულ-მკერდის არეში [Хощтариа 1979: 119-122, რიც. 194]; თვით № 22 სამარხში ერთი ზარაკი დადასტურდა № 4 მიცვალებულის ინვენტარის ჯგუფში, ცხენის ინვენტართან დაკავშირებულ გროვაში კი ოცდასამი ცალი აღმოჩნდა, მათგან სამი ვერცხლისაა. ოთხი ზარაკი იყო შემორჩენილი №17 სამარხში, რომელიც გაძარცულია და ზარაკების ფუნქცია გაურკვეველი რჩება [კაჭარავა, მჟავანაძე 1986: 25, 32-33, კატ. № 88, სურ. 17, 13]. ზარაკების ყელსაბამად გამოყენების ფაქტი დასტურდება ფარცხანაყანევის [Иващенко 1950: 326], დაფნარისა [Кигурадзе 1976: 34, ტაბл. XI, 1] და ფიჭვნარის

სამაროვნებზე [ვაშაკიძე, კახიძე 1978: 53, ტაბ. 16, 3-4; კახიძე 1981: 52-53, სურ. 3,7; 8,4; 13,5; კახიძე 2016: ტაბ. XVI, 10], აგრეთვე ზემო ფარცხმისა და ციხისძირის სამაროვნებზე [ვაშაკიძე 1985: 94-96, სურ. 19,9; ინაიშვილი, ვაშაკიძე 2010: 409]. დაბლაგომში ბრინჯაოს ზარაკები აღმოჩენილია ქვევრსამარხებშიც და კრამიტის სახურავიან მდიდრულ სამარხშიც [Куфтин 1950: 22-23, 46-47, ტაბლ. 6, 15₁₂; თოლორდავა 1976: 57; თოლორდავა 1976: 71, № 17], როგორც ჩანს, ყელსაბამის საკიდების როლში. საირხის სამაროვანზე მინიატურული ზარაკები ერთ სამარხშია მხოლოდ დადასტურებული, ცხენებთან; სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება [მახარაძე, წერეთელი 2007: 70]. ბრინჯაოს მინიატურული ზარაკები ახალგორის განძიდან რელიგიურ-აპოტროპეული დანიშნულების მქონედა მიჩნეული [Смирнов 1934: 59]. გუადიხუს სამაროვანზე დასტურდება ზარაკების გამოყენება დაკრძალულის თავსაბურავზე, სარტყელზე, ან ტანსაცმლის სხვა ნაწილებზე [Трапиш 1969: 74, ტაბლ. IV, 6]. ე.ნ. მინიატურული ზარაკების შესახებ დაწვრ. იხ. [ჭანიშვილი 2005: 19-29; ჭანიშვილი 2007: 97-108]. ამრიგად, ვანის ახალმა აღმოჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბრინჯაოს მინიატურული ზარაკები არა მარტო ადამიანის ავი თვალისაგან დასაცავად იხმარებოდა, არამედ ცხენის აკაზმულობაშიც იგივე ფუნქცია ჰქონდა. აქვე ერთი მომენტიც უნდა აღინიშნოს: ვანის ამ სამარხმა მძივების ხმარების №24 სამარხში დაფიქსირებულ ფაქტებს [კაჭარავა, ხარაბაძე, თურმანიძე 2013: 148-173] დაამატა მათი გამოყენება ცხენის სარტყელის შესამკობად. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ვერცხლის ეს სარტყელი შემკული იყო აგრეთვე რამდენიმე ვერცხლისავე მილაკით, რომელიც ბოლოვდებოდა ვარდულისებრი ან ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდისებური საკიდით; თანაც ერთ შემთხვევაში აშკარაა, რომ მილაკი და საკიდი ვერცხლის მავთულით იყო ერთმანეთზე გადაბმული და, აღბათ, სარტყელზეც ასე იყო შებმული (ტაბ.

XXVI, XXII, 6-7).

როგორც ვნახეთ, ინვენტარის ეს ჯგუფი ცხენის აკაზმულობის შემადგენელი ელემენტებითაა (ლაგამი, ავშარის ბალთები, ცხენის ბორკილი, ზარაკები) წარმოდგენილი, რაც ამაგრებს ჩვენს მოსაზრებას სარტყლის ცხენის სამკერდულად მიჩნევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ყუბანისპირეთში ულიაპის სამაროვანზე №5 ყორდანის (ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევარი) შესასვლელში დადასტურდა ბრინჯაოს სარტყელი, შემკული ბრინჯაოსავე ზარაკებით. პუბლიკაციის ავტორები სარტყელს ცხენის სამკერდულად მიიჩნევენ [Лесков, Беглова, Ксенофонтова, Эрлих 2013: 51, 56, рис. 42, 1]. საერთოდ ლითონის ფირფიტის ზოლის ფუნქციის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ზომებს (როგორც სიგრძეს, ასევე სიგანეს). ჩვენი ნიმუში არ არის ისე გრძელი და ფართო, რომ განისაზღვროს ავეჯის ან ეტლის დეკორატიულ დეტალად [Moorey 1967: 83ff.]. ულიაპის სარტყლის სიგრძე 1.3 მ-ა, ვანის სარტყელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, თითქმის იგივე სიგრძისაა და ასევე შემკულია ბრინჯაოს ზარაკებით, რაც ამაგრებს ჩვენს მოსაზრებას მისი რაობის თაობაზე მით უფრო, რომ აღმოჩენის კონტექსტიც ანალოგიურად ცხენის ალკაზმულობასთანაა დაკავშირებული.

რამდენიმე ოქროს სამკაული მიმოფანტული იყო სამარხ ორმოში. კერძოდ, სამარხი ორმოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ტაბ. III-IV, №№ 8-10) აღმოჩნდა ყელსაბამის ნაწილი (ინვ. № 07:1-03:1639, მუზ. № 31-2006/9) – საკიდი, რომელიც ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა და ერთმანეთთან მირჩილული ფუფე მძივებისაგან შედგება [Kacharava 2004: 117-127; Medeas Gold 2007: 101; Kacharava, Kvirkvelia 2008: 208, N 20]. ბურთულები მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის გზით (ტაბ. IX, 6). ეს სამკაული მიეკუთვნება ჩვენში უკვე კარგად ცნობილ სახეობას ყელსაბამისა, რომელიც წარმოდგენილია ახალგორსა [Смирнов 1934: 13-14, ტაბ. II, 10; ლორთქიფანიძე 2003: 30-31, სურ.

5₆, 20] და საირხეში [ნადირაძე 1990: 51, 79, 95, ტაბ. XXXIV, 2; მახარაძე, წერეთელი 2007:38, 63, 65, 75, ფოტო 33, 90, 119], აგრეთვე ვანში (შემთხვევითი აღმოჩენა). ახალგორის განძს ამ უკანასკნელ ხანებში ათარიღებენ ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულით ან III საუკუნის დასაწყისით [ლორთქიფანიძე 2003: 40]. რაც შეეხება საირხეს, აქ ამგვარი საკიდები აღმოჩნდა სამარხებში, რომელთა თარიღებია ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი თუ მეორე მეოთხედი (სამარხი № 10), შუახანები თუ პირველი ნახევარი (სამარხი № 8) და IV-III საუკუნეების მიჯნა თუ IV საუკუნის მეორე ნახევარი-III საუკუნის დასაწყისი (სამარხი № 1). საყურადღებოა, რომ ციხიაგორის მდიდრულ სამარხში (ძვ.წ. III ს. დასაწყისი) აღმოჩენილია ძვლის სამკუთხა მძივები, რომელთაც ორ-ორი არხი აქვთ [ცქიტიშვილი 2001: 41-42, ტაბ. I, 1]. როგორც ჩანს, თავ-შექცევით განლაგებული სამკუთხედებისაგან შედგენილი ყელსაბამები წინარეელინისტური ხანის დასასრულის-ადრეელინისტური ეპოქის სიახლეა. რამდენადაც ვანში ასეთი საკიდი თითო-თითოა აღმოჩენილი, არ გამოვრიცხავთ, რომ ისინი შემკრებ მძივებად ყოფილიყო გამოყენებული.

სამკუთხა საკიდიდან 0,20 მ-ის დაცილებით გაიწმინდა კიდევ რამდენიმე ოქროს ნივთი (ტაბ. III-IV, № 9-9¹, 10): სფერული მძივი (ინვ. № 07:1-03:1640, მუზ. № 31-2006:10; დმ - 4 მმ) და ღილაკი (ინვ. № 07:1-03:1641, მუზ. № 31-2006/11; დმ - 9,54 მმ), რომელსაც სამი ნახევრეტი აქვს ქსოვილზე დასაკერებლად; ე.წ. ნესვისებური მძივი (ინვ. № 07:1-03:1643, მუზ. № 31-2006/13), ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლე (ინვ. № 07:1-03:1642, მუზ. № 31-2006/12).

ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლის (სიმაღლე - 81,43 მმ, დმ - 22,29 მმ) რგოლი შემკულია ორნამენტული სარტყლით, რომელიც გვირგვინდება ვარდულით. ბიპირამიდული ბურთულა გამოყვანილია სამ-სამი მავთულით შედგენილი მერიდიანებით, რომელთაგან კიდურები დაკეჭნილია. ბურთულის

მაქსიმალური დიამეტრის ადგილზე ეკვატორული სარტყელია, რომელზეც ცვარას პირამიდებია დატანილი. ბურთულის ღერძის ბოლოში პირამიდებით შედგენილი მტევანია. რესტავრირებულია (ტაბ. X, 7). სასაფეხულე წყვილსა ქმნის დერგში აღმოჩენილ ცალთან ერთად. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ დერგში აღმოჩენილს ვარდულას ცენტრში დიდი ცვარა აქვს.

ნესვისებურ მძივში იდო ოქროს მცირე ზომის სამკაულები: მარცვლისებური საკიდი ძენივითურთ (ინვ. № 07:1-03:1644, მუზ. № 31-2006:14; სიგრძე – 26 მმ ტაბ. IX, 8), სფერული მძივი (ინვ. № 07:1-03:1645, მუზ. № 31-2006/15, დმ – 5 მმ)⁶; ორი მილაკი, რომელთაგან ერთი სიგანეზე დაღარულია (ინვ. № 07:1-03:1646, მუზ. № 31-2006/16, სიგრძე – 5,5 მმ, დმ – 2 მმ), მიღებულია ფირფიტის მოლუნვით, მეორე კი (№ 07:1-03:1647, მუზ. № 31-2006/17, სიგრძე – 14 მმ, დმ – 2 მმ) სადაზედაპირიანია, ასევე მიღებული ფირფიტის მოლუნვით; ორი ღილაკი (ინვ. № 07:1-03:1648, მუზ. № 31-2006/11, დმ – 9,54 მმ) – გამოტვიფრული; სამნახვრეტიანი, ზემოთაღნიშნულის ანალოგიური. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე.ნ. ნესვისებური მძივი. იგი დიდი ზომისა (სიმაღლე – 25,23 მმ, დმ – 33,97 მმ, ტაბ. IX, 7) [Kacharava 2004: 117-127; Medeas Gold 2007: 100; Kacharava, Kvirkvelia 2008: 207, № 18; კაჭარავა 2016: 73, ტაბ. IV, 7], რომელიც მოყვანილობითაც და ზომებითაც, ასევე ორნამენტით უნიკალურია ვანში მოპოვებულ ოქროს სამკაულებს შორის. მისი უახლოესი ანალოგია, ოღონდ ორნამენტის გარეშე, ცნობილია სარდისიდან. სარდისის მძივი ძვ.წ. 575-540 წწ. თარიღდება [Hansmann 1962:27, fig. 23, note 46; Waldbaum 1983:126, cat. № 760, pl. 46]. აქვე აღმოჩნდა რკინის ლურსმნის ფრაგმენტი (ინვ. № 07:1-03:1846).

სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში (№№ 6 და 7 ძვლების ნაშთებს შორის) თიხის სამი ჭურჭელი აღმოჩნდა (ტაბ. III-IV, №№ 11,

13 და 14; XVIII, 1). მათგან ორი ორყურა დერგია (ინვ. №№ 07:1-03:1852-1853), ხოლო მესამე კი - დოქტორი (ინვ. № 07:1-03:1703). ეს უკანასკნელი შავადაა გამომწვარი. მას სადა პირის კიდე, ძაბრისებური ყელი, ბიკონუსური ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივეტიანი, თანაბრად მორკალული ყურის ზედა ბოლო ყელის შუა ნაწილში, ქვედა კი - მხარზეა მიძერწილი. ყელის ძირი შემცულია დაბალი კოპების რიგით. ტანზე ორ ღარს შორის მოქცეული ტალღისებური ორნამენტის ზოლია დატანილი. აღდგენილია ფრაგმენტებისაგან (სიმაღლე – 18 სმ, ყელის სიმაღლე – 8 სმ, პირის დმ – 8,8 სმ, ძირის დმ – 6,9 სმ, ყურის სიგანე – 1,5 სმ; ტაბ. XXI, 3). დერგები ასევე ბრტყელძირაა, მხრებში გაფართოებული, მოკლეყელიანი, ორყურა. ყურები მხრებზეა დაძერწილი, ჰორიზონტალურია, მრგვალგანივეტიანი ღერძისი. ერთს ზედაპირი ნაპრიალები ხაზებითა აქვს დაფარული; ერთ-ერთი დერგის ყურებზე შეიმჩნევა ნაჭდევების კვალი (ინვ. № 07:1-03:1852; სიმაღლე – 28,5 სმ, პირის დმ – 21,8 სმ, ძირის დმ – 13 სმ, ყურის სიგანე – 13 სმ, განივევეთი – 2 სმ, ტაბ. XXI, 2; ინვ. № 07:1-03:1853: სიმაღლე – 30 სმ, პირის დმ – 26 სმ, ძირის დმ – 14 სმ, ყურის სიგანე – 8,9 სმ, განივევეთი – 1,8 სმ, ტაბ. XXI, 1). ეს დერგები ახლოს დგას ვანის № 11 სამარხში აღმოჩნდებთან. დოქტორივეტის განიველი ახლოსა და განიველი ახლოს დაგას ძვ.წ. VI-IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ჭურჭელთან [ლორთქითანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია 1972: 235, 237, სურ. 220-222]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დერგებიცა და დოქტორივეტის გარეშე, ბულებული პროპორციებით ხასიათდება მითითებულ პარალელებთან შედარებით; ხოლო ნაპრიალები ზოლები არ არის მკვეთრად გამოყვანილი, რაც ადრეანტიკური ხანის დასასრულის მანიშნებელი უნდა იყოს.

ერთ-ერთ ორყურა დერგები (ტაბ. III-IV, № 13; XXXI, 1) ოქროს სამკაულები, ვერცხლის ფიალა (№ 07:1-03:1702) და ვერცხლის მონეტები იყო ჩაყრილი. ფიალა დაზიანებულია (სიმაღლე – 5 სმ, პირის დმ – 12 სმ). მას

⁶ ასხმულია № 07:1-03:1671 ანუ მუზ. № 31-2006/38-თან ერთად.

ოდნავ გარეთ გადმოხრილი პირის კიდე აქვს, ტანისაგან ქედით არის გამოყოფილი, რომელიც ოვებით არის შემკული. ძირზე შემორჩენილია მრავალფურცლიანი ვარდულის კვალი (ტაბ. XXIII, 2). სავარაუდოდ ვარდულა დაბალი ომფალოსის გარშემო იყო დაჭდეული. ანალოგიური ფიალები დასავლეთ საქართველოს ორ ძეგლზე გვხვდება. ესაა დაბლაგომი [Куфтин 1941: 46, рис. 44; Куфтин 1950:1-2, ტაბ.] და ითხვისი [გაგოშიძე 1968: 36-37; გაგოშიძე, გოგიძერიძე, მახარაძე 2006: 56-75, სურ. 44]. დაბლაგომის ფიალაში ვერცხლის ტრიობოლები იყო მოთავსებული. რაც შეეხება ითხვისის ფიალას, ის № 21 სამარხშია აღმოჩენილი, რომელიც ატიკური იმპორტის (ძავლაკიანი და შავფიგურული კილიკები) საფუძველზე ძვ. წ. V საუკუნის შუახანებით-მეორე ნახევრით თარიღდება [გაგოშიძე, გოგიძერიძე, მახარაძე 2006: 56, სურ. 44]. ამ ტიპის ფიალებს ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევენ [გაგოშიძე 1968: 37].

დერგში აღმოჩენილი მონეტები, რომელთა რაოდენობა 5-ს აღნევს (ინვ. № 07:1-03:1697-1701), ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლებით არის წარმოდგენილი.

დერგში მოთავსებული ოქროს სამკაული წარმოდგენილი იყო სასაფეთქლებით, ძენკვით, საბეჭდავი-ბეჭდით, სხვადასხვა მძივებით, მათ შორის შემკრებითაც, საკიდებით, ღილაკებით, აგრეთვე დასაკერებელი ფირფიტებით. სასაფეთქლები სხვადასხვა ტიპისაა. თითოეული მათგანი დამახასიათებელია წინარეელინისტური ხანის კოლხური ოქრომჭედლობისათვის. ესენია: სხივებიანი (ინვ. №№ 07:1-03:1650, 1652, მუზ. № 31-2006/19 და 21, ტაბ. X, 1) – 2 ცალი, დაცვარულბურთულიანი (ინვ. № 07:1-03:1653, მუზ. № 31-2006/22, ტაბ. X, 2) – 1 ცალი, ჭვირულბურთულიანი (ინვ. № 07:1-03:1654, მუზ. № 31-2006/12, ტაბ. X, 7) – 1 ცალი, ნახევარმთვარისებური მოყვანილობის (ინვ. №№ 07:1-03:1651, 1655-1656, მუზ. № 31-2006/20, 23, 24, ტაბ. X, 8-9) – 2 წყვილი, და ბოლოს, დაცვარულბურთულიანი და ძენკვებიანი (ინვ. №

07:1-03:1649, მუზ. № 31-2006/18, ტაბ. X, 3) – 2 ცალი (სასაფეთქლების შესახებ დაწვრ. იხ. [კაჭარავა 2016: 64-66, ტაბ. II]).

ერთი სიტყვით, ფიგურულსაკიდიანი საყურების გამოკლებით, სამარხში აქამდე ცნობილი ყველა სახეობაა წარმოდგენილი. თანაც მათზე დასტურდება ყველა ის ნიშანი, რაც ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხური სასაფეთქლებისა თუ საყურებისათვის არის დამახასიათებელი. ესაა: წრიული ან ოვალური რგოლი, რომელიც გახსნილია დადაბრტყელებული და გახვრეტილი ბოლოები აქვს; საყურე რგოლის შემკობა ორნამენტული სარტყლით, რომელიც დაგვირგვინებულია ვარდულით; გავარსის უხვად გამოყენება; საყურის დაბოლოება გავარსის მტევნებით ან პირამიდებით. კვლავ გამონაკლისია მხოლოდ დაღარულბურთულიანი საყურები, რომელთა ყველა ცნობილ ნიმუშს, როგორც წესი, სადა, უსარტყელო საყურე რგოლი აქვს⁷. დღემდე აღმოჩენილ ამგვარ საყურებს შორის მხოლოდ ფიჭვნარის ერთ დაღარულბურთულიან საყურეს აქვს ორნამენტული სარტყელი [კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე 2015: 13, 2].

სხივანა სასაფეთქლებიდან ერთი (სიმაღლე – 85,27 მმ, საყურე რგოლის დმ – 47,12 მმ) უფრო მდიდრულადაა შემკული – ჯერ ერთი, ვარდულაზე ჩიტი ზის; მეორე, საყურე რგოლის ძირზე მირჩილული ტრაპეციისებური დეტალის ორივე ბოლოზე თითო ჩიტის ფიგურაა; მესამე, სხივების დამაბოლოვებელი პირამიდების გვერდებზე ასევე თითო ჩიტია დასმული. მეორე სხივანა სასაფეთქლე ოდნავ უფრო მცირე ზომისაა (სიმაღლე – 81,87 მმ, საყურე რგოლის დმ – 48,27 მმ), ვარდულაზე ჩიტის ნაცვლად ცვარასგან შედგენილი პირამიდაა, ჩიტები არ ჩანს არც ტრაპეციის და არც პირამიდების რიგის ბოლოებზე (ტაბ. X,

⁷ ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილია სადარკალიანი ნახევარმთვარისებური საყურე, რაც მიჩნეულია იმის ნიშანად, რომ კოლხეთში ასეთ საყურეებს თავდაპირველად უცხოურების მიბაძვით სადარკალს უკეთებდნენ, შემდეგ კი კოლხური საყურეების სხვა სახეობების მსგავსად ორნამენტული სარტყლებით ამშვენებდნენ [კახიძე 2007: 146].

1) [კაჭარავა 2016: 64-65, ტაბ. II, 1].

სამი დაცვარულბურთულიანი სასაფეთქლიდან ერთის (სიმაღლე – 70,27 მმ, დმ – 16,38 მმ) ბურთულას ორივე ბოლოზე მიღავები აქვს. მიღავის ზედა ბოლო შემკულია S-ისებური ხვეულით, რომელსაც ეყრდნობა ორნამენტული სარტყელი, ხოლო ქვედა ბოლო – ცვარას პირამიდებით გამოყვანილი მტევნით. საკუთრივ ბურთულის მთელი ზედაპირი დაფარულია ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით (ტაბ. X, 2) [კაჭარავა 2016: 65, ტაბ. II; ლორთქიფანიძე 6. 2015:250].

დერგში აღმოჩენილი დაცვარულბურთულიანი სასაფეთქლების წყვილი ზემოთ განხილულზე უფრო დიდი ზომისაა (სიმაღლე – 100,47 მმ, დმ – 20,48 მმ; სიმაღლე – 100,13 მმ, დმ – 20,35 მმ) და უფრო მდიდრულადაა ორნამენტირებული: ვარდულის ცენტრში ჩიტია დასმული, ორნამენტული სარტყელი 2 ჩიტს ეყრდნობა, ცვარას სამკუთხედებით შემკულ ბურთულას გარს უვლის ფართო რგოლი, რომელზეც 15 ჩიტი ზის; რგოლზე ძენკვებია შებმული, დაბოლოებული რკოსებური საკიდებით, ბურთულის ქვედა მიღავი ბოლოვდება ცვარათი გამოყვანილი პირამიდებით, რომელთა წახნაგებზე 4 ჩიტი ზის; ჩიტებქვეშ რგოლებია, რომლებზეც რკოსებურ საკიდებიანი ძენკვებია (ტაბ. X, 3) [კაჭარავა 2016: 65, ტაბ. X, 3; ლორთქიფანიძე 6. 2015:250]. სასაფეთქლების ამ წყვილმა ერთგვარი სიახლე შემოიტანა ვანის აქამდე ცნობილ ოქრომჭედლობის ძეგლებში: უჩვეულოა ძენკვების გამოყენება სასაფეთქლეუბისთვის, თუმცა თავისთავად ძენკვი არაა უცხო კოლებური მხატვრული ხელოსნობისთვის; გავიხსენოთ სასაფეთქლე საირსის № 5 სამარხიდან [წადირაძე 1990: 37-38; მახარაძე, წერეთელი 2007: 50, ფერადი ფოტო 2] და ვანის № 24 სამარხიდან [Kacharava, Kvirkvelia 2009: 275, fig. 31], აგრეთვე პექტორალი ვანის № 6 სამარხიდან და ვერცხლის ფიალა № 24 სამარხიდან. განსხვავება ვანისა და საირსის ნიმუშებს შორის მნიშვნელოვანია: საირხულზე ფიგურული სარტყელი, რომელზეც

შეკიდულია ძენკვები, ჭვირული ბურთულის მაქსიმალური დიამეტრის ადგილს შემოუყვება, ვანის ნიმუშებზე კი – ბურთულის ზედა ნაწილზეა დატანილი ისე, რომ ძენკვები მთლიანად ფარავს კიდეც ბურთულას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დერგში მოთავსებული ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლე (სიმაღლე 80, 90 მმ, დმ – 21, 85 მმ) წყვილსა ქმნის გეგმაზე №10 გროვაში (დიდი ნესვისებური მძივი, სფერული მძივი, ღილაკი) აღმოჩენილ ცალთან ერთად. ამ ნიმუშზე ვარდულას ცენტრში დიდი ცვარა არის შემორჩენილი (ტაბ. X, 6) [კაჭარავა 2016: 65-66, ტაბ. II].

დერგში კიდევ ოთხი საყურე აღმოჩნდა. ოთხივე ერთი სახეობისაა – ნახევარმთვარისებური საკიდი აქვს. ისინი ორ წყვილს შეადგენენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომებითა და შემკულობით. ერთი წყვილი სრულადაა შემორჩენილი (სიმაღლე – 57,45 მმ, ვარდულას დმ – 8,28 მმ; სიმაღლე – 55,14 მმ, ვარდულას დმ – 9,48 მმ). საყურეების ვარდულის ცენტრში მსხვილი ცვარაა დატანილი, ხოლო საკიდი შემკულია ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითა და პირამიდებით (ერთ საყურეზე პირამიდების ორი რიგია დატანილი, მეორეზე კი – სამი). საკიდების ბოლოები დახვეული მავთულით გამოყვანილ კონუსს წარმოადგენს (ტაბ. X, 8) [კაჭარავა 2016: 66, ტაბ. II, 5].

ნახევარმთვარისებურსაკიდიანი საყურეების მეორე წყვილი (ნახევარმთვარის სიმაღლე – 5,4 მმ) ნაკლულია: ერთისგან ორნამენტული სარტყელის ნაწილი და საკიდია შემორჩენილი, მეორისგან – მხოლოდ საკიდი. ნახევარმთვარები შემკულია გრეხილურის ოთხ-ოთხი წყებით, ბოლოვდება სპირალური ხვიებით, რომელთა ძირში ცხოველის (ჯიხვის?) თავებია გამოყვანილი (ტაბ. X, 9). ცხოველის თავები სიახლეა ვანური და საერთოდ კოლხური საყურეებისათვის.

დერგში მოთავსებული იყო სხვადასხვა სახისა და ზომის მძივები: სფერული და დაღარული (დმ – 4,5 მმ, ინვ. № 07:1-03:1687, მუზ. № 31-2006/51; დმ – 5 მმ, № 07:1-03:1672,

მუზ. № 31-2006/39); ოვალური, სადა, მცირე ზომის, მიღებული ორი ნახევარსფეროს მირჩილვის გზით (დმ – 3 მმ, ინვ. № 07:1-03: 1670 (8 ც.), 1682, 1688, მუზ. № 31-2006/37, 48, 52, ტაბ. XI, 6); სფერული და სადა, მიღებული ორი ნახევარსფეროს მირჩილვით (დმ – 5 მმ, ინვ. № 07:1-03:1671 (5 ც.), მუზ. № 31-2006/38; ასხმულია № 07-1-03:1645 ანუ მუზ. № 231-2006/15-თან ერთად, რომელიც დიდი ზომის მძივში აღმოჩნდა); ერთი სამკაული ჭიკარტისებური მოყვანილობისაა (სიმაღლე – 3 მმ, დმ – 5 მმ; ინვ. № 07:1-03:1674, მუზ. № 31-2006:41, ტაბ. XI, 7); ასეთივე ჭიკარტისებური სამკაული აღმოჩნდა დერგის ქვეშ (სიმაღლე – 2 მმ, დმ – 5 – მმ; №07:1-03:1690, მუზ. №31-2006:54) და, როგორც უკვე აღინიშნა, №2 მიცვალებულთან. ერთი მძივის ფორმის აღდგენა არ ხერხდება, ისეა დაჭყლეტილი და ფრაგმენტირებული [ინვ. №07:1-03:1673, მუზ. №31-2006/40]. ერთი მძივია გამორჩეული – დიდი ზომის, სფერული, დაღარულზედაპირიანი, ასევე მიღებული ორი ნახევარსფეროს მირჩილვის გზით. არხის ორივე ბოლო დაკეჭნილი მავთულითაა შემკული (ინვ. № 07:1-03:1658, მუზ. № 31-2006/26, ტაბ. XI, 5). ეს მძივი რამდენადმე მოგვაგონებს საირჩეში აღმოჩენილ მძივს [ნადირაძე 1999: ტაბ. XXXI, 2].

დერგში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე შემკრები მძივები – ე.ი. მძივები, რომლებიც აერთიანებენ, კრავენ მძივების რამდენიმე ასხმას. ასეთი ორი მძივი აღმოჩნდა. ერთი მათგანი სვასტიკის ფორმისაა(ინვ. № 07:1-03:1660, მუზ. № 31-2006/28), შედგენილია შეწყვილებული სფეროსებური მძივებისაგან, რომლებიც რვა რიგადაა განლაგებული (სიმაღლე – 20 მმ, სიგანე – 20 მმ; ტაბ. XI, 3). მეორეს კი ტრაპეციის მოყვანილობა აქვს (ინვ. № 07:1-03:1657, მუზ. № 31-2006/25). მისი ზედაპირი შემკულია ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით, რომელთა ფუძეები კიდეზე არსებულ დაკეჭნილ მავთულზე დევს. ვინრო მხარეებზე ცხრა გამჭოლი ნახვრეტია, რომელთაც გარს

უვლის დაკეჭნილი მავთული (სიმაღლე – 63,26 მმ, მაქსიმალური სიგანე – 10,37 მმ; ტაბ. XI, 4). შემკრები მძივები აქამდე უცნობი იყო ვანის ოქრომჭედლობისათვის. თუმც იქროს ექვსი მძივი ყაზბეგის განძიდან ამ ტიპისა უნდა იყოს [წითლანაძე 2004: 27, ტაბ. XI].

დერგში (და დერგის ქვეშ) სხვადასხვა სახის საკიდები – რაღაც რთული აგებულების სამკაულების შემადგენელი ნაწილები – აღმოჩნდა. ზოგი შედარებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, ზოგიც – თითო-ოროლა ნიმუშით. 22 ერთგვაროვანი საკიდისა და 15 შეწყვილებული მძივისაგან შედგა ყელსაბამი: საკიდები (ინვ. №№ 07:1-03:1663, 1686, 1689; მუზ. №№ 31-2006/31, 50, 53) შედგება ორი შეწყვილებული მძივისა და ორი დისკოსაგან, რომელთაგან ზედა ამობურცულზედაპირიანია და შემოვლებული დაკეჭნილი მავთულით, ქვედა – სადაა და ბრტყელი. 18 საკიდი მთელია, დანარჩენი (?) – ნაკლულია; ერთ შემთხვევაში მხოლოდ დისკოა შემორჩენილი. ორი (ცენტრალური?) საკიდი უფრო გრძელია. საკიდების მაქსიმალური სიმაღლე 30,52 მმ-ა. შეწყვილებული მძივები (ინვ. №№ 07:1-03:1669, 1683 და 1693, მუზ. №№31-2006/36, 49, 56) ანალოგიურია საკიდების შემადგენელი შეწყვილებული მძივებისა (ტაბ. X, 10) [Wine, Worship, and Sacrifice 2008: 207, № 17; Chqonia, Katscharava, Lordkipanidze, Kvirkvelia 2007: 99]. ოქროს ასეთი ორწილადი საკიდები (რგოლით გადაბმული ამობურცულზედაპირიანი და სადა დისკოები) აღმოჩენილია დაბლაგომის მდიდრულ სამარხში, რომელიც ძვ.წ. III ს. დასაწყისით თარიღდება [თოლორდავა 1976: 69, სურ. 96]. ასეთივე საკიდებითაა შემკული ვანში 2002 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს მცირე ზომის ფიგურა [Kacharava 2004: 225-227], ხოლო ვანის 24 სამარხის ასეთივე ყელსაბამს განხილულ ნიმუშზე უფრო რთული საკიდები აქვს: ჩიტების რიგი ემატება [Chqonia, Katscharava, Lordkipanidze, Kvirkvelia 2007: 66; Kacharava, Kvirkvelia 2008: pl. 39]. კიდევ უფრო რთული აგებულებისაა ახალგორის განძის ყელსაბამი, რომლის საკიდები

ხუთიარუსიანია და ორსვეტიანი; საკიდების შემადგენლობაში შედის როგორც ვანის ყელ-საბამების მსგავსი დისკოსებური დეტალები, ასევე ოთხკუთხა და ლომის თავის გამოსახულებიანი ფირფიტები [Смирнов 1934: 7-10, თანл. II, 5]. დისკოსებური საკიდები (როგორც ბრტყელი, ასევე ამობურცულზედაპირიანი) ელინისტური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის სიახლეა. ვანის ამ ხანის შემთხვევით აღმოჩენებს შორის გვხვდება ბრტყელი დისკოსებური საკიდები, რომელთაგან ზოგი მიღაუზეა ყუნწით შეკიდული [ჭყონია 1981: 77-78, კატ. 110-116]. საირხის № 9 სამარხში (ძვ.წ. IV ს. დასასრული) აღმოჩენილია ასეთ დისკოზე შებმული ოთხკუთხა ფირფიტა [მახარაძე, წერეთელი 2007: 72, ფოტო 153]. აღმოსავლეთ საქართველოშიც [სამადლოს ძვ.წ. III ს. კომპლექსი] იჩენს თავს ასეთი დისკოები, ოლონდ შებმული დაღარულ მიღაუზე [გაგოშიძე 1969: 61, № 18, ტაბ. II].

ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი ე.წ. მარცვლისებური ფორმის საკიდი (ინვ. № 07:1-03:1668, მუზ. № 31-2006:35). მათზე რგოლისებურყუნწიანი სფერული მძივი არის შერჩენილი (საერთო სიგრძე 14 მმ; ტაბ. XI, 2) [კაჭარავა 2016: 67, ტაბ. III, 2]. მარცვლისებური საკიდები ადრეც იყო ცნობილი ვანში შემთხვევითი აღმოჩენებით [ჭყონია 1981: 77].

დერგში ბრონეულის ფორმის ერთი საკიდი (ინვ. № 07:1-03:1667, მუზ. № 31-2006:34) აღმოჩნდა (სიგრძე 10 მმ, დმ – 5 მმ; ყუნწის დმ – 3 მმ; ტაბ. XI, 1) [კაჭარავა 2016: 67, ტაბ. III, 1].

ძენკვი (ინვ. № 07:1-03:1661, მუზ. № 31-2006:29) loop-in-loop ტექნიკითაა დამზადებული, ჭრილში ოთხკუთხაა. ორივე ბოლოზე თითო სადა რგოლი აქვს (სიგრძე – 128 მმ, ტაბ. XI, 8). ის, შესაძლოა, ყელსაბამის ნაწილია: რგოლები, ალბათ, ცენტრალურ საკიდთან შესაერთებლად იყო განკუთვნილი. ამ სახის ყელსაბამები მრავლადაა ცნობილი [Максимова 1979: 29]. ანტიკურ სამყაროში ძენკვიანი ყელსაბამები პოპულარულია მთელი ელინისტური ხანის მანძილზე [Higgins 1980: 165]. ვანში აქამდე დადასტურებული იყო ძე-

ნკვიანი ყელსაბამის მხოლოდ ერთი სახეობა – მთლიანად ძენკვის ყელსაბამი ცხოველის თავებიანი შესაკრავით [ჭყონია 1981: 72-73, კატ. № 90]. ახალმა აღმოჩენებმა ძენკვიანი ყელსაბამის მეორე, ელინისტურ ხანაში ასევე ფართოდ გავრცელებული, სახეობის ფრაგმენტი შემატა ვანის კოლექციას.

გარდა ამისა, დერგში კიდევ რამდენიმე ოქროს ნივთი აღმოჩნდა. ესენია: ძენკვის ფრაგმენტი (ინვ. № 07:1-03:1676, მუზ. № 31-2006/43), რომელზეც შერჩენილია რკოსებური საკიდი, შეწყვილებული და სამმაგი მძივები (რკოსებური საკიდის სიგრძე – 11 მმ, დმ – 3 მმ; ტაბ. XI, 9); მიღაუზი (ინვ. № 07:1-03:1665, მუზ. № 31-2006/32) – სადა ზედაპირიანი, მიღებული ფირფიტის მოღუნვით; ერთი ბოლო დაჭყლეტილი აქვს (სიგრძე – 15 მმ, დმ – 2 მმ; ტაბ. XI, 14); მიღაუზი (ინვ. № 07:1-03:1666, მუზ. № 31-2006/33) – დაღარულზედაპირიანი, მიღებული ფირფიტის მოღუნვის გზით (სიგრძე – 6 მმ, დმ – 2 მმ; ტაბ. XI, 15). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნახევარსფეროს ფორმის დაღარულზედაპირიანი ოთხი სამკაული (ინვ. № 07:1-03:1677 (2 ც.), 1678, 1681, მუზ. № 31-2006/44, 45; 47), სხვადასხვა ზომისა: სიმაღლე – 10 სმ, დმ – 10 მმ; სიმაღლე – 4 მმ, დმ – 7 მმ; სიმაღლე – 4 სმ, დმ – 9 მმ (ტაბ. XI, 16). ეს პირველი შემთხვევაა ასეთი სახის ოქროს სამკაულის აღმოჩენისა, მაშინ როცა ვერცხლის ნიმუშები საკმაოდ მრავლადაა ცნობილი. საკმარისია იმის თქმა, რომ ამავე სამარხშია ასეთი ვერცხლის სამკაულების გროვა აღმოჩენილი, ისევე როგორც 11 და 24 სამარხებში. აღსანიშნავია, რომ ამგვარ სამკაულს პროტოტიპები ეძებნება წინარეანტიკური ხანის ძეგლებზე [კაჭარავა 2016: 69-70]. დაწვრილებით ამის შესახებ საგანგებო სტატიაში ვისაუბრებთ.

მთლიანად ლითონისხმულ ბეჭედს (ინვ. № 07:1-03:1659, მუზ. № 31-2006/27) ოვალური ფარაუზი აქვს (13,59x21 მმ), რომელზეც სასიყვარულო სცენაა გამოსახული – სავარძელში მჯდომ მამაკაცს კალთაში ქალი უზის. ბეჭდის რგოლის ზომებია – 24x23 მმ (ტაბ. XI, 10).

ასეთი გამოსახულებები იშვიათ მითოლოგიურ სცენადაა მიჩნეული, რომელიც სპეციალურ შესწავლას ითხოვს [Boardman 1970: 190-230], მით უფრო რომ სხვა ანალოგიური სცენებისაგან განსხვავებით ვანის საბეჭდავზე ქალის ფეხებზე გველია შემოხვეული. საბეჭდავი საგანგებოდ აქვს შესწავლილი ქ. ჯავახიშვილს. იგი მას ძვ.წ. IV საუკუნის დასავლეთ-ბერძნული უხეში სტილის ნაკეთობად მიიჩნევს, ბეჭდის ფორმის მიხედვით კი J. Boardman-ის VII ჯგუფში ათავსებს, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის ადრე და შუა წლებს მიეკუთვნება [ჯავახიშვილი 2011: 123-124, ტაბ. 1, 3].⁸ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ საბეჭდავზე გამოსახული სცენა სატირსა და ნიმფას შეიძლება უკავშირდებოდეს [ლორთქიფანიძე 6. 2015: 296].

პირად სამკაულს გარდა დერგში ქსოვილზე დასაკერებელი ღილაკებიცა და ფირფიტებიც აღმოჩნდა [კაჭარავა 2016: 68]. ღილაკების ერთი ნაწილი (ინვ. № 07:1-03:1664, 1679, მუზ. № 31-2006/11) გამოტვიფრულია, სამნახვრეტიანი, შემკული ღარების ორი რიგით (113 ც; დმ - 9,54 მმ; ტაბ. XI, 11). დერგს გარდა ასეთი ღილაკები სამარხის სხვა ადგილებშიც დადასტურდა: დერგის ქვეშ - 4 ც. (ინვ. № 07:1-03:1691, მუზ. № 31-2006/11), დოქის ქვეშ - 3 ც. (ინვ. № 07:1-03:1704, მუზ. № 31-2006/11), ოქროს სამკუთხა შემკრებ მძივთან - 1 ც. (ინვ. № 07:1-03:1641, მუზ. № 31-2006/11), ე.წ. ნესვისებურ მძივში - 2 ც. (ინვ. № 07:1-03:1648, მუზ. № 31-2006/11). ასეთი ღილაკები კარგადაა ცნობილი ვანის უფრო ადრეული ხანის სამარხებიდან (№№ 6, 11) [ჭყონია 1981: 51, 110-111, №№ 60-62], ოლონდ ახალ ნიმუშებს, როგორც აღინიშნა, ღარების ორი რიგი ამკობს.

ღილაკების მეორე ჯგუფი (ინვ. №№ 07:1-03:1675, 1680, 1692, 1705, მუზ. №№ 31-2006/42, 46, 55, 58) კონუსური მოყვანილობისაა, წვე-

ტიანი და ფარფლებიანი; ფარფლების კიდეზე დაკეჭნილი მავთულია დატანილი. შიდა ზედაპირზე მავთულის ყუნწია მირჩილული (სიმაღლე - 4 მმ, დმ - 7 მმ; ტაბ. XI, 12). დერგში აღმოჩნდა 39 ცალი და მის მახლობლად (დერგისა და დოქის ქვეშ) - 5 ცალი.

ღილაკებს ჩვეულებრივ ტანსაცმლის, თავსაბურავის, წამოსასხამის, აგრეთვე სუდარის სამკაულებად მიიჩნევენ [ჭყონია 1981: 51]. ვანის ამ სამარხში მათი ადგილმდებარეობის მიხედვით დანიშნულების განსაზღვრა არ ხერხდება.

რაც შეეხება დასაკერებელ ფირფიტებს (ინვ. № 07:1-03:1662, მუზ. № 31-2006/30), მათი რაოდენობა მცირეა - მხოლოდ სამი ფირფიტაა აღმოჩენილი (სიმაღლე - 15,37 მმ, სიგანე - 18,27 მმ; ტაბ. XI, 13) [კაჭარავა 2016: 69, ტაბ. III, 13]. მათზე გამოტვიფრულია სფინქსი. ის ცვარათია შემკული. დასაკერებელი ფირფიტები ცხოველებისა თუ ფანტასტიკური არსებების გამოსახულებით არაა სიახლე კოლხური ოქრომჭედლობისთვის. ასე, არწივების გამოსახულებიანი ფირფიტებით იყო შემკული წარჩინებული კოლხი ქალბატონების სარტყლები ვანში [ჭყონია 1981: 51-52], № 24 სამარხში არწივებისა და იხვების გამოსახულებიანი ფირფიტები ამკობდა მთავარი მიცვალებულის ტანსაცმელს, ხოლო გრიფონებიანი ფირფიტები - თავსამკაულს [Wine, Worship, and Sacrifice 2008: 189, pl. 82]. ტახისა და გრიფონების გამოსახულებიანი საკერებელი ფირფიტები აღმოჩენილია ვანის № 16 სამარხში [კაჭარავა, მუვანაძე 1981: 27, სურ. 10, 1-2]. არწივისა და იხვების გამოსახულებიანი ფირფიტები ცხენის სამკაულადაა გამოყენებული საირხეში [წადირაძე 1990: 30-31].

ვერცხლის ფიალაში იდო აგრეთვე მინის მძივის ფრაგმენტი, საზამთროსებური (ინვ. № 07:1-03:1684). აქვე აღმოჩნდა ვერცხლის რაღაც გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი (ინვ. № 07:1-03:1685, ტაბ. XIII, 4).

დერგის აღების შემდეგ მის ქვეშ ზემოთ აღნიშნული ოქროს ნივთების გარდა სარდინისა (ინვ. № 07:1-03:1695) და ლურჯი მინის

⁸ Marshall-ის კატალოგში № 1092 ვერცხლის ბეჭდია, რომლის ფარავზე ანალოგიური გამოსახულებაა. ბეჭდი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება [Marshall 1907: 74, № 1092].

(ინვ. № 07:1-03:1696) თითო მძივი აღმოჩნდა, აგრეთვე სამკაულის(?) ნაწილი (№ 07:1-03:1694, მუზ. № 31-2006/57), რომელიც შედგება ორ რიგად განლაგებული მძივებისაგან (მძივის დმ – 2,5 მმ). 3 ცალი. ერთი ნაკლულია.

როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, თიხის დოქის ქვეშაც აღმოჩნდა ოქროს ნივთები: სამნახვრეტიანი (ინვ. № 07:1-03:1704, მუზ. № 31-2006/11 – 3 ცალი) და კონუსური (ინვ. № 07:1-03:1705, მუზ. № 31-2006/58 – 1 ცალი) ღილაკები. ისინი ზემოთ განხილულთა ანალოგიურებია.

საყურადღებოა, რომ ოქროს ნივთების დიდი ნაწილი ატარებს ხმარების კვალს. ზოგიერთი სამკაული ხმარების შედეგად დამტვრეული და ნაკლულიც კი არის ჩატანებული სამარხში. ეს პირველ რიგში იმაზე მიუთითებს, რომ სამკაულები სამარხში ჩასატანებლად არ იყო დამზადებული, მათ სიცოცხლეში ხმარობდნენ.

ოქროს ნივთების შემცველი დერგის ჩრდილოეთით ვერცხლის ნივთების ერთი და მონეტების ორი გროვა დაფიქსირდა (ტაბ. III-IV, №№ 15₁-15₂; XXXI, 1-2). ვერცხლის ნივთები ძლიერ დაზიანებული იყო, ფაქტობრივად მტვრად იყო ქცეული. მხოლოდ კონუსური მოყვანილობის სამკაულის, სფერული მძივებისა და მილაკების იდენტიფიცირება მოხერხდა, ისიც მეტად მცირე რაოდენობით (ინვ. №№ 07:1-03:1707-1709). მსგავსი ვერცხლის სამკაული, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვერცხლის სარტყელს ამკობდა; აღმოჩნდა ის აგრეთვე ვანის № 24 სამარხშიც, თანაც, საბედნიეროდ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში. ამიტომ საგანგებო სტატია მიეძღვნება ორივე სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის სამკაულს. ვერცხლის ნივთებთან ერთად აღმოჩნდა პასტის იოტები (ინვ. № 07:1-03:1710). უნდა აღინიშნოს, რომ პასტის იოტები 24 სამარხშიც დაფიქსირდა ვერცხლის სამკაულებთან ერთად. ვერცხლის ნივთების გროვაზე იდო ოქროს მილაკი (ინვ. № 07:1-03:1706, მუზ. № 31-2006/59), რომელიც ორივე მხარეს ბოლოვდება მძივისებური

შემსხვილებით; ერთ მხარეს შემსხვილებას მოსდევს ორი შვერილი (ტაბ. IX, 5). ეს ნივთი მდიდრულადაა მორთული გრანულაციით გამოყვანილი გეომეტრიული სახეებით: თვით მილაკი მთლიანად დაფარულია სამკუთხედებით; მძივისებური შემსხვილებები შემკულია ცვარას რიგებით, ხოლო შვერილები – სამკუთხედებით. ასეთი მილაკები შემდგომ № 24 სამარხშიც აღმოჩნდა, თანაც ვერცხლის ანალოგიური გროვის თავზე [Kacharava, Kvirkvelia 2008: 188, pl. 41b]. ვანს გარდა ისინი ცნობილია საირხის № 8 სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებით თარიღდება. მათი დანიშნულება გაურკვეველია [ნადირაძე 1990: 50, 55, ტაბ. V,1].

როგორც აღინიშნა, ვერცხლის მონეტების ორი გროვა აღმოჩნდა ვერცხლის სამკაულების გროვასთან. ორივე გროვა ერთი და იმავე ტიპის მონეტებისაგან შედეგებოდა – კოლხური თეთრის მცირე ნომინალის, ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლებისაგან. ერთი მათგანი 41 მონეტას შეიცავდა (ინვ. №№ 07:1-03:1711-1751), მეორე კი – 40-ს (ინვ. №№ 07:1-03:1752-1791). ბერძნული ასო მხოლოდ ერთ მონეტაზე (ინვ. № 07:1-03:1737) აღმოჩნდა – Φ. ვერცხლის სამკაულების მსგავსად, მონეტებსაც საგანგებო სტატიაში განვიხილავთ.

სამარხში აღმოჩნდა წყვილჩლიქოსნის (Bovidae, Carpa?) 1 ფალანგი და კბილის ფრაგმენტი.⁹

სამარხი № 22 მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით-III ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისზე უნდა მიუთითებდეს ოქროს წვრილი სამკაული).

აღმოჩენილი მასალის საფუძველზე შესაძლოა შემდეგი დასკვნების გამოტანა: სამარხში დაკრძალულთა შორის მთავარი მიცვალებული არ გამოიკვეთა; დაკრძალულები დაახლოებით ერთი რანგისანი უნდა ყოფილიყვნენ. პარალელური მასალების საფუძველზე ჩანს, რომ ვერცხლის საკისრე რგოლები, ერთის მხრივ, იმ რანგის პირთა

⁹ განსაზღვრა მ. ბუხსიანიძემ.

ინდივიდუალურ სამარხებში დასტურდება, რომლებიც საშუალო შეძლებისანი ჩანან, მეორეს მხრივ კი - მდიდრულ სამარხებში თანადაკრძალულთა ინვენტარში. საფიქრებელია, რომ ეს საკისრე რგოლები გარკვეული სოციალური სტატუსის მანიშნებელი იყო.

დაკრძალულთა პირადი სამკაული საკმაოდ მოკრძალებულია, მაგრამ ოქროს რამდენიმე ნივთი მიმოფანტული იყო სამარხეს არეზე, გროვებად აღმოჩნდა მონეტები, ხოლო თიხის ერთ-ერთ ორყურა დერგში 300-მდე ოქროს ნივთი, ვერცხლის ფიალა და ვერცხლის მონეტები იყო ჩაყრილი. როგორც აღინიშნა, ოქროს სამკაულის ნაწილი გაცვეთილია ხმარებით, ნაწილს ეტყობა ძველად რესტავრაციის კვალი. ზოგი ნივთი დამტვრეული და ნაკლულია კიდეც, ზოგის მხოლოდ მცირე ფრაგმენტია ჩატანებული სამარხში. ეს გარემოება პირველ რიგში იმაზე მიანიშნებს, რომ ოქროს სამკაულს სიცოცხლეში ხმარობდნენ; ისინი არ იყო მხოლოდ დაკრძალვის რიტუალისთვის დამზადებული. ნაკლულ-დაზიანებული ნივთების მოთავსება სამარხში იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ ისინი ჩატანებული იყო არა როგორც სამკაული, არამედ როგორც ძვირფასი ლითონი.

ლიტერატურა:

გაგოშიძე 1968 – ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი. – სსმმ, XXV-B, თბილისი, 1968, გვ. 36-37.

გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006 – ი. გაგოშიძე, ნ. გოგიბერიძე, გ. მახარაძე, ითხვისის სამაროვანი. – არქეოლოგიური ჟურნალი, IV, თბ., 2006, გვ. 36-59.

გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2010 – ი. გაგოშიძე, ნ. გოგიბერიძე, გ. მახარაძე, ითხვისის სამაროვანის ქრონოლოგია. – არქეოლოგიური ჟურნალი, V, თბილისი, 2010, გვ. 49-55.

გოგიბერიძე 1984 – ნ. გოგიბერიძე, ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთი ტიპის დათარიღებისათვის. – მაცნე, № 4, 1984.

ვაშაკიძე 1985 – ნ. ვაშაკიძე, ზემო ფარცხმის სამაროვანი. – სდსძ, XIII, თბილისი, 1985, გვ. 23-116.

ვაშაკიძე, კახიძე 1978 – ნ. ვაშაკიძე, ა. კახიძე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები, სდსძ, VII, თბილისი, 1978, გვ. 42-58.

თოლორდავა 1976 – ვ. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-71 წლებში. – ვანი II, თბილისი, 1976, გვ. 48-67.

თოლორდავა 1976ა – ვ. თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. – ვანი II, თბ., 1976, გვ. 68-78.

ინაიშვილი, ვაშაკიძე 2010 – ნ. ინაიშვილი, ნ. ვაშაკიძე, ლითონის სამკაული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან (ციხისძირის სამაროვნის მასალების მიხედვით). – ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, ბათუმი, 2010, გვ. 408-414.

კაჭარავა 2016 – დ. კაჭარავა, ოქროს სამკაული ვანის № 22 სამარხიდან. – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XXVI, ქუთაისი, 2016, გვ. 64-78.

კაჭარავა, მუავანაძე 1986 – დ. კაჭარავა, ზ. მუავანაძე, ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – ვანი, VIII, თბილისი, 1986, გვ. 9-33.

კაჭარავა, ხარაბაძე, თურმანიძე 2013 – დ. კაჭარავა, ს. ხარაბაძე, მ. თურმანიძე, მძივები ვანის ნაქალაქარის №24 სამარხიდან. – იბერია-კოლხეთი, 9, თბილისი, 2013, გვ. 148-173.

კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979 – დ. კაჭარავა, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.). – ვანი IV, თბილისი, 1979, გვ. 7-37.

კახიძე 2007 – ა. კახიძე, ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ. ნ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი) - ფიჭვნარი II, ბათუმი, 2007.

კახიძე 2008 – ა. კახიძე, ირანული მინის ჭურჭელი ფიჭვნარის ძვ. ნ. V საუკუნის ბერძნული

- ნეკროპოლიდან. – იბერია-კოლხეთი, № 4, თბილისი, 2008, გვ. 49-53.**
- კახიძე ა., კახიძე ე. 2014 - კახიძე ა., კახიძე ე., ფიჭვნარი, 2014.**
- კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე 2015 - ა. კახიძე, თ. შალიკაძე, თ. ფარტენაძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძურო, თბილისი, 2015.**
- ლორთქიფანიძე 2003 – ო. ლორთქიფანიძე, ახალგორის განძი (დათარიღებისა და ისტორიული ინტერპრეტაციის ცდა), - ძიებანი, 11, 2003, გვ. 28-71.**
- ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი, კაჭარავა, ლიჩელი, ფირცხალავა, ჭყონია 1982 – ოთ. ლორთქიფანიძე, ელ. გიგოლაშვილი, დ. კაჭარავა, ვ. ლიჩელი, მ. ფირცხალავა, ა. ჭყონია, ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან. – ვანი V, თბილისი, 1982.**
- ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია 1972 – ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ. – ვანი, I, თბ., 1972, გვ. 198-242.**
- ლორთქიფანიძე 6. 2015 – ნ. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული სამკაული, თბილისი, 2015.**
- მარგიშვილი 1992 – ს. მარგიშვილი, ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან, თბ., 1992.**
- მარგიშვილი 2004 – ს. მარგიშვილი, შავსაყდარა-ენაგეთის ექსპედიციის საველე სამუშაოები 1989-90 წწ. – საკდ 1989-1992 წლებში, თბილისი, 2004, გვ. 61-67.**
- მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004 – ს. მარგიშვილი, გ. ნარიმანიშვილი, ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 2004.**
- მახარაძე, წერეთელი 2007 – გ. მახარაძე, მ. წერეთელი, საირხე, თბილისი, 2007.**
- ნადირაძე 1975 – ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1975.**
- ნადირაძე 1990 – ჯ. ნადირაძე, საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, წიგნი I, თბ., 1990.**
- საგინაშვილი 2000 – ლ. საგინაშვილი, მინის სანელსაცხებლების – kohl-tube-ების გავრცელება საქართველოში, - ძიებანი, 5, 2000, გვ. 72-76.**
- ფირცხალავა 1983 – მ. ფირცხალავა, მინის ჭურჭელი. – ვანი VII, თბილისი, 1983, გვ. 79-86.**
- ფუთურიძე 1983 – რ. ფუთურიძე, კერამიკული ტარა. – ვანი, VII, თბილისი, 1983, გვ. 9-26.**
- ცემიშვილი გ. 2001: მდიდრული სამარხი ციხიაგორის სამაროვნიდან. – ძიებანი, 7, თბ., 41-46.**
- წითლანაძე 1976 – ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976.**
- წითლანაძე 2004 – ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები II (პუბლიკაცია), თბ., 2004.**
- ჭანიშვილი 2007 – თ. ჭანიშვილი, ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. – იბერია-კოლხეთი, 3, თბ., 2007, გვ. 97-108.**
- ჭანიშვილი 2005 – თ. ჭანიშვილი, ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. – იბერია-კოლხეთი, 2, თბ., 2005, გვ. 97-108.**
- ჭყონია 1981 – ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. – ვანი VI, თბილისი, 1981.**
- ჯავახიშვილი ქ. 2011 - ვანის ნაქალაქარზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. - იბერია-კოლხეთი, 7, თბილისი, 121-130.**
- Брашинский 1961 – И. Брашинский, Успехи керамической эпиграфики. - СА, 1961, 2, с. 293-306.**
- Брашинский 1976 – И. Брашинский, Амфоры Менды (О локализации группы амфор с рюмкообразными ножками. – Художественная культура и археология античного мира, Мос., 1976, сс. 67-74.**
- Гогиберидзе 2003 – Н. Гогиберидзе, Браслеты и гривны Грузии V-I вв. до н.э., Тбилиси, 2003.**
- Зеест 1963 – И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора. - МИА, 83, 1963.**
- Иващенко 1950 – М. Иващенко, Кувшинные**

- погребения в Западной Грузии. – СА, XIII, 1950, сс. 320-330.
- Кигурадзе 1976** – Н.Ш. Кигурадзе, Дапнарский могильник, Тбилиси, 1976.
- Куфтин 1941** – Б.А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, т. I, Тбилиси, 1941.
- Куфтин 1950** – Б.А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950.
- Лесков, Беглова, Ксенофонтова, Эрлих 2013** – А.М. Лесков, Е.А. Беглова, И.В. Ксенофонтова, В.Р. Эрлих, Меоты Закубанья IV-III вв. до н.э. Некрополи у ауля Уляп. Святилища и ритуальные комплексы, Мос., 2013.
- Монахов 1999** – С. Монахов, Греческие амфоры в Причерноморье, Комплексы керамической тары, Саратов, 1999.
- Панайотова 2001** – К. Панайотова, Некоторые итоги раскопок некрополя Аполлонии Понтийской в последнее десятилетие двадцатого века, - Ольвія та античний світ, Київ, 2001, 100-103.
- Передольская 1973** – А. А. Передольская, Аттический лекиф из VII Семибратьного кургана, - Памятники античного прикладного искусства, Ленинград, 1973, сс. 62-70.
- Смирнов 1934** – Я. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934
- Трапш 1969** – М. М. Трапш, Труды, 2, Сухуми, 1969.
- Шелов 1956** – Д. Шелов, Керамические клейма из раскопок Фанагории.– МИА, 57, 1956, сс. 128-153.
- Шелов 1957** – Д. Шелов, Клейма на амфорах и черепицах, найденных при раскопках Пантикея в 1945-1949 гг. – МИА, 56, 1957, сс. 202-226.
- Хоштариа 1979** – Н. Хоштариа, О раскопках на вершине холма в 1947-1959. – ვანი IV, თბ., 1979, გვ. 115-134.
- Amandry 1953** – P. Amandry, Collection Hélène Stathatos, Les bijoux antiques. Strasbourg, III, 1953.
- Anderson 1961** – J. K. Anderson, Ancient Greek horsemanship, Berkley-Los Angeles, 1961.
- Barag 1975** – D. P. Barag, Rod-formed kohl-tubes of the mid-first millennium B.C. – Journal of Glass Studies, vol. XVII, 1975, pp. 23-36.
- Boardman 1970** – J. Boardman, Greek Gems and Finger-rings, Early Bronze Age to Late Classical, London, 1970.
- Boardman 1989** – J. Boardman, Athenian red figure vases. The Classical period, London, 1989.
- Bon A.-M., Bon A. 1957** – A.-M.Bon, A.Bon, Les timbres amphoriques de Thasos. – Études thasiennes, IV, Paris, 1957.
- Campenon 1944** – Chr. Campenon, La céramique attique à figures rouges autour de 400 avant J.-C., Paris, 1944.
- Curtis 1925** – C. D. Curtis, Jewelry and gold work – Sardis, vol. XIII, part I, 1910-1914, Roma, 1925.
- Eiseman 1973** – C.J.Eisenman, Amphoras from the Porticello shipwreck (Calabria). – The International Journal of Nautical Archaeology and Underwater Exploration, 2, 1 (1973), p. 1-15, figs. 1-3.
- Gagošidze, Saginašvili 2000** – J. Gagošidze, M. Saginašvili, Die achaimenidische Glasgefäße in Georgien. – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Bd. 32, 2000, S. 67-73.
- Hanfmann 1962** – G. M. A. Hanfmann, The fourth campaign at Sardis (1961). – Bulletin of the American School of Oriental Research, number 166, April, 1962.
- Higgins 1980** – R.A. Higgins, Greek and Roman jewellery, Second edition, London, 1980.
- Kacharava 2004** - D. Kacharava, A rich grave from the Vani site. - Phasis, Greek and Roman Studies, vol. 7, Tbilisi, 2004, pp. 117-127.
- Kacharava, Kvirkvelia 2008** – D. Kacharava, G. Kvirkvelia, The golden graves of Vani. - Wine, Worship and Sacrifice, Editor Jennifer Chi, New York, 2008, pp. 126-205.
- Kacharava, Kvirkvelia 2009** – D. Kacharava, G. Kvirkvelia, Recent archaeological finds on the upper terrace of the Vani site.–Ancient Civilizations from Scythia to Siberia, 14, 2009, pp. 237-315.
- Marshall 1907** – F. H. Marshall, Catalogue of the finger-rings. Greek, Etruscan, and Roman, in the Department of Antiquities, British Museum, London, 1907.

Marshall 1911 – F. H. Marshall, Catalogue of the jewellery, Greek, Etruscan, and Roman, in the Department of Antiquities, British Museum, London, 1911.

Medeas Gold 2007 – Medeas Gold, Neue Funde aus Georgien (Red. Nino Lordkipanidze, Gertrud Platz), Tiflis, 2007.

Moorey 1971 – P. R. S. Moorey, Catalogue of the Ancient Persian bronzes in the Ashmolean Museum, Oxford, 1971.

Pedley 1972 – J. G. Pedley, Ancient literary sources on Sardis, Cambridge, 1972.

Saldern, Nolte, La Baume, Haevernick 1974 – A. von Saldern, B. Nolte, P. La Baume, Th. E. Haevernick, Gläser der Antike, Sammlung Erwin Oppenländer, Hamburg, 1974.

Schefold 1934 – K. Schefold, Untersuchungen zu den Kertscher Vasen, Berlin-Leipzig, 1934.

Schmidt 1953 – E. F. Schmidt, Persepolis, I, Chicago, 1953.

Waldbaum 1983 – J. Waldbaum, Metalwork from Sardis = Sardis, 8, 1983.

Williams 1988 – D. Williams, Three groups of fourth century south Italian jewellery in the British Museum. – Mitteilungen der Deutschen Archaeologischen Instituts, Roemische Abteilung, Bd. 95, 1988, pp...–..


Williams, Ogden, 1994 – D. Williams, J. Ogden, Greek gold, Jewelry of the Classical World, New York, 1994.

ტაბულების აღცერილობა:


1. უბნის გეგმა - სამარხები და სამლოცველოები.
2. №22 სამარხი, გათხრების დასაწყისი, გეგმა და ჭრილები.
3. სამარხი გაწმენდის შემდეგ, გეგმა და ჭრილები.
4. სამარხი ორმო, გეგმა, დეტალები.
5. სამარხი გათხრების დასრულების შემდეგ, გეგმა და ჭრილები.
6. სამარხი, მიცვალებული № 1: 1. თავის არე; 2. ცხენისა და ადამიანის ჩონხები გაწმენდის შემდეგ.
7. სამარხი, 1-2. გათხრების დასაწყისი.
8. რკინის ლურსმნები: 1-31, 33-34 (1-13- ინვ. № 07:1-03:1829, 14 - № 07:1-03:1833, 15 - № 07:1-03:1837, 16 - № 07:1-03:1835, 17 - № 07:1-03:1836, 18-20 - № 07:1-03:1837, 21-22 - № 07:1-03:1833, 23-26 - № 07:1-03:1830, 27 - № 07:1-03:1838, 28 - № 07:1-03:1834, 29 - № 07:1-03:1847, 30 - № 07:1-03:1831, 31 - № 07:1-03:1846, 33-34 - № 07:1-03:1832); სამაგრები: 32, 35 (32 - № 07:1-03:1839, 35 - № 07:1-03:1827).
9. ოქროს ნივთები № 22 სამარხიდან: 1 – ნახევარმთვარისებური საკიდები (ინვ. № 07:1-03:1624), 2-4 საყურე რგოლები (2 - № 07:1-03:1601, 3 - № 07:1-03:1805, 4 - № 07:1-03:1799-1800), 5 - მილაკი (№ 07:1-03:1706), 6 – შემკრები მძივი (№ 07:1-03:1639), 7 – ნესვისებური მძივი (№ 07:1-03:1643), 8 – საკიდი (№ 07:1-03:1644).
10. ოქროს ნივთები № 22 სამარხიდან: 1 – სხივანა საყურეები (ინვ. № 07:1-03:1650), 2 – დაცვარულბურთულიანი საყურე (№ 07:1-03:1653), 3 – ძენკვებიანი საყურეები (№ 07:1-03:1649), 4 – ჭვირულბურთულიანი საყურე (№ 07:1-03:1606), 5 - ჭვირულ-

- ბურთულიანი საყურე (№ 07:1-03:1630), 6 – ჭვირულბურთულიანი საყურე (№ 07:1-03:1642), 7 - ჭვირულბურთულიანი საყურე (№ 07:1-03:1654), 8– ნახევარმთვარისებურსაკიდიანი საყურეები (№ 07:1-03:1651, 1655), 9 - ნახევარმთვარისებურსაკიდიანი საყურეები (№ 07:1-03:1656), 10 – ყელსაბამი (№ 07:1-03:1663, 1686, 1689).
11. ოქროს ნივთები: 1 – ბრონეულის ფორმის საკიდი (ინვ. № 07:1-03:1667), 2 – მარცვლისებური საკიდი (№ 07:1-03:1668), 3 – სვასტიკის ფორმის შემკრები მძივი (№ 07:1-03:1660), 4 – ტრაპეციის ფორმის შემკრები მძივი (№ 07:1-03:1657), 5 – მძივი (№ 07:1-03:1658), 6 – მცირე ზომის მძივი (№ 07:1-03:1670), 7 – ჭიკარტისებური სამკაული (№ 07:1-03:1674), 8 – ძენგვი (№ 07:1-03:1661), 9 – რკოსებრსაკიდიანი ძენგვი (№ 07:1-03:1676), 10 – საბეჭდავი-ბეჭდი (№ 07:1-03:1699), 11 – დასაკერებელი ღილაკები (№ 07:1-03:1664, 1679), 12 – დასაკერებლი ღილაკები, კონუსური (№ 07:1-03:1675, 1680, 1692, 1705), 13 – დასაკერებელი ფირფიტები (№ 07:1-03:1662), 14 – სადაზედაპირიანი მილაკი (№ 07:1-03:1665) 15 – დაღარულზედაპირიანი მილაკი (07:1-03:1666), 16 – დაღარულზედაპირიანი სამკაული (№ 07:1-03:1677, 1678, 1681, 17 – დაღარულბურთულიანი საყურეები (№ 07:1-03:1623), 18 – მძივების ასხმა (№ 07:1-03:1625).
12. ვერცხლის ნივთები: 1 – საკისრე რგოლი (ინვ. № 07:1-03:1602, 2 – საკისრე რგოლი (№ 07:1-03:1794), 3 – სამაჯური (№ 07:1-03:1637), 4 – სამაჯური (№ 07:1-03:1622ბ), 5 – სამაჯური (№ 07:1-03:1621), 6 – საკისრე რგოლი (№ 07:1-03:1804).
13. ვერცხლის ნივთები: 1 – ფიბულა (ინვ. № 07:1-03:1615), 2 – ნახევარმთვარისებური საკიდი (№ 07:1-03:1796), 3 – რგოლი (№ 07:1-03:1795), 4 – გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1685), 5 – მილაკები (№ 07:1-03:1816), 6 – ნახევარსფერული სამკაული (№ 07:1-03:1819), 7 – პირამიდისებური სამკაული (№ 07:1-03:1817); 8 – რკინის საკისრე რგოლი (07:1-03:1842).
14. რკინის სამაჯურები (№№ 07:1-03:1638, 1621ა, 1620ა, 1620ბ, 1640, 1798ა, 1604).
15. მძივები: 1 – თვალადი (№ 07:1-03:1844), 2 – სარდიონის (№ 07:1-03:1613), 3 – მინისებური პასტის იოტები (№ 07:1-03:1608), 4 – თვალადი მძივები (№ 07:1-03:1609), 5 – მინის ბიკონუსური მძივი (№ 07:1-03:1633), 6 – საზამთროსებური მძივი (№ 07:1-03:1633), 7 – მინისებური პასტის იოტები და ბიკონუსური მძივი (№ 07:1-03:1628), 8 – საზამთროსებური მძივები (№ 07:1-03:1626), 9 – თვალადი მძივები (№ 07:1-03:1631), 10 – ქარვის მძივები (№ 07:1-03:1634), 11 – სარდიონის მძივები (№ 07:1-03:1635), 12 – თვალადი მძივები (№ 07:1-03:1806), 13 – თვალადი მძივები (№ 07:1-03:1797), 14 – თვალადი მძივები (№ 07:1-03:1801), 15 – თვალადი მძივები (№ 07:1-03:1818), 16 – ღილი ზომის თვალადი მძივი (№ 07:1-03:1814), 17-20 – მოზაკური მძივები (№ 07:1-03:1811, 1812, 1813, 1815).
16. 1 – სამკაულების გროვა № 2 მიცვალებულის თავის არეში; 2 – სამკაულების გროვა № 3 მიცვალებულის თავის არეში.
17. 1-2 – სამკაულების გროვა № 3 მიცვალებულის თავის არეში.
18. 1 – სამარხი ორმოს საერთო ხედი განმენდის შემდეგ; 2 – სამარხი ორმოს ნაწილი: ჩანს ცხენის აკაზმულობის გროვა, ჭურჭელი.
19. 1 – სამკაულების გროვა № 4 მიცვალე-


- ბულის თავის არეში; 2 - სამკაულების გროვა № 5 მიცვალებულის თავის არეში.
20. 1-23 -ვერცხლისა და ბრინჯაოს ზარაკები, № 07:1-03:1824; 24-26 – ბრინჯაოს ზარაკები, № 07:1-03:1825-1826, 1802.
 21. თიხის ჭურჭელი: 1-2 - დერგები (№ 07:1-03:1853, 1852); 3 – დოქი (№ 07:1-03:1703), 4 – ვაზა (№ 07:1-03:1873), 5 – მენდეს ამფორა (№ 07:1-03:1848), 6 – ქიოსური ამფორა (№ 07:1-03:1850), 7 – მენდეს ამფორა (№ 07:1-03:1849).
 22. 1 – წითელფიგურული ლეკითოსი (№ 07:1-03:1793), 2 – kohl-tube (№ 07:1-03:1808), 3 – ვერცხლის ზარაკები (№ 07:1-03:1824), 4-5 – ბრინჯაოს ოინოხოის პირ-ყელი (№ 07:1-03:1810), 6 – ვერცხლის ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდის ფორმის სამკაული (№ 07:1-03:1817), 7 – ვერცხლის დაღარული ნახევარსფერული სამკაული (№ 07:1-03:1819), 8 – ოქროს მძივები (№ 07:1-
 - 03:1.606), 9 – ბრინჯაოს ბალთები, ოქროგადაკრული (№ 07:1-03:1822).
 23. ვერცხლის ჭურჭელი: 1 – ვაზა (№ 07:1-03:1807), 2 ფიალა (№ 07:1-03:1702).
 24. 1 – ბრინჯაოს ჭურჭელი *in situ*, 2 – ბრინჯაოს ჭურჭელი და ცხენის აკაზიმულობის გროვა.
 25. 1 – ცხენის აკაზიმულობის გროვა, 2 - ცხენის აკაზიმულობის გროვის დეტალი.
 26. 1 - ცხენის სარტყელი *in situ*, 2 – ბალთები და სარტყელის დეტალები.
 27. ვერცხლის სარტყელი (№ 07:1-03:1828), გრაფიკული ჩანახატი.
 28. ვერცხლის სარტყელი.
 29. 1 - რკინის ლაგამი (№ 07:1-03:1827), 2 – რკინის ბორკილი (№ 07:1-03:1827ა).
 30. 1 - რკინის ლაგამი, 2 – რკინის ბორკილი.
 31. 1 – ოქროს ნივთებიანი დერგი და მონეტების გროვები, 2 – მონეტების გროვები.







II




III



IV



V



VI



1



2

VII




1



2

VIII



0 1 2 3

IX



X



1



2



3



4



5



6



7



8



9




10




XI




XII




XIII



0 1 2 3



XIV



0 1 2 3

XV



XVI



1



2

XVII



1



2

XVIII



1



2

XIX




1




2

XX



XXI



XXII



1



2




3



4




5



6



7




8




9

XXIII



1



2

0 1 2 3

XXIV



1



2

XXV



1



2

XXVI




1



2

XXVII




0 1 2 3


XXVIII



XXIX



1



2

0 1 2 3

XXX



1



2

XXXI



1



2

გერძნული მითოლოგიური სიუჟეტის ანარეკლი ვაის რეროს პალთაზე

ოქროს სამკაულის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს მითოლოგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ფართო სპექტრს, ასახავს მონუმენტური ხელოვნების ძეგლებს და, საერთოდ, შეიცავს დიდ ინფორმაციას კულტურულ-ისტორიული და რელიგიური საკითხების შესახებ (მაგალითად, ბერძნული საიუველირო ხელოვნების ე.ნ. მდიდრული სტილის ნიმუშები. იხ.: [Максимова M. 1958:62-66; Онайко Н. 1979; Саверкина И. 2000:12-21; Deppert-Lippitz . 1985:163, 181-188] და სხვ.). აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, ამჟამად კიდევ ერთხელ ყურადღების ცენტრში მოექცა დასავლეთ საქართველოში – ვანში შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს ბალთა მამაკაცისა და ლომის ბრძოლის რელიეფური გამოსახულებით (სურ. 1-3).

ოქროს ბალთა დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში (საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ინ.№24-29:1). მისი აღმოჩენის პირობების შესახებ ინფორმაცია არ შემოინახა; გაურკვეველი დარჩა – ბალთა ნაპოვნი იყო უშუალოდ ძველი სატაძრო ქალაქის ტერიტორიაზე – ე.ნ. ახვლედიანთ გორაზე თუ მის ფარგლებს გარეთ. ცნობილია, რომ ბალთა მუზეუმში შემოვიდა 1929 წელს ლ. ნიკოლაიშვილისგან (შესაძლებელია, ეს პიროვნება შუამავლის როლს ასრულებდა მპოვნელსა და მუზეუმს შორის). ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიის შესახებ ქალბატონი ნინო ხოშტარიას ნაშრომშიც მითითებულია მხოლოდ მუზეუმში მისი შემოსვლის თარიღი [ხოშტარია ნ. 1972:87]. ფაქტობრივად, იმ დრომდე ვანსა და მის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ოქროს სამკაულებთან შედარებით, ბალთა ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელმაც მოაღწია მუზეუმამდე (1929 წელს მუზეუმში შემოვიდა, აგრეთვე, თხის თავის გამოსახ-

ულებიანი ოქროს ორი ფირფიტა [ჭყონია ან. 1981:84-85, სურ.60, კატ. №187]. ხოლო პირველობა ეკუთვნის აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1896 წელს მოძიებულ ოქროს ვარდულს, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. დაწვრილებით იხ.: [ჭყონია ან. 2007:265-266]).

ბალთა მრგვალია (დმ – 60,5 მმ). რელიეფური კომპოზიცია – ახალგაზრდა მამაკაცისა და ლომის ბრძოლის სცენა – შესრულებულია ცალკე, მრგვალ ფირფიტაზე, რომელიც დამაგრებულია ბუდეში (მირჩილულია მის ძირზე). გამოსახულებიანი ფირფიტის კიდე დაუდევრად და არათანაბრადაა შემოჭრილი, ან, შესაძლებელია, დაზიანებულია დამაგრების დროს (გამორიცხული არ არის ფირფიტის მეორადი გამოყენება). ბუდე ერთიანი სადა ფირფიტისგანაა დამზადებული, გამოსახულებიანი ფირფიტის გარშემო საფეხურისებურად, სწორი კუთხით, ამაღლებულია და ფართო თარაზული სარტყლის სახით გადაშლილია (სიგანე – 6,5-7 მმ). კიდეს ცრუცვარა შემოუყვება. უკანა მხარეს დარჩილულია დიდი ზომის (სიგრძე – 20 მმ, სიგანე – 3,5 მმ) ორი ყუნწი, მიმართული ერთმანეთის პარალელურად. ყუნწებს შორის, ცენტრში, ფირფიტა ამოჭრილია ოთხკუთხა ფორმით, საიდანაც ჩანს რელიეფური გამოსახულების ფრაგმენტი – ლომის თავი.

გამოსახულება დაბალ რელიეფშია წარმოდგენილი (უდ. დმ 4 მმ-ია). მრგვალი ფართობის დიდი ნაწილი – ცენტრი და მარცხენა მხარე ეთმობა ლომს, მარჯვენა – ახალგაზრდა მამაკაცს. ლომისა და მამაკაცის ფიგურები სხვადასხვა ხერხითაა შესრულებული. მამაკაცი გამოსახულია ტანშიშველი; სხეული მოდელირებულია – დაკუნთულია; არ გამოირჩევა დახვეწილი პროპორციებით. თავი და ქვედა კიდურები მოცემულია პრო-

ფილში, ტანი – 3/4-ით შემობრუნებული. მარცხენა ხელი მოხრილია და შემოდებულია წელზე; მარჯვენა – ზემოთაა აწეული. თავზე ჩანს მხოლოდ თითების მსგავსი გამოსახულება. ფეხები გადაჯვარედინებულია და ნინ წამოწეული. მამაკაცი უწვერულვაშოა, მოკლე თმებით. მსხვილად დატალლული თმები გადმოცემულია უწესრიგოდ მიმართული ბურცობებით. შუბლთან ბურცობები რეგულარულად და თანაბრადაა განლაგებული, რაც ბაფთის გამოსახულება უნდა იყოს. კისრის ირგვლივ შემოვლებულია რელიეფური სარტყელი. მამაკაცის პოზა არაბუნებრივია – მორგებულია არსებულ ფართობს და, შესაბამისად, მოხრილია. ლომის ფიგურაც მოხრილია, რაც ამ შემთხვევაში გამართლებულია მისი მოქმედებით – ის ჩაფრენილია მამაკაცის გულმკერდსა და მუცელს. ლომის თავი გამოსახულია en face, ტანი – პროფილში. გამოკვეთლია ლომის განიერი ცხვირი, დიდი მრგვალი თვალები და პატარა სადა ფოთლისებური მოყვანილობის ყურები. თვალები წარმოდგენილია ნახვრეტების სახით (ჩაჭრილია ზემოდან ქვემოთ; კიდეები ჩაკეცილია) და ემთხვევა ბალთის უკანა მხარეს ამოჭრილ ადგილს. ფაფარი აღინიშნება ურთიერთსანინააღმდეგოდ მიმართული ღრმა ღარებით, შუბლზე და ნაწილობრივ ზურგის გასწვრივ თანაბარი მოკლე ღარების რიგია. ტანი მთლიანად დაფარულია ნაჭდევებით (მცირე ზომის ღრმულებით). კუდი გრძელია და სადა (სურ.1-2. ფოტოსა და ჩანახატზე რელიეფური გამოსახულება სხვადასხვა პოზიციაშია მოცემული: მრგვალ ფართობზე კომპოზიციის განთავსების თავდაპირველი ჩანაფიქრის ზუსტი ამოცნობა რთულია. დამხმარედ არც ბალთის უკანა მხარეს დამაგრებული ყუნწები – სურ.3 – გამოდგება, რადგან უცნობია, რა მიმართულების იქნებოდა ნახვრეტებში გაყრილი სარტყელი ან ზონარი).

პირველად ვანის ბალთა 1950 წელს გამოქვეყნდა [Куфтин Б. 1950:4-6. ტაბ. 1]. აკად. ბ. კუფტინმა, დაბლაგომსა და მის მახლობლად

მდებარე დასახლებებში ექსპედიციის მუშაობის დაწყებამდე არქეოლოგიური მასალის აღმოჩენის ფაქტების აღნუსხვისას, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ოქროს ბალთაზე: განსაზღვრა რელიეფური გამოსახულების სიუჟეტი – ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ჰერაკლეს ბრძოლა ნემეის ლომთან – და მისი თავისებურება (ლომი თავდამსხმელია და არა მსხვერპლი); აგრეთვე, დეკორატიული ხასიათი, ძირითადად გამოხატული სხვადასხვაგვარად დამუშავებული მამაკაციისა და ცხოველის ფიგურებით. ავტორის დასკვნით, ვანის ბალთა ადრეელინისტური ხანის ადგილობრივი მხატვრული ხელოსნობის თვალსაჩინო ნიმუშია.

ვანში აღმოჩენილი ოქროს სამკაულების შესახებ 1981 წელს გამოცემულ ნაშრომში ბალთა განხილულია, როგორც ადგილობრივი ოქრომჭედლის ნახელავი, თავისებური შესრულების მანერით და სიუჟეტურ-კომპოზიციური გადახვევებით. ამიტომაც პროტოტიპის ძიება ცნობილი ბერძენი მოქანდაკის ლისიპეს ნანარმოების კოპიოებს შორის უშედეგო აღმოჩნდა [ჭყონია ან. 1981:81-83, სურ.57, კატ. №181]. გაირკვა, რომ გარე სამყაროდან უცხო სიუჟეტის სახით შემოსულმა ინოვაციამ ბალთაზე განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა [ჭკონია ა. 1985:523, სურ.3].

აკად. ოთარ ლორთქიფანიძის გამოკვლევებში ვანის ბალთა წარმოდგენილია კოლხეთში ჰერაკლეს კულტის გავრცელების ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად [Lordkipanidze . 1990:278-279; ლორთქიფანიძე ოთ. 2002:232]; კომპოზიციისა და ზოგიერთი დეტალის თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე გაზიარებულია მოსაზრება ბალთის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ; განსაზღვრულია თარიღი – ძვ.წ. III-II სს [Lordkipanidze . 1990:279]. გარდა ამისა, გერმანიაში დაბეჭდილ ნაშრომში მოცემულია ბალთის ფერადი ფოტო [Lordkipanidze . 1996: 42, ფერ. ტაბ. VI, 6], მცირე განმარტებით (ილუსტრაციების აღწერილობაში): შესაძლებლად მიჩნეულია თაბაშირის პირის

გამოყენება; დაზუსტებულია თარიღი – ძვ.წ.
III საუკუნე.

აღსანიშნავია, რომ ვანის ბალთაზე გაკეთდა მითითება მიხეილ ტრეისტერის მიერ [Treister M. 1999:77; Treister M. 2005:504]. ავტორის შენიშვნის თანახმად, კომპოზიცია – ნემეის ლომთან შეჭიდებული ჰერაკლე – ძვ.წ. IV ს. მონეტების პარალელურად დასტურდება ბაბინა მოგილას, პანაგიურიშტის და ვანის ოქროსა და ვერცხლის ბალთებზეც.

ნინო ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში ვანის ბალთაზე მსჯელობა შემოიფარგლა კონკრეტული საკითხით. ავტორის დაკვირვებით, ნემეის ლომთან ჰერაკლეს ბრძოლის ამსახველი და ადგილობრივი ნაკეთობად მიჩნეული ბალთა ანუ უცხო მოტივის გამოყენებით ადგილობრივი ოსტატის მიერ შექმნილი ნიმუში, კარგად ეთანხმება კოლხეთში გავრცელებულ რწმენა-წარმოდგენებს, კერძოდ, ჰერაკლეს კულტის არსებობას [ლორთქიფანიძე 6. 2015:305].

ამგვარად, ვანის ოქროს ბალთა დიდი ხანია მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს. უკვე დადგენილია ბალთის რელიეფური გამოსახულების შინაარსი, რომელიც ეხმიანება ჰერაკლეს გმირობათა ციკლიდან ცნობილ ეპიზოდს (ძირითად თორმეტ გმირობიდან პირველს) – ჰერაკლეს ბრძოლას ნემეის ლომთან; განხილულია საკითხები, დაკავშირებული მის წარმომავლობასთან, თავისებურებებთან. ამჟამად ზოგიერთი დეტალის დამატება-დაზუსტება, ახალი გამოკვლევების გათვალისწინება კიდევ უფრო გაამყარებს ვარაუდის სახით ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს. ვანის ბალთა ინტერესს იმსახურებს, ერთი მხრივ, როგორც მხატვრული ხელოსნობის ნიმუში; ხოლო კულტურული კონტაქტების კუთხით, როგორც თვალსაჩინო მაგალითი კოლხეთში გარე სამყაროდან შემოსული კულტის დამკვიდრებისა – უცხო მოტივის თავისებურად შეთვისება-გადამუშავებისა.

ჰერაკლეს პოპულარობამ მთელ ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით ელინის-

ტური ხანიდან, გარკვეული გავლენა მოახდინა კოლხეთზე. ამის მაჩვენებელია ვანისა და “ვანის ქვეყანაში” და, საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე, ჰერაკლესთან დაკავშირებული არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევები [ჩარკვიანი მ.,... 2011:182]. კოლხეთში ჰერაკლეს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აიხსნება კავკასიონს მიჯაჭვული პრომეთეს განთავისუფლების გამო (ბერძნული პრომეთესა და ქართული ამირანის ურთიერთკავშირის შესახებ იხ.: [ლორთქიფანიძე ოთ, 1966:145-147] და იქვე დასახელ. ლიტერატურა). ბერძენი ისტორიკოსი დურისი (ძვ.წ. 340-275წწ.) წერს: “... კავკასიის მცხოვრებნი მხოლოდ ზევსა და ათენას არ სწირავენ მსხვერპლს, ვინაიდან ისინი იყვნენ პრომეთეს დასჯის მიზეზნი, ჰერაკლეს კი არნივის მშვილდით განგმირვის გამო განსაკუთრებულად სცემენ თაყვანს“ [ურუშაძე ა.კ. 1964:343]. კოლხეთში ჰერაკლეს კულტის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები საფუძვლიანად გაშუქებულია აკად. ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომებში [ლორთქიფანიძე ოთ. 1966:146-147; ლორთქიფანიძე ოთ. 1977:25; Lordkipanidze . 1990:277-288; ლორთქიფანიძე ოთ. 2002:232-233]; მისი კვლევის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია ძველი კოლხეთის რელიგიის ისტორიის შესწავლისათვის.

ჰერაკლე ბოროტებასთან მებრძოლი გმირია. ჰერაკლე ამარცებს ბუნების მრისხანე ძალებს, სპობს ურჩხულებს, უსწორდება სიტყვის გამტეხ ხელისუფალთ. ის ძლიერი და უშიშარია, ამავე დროს, გულჩვილი და ფიცხიც. მას დახმარებას სთხოვენ მოკვდავნი და ზეციერნიც... ჰერაკლესთან დაკავშირებულია მრავალი საგმირო საქმე – ე.წ. ძირითადი (‘Ηρακλέος ἄσθλοι) და მეორე რიგის – მეორეხარისხოვანი (πάρεργα). ძირითადია მისი თორმეტი გმირობა, დაწყებული ნემეის ლომის დამარცხებით და დამთავრებული ქვესკნელის სამეფოდან კერბეროსის (ცერბერის) ამოყვანით. მეორე რიგისაა, მაგალითად, პრომეთეს განთავისუფლება და ა.შ. ჰერ-

აკლეს სხვადასხვა სახის გმირობის გამომხატველია ეპითეტები და ეპიკლიზები, რომლებიც შემოინახა წერილობით წყაროებში. მისი თავგადასავლის ამსახველი სიუჟეტები, მათ შორის ბრძოლა ნემეის ლომთან, საკმაოდ ხშირად წარმოდგენილია ბერძნული და რომაული ხელოვნების ნიმუშებში (დაწვრილებით იხ.: [Lexicon... 1990:1762-1988]).

ჰერაკლეს სახელთან ასოცირდება სიმამაცე, სამართლიანობა, სწარფვა თავისუფლებისკენ, სიკეთე, შრომისმოყვარეობა ანუ ის მარადიული ღირებულებები, რომლებიც მისაღები და ახლობელია ყველგან და ყოველ დროს. ჰერაკლე – სიკვდილის დამთრგუნველი – უკვდავების სიმბოლოა. სწორედ ამან განაპირობა მისი მხატვრული სახის სიცოცხლისუნარიანობა, რაც გამოვლინდა ქრისტიანულ რელიგიაშიც (ზოგიერთ შემთხვევაში ჰერაკლე გააზრებული იყო ქრისტეს პროტოტიპად [Каковкин А. 1988:31-32]). ჰერაკლეს პარალელები ეძებნება ძველ აღმოსავლეთში. მას ბევრი საერთო აქვს ბაბილონელთა ღმერთკაც გილგამეშთან (ჰერაკლეს მსგავსად, ისიც ბოროტებას ებრძვის; ისიც განინმინდა და ღმერთად გადაიქცა. იხ.: გილგამეშისა და ლომის გამოსახულება ხორსაბადის სასახლიდან (ძვ.წ. VIIს.) [Yon . 1986:293, სურ.8]; ავტორი ლომს განიხილავს, როგორც ტოტემს). ჰერაკლესა და ლომის ბრძოლის თემას ეხმიანება ტელ ჰალაფის (ძვ.წ. IX ს.) [Meyer . 1965:23, Abb.105], აგრეთვე, ჰერსეპოლისის (ძვ.წ. VI-VIს.) [Parrot . 1961:Abb.244] რელიეფური გამოსახულებები და სხვა. ამ მონაცემების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სიუჟეტის გენეზისის კვლევისას.

ჰერაკლესთან მიმართებაში ხშირად დასტურდება ე.წ. რეგიონალური იდენტობა ანუ ჰერაკლესა და რომელიმე ადგილობრივი ღვთაების ან გმირის მსგავსების დროს მათი გაიგივება (ძირითადად იგულისხმება ტიპოლოგიური სიახლოვე, ასევე, მოვლენებისა და სამოქმედო ასპარეზის დამთხვევა). მაგალითად, სკვითების მამამთავარი და გმირი ტარგიტაე შეიცნობა სკვითურ ჰერ-

აკლედ (იხ.: [Граков Б. 1950:12-13; Артамонов М. 1961:79; Раевский Д. 1977:56, 77; Бессонова С. 1983:14, 44-45] და სხვ. შდრ.: [Русеева А. 1991:100, 101]). საინტერესოა აღინიშნოს, რომ სკვითურ ძეგლებზე აღმოჩენილ ნიმუშები აშკარად გამოიყოფა ორი სიუჟეტი: ჰირველი, მამაკაცის (ტარგიტაე-ჰერაკლეს) ბრძოლა მტაცებელ ცხოველთან და, მეორე, ჩვილი ჰერაკლეს მიერ გველის გაგუდვა. სავარაუდოა, სკვითების რელიგიურმა მსოფლმხედველობამ განსაზღვრა მათი ასეთი არჩევანი (დიმიტრი რაევსკის მიხედვით – სიკვდილის დამარცხების იდეამ. იხ.: [Раевский Д. 1985:165]). ბოსფორის ქალაქებსა და, განსაკუთრებით, ქერსონესში განსხვავებული სურათია – ჰერაკლეს გამოსახულებები შედარებით მრავალფეროვანია, როგორც შინაარსის, ისე მასალის და შესრულების თვალსაზრისით (იხ.: [Белов Г. 1940:280-281; Харко Л. 1941:81-93; Пятышева Н. 1948:197-204; Русеева М. 2002:178-182, Стржелецкий С. 1948:97-106; Пятышева Н. 1956:11, 15-16; Щеглов А. 1960:21-24; Щеглов А. 1964:6-29; Зеест И. 1966:77-82; Кобылина М. 1966:94-97; Пругло В. 1968: 238-247] და სხვ.).

კოლხეთში, სავარაუდოდ, ჰერაკლესთან რომელიმე ადგილობრივი ღვთაების თუ გმირის იდენტობამ, პრომეთეს (ამირანის) შესახებ თქმულებასთან ერთად, განაპირობა მისი კულტის დამკვიდრება და გამოსახულებების გავრცელება. ვანში მოპოვებული ნიმუშების მიხედვით, ძირითადად, დადასტურებულია ორი სახის გამოსახულება – ლომთან შეჯიდებული ჰერაკლე და ჰესპერიდების ბალიდან დაბრუნებული ჰერაკლე – დაკავშირებული მისი საგმირო თავგადასავლის, შესაბამისად, ჰირველ და მეთერთმეტე ეპიზოდებთან.

თემატიკით ოქროს ბალთასთან ახლოს დგას ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე ე.წ. თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის მიმდებარე ფართობზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტი [ფირცხალავა მ.,... 1986:61, სურ. 43₂; Lordkipanidze .

1996:392, Taf.86₅]. შემორჩენილია მამაკაცის – ჰერაკლეს (?) მარცხენა ხელის მტევანი, ჩაჭიდებული ლომის ფაფარს. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით.

ჰერაკლეს რიგით მეთერთმეტე გმირობის ამსახველი გამოსახულება, ანუ ჰეს-ჰერიდების ბალიდან ოქროს ვაშლებით დაბრუნებული ჰერაკლე, წარმოდგენილია ბრინჯაოს ჭურჭლის ცენტრალური ნაწილის – მედალიონის სახით. ნიმუში ნაპოვნია ვანში შემთხვევით; ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში (საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი) შემოვიდა 1950 წელს [მათიაშვილი ნ. 1973:46-49; მათიაშვილი ნ. 1977:101-114, სურ. 109, 110]. ქალბატონი ნანა მათიაშვილის გამოკვლევის თანახმად, მედალიონი დამზადებულია ადგილობრივი ხელოსნის მიერ; შეიმჩნევა თავისებურებანი – ჰერაკლე გამოსახულია მისი მთავარი ატრიბუტის – ლომის ტყვავის გარეშე, კომბლით – მარცხენა ხელში (ნაცვლად მარჯვენასი) და სხვ.; ხოლო ჰერაკლეს სახე ლისიპეს ნაწარმოების („წვეროსანი ჰერაკლეს“) ერთ-ერთი რეპლიკა უნდა იყოს. მედალიონი დათარიღებულია ძვ.წ. I ს.-ის დასასრული – ახ.ნ. II ს.-ით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვანის სატაძრო ქალაქის ტერიტორიაზე და მის სამეურნეო უბანში – საყანჩიის ნამოსახლარზე ჰერაკლეს გამოსახულებების დასამზადებელი ტვიფრისა და ყალიბის აღმოჩენა. ორივე ნიმუშზე გამოსახულია ჰესპერიდების ბალიდან დაბრუნებული ჰერაკლე. ორივე ადგილობრივი თიხისგანაა დამზადებული. ტვიფრი ნაპოვნია ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, ზოგადად ელინისტური ხანით დათარიღებულ მასალასთან ერთად [კაჭარავა დ. 1979:10, სურ.5]. ყალიბი საყანჩიიდან თავდაპირველად ასკლეპიონის ფიგურისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო შემდგომი დამატება – შესწორების შედეგად გადაკეთდა ჰერაკლეს გამოსახულებად. შესაძლებელია, ინტერპოლაციის მიზეზი, ნაწილობრივ მაინც, კოლხეთში ჰერაკლეს კულტის პოპულარობა იყო. ყალიბი დათარიღდა ძვ.წ. III ს.-II ს.-ის პირვე-

ლი ნახევრით (დაწვრილებით იხ.: [ლიჩელი ვ. 1980:50-53; ლიჩელი ვ. 1991:73-75]). ამგვარად, ტვიფრისა და ყალიბის არსებობა უკვე სავსებით აშკარად მიუთითებს ვანში ჰერაკლეს კულტის არა მხოლოდ გავრცელებას, არამედ მისი გამოსახულებების ადგილზევე დამზადებას.

ჰერაკლეს კიდევ ერთი გამოსახულება წარმოდგენილია ბრინჯაოს ექვსპატრუქიან ჭრაქზე, 2007 წელს ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე აღმოჩენილი განძიდან (ძვ.წ. I ს.-ის შუახანები) [ახვლედიანი დ. 2011:129]. ჭრაქის რეზერვუარის გარშემო, სპილოს თავებს შორის, მოთავსებულია სამი ანთროპომორფული ფიგურა: დიონისესა და არიადნეს-თან ერთად – ჰერაკლე, ლომის ტყავის მოსახამითა და ხელში ჩირალდნით. ფიგურები ცალ-ცალკეა დამზადებული, შესაძლებელია, ვანშივე (დაწვრილებით იხ.: [ლორთქი-ფანიძე ნ. 2011:48-49]). აღსანიშნავია, რომ მათი დამზადების ადგილის შესახებ ვარაუდი რეალურ მონაცემებს ეყრდნობა: ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე გამოვლინდა ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნოს ნაშთები, აგრეთვე, ბრინჯაოს წარმოებასთან დაკავშირებული მასალა – ნაღვენთები, ბრინჯაოს შლაკი; საქშენი მილის, ტიგელის ფრაგმენტები და ა.შ. (ძვ.წ. II-I სს.) [გიგოლაშვილი ელ. 2008:14-15].

ვანის ნიმუშებში, როგორც უკვე აღინიშნა, გამოიკვეთა ორი თემის უპირატესობა. ჯერჯერობით ძნელი დასადგენია მათი ურთიერთკავშირი და შერჩევის პრინციპი (საერთოდ, გასარკვევია, ეს თემები არის თუ არა საგანგებოდ შერჩეული). კოლხეთში, ჰერაკლესადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გათვალისწინებით, დასაშვებია გარკვეული ინტერესი მისი თავგადასავლის ყოველი სიუჟეტის მიმართ. ამავე დროს არ უნდა გამოირიცხოს გამორჩეული თემების არსებობა, დაკავშირებული კავკასიასთან ან, კონკრეტულად, კოლხეთთან. ალბათ, მათ რიცხვს მიეკუთვნება ჰესპერიდების ბალის ეპიზოდი. მითის თანახმად, სწორედ

ჰესპერიდების ბალისკენ ოქროს ვაშლების მოსაპოვებლად მიმავალმა ჰერაკლემ გაათავისუფლა კავკასიონს მიჯაჭვული პრომეთე – განგმირა პრომეთეს მკორტნავი არწივი [გელოვანი აკ. 1983:592]. შესაძლებელია, ამ ვითარებამ განაპირობა აღნიშნული ეპიზოდის პოპულარობა კოლხეთში, რაც აისახა მატერიალური კულტურის ძეგლებზეც.

მეორე სიუჟეტი – ჰერაკლეს ბრძოლა ნემეის ლომთან – სრული სახით მოცემულია მხოლოდ ვანის ოქროს ბალთაზე. ამჟამად უფრო დაწვრილებით იქნება განხილული სიუჟეტის გადმოცემის თავისებურება როგორც კომპოზიციის, ისე შესრულების თვალსაზრისით.

ჩვეულებრივ, სახვითი ხელოვნების ძეგლებზე, ძირითადად, ქანდაკებებსა და რელიეფებზე იკონოგრაფიული სქემა ასეთია: წარმოდგენილია ჰერაკლეს გამარჯვების მომასწავებელი ბოლო მომენტი – ჰერაკლეს მომწყვდეული ჰყავს ლომი, მარჯვენა ხელით ძლიერად ჩაჭიდებია ლომის კისერს; ხოლო დაუძლურებულ ლომს წინააღმდეგობის განევა უკვე აღარ შეუძლია. სქემის ნაწილია, აგრეთვე, პირამიდული აგებულების პრინციპი. ამ იკონოგრაფიულ-კომპოზიციური სისტემის ჩამოყალიბება უკავშირდება გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკის ლისიპეს სახელს (ძვ. წ. IV ს.-ის მეორე ნახევარი). აკარნანიისთვის (მხარეა შუა საბერძნეთში) მის მიერ შექმნილი ბრინჯაოს ქანდაკებათა ციკლი, რომელიც მიეძღვნა ჰერაკლეს თორმეტ გმირობას, არ შემორჩენილა (სტრაბონის მიხედვით – X, 2, 21 – ქანდაკებები, მივიწყებული, შეუფერებელი ადგილიდან ერთმა რომაელმა მხედართმთავარმა გადაიტანა რომში [Страбон, 1964:437]; მაგრამ, როგორც ჩანს, რომმაც ვერ შეძლო მათი დაცვა). ლისიპეს ქანდაკებებზე წარმოდგენის შექმნა რომაული ხანის რეპლიკებით შეიძლება. მათ რიცხვს ეკუთვნის სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული ქანდაკება, რომელიც ჰერაკლესა და ლომის ბრძოლის სცენას გამოსახავს [Белов Г. 1960:3-8]. დადგენილია, რომ ამ სიუჟეტზე შე-

ქმნილ ქანდაკებებში მხოლოდ სამია ლისიპეს დედანთან ახლოს; მათ შორისაა ერმიტაჟში ქანდაკება, პალაცო კორზინის (ფლორენცია) და ოქსფორდის მუზეუმების ნიმუშებთან ერთად. გამოვლენილია, აგრეთვე, მათი კავშირი ახ. წ. III ს.-ის სარკოფაგის რელიეფთან (დაცულია ტორლონის მუზეუმში), სადაც ყველაზე უკეთ შემოინახა ლისიპეს ქანდაკებების კომპოზიციის ძირითადი სქემა [Блаватский В. 1941:192-196, რიც. 3-4].

ლისიპეს ქანდაკებები, უფრო ზუსტად, მათი რეპლიკები ვანის ოქროს ბალთაზე წარმოდგენილი გამოსახულებისათვის პროტოტიპად არ გამოდგება. ბალთაზე, რაც ყველაზე არსებითა, შეცვლილია სიუჟეტის დედააზრი: ჰერაკლე პასიურია – უმოქმედო მსხვერპლია. ჰერაკლეს სახეზე არ არის გამოხატული ბრძოლის დაძაბულობით გამოწვეული ემოცია (აღბეჭდილია უფრო შინაგანი განცდა). სიუჟეტს არ შეეხამება მისი პოზაცია: ფეხები გადაჯვარედინებულია, წააგავს ჰერაკლეს გამოსახულებას დასვენების დროს. ხელები, საერთოდ, არ ეხება ლომს: მარჯვენა ხელი არ ჩანს, მარცხენა – შემოდებულია ნელზე. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ლომის ფიგურაზე. ლომი აგრესიულია, ჩაფრენილია ჰერაკლეს სხეულს. რთული ასახსნელია, თუ რამ განაპირობა ლომისათვის უპირატესობის მიცემა. სავარაუდოა, ამ შემთხვევაში გარკვეული როლი ითამაშა მის მიმართ ტრადიციულმა მიდგომამ (ლომი – მზე, სინათლის სიმბოლო...), რაც ძველ აღმოსავლეთს, კერძოდ, აქემენიდურ სამყაროს უკავშირდება. თუმცა, კოლხური ოქროს სამკაულების მიხედვით, დაწყებული ძვ. წ. V ს.-დან, შესაძლებელი ხდება კორექტივის შეტანა ლომის სიმბოლიკის, აგრეთვე, სხვა ცხოველებთან მისი დაპირისპირების ახსნაში [ლორთქიფანიძე გ. 2015:228].

ვანის ბალთაზე დარღვეულია ფიგურების განლაგების სქემაც: ჰერაკლე მოთავსებულია მარჯვენა, ლომი – მარცხენა (მხარეების მითითებისას ყველა შემთხვევაში იგულისხმება მაყურებლის პოზიცია). ჰერაკლესა და

ლომის ბრძოლის სცენის წარმოდგენისას, იშვიათი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, ახ.წ. IV-V სს.-ის მოზაიკა მადაბადან – იორდანიდან [Zayadine . 1986:419, fig.12], სადაც, ასევე, დასტურდება ამ სიუჟეტის ადგილობრივი ინტერპრეტაცია), ფიგურები განლაგებულია საპირისპირო მხარეს: ჰერაკლე – მარცხნივ, ლომი – მარჯვნივ.

ბალთაზე კომპოზიცია მორგებულია ფირფიტის მრგვალ ფორმას და ამდენად, უგულებელყოფილია მსგავსი სიუჟეტის გამოსახვის დროს გამოყენებული პირამიდული აგებულების პრინციპი – ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ლისიპეს კომპოზიციებისთვის (აღსანიშნავია, რომ ე.წ. პირამიდული კომპოზიციის გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია; ის თავს იჩენს ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც. იხ. რელიეფი სირიიდან: [Zauhdı B. 1976:116, fig.49; Bouanni A. 1986:383, fig.7]).

თვალში საცემია სხვადასხვა ხერხით შესრულებული ჰერაკლესა და ლომის გამოსახულებების კონტრასტულობა, რაც, შეიძლება, გარკვეული მხატვრული ჩანაფიქრის ნაწილია, ხაზს უსვამს ორი სხვადასხვა ძალის არსებობას და დაპირისპირებას. ჰერაკლეს სადა (შიშველ) სხეულზე ბურცობებით გამოყოფილია კუნთები, განსაკუთრებით მხარსა და გულმკერდის არეში, ხოლო ლომის ტანი თითქმის ბრტყელია და მთლიანად დაფარულია მცირე ზომის ნაჭდევებით თუ ღრმულებით, ზურგის მცირე ნაწილი – მოკლე ირიბი ღარების რიგით. თავისებურია ლომის ფაფარი, გადმოცემული ურთიერთსანიაღმდეგოდ მიმართული ღარებით. ჩვეულებრივ, ლომის გამოსახულებებზე აქცენტი გაკეთებულია ფაფარზე, წარმოდგენილი რომბული ბადით, ღარებით და სხვ., ხოლო ტანი – სადაა. ამ შემთხვევაში ლომის ტანის დაფარვა ნაჭდევებით თუ მცირე ზომის ღრმულებით ძვ.წ. V-IV სს. კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებზე არსებული თავისებურების გამოძახილი და ტრადიციის გაგრძელება უნდა იყოს.

საინტერესო დეტალია ლომის თვალები, უფრო ზუსტად, თვალების ნაცვლად გა-

კეთებული ორი მრგვალი ნახვრეტი. ბალთის უკანა მხარეზე – სადა ფირფიტის ამოჭრილი ნაწილი, როგორც უკვე იყო მითითებული, ემთხვევა თვალების ადგილას არსებულ ნახვრეტებს (სურ.3). ალბათ, ქსოვილი ან ტყავი, რაზეც დამაგრებული იყო ბალთა, განსაზღვრავდა „თვალების“ ფერს და შემთხვევით თუ მიზანმიმართულად ქმნიდა პოლიქრომიულ ეფექტს. მსგავსი „ჩაჭრილი თვალები“, ვანის არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით, ჯერჯერობით, ცნობილია მხოლოდ ერთ ნიმუშზე: 1988 წელს ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, ზოგადად ელინისტური ხანით დათარიღებულ კულტურულ ფენაში, აღმოჩნდა ოქროს ოთხუთხა ფორმის ფირფიტა ლომის თავის რელიეფური გამოსახულებით en face (ზომა – 24-26 მმ); ამ ფირფიტაზეც ლომის თვალები წარმოდგენილია მრგვალი ნახვრეტების სახით (დაცულია ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. ინვ.№1:988-5.სურ.4). აღსანიშნავია, რომ პოლიქრომიული სტილის გავრცელების ხანაში დასტურდება ცხოველის თვალების გამოსახვა ფერადი ქვებით ან გაუმჭვირვალე მინით (მაგალითად, ოქროს გარსაკრავზე გონიოს განძიდან (ახ.წ. I ს.). იხ.: [ლორთქიფანიძე ოთ.,... 1980:12, 26, ტაბ. XVII-XVIII]).

ბოლოს, საყურადღებოა, ვანის ბალთაზე ჰერაკლეს გამოსახულების კიდევ ერთი ელემენტი – კისრის ირგვლივ რელიეფური სარტყელი (ჩანს ნაწილი). ნემეის ლომთან შეჭიდებული ჰერაკლე, როგორც წესი, წარმოდგენილია უწვერო ჭაბუკის სახით და მისი ერთადერთი ატრიბუტია თავზე ბაფთა. ვანის ნიმუშზეც გამოსახულია ახალგაზრდა უწვერო მამაკაცი; თავზე, შუბლის გასწვრივ თანაბარი ბურცობების რიგი, ალბათ, ბაფთა უნდა იყოს. ნემეის ლომის დამარცხების შემდეგ ჰერაკლეს აუცილებელი ატრიბუტებია ლომის ტყავი და კომბალი; უკვე წვეროსანი ჰერაკლე კი ხშირად შემკულია გვირგვინით (ჰერაკლეს გამოსახულება გვირგვინით გავრცელებულია განსა-

კუთრებით მცირეაზიურ კოროპლასტიკაში [Денисова В. 1981:65]; ჰერაკლე გვირგვინით იხ.: ვანის ბრინჯაოს მედალიონზე [მათიაშვილი ნ. 1977:112, სურ. 110-111] და საყანჩიაში აღმოჩენილ თიხის ყალიბზეც [ლიჩელი ვ. 1991:75, ტაბ. XXXIX]). მნიშვნელოვანი იქნებოდა ვანის ბალთაზე არსებული რელიეფური სარტყლის განსაზღვრა კისრის რკალად და მისი აღიარება ჰერაკლეს კიდევ ერთ, აქამდე უცნობ, ატრიბუტად. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ელემენტი დადასტურებულია ვანშივე აღმოჩენილ და ადგილობრივ ნიმუშებად განსაზღვრულ ბრინჯაოს მედალიონსა და თიხის ტვიფრზე. ამ შემთხვევაში „უცნობი ატრიბუტი“ მხოლოდ კოლხეთში დამზადებულ ჰერაკლეს გამოსახულების დამახასიათებელ ნიშნად ჩაითვლებოდა, მაგრამ ანგარიშგასაწევია ამ ელემენტის ახსნის სხვა ვერსიაც. ნ. მათიაშვილის მითითების თანახმად, ბრინჯაოს მედალიონზე რელიეფური სარტყლის არსებობა ტექნოლოგიური თავისებურებითაა განპირობებული: ცალ-ცალკე ჩამოსხმული ჰერაკლეს თავი და ტანის ზედა ნაწილი ერთმანეთთან შეერთებულია კისრის არეში და შეერთების ადგილზე, როგორც ჩანს, ნარმოიქმნა შემსხვილება („რელიეფური სარტყელი“); თიხის ტვიფრზე, სავარაუდოდ, ეს დეტალი გამეორებულია მექანიკურად [მათიაშვილი ნ. 1977, 111, 113]. ვანის ოქროს ბალთაზეც, ასევე, თიხის ტვიფრის მსგავსად, რელიეფური სარტყლის ანუ ტექნოლოგიური ხარვეზის გადატანა-გამეორება, სავსებით დასაშვები ვერსიაა და კიდევ ერთი მინიშნებაა ბალთის ადგილობრივი ნარმომავლობის შესახებ.

რელიეფური გამოსახულების – ცნობილი მითოლოგიური სიუჟეტის – განსხვავებული ინტერპრეტაცია და შესრულების მანერა მნიშვნელოვანი პირობაა ბალთის თავისებურების გამოსავლენად. საქართველოში მსგავსი ოქროს სამკაული ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. ვანის ბალთას, ზოგადად – შინაარსის (ბრძოლის თემა) და კომპოზიციის შემადგენელი ელემენტების (ერთმა-

ნეთს დაპირისპირებული ჰერაკლე და ლომი) მიხედვით – პარალელი მოეძებნა სკვითურ სამყაროში, სადაც ჰერაკლეს კულტი და მასთან დაკავშირებული გამოსახულებები განსაკუთრებით პოპულარული იყო.

სკვითურ სამარხებში გამოვლენილი ნიმუშები – ოქროს მცირე ზომის (დმ – 20-23 მმ) ბალთები თუ ნახვრეტებიანი (დასაკერებელი) ფირფიტები ჰერაკლეს და ლომის ბრძოლის გამოსახულებით – ძირითადად, ერთგვაროვანია: კომპოზიცია განთავსებულია მრგვალ ფირფიტაზე, ჰერაკლე – მარცხნივ, ლომი – მარჯვენივ. კიდე შემოჭრილია ფიგურების კონტურის შესაბამისად; გამოტვიფრულია. ორივე ფიგურა გამოსახულია პროფილში. ჰერაკლე მარჯვენა ფეხით დაჩოქილია, მეორე ფეხი მოხრილია და განეულია წინ. ჰერაკლეს ტორსთან მჭიდროდ მიდებულია ლომის თავი, მომწყვდეული მის ხელებში. ლომი წინა თათით ეყრდნობა ჰერაკლეს მუხლს (ან მუხლს ზევით – ბარძაყს), უკანა თათით – ტერფს.

ოქროს მცირე ზომის ბალთები – ფირფიტები (აპლიკაციები) ჰერაკლეს და ლომის ბრძოლის გამოსახულებით აღმოჩენილია კულ-ობას ყორღანში, ქ. ქერჩის მახლობლად (სურ. 5) (6 ცალი დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში [Артамонов М. 1966:65, табл. 218; Копейкина Л. 1986:55-56, №25], 5 ცალი – სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში [Журавлев Д., 2014:62-65, №№10-13, 50, табл. 7, 19]; დათარილებულია ძვ.წ. IV ს.-ის შუახანები – მესამე მეოთხედით). მსგავსი ბალთები ცნობილია, აგრეთვე, დნეპრისპირეთის სკვითური ყორღანებიდან. ესენია: ჩერტომლიკი (სურ. 6-7) [Артамонов М. 1966:49, рис.103; Онайко Н. 1970:105, №491в; Алексеев А. 1986:69, №32; Piotrowski B.,... 1086:Abb. 261], ჩმირიოვა მოგილა [Онайко Н. 1970:106, №496в, табл. XI], ვერხნი როგაჩიკი [Онайко Н. 1970:106, №493г], შულგოვკა [Онайко Н. 1970:106, №498а] და სხვა (სკვითური ბალთები – აპლიკაციები ჰერაკლეს და ლომის გამოსახულებით, აგრეთვე, იხ.: [Грибкова Г. 2011:121 შმდ.]).

ბალთებზე წარმოდგენილი კომპოზიცია ძვ.წ. V საუკუნიდან გავრცელებულია ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით მონეტებსა და ჭრილა ქვებზე ([Куфтин Б. 1950:5-6; Онайко Н. 1970:46, 51; Boardman J. 1970:290, №528; Копейкина Л. 1986:32-33, 55; Vollkommer R. 1988:25, №28, fig.7; Никулина Н. 1994:44, рис.317, 322; Журавлев Д., 2014:62, 192] და სხვ.). სკვითური ნიმუშები, როგორც გაირკვა (იხ. ზემოდასახელებული ბ. კუფტინის, ნ. ონაიკოს, ლ. კოპეიკინას, დ. ურავლიოვის... ნაშრომები), მათი მინაბაძებია (ლ. კოპეიკინას მიხედვით – „Бляшки монетного типа“. ამ შემთხვევაში, ძირითადად, იგულისხმება სირაკუზისა და ქიზიკის – ქიზიკოსის – მონეტები, თუმცა, ბ. კუფტინი ამ უკანასკნელის პროტოტიპად გამოყენებას გამორიცხავს). კომპოზიციის თვალსაზრისით ოქროს მცირე ზომის სკვითურ ბალთებთან (აპლიკაციებთან) გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს, ასევე, სკვითურ ყორლანში – ბაბინა მოგილაში ალმოჩენილი სამკაული – განსხვავებული დანიშნულების და ზომის ვერცხლის მოოქრული ბალთა (დმ – 86 მმ). საყურადღებოა, რომ ბალთაზე ჰერაკლეს ფიგურა მარჯვნივა მოთავსებული [Трейстер М. 2005:504, табл.8₄].

სკვითური ბალთებისთვის დამახასიათებელი იკონოგრაფიული სქემა – ძირითადად, იგულისხმება ცალი ფეხით დაჩოქილი ჰერაკლეს ფიგურა – დასტურდება პანაგიურიშტის (თრაკია) ვერცხლის ბალთებზე (2 ცალი, დმ – 86 მმ. შემორჩენილია მოოქვრის ნაშთი. დათარიღებულია ძვ.წ. IV ს.-ის მეორე ნახევრით [Венедиков Ив.,... 1973:120, 384, ил. 293]). (სურ. 8). ბალთებთან ერთად, იგივე კომპლექსში, ალმოჩენდა ვერცხლის აპლიკაცია – ფარის ცენტრალური ნაწილი – ჰერაკლეს და ლომის გამოსახულების სხვაგვარი ინტერპრეტაციით – ბრძოლის სცენის გარეშე [Венедиков Ив., 1973:123, 378-379, ил.245]. აღსანიშნავია, რომ თრაკიაშიც გავრცელებულია ჰერაკლეს კულტი და მასთან დაკავშირებული ნიმუშები. ჰერაკლეს პირველი გმირობის ამ-სახველი კომპოზიციები თავს იჩენს საკმაოდ

ხანგრძლივი დროის მანძილზე, მაგალითად, თრაკიის ქალაქ პერინთოსის ახ.წ. II-III სს.-ის სპილენძის მონეტა-მედალიონზე [Зограф А. 1951:75, табл. XXV₁₀]. ამ შემთხვევაში დაცულია პირამიდული აგებულების პრინციპი.

ვანის ოქროს ბალთა არ მიეკუთვნება არცერთ ცნობილ იკონოგრაფიულ ტიპს (შდრ.: [Herakles2003:70]): მკვეთრად განსხვავდება სკვითური და თრაკიული სამკაულისაგან, ისევე, როგორც ლისიპეს სქემით – პირამიდული აგებულების პრინციპით შექმნილი ნიმუშებისაგან. აქედან გამომდინარე, ზემომითითებული თავისებურებების გათვალისწინებით, რეალური გახდა ვარაუდი ბალთის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ (მსგავსი ვითარებაა ვანის ნაქალაქარზე ალმოჩენილი ოქროს ფირფიტების ერთ ჯგუფთან დაკავშირებით – იგულისხმება გარე სამყაროდან შემოსული ე.წ. გველისფეხებიანი ღვთაების გამოსახულება [ჭყონია ან. 2011:91-92]).

ამგვარად, უცხო (ბერძნული) მითოლოგიური სიუჟეტი, აგრეთვე, კომპოზიციური კონტრასტების ელემენტები კოლხურ სივრცეში აირეკლა გარკვეული გადახრებით – შეიცვალა შინაარსი, დაირღვა კომპოზიციური სქემა, გამოიკვეთა ინდივიდუალური შესრულების მანერა; ახალმა მოტივმა – ახალმა მსატვრულმა სახემ თავისებური ფორმა მიიღო ძლიერი კულტურული ტრადიციების მქონე გარემოში.

ლიტერატურა:

ახვლედიანი დ. 2008: განძი ვანიდან (ექსპრეს-ინფორმაცია). – იბერია-კოლხეთი. №4. თბილისი, გვ.129.

გელვანი აკ. 1983: მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.

გიგოლაშვილი ელ., თოლორდავა ვ., ფირცხალავა მ. 2008: ბრინჯაოს ქანდაკება და ბრინჯაოს წარმოების ნაშთები ვანის ნაქალაქარზე. – იბერია-კოლხეთი. №4. თბილისი, გვ. 14-18.

- კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ. 1979:** არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტრასაზე (1970-1977 წწ.). – ვანი. IV. თბილისი, გვ.7-37.
- ლიჩელი ვ. 1980:** პერაკლეს გამოსახულების დასამზადებელი ყალიბი საყანჩიის ნამოსახლარიდან. – ძეგლის მეგობარი, №53, გვ. 50-53.
- ლიჩელი ვ. 1991:** ძველი ვანი. სამეურნეო უბანი. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ნ. 2011:** ბრინჯაოს ექვსპატრუქიანი ჭრაქი ვანიდან. – იბერია-კოლხეთი. №7. თბილისი, გვ.47-53.
- ლორთქიფანიძე ნ. 2015:** ძველი ქართული სამკაული. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1966:** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1977:** ვანის ნაქალაქარი. გათხრები, ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე). – ვანი. III. თბილისი, გვ. 13-27.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.
- ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაშვილი დ. 1980:** გონიოს განძი. თბილისი.
- მათიაშვილი ნ. 1973:** ვანში აღმოჩენილი პერაკლეს გამოსახულებიანი მედალიონი. – ძეგლის მეგობარი. №33. თბილისი, გვ.46-49.
- მათიაშვილი ნ. 1977:** ლითონის ჭურჭელი. – ვანი. III. თბილისი, გვ.101-114.
- ურუშაძე აკ. 1964:** ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბილისი.
- ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. 1986:** ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის არე). – ვანი. VIII. თბილისი, გვ.52-78.
- ჩარკვიანი მ., ამირხანაშვილი ქ. 2011:** საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა და მითოლოგიურ პერსონაჟთა გამოსახულებების ნუსხა. – უკრ. იბერია-კოლხეთი. №7, გვ.172-185.
- ჭყონია ან. 1981:** ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი. VI. თბილისი.
- ჭყონია ან. 2007:** ქართული ოქრომჭედლობის შესწავლის ისტორიიდან. ექვთიმე თა-
- ყაიშვილი. – საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები. თბ., გვ.264-272.
- ჭყონია ან. 2011:** კოლხურ-სკვითური პარალელები ოქრომჭედლობაში. – უკრ. იბერია-კოლხეთი. №7. თბ., გვ.85-96.
- ხოშტარია ნ. 1972:** ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. – ვანი. I. თბ., გვ.81-95.
- Алексеев А. 1986:** Нашивные бляшки из Чертомлыкского кургана. – Античная торевтика. Ленинград, с. 64-74.
- Артамонов М. 1961:** Антропоморфные божества в религии скотов. – Археологический сборник Государственного Эрмитажа. Вып.2. Ленинград, с.57-87.
- Артамонов М. 1966:** Сокровища скифских курганов в собрании Государственного Эрмитажа. Прага, Ленинград.
- Белов Г. 1940:** Херсонесские рельефы. – Вестник древней истории. №3-4, с. 281-285.
- Белов Г. 1960:** Геракл в борьбе со львом. Скульптура школы Лисиппа в Эрмитаже. Ленинград.
- Бессонова С. 1983:** Религиозные представления скотов. Киев.
- Блаватский В. 1941:** Акарнанские бронзы Лисиппа. – Советская археология. V. Москва, Ленинград, с.189-198.
- Венедиков Ив.,...Герасимов Т. 1973:** Тракийското изкуство. София.
- Граков Б. 1950:** Скифский Геракл. – Краткие сообщения Института археологии. Вып. XXIV. Москва, с.7-18.
- Грібкова Г. 2011:** Образ Геракла на пластинах-аплікаціях з колекції МІКУ. – Музейні читання. Матеріали наукової конференції «Ювелірне мистецтво – погляд крізь віки». 15-17 листопада 2010. Київ, с. 121-129.
- Денисова В. 1981:** Коропластика Боспора. Ленинград.
- Журавлев Д., Новикова Е., Шемаханская М. 2014:** Ювелирные изделия из кургана Куль-Оба в собрании Исторического музея. Историко-технологическое исследование. – Труды Государственного исторического музея. Вып.

200. Москва.
- Зеест И. 1966:** Рельеф из Гермонаассы с изображением Геракла. – Культура Античного мира. Москва, с.77-82.
- Зограф А. 1951:** Античные монеты.=Материалы и исследования по археологии СССР. Москва, Ленинград.
- Каковкин А. 1988:** Образ Геракла в искусстве эллинистического и коптского искусства. – Третий Всесоюзный симпозиум по проблемам эллинистической культуры на Востоке. Ереван, с.30-32.
- Кобылина М. 1966:** Глиняный торс Геракла из Херсонеса. – Культура Античного мира. Москва, с.92-98.
- Копейкина Л. 1986:** Золотые бляшки из кургана Куль-Оба. – Античная торевтика. Ленинград, с.28-63.
- Куфтин Б. 1950:** Материалы к археологии Колхиды. II. Тбилиси.
- Максимова М. 1958:** Миниатюрная группа на Феодосийских серьгах.–Труды Государственного Эрмитажа. 2. Ленинград, Москва, с.62-66.
- Никулина Н. 1994:** Искусство Ионии и ахеменидского Ирана. По материалам глиптики V-IV вв. до н.э. Москва.
- Онайко Н. 1970:** Античный импорт в Приднепровье и Побужье в IV-II вв. до н.э. – Археология СССР. Свод археологических источников. Вып. Д1-27. Москва.
- Онайко Н. 1979:** Об отражении монументального искусства в боспорской торевтике (мастера медальонов Кульобских подвесок). – Проблемы античной истории и культуры. Ереван.
- Пругло В. 1968:** Геракл в коропластике Боспора. – Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья. Ленинград, с.238-247.
- Пятышева Н. 1948:** О культе Геракла в Херсонесе. – Вестник древней истории. №2, с.197-204.
- Пятышева Н. 1956:** Ювелирные изделия Херсонеса. = Труды Государственного исторического музея. Памятники культуры. Вып. XVIII. Москва.
- Раевский Д. 1977:** Очерки идеологии скифо-сакских племен. Москва.
- Раевский Д. 1985:** Модель мира скифской культуры. Проблемы мировозрения ираноязычных народов евразийских степей I тысячелетия до н.э. Москва.
- Русеева А. 1991:** Понтийская легенда о Геракле: вымысел и реальность. – Духовная культура древних обществ на территории Украины. Киев, с.96-116.
- Русеева А. 2002:** Образ Геракла на произведениях торевтики IV в. до н.э. из Северного Причерноморья. – Античный мир и археология. Межвузовский научный сборник. Вып. 11. Саратов, с. 178-182.
- Саверкина И. 2000:** Роскошные серьги в Эрмитаже и других музеях. – Античное Причерноморье. Санкт-Петербург, с.12-22.
- Страбон. 1964: География в 17 книгах. Перевод, статья и комментарии Г.А. Стратановского. Ленинград.
- Стржелецкий С. 1948:** Жертвенник Гераклу из так называемого Страбоновского Херсонеса. – Херсонесский сборник. Вып. IV. Симферополь, с.97-106.
- Трейстер М. 1999:** Об одной из боспорских мастерских торевтики IV в. до н.э. – Боспорский город Нимфей: новые исследования и материалы и вопросы изучения античных городов Северного Причерноморья. Международная научная конференция, посвященная 70-летию со дня рождения Н.Л.Грач. Санкт-Петербург, с. 75-77.
- Трейстер М. 2005:** Об изделиях торевтики из скифского кургана Бабина Могила. – Курганы скифского Герроса IV в. до н.э. Приложение №3. Киев, 502-512.
- Харко Л. 1941:** Фрагмент фриза с изображением гигантов из станицы Таманской. Советская археология. VII, с.81-93.
- Чкonia A. 1985:** Ювелирное искусство Колхиды в IV-II вв. до н.э. (вопросы инноваций). – Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории

- Причерноморья. Тбилиси, с.519-527.
- Щеглов А. 1960:** Светильник с изображением Геракла и лани. – Сообщения Херсонесского музея. Вып. I. Симферополь, с.21-24.
- Щеглов А. 1964:** Подвиги Геракла. По памятникам Херсонеса Таврического. Ленинград.
- Boardman J. 1970:** Greek Gems and Finger Rings. Early Bronze Age to Late Classical. London.
- Bouanni A. 1986:** Iconographie d’Héraclès en Syrie. – Iconographie classique et Identités régionales. Bulletin de Correspondance Hellénique. Supplément XIV. Paris, p.377-387.
- Deppert-Lippitz B. 1985:** Griechischer Goldschmuck. Mainz am Rhein.
- Herakles... 2003:** Herakles-Hercules. München.
- Lexicon... 1990:** Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae. V.2. Zürich, München, Düsseldorf.
- Lordkipanidze О. 1990:** On the Cult of Heracles in Colchis. - Centre de Recherches d’Histoire Ancienne Vol. 96. Mélanges Pierre Lévéque. 4. Religion. Paris, p.277-288.
- Lordkipanidze О. 1996:** Vani – Ein antikes religiöses Zentrum im Lande des Goldenen Vlieses (Kolchis). – Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz. 42. Jahrgang 1995, S. 353-401.
- Meyer G. 1965:** Altorientalische Denkmäler im Vorderasiatischen Museum zu Berlin. Leipzig.
- Parrot A. 1961:** Assur. Die mesopotamische Kunst vom XIII. vorchristlichen Jahrhundert bis zum Tode Alexanders des Grossen. München.
- Piotrowski B., Galanina L., Gratsch N. 1986:** Skythische Kunst. Altertümer der skythischen Welt. Mitte des 7. Bis zum 3. Jahrhundert v.u.Z. Lenigrad.
- Vollkommer R. 1988:** Herakles in the Art of Classical Greece. – Oxford University Committee for Archaeology. №25. Oxford.
- Yon M. 1986:** À propos de L’Héraklès de Chypre. – Iconographie classique et Identités régionales. Bulletin de Correspondance Hellénique. Supplément XIV. Paris, p. 287-297.
- Zayadine F. 1986:** Pintures murales et mosaïques à sujets mythologiques en Jordanie. – Iconographie classique et Identités régionales. Bulletin de Correspondance Hellénique. Supplément XIV. Paris, p. 407-428.
- Zouhdi B. 1976:** Musée National de Damas. Département des Antiquités Syriennes. Damas.

ილუსტრაციების აღნიშვნება:

- სურ. 1.** ვანი. ოქრო. დმ-60,5 მმ. ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი). ფოტო ვ.თულაშვილისა.
- სურ. 2.** იგივე. ნახატი 6. თოფურიძისა.
- სურ. 3.** იგივე. უკანა მხარე. ფოტო ვ. თულაშვილისა.
- სურ. 4.** ვანი. ოქრო. 24x26 მმ. ოთ. ლორთქი-ფანიძის სახ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი). ფოტო გ. სალნიკერისა.
- სურ. 5.** კულ-ობა. ოქრო. დმ – 20-23 მმ. ნახატი [Журавлев Д., ...2014:табл.19].
- სურ. 6.** ჩერტომლიკი. ოქრო. დმ – 22 მმ. ფოტო [Артамонов М. 1966:рис.103].
- სურ. 7.** იგივე. ნახატი [Раевский Д.1985:164, рис. 29].
- სურ. 8.** პანაგიურიშტი. ვერცხლი, მომქვრის ნაშთი. დმ – 86 მმ [Венедиков Ив.,... 1973:ил.293].

Chkonia A.

I



1



2



3



4



5



6



7



8

აღმოსავლეთ საქართველოს ა. 3. 6. VII – ა. 6. VII სს კერამიკა

(II ნაწილი)

სუფრის ჭურჭელი.

XVI. დოქი/ხელადა (ტაბ.XXXI-XL). დოქები სუფრის ჭურჭლის ყველაზე გავრცელებულ სახეს მიეკუთვნება. ისინი სხვადასხვა ზომისაა, მათი სიმაღლე მერყეობს 15 სმ-დან 35 სმ-დე. ზომა ფორმასთან არ არის დაკავშირებული. ერთიდაიგივე ტაქსონებში (სეგმენტში) სხვადასხვა ზომის ჭურჭელი ერთიანდება. ცალკეული სეგმენტების გაფორმების მიხედვით კი, ისინი მსგავსია, ამდენად ფორმაც ერთი აქვთ [ჩარიშვილი 1991: 28-39]. ძვ. ნ. VII – ა. ნ. VII სს-ის არქეოლოგიურ მასალაში ამ სახის ჭურჭლები მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ისე დამზადების ტექნიკით (ტექნოლოგით). ჩვენი კლასიფიკირების საფუძვლად ტანის ფორმას ვიღებთ, რადგან ამ სახის ჭურჭლებში ყველაზე მეტად ტანის მოყვანილობას აქვს მნიშვნელობა.

მუცლის უდიდესი დიამეტრის მდებარეობის მიხედვით, ქართლის ძვ. ნ. VII – ა. ნ. VII საუკუნეების კერამიკაში სამი ძირითადი ტიპი უნდა გამოიყოს: 1. მხრიანი, 2. სფერულტანიანი და 3. მსხლისებურტანიანი.

ძვ. ნ. VII-VI ს-ში (I ქრონოლოგიური ჯგუფი) ძირითადად მხრიანი და სფერულმუცლიანი ჭურჭლებია გავრცელებული. იშვიათად გვხვდება ხელადები, რომლებსაც მსხლისებური ტანი აქვთ [დავლიანიძე, სადრაძე 1993: ტაბ. XXIX-2; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: 321-323]. ამ პერიოდების დოქებსა და ხელადებს ახასიათებს მრგვალი ბაკო, მაღალი გამოყვანილი ან ძაბრისებური ყელი. ჭურჭლებს პირსა და მხარზე განივევეთში მრგვალი ან ოვალური ყური აქვთ მიძერნილი. იშვიათად გვხვდება გრეხილი ყურებიც [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 39, ტაბ. XXIX-2; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: 321-323]; ორნამენტი ამოღარული, ამოკანრული ან წნევით დატანილი

ნაპრიალები ხაზებითაა წარმოდგენილი. გვხვდება კონცენტრული ღარები, ვერტიკალური ნაპრიალები ხაზები ან ასეთივე ტექნიკით შესრულებული დაშტრიხული სამკუთხედების რიგი. ჭურჭლები გამომწვარია შავად, ლეგა-ნაბლისფრად, ნაცრისფრად და ძირითადად იმეორებს წინამორბედი ხანის კერამიკის ფორმებს [მუსხელიშვილი 1978: 89].

ძვ. ნ. V ს-ის დასაწყისიდან ა. ნ. VII ს-მდე მხრიანი დოქები მცირე რაოდენობით გვხვდება. მათთვის დამახასიათებელია მრგვალი პირი, დაბალი ყელი, მკვეთრად გამობერილი მხრები, დაქანებული კალთები და პატარა ბრტყელი ძირი (G.N.: კატ. № 305-214). მათი უმრავლესობა მუქკეციანია (G.N.: კატ. № 305-308, 310, 312, 313, 548, 555) და დამზადებულია მსხვილმარცლოვანი თიხისაგან. ამ პერიოდის დოქების ნაწილს ღია ფერის კეცი აქვს (G.N.: კატ. № 309, 314, 556). მხრიანი დოქები, პირის დახრილობის მიხედვით, ორ ქვეტიპად იყოფა: 1. პირსწორი, 2. პირგადაშლილი. პირგადაშლილი დოქებში ორი სახეობა უნდა გამოიყოს: 1. ცილინდრულყელიანი და 2. დოქები ტრაპეციის ფორმის ყელით.

მეორე ტიპის, სფერულტანიანი დოქები პირის გაფორმების მიხედვით, ორ ქვეტიპად იყოფა: 1. ტუჩიანი (G.N.: კატ. № 315-362, 455, 571, 573) და 2. მრგვალპირიანი (G.N.: კატ. № 363-456-458, 460, 461, 535, 537, 541, 545, 547, 549, 551-554, 557, 559, 560, 567, 569, 570, 574-577)

სფერულტანიანი, ტუჩიანი დოქების ორი სახეობა გვხვდება: 1. ნისკარტიანი, 2. სამტუჩა დოქები. **სფერულტანიანი, ნისკარტიანი დოქებში** ხუთი ქვესახეობა გამოიყოფა:

პირველი ქვესახეობის დოქების ნისკარტი პირის შევიწროვებით არის მიღებული. ქობა ნისკარტის ჩათვლით, გადაშლილია (G.N.: კატ. № 315, 316-320, 322-325, 327-329, 338-

346,352,357,362). ამ სახეობის დოქები ძვ.ნ Ⅴ - Ⅳ ს-ის პირველი ნახევარში (G.N.: კატ. № 316-320,322-325,327-329,339-346,362) და ძვ.ნ. Ⅳ ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.ნ. Ⅲ ს-ის დასაწყისში (G.N.: კატ. № 315,338,352-357) თავს-დება. ისინი უმეტესად დამზადებულია მსხ-ვილმარცვლოვანი თიხისგან, გამომწვარია მუქად (რუხი, ნაცრისფერი, ღია ყავისფერი, G.N.: კატ. № 315,316,318,319,322,323,338,340-345), ნაწილი არათანაბრადაა გამომწვარი, (G.N.: კატ. № 320,324,344). ნაწილი დამზა-დებულია კარგად განლექილი თიხისგან და გამომწვარია მოვარდისფროდ (G.N.: კატ. № 329,362,357), მოვარდისფროდ გამომწვარი ცალების ნაწილი შეღებილია (G.N.: კატ. № 317,325,327,328,339,352,354-356);

მეორე ქვესახეობის დოქების ქობა შემ-სხვილებულია, ნისკარტი კი დახრილი აქვთ (G.N.: კატ. № 321,330). ამ სახეობის ჭურჭლები ძვ.ნ. II საუკუნიდან ახ.ნ. II საუკუნემდე (G.N.: კატ. № № 321,330) გვხვდება. ერთი (G.N.: კატ. № 321) დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდისფროდ და შეღებილია. მეორე (G.N.: კატ. № 330) დამზა-დებულია განლექილი თიხისგან, გამომწვარია შავად. ზედაპირი დაუდევრადაა გაპრიალე-ბული;

მესამე ქვესახეობის დოქების ნისკარტი წაგრძელებულია და პირის ზემოთ არის აზიდ-ული (G.N.: კატ. № 326); ამ სახეობის დოქი ერთი ცალია აღმოჩენილი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია შავად. ზედაპირი დაუდევრადაა გაპრიალე-ბული (G.N.: კატ. № 326). იგი ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარითა და ახ.ნ. I საუკუნით თარიღდება.

მეოთხე ქვესახეობის ჭურჭლები დამზადე-ბულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომ-წვარია შავად. ზედაპირი „სარკისებურად“ არის გაპრიალებული და შემკულია წნ-ევით ამოღარული და გაპრიალებული სარ-ტყლებით. ამ დოქის პირი ნისკარტან ზემოთ არის აზიდული, ნისკარტი დახრილია, ქობა შიგნით ჩაკეცილი (G.N.: კატ. № 330,351). ისინი ძვ.ნ. II საუკუნესა და ძვ.ნ. I ს-ის პირველი ნახ-

ევარშია გავრცელებული.

მეხუთე ქვესახეობის დოქების ნისკარტი ქობის გადაკეცვის შედეგად არის მიღებული (G.N.: კატ. № 347-350). მეხუთე სახეობის ჭურ-ჭლები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ხაოიანი ზედაპირი წითელი საღებავითაა მოხატული (G.N.: კატ. № 347-350) ზედაპირ-ის დამუშავებით და შემკობით ამ სახეობის დოქები გვიანდელი მოხატული ჭურჭლების მსგავსია და შეიძლება ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახ-ევართ – ახ.ნ. II საუკუნით დათარიღდეს.

სფერულტანიანი, სამტუჩა დოქებში ორი ქვესახეობა გამოიყოფა: 1. დოქები, რომელთ-აც პროფილში ტალღისებრი პირი, ერთ ადგ-ილზე ისე აქვთ აზიდული, რომ ტუჩის რკალი ჯერ ზემოთ ადის, შემდეგ მუცლისაკენ ეშ-ვება ისე, რომ ტუჩს დახრილი ფორმა აქვს (G.N.: კატ. № 331,332,334,335,337); 2. დოქები, რომელთა პირი და ტუჩი ერთ ხაზზეა განლა-გებული.

პირველი ქვესახეობის ჭურჭლები დამზა-დებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდისფროდ (G.N.: კატ. № 332, 334, 335), მოჩალისფროდ (G.N.: კატ. № 337) და შავად (G.N.: კატ. № 331). ამ უკანასკნე-ლის ზედაპირი გაპრიალებულია. ამგვარი ჭურჭლები, პირველ რიგში ტუჩის გაფორ-მების მიხედვით დიდ მსგავსებას იჩენენ გვი-ანანტიკურ ხანაში გავრცელებულ დოქებთან (G.N.: კატ. № 336). ერთ დოქს (G.N.: კატ. № 337) ტანზე დაძერწილი აქვს კოპები. მართალია იგი გარკვეულად ემსგავსება ძვ.ნ. V-III ს-ის დასაწყისის ჭურჭლებზე დადასტურებულ კო-პებს, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავე-ბა შეინიშნება. ადრეულ ცალებს დიდი ზო-მის კოპები აქვთ დაძერწილი, № 337-ს კი პა-ტარები. ადრეულ ჭურჭლებს ერთმანეთისგან თანაბრად დაცილებული 3-3 კოპი აზით (G.N.: კატ. № 416). ერთს (G.N.: კატ. № 337) კი შედარ-ებით შეჯგუფებულად აქვს დაძერწილი, რით-აც იგი გვიანდელ ჭურჭლებს ემსგავსება (G.N.: კატ. № 335). პირველი სახეობის დოქები ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.ნ. II საუკუნეში

თავსდება. მეორე სახეობის ჭურჭელი ფრაგ-მენტულად არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ ისინი განსხვავდებიან დანარჩენი ტუჩიანი დოქებისგან, როგორც პირის მოყვანილობით, ისე ზედაპირის დამუშავებით (G.N.: კატ. № 358,359-361).

მეორე ქვესახეობის ჭურჭლები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდისფროდ, ზედაპირი ანგობირებული, გაპრიალებული და მოხატულია წითელი საღებავით (G.N.: კატ. № 358-361). ზედაპირის გაფორმებით ისინი ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისში გავრცელებულ ჭურჭლებს ემსგავსებიან და აღნიშნული პერიოდით უნდა დათარიღდნენ

ტუჩიანი ჭურჭლები ყველაზე დიდი რაოდენობით ძვ.ნ V ს-ის დასაწყისიდან ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისამდე არის გავრცელებული. იშვიათია ძვ.ნ. III საუკუნესა და ძვ.ნ. II ს-ის დასაწყისში და კვლავ ჩნდებიან ძვ.ნ. II-I ს-ის პირველ ნახევარში, შემდგომ მათი რაოდენობა თანდათან მატულობს. თუმცა მათი რაოდენობა ახ.ნ. III-IV სს-ში მკვეთრად მცირდება, შემდეგში თითქოს საერთოდ ქრება. ტუჩის გაფორმების თავისებურებანი შესაძლოა, ამ სახეობის დოქების სხვადასხვა წარმომავლობაზე მიუთითებდეს. ძვ.ნ V – ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისში გავრცელებული ჭურჭლები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ურარტულ და აქემენიდურ ჭურჭელთან და შესაძლოა მათი მიბაძვით იყოს შემოსული ქართლში. ძვ.ნ. III-II ს-ის დასაწყისში გავრცელებული ჭურჭელი, არ არის გამორიცხული, ელინისტურ სამყაროს უკავშირდებოდეს. რაც შეეხება ძვ.ნ. II-I ს-ის პირველ ნახევარში გავრცელებულ დოქებს, ისინი ალბათ, დაკავშირებული არიან ე.ნ. „სარკისებურად“ გაპრიალებულ ჭურჭლებთან და მათთან საერთო წარმომავლობა აქვთ. მათ განვითარებას უნდა წარმოადგენდნენ რაც შეეხება ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარი-დან ახ.ნ. III-IV სს-მდე გავრცელებულ ამ სახეობის ჭურჭლებს, როგორც ჩანს, ისინი რომაული ხანის, ოინოხოიას ტიპის ჭურჭლების მიბაძვით არის დამზადებული და ქართლში წელ-

თაღრიცხვათა მიჯნიდან ვრცელდება. ახ.ნ. IV საუკუნიდან ვრცელდება მაღალყელიანი ტუჩიანი დოქები (სურა) და ხელადები, რომელთა მსხლისებური კორპუსი ხშირი ტალღისებური ორნამენტითაა შემკული.

სფერულტანიან და მრგვალპირიან დოქებში (G.N.: კატ. № 363-456-458,460,461,535,537, 541,545,547,549,551-554,557,559,560,567,569, 570,574-577) ორ სახეობა გამოიყოფა: 1. პირსწორი (G.N.: კატ. № 363-365,367-372) და 2. პირგადაშლილი.

პირსწორ დოქებში ორი ქვესახეობა გვხვდება: 1. ცილინდრულყელიანი და 2. ტრაპეციის ფორმის ყელით (G.N.: კატ. № 545). აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ პირსწორ დოქებში (G.N.: კატ. № 363-365,367-370) გვხვდება ისეთი ცალები რომლებსაც ყურის პირთან მიერთების ადგილზე ორი კოპი აქვს დაძერნილი (G.N.: კატ. № 371,372). ასეთი შემკულობა სფერულტანიან დოქებშიც გვხვდება (იხ. ქვემოთ). პირსწორი დოქების ცილინდრულყელიანი ქვესახეობის ჭურჭლები გავრცელებულია ძვ.ნ V ს-ის დასაწყისი – ძვ.ნ. IV ს-ში (G.N.: კატ. № 363-365, 367-372). პირის გაფორმების მიხედვით მსგავსია მხრიანი დოქებისა, რომლებიც ასევე თარიღდება. ასეთი ჭურჭლები დამზადებულია განლექილი თიხისაგან გამომწვარია მონაცრისფროდ (G.N.: კატ. № 369,372), მოჩალისფროდ (G.N.: კატ. № 370, 371), მოვარდისფროდ (G.N.: კატ. № 363,364,365,367,378).

სფერულტანიანი და მრგვალპირიანი დოქების მეორე სახეობაში ერთიანდება პირგადაშლილი დოქები (G.N.: კატ. № 373-454,456-458,460,461,535,537,541,547,549,551-554,557,559,560,567,569,570,574-577), რომელშიც ყელის გაფორმების მიხედვით ორი ქვესახეობა გამოიყოფა: 1. ცილინდრულყელიანი (G.N.: კატ. № 373-454,456-458,460, 461,474,476,477,490,491,495-499,502, 503,567,569,570,574-577) და ტრაპეციის ფორმის ყელით (G.N.: კატ. № 547,549,551-554,557).

ცილინდრულყელიან დოქებში ორი ვარიანტი გვხვდება: 1. დოქები შეთხელებული

ქობით (G.N.: კატ. № 373-380,383-385,387-392,394,399,400,402,413-428,430,431,435,436,438,439,441,444-446,450-453,535,537,541,559,560,569,570,575-577), 2.დოქები შესქელებული ქობით (G.N.: კატ. № 393,396,398,404,406-412,429,432,433,437,442,443,448, 449,456-458, 460,485).

დოქებს, რომელთაც შეთხელებული ქობა აქვთ, ცალკეული სეგმენტების გაფორმების მიხედვით, გარკვეული თავისებურება ახასიათებს. ზოგიერთ ჭურჭელს ყურის პირთან მიერთების ადგილას ორი კოპი აზის (G.N.: კატ. № 535,537,541), ზოგიერთს კი მუცელზე დაძერწილი კოპების რიგი შემოუყვება (G.N.: კატ. № 416).

სფერულტანიანი, მრგვალპირიანი და შეთხელებულბაკონიანი დოქები გავრცელებულია ძვ.წ V ს-ის დასაწყისსა ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრში

(G.N.: კატ. № 373,375 - 377,379 - 381,383 - 385,387,389,392,400,402,416,418,419,441,446,490,498,559,560), ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი (G.N.: კატ. № 374,378,391,435,445,474,476,477,497,502,503,535,537,541, 575,576,577), ძვ.წ. III საუკუნე – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი (G.N.: კატ. № 413,414,420,422-425,427-431), ძვ.წ. II საუკუნე – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი (G.N.: კატ. № 388,415) და ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II საუკუნე (G.N.: კატ. № 390,394,399,417,421,426,435,438, 439,444,450-453,491,495,496) ქრონოლოგიურ ჯგუფში. ამ ტიპის ჭურჭლების ნაწილი მუქად (G.N.: კატ. № 373,375-377,380,381,384-387,394,416-418,421,426,438,445,495,496,499), ზოგი არათანაბრადაა გამომწვარი (G.N.: კატ. № 446), ზოგიერთის ზედაპირი გაპრიალებულია (G.N.: კატ. № 389,399,438). მოვარდისფროდ გამომწვარი ცალების ზედაპირი გაპრიალებული (G.N.: კატ. № 374,383,402,419,445,477,491,497,535,537,541), ანგობირებული (G.N.: კატ. № 422,423,425,431), წითლად შეღებილი (G.N.: კატ. № 388,392,415,424,427,428,430,441,476,502,503), მოხატული (G.N.: კატ. № 378,379,420,435,450-

453,474,559,560,569,570,575-577) ან ხაოიან-ზედაპირიანია (G.N.: კატ. № 436,439,444).

სფერულტანიანი, მრგვალპირიანი და შეთხელებულბაკონიანი დოქები ძვ.წ V ს-ის დასაწყისდან მოკიდებული, ყველა ქრონოლოგიურ ჯგუფში გვხვდება, თუმცა მათ შორის გარკვეული განსხვავება შეინიშნება. მაგ. მუქად გამომწვარი ჭურჭლები მხოლოდ ძვ.წ V – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში და ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეებში გვხვდება.

ძვ.წ V - III ს-ის დასაწყისის ჭურჭლები მსხვილმარცვლოვანი თიხისგანაა დამზადებული, გამომწვარია რუხად, მონაცრისფროდ, მოყავისფროდ, ღია წაბლისფრად. ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეებში გავრცელებული ჭურჭლები კი კარგად განლექილი თიხისგანაა დამზადებული და გამომწვარია შავად. ისინი კეცის დამუშავებით „სარკისებურზედაპირიანი“ ჭურჭლების მომდევნო, შავად გამომწვარი ჭურჭლების მსგავსია და ერთნაირად თარიღდებიან. ზოგიერთი ჭურჭლის ზედაპირი, მართალია, გაპრიალებულია (G.N.: კატ. № 399,438), მაგრამ მათ „სარკისებრი“ ბრწყინვალება არა აქვთ და არც გაპრიალებული ხაზებითაა შემკული.

ასეთივე განსხვავება შეინიშნება მოვარდისფროდ გამომწვარ ჭურჭლებშიც, რომლებიც ძვ.წ. V საუკუნიდან მოკიდებული ყველა ქრონოლოგიურ მონაკვეთში გვხვდება. ძვ.წ. V ს-დან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე გავრცელებული ცალები მუქად (მონაცრისფროდ, ღეგად) გამომწვარ ჭურჭლებთან შედარებით, კარგად განლექილი თიხისაა. ღლინისჭური ხანის ჭურჭლის თიხა კი, წინამორბედი ხანის წითელკეციან კერამიკასთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხისაა და პრაქტიკულად არავითარ მინარევს არ შეიცავს. ამასთან მათი კეცის ფერი უფრო მუქია და მოწითალო ფერი დაჰკრავს, ვიდრე ადრეულებს, რომელთა კეცის ფერიც მოყვითალოდან წითლამდე მერყეობს. ამასთან ძვ.წ V-III ს-ის დასაწყისის ჭურჭლების საღებავი უფრო მუქი ფერისაა, ვიდრე შემდგომი ხანისა. ძვ.წ. III-II ს-ის დასაწყისის დოქები (გარდა უფლისციხეში აღმოჩენილი ცალისა

(G.N.: კატ. № 420), რომელიც შეიძლება მოგვიანოც იყოს) ყველა (მხედველობაში გვაქვს სამადლოს ნაქალაქარზე აღმოჩენილი დოქები, რომელთა პირის ფორმაც გარკვეულია) გაპრიალებულზედაპირიანი, ანგობირებული ან შეღებილია წითელი სალებავით. რაც შეეხება ძვ.წ. V-III ს-ის დასაწყისის მოხატულ დოქებს ყველა მათგანზე მოხატულობა გაპრიალებულ ან ანგობირებულ ზედაპირზეა შესრულებული, ძვ.წ. II-1 ს-ის პირველ ნახევარში, სალებავი ხაოიან ზედაპირზეა დატანილი. ამასთან, ძვ.წ. V - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ე.წ. „სამკუთხედებით მოხატული“ დოქებია გავრცელებული. ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეში კი მოხატვის სხვა, „სამთავროს სტილია“ (პარალელური ტალღისებური სარტყლები და ნერტილები) დამახასიათებელი. თვით ქობის კიდის გაფორმებაშიც შეინიშნება გარკვეული განსხვავება. მაგ. ძვ.წ. V-III ს-ის დასაწყისის ჭურჭლების კეცი ქობასთან მკვეთრად არის შეთხელებული, ძვ.წ. II – ახ.წ. II საუკუნების დოქებში კი ქობის სისქე თითქმის კეცის სისქის ტოლია. ახ.წ. I საუკუნეში ჩნდება დაკუთხული ქობა, რომელიც დიდხანს შემორჩა ყოფაში.

სფერულტანიანი, მრგვალპირიანი და ცილინდრულყელიანი იმ დოქებში, რომლებსაც შეთხელებული ბაკო და ტანთან შედარებით მაღალი ყელი აქვთ, ცალკე გამოყვავით დოქები (G.N.: კატ. № 575,577), რომლებიც თავისი საერთო ფორმით მაინც განსხვავდებინ დანარჩენი დოქებისაგან. ამ ფორმის დოქები ქართლის არქეოლოგიურ მასალაში ჩვენთვის ცნობილი არ არის. ისინი დიდ მსგავსებას იჩენენ ვანში № 10 სამარხში აღმოჩენილ დოქთან, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის მიწურულით თარიღდება [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 212-213, სურ. 180; ლორთქიფანიძე და სხვა. 1981: 38, სურ. 79; ლორთქინიძე და სხვ. 1983: გვ. 91-92, სურ. 77-5, 78-3]. ამ ფორმის დოქები ქართლში და კოლხეთში ფართოდ არ ჩანს გავრცელებული

სფერულტანიანი, მრგვალპირიანი და ცილინდრულყელიანი მეორე ქვევარიანტის დოქებს შესქელებული ქობა აქვთ (G.N.: კატ. № 420, რომელიც შეიძლება მოხატვის სალებავით. მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლების ზედაპირის გაფორმებაში გამოიყოფა კაზრეთში აღმოჩენილი კერამიკის ერთი ჯგუფი (G.N.: კატ. № 404,406-412), რომლებიც უფრო შეღებილ ჭურჭლებს უნდა მივაკუთვნოთ, ვიდრე მოხატულს. მოხატულ

393,396-398,404,406-412,429,432,433, 437,442, 443,448,449,456-458,460,485). ალექსეევკაში და ღრმახევისთავში (G.N.: კატ. № 393,397) აღმოჩენილ ცალებს კი აქვთ შესქელებული ქობა, მაგრამ დანარჩენი ცალებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათი დაკუთხული ქობის კიდე ცერად არის წაკვეთილი, მაშინ, როდესაც გვიანდელებს ეს ადგილიც დაკუთხული აქვთ. კაზრეთში აღმოჩენილი ამ სახეობის დოქები (G.N.: კატ. № 404-412) მუცლის ფორმით გვანან კავთისხევში აღმოჩენილ დოქებს (G.N.: კატ. № 413-414), თუმცა, ეს უკანასკნელები მათგან განსხვავდება შეთხელებული ქობით, რაც მათ ადრეულობაზე მიუთითებს. კავთისხევის ეს ცალები დაბალი ყელით და ბურთისებური ტანით განსხვავდებიან ძვ.წ. V-IV ს-ში გავრცელებული დოქებისგან და ესეც მათი გვიანდელობის მანიშნებელია. №№ 413-414 დოქები პირ-ყელის მოყვანილობით გვანან სამადლოს ნაქალაქარზე აღმოჩენილ დოქებს (G.N.: კატ. № 422-425,427-431). ამდენად ჩვენი აზრით, მათი თარიღი ძვ.წ. III-II ს-ის დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

სფერულტანიანი, მრგვალპირიანი, ცილინდრულყელიანი დოქები, რომლებსაც შესქელებული ქობა აქვთ გვხვდება ძვ.წ V – IV ს-ის პირველ ნახევარში (G.N.: კატ. № 397), ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში (G.N.: კატ. № 393), ასევე ძვ.წ. II – ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევარსა (G.N.: კატ. № 404,406-412,429,433,448), ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში – ახ.წ. II საუკუნები (G.N.: კატ. № 396,398,432,437,442,229,456-458,460). ასეთი ჭურჭლების დიდი ნაწილი მოვარდისფროდ არის გამოწვარი (G.N.: კატ. № 429,442,443,449), რომელთა ზედაპირი შეღებილი (G.N.: კატ. № 393,437,448457), ანგობირებული (G.N.: კატ. № 433) ან მოხატულია (G.N.: კატ. № 456) წითელი სალებავით. მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლების ზედაპირის გაფორმებაში გამოიყოფა კაზრეთში აღმოჩენილი კერამიკის ერთი ჯგუფი (G.N.: კატ. № 404,406-412), რომლებიც უფრო შეღებილ ჭურჭლებს უნდა მივაკუთვნოთ, ვიდრე მოხატულს. მოხატულ

ჭურჭლებზე დეკორი საღებავით არის დატანილი, კაზრეთში დოქები კი პირიქით - ტანი შეღებილია და ადგილ-ადგილ დატოვებულია შეუღებავი სარტყლები, რაც მოხატულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მათთან ერთად არის აღმოჩენილი მთლიანად შეღებილი ცალი (G.N.: კატ. № 405), რომელიც ფორმით არ განსხვავდება მათგან. ჩვენ, ამ ჭურჭლებს თავდაპირველად შეღებილი ჭურჭლების რიგში ვათავსებდით, თუმცა, აღნიშნული გვქონდა, რომ თუ ამ დოქებს მაინც მოხატულ ჭურჭლებად ჩავთვლით, ისინი სულ სხვა სტილით მოხატულ ჭურჭლებად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე დანარჩენი, დღემდე ცნობილი, მოხატულობაა. მოგვიანებით, ამგვარად შემკული ჭურჭლები მოხატული კერამიკის „კაზრეთის სტილს“ მივაკუთვნეთ [წარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002]

მესამე ტიპის, მსხლისებურტანიანი დოქებში ორი ქვეტიპი გვხვდება 1. ნისკარტიანი (G.N.: კატ. № 462-469, 571, 573) ან 2. მრგვალპირიანი.

ნისკარტიანი დოქები მხოლოდ ერთი სახეობით არის წარმოდგენილი. მრგვალპირიან დოქებში (G.N.: კატ. № 459, 470-472, 475, 478-481, 483, 484, 486-489, 492-493, 500, 501, 504-513, 534, 538-540, 542, 544) ორი სახეობა გამოიყოფა: 1. ცილინდრულყელიანი, რომელსაც უმრავლესობა მიეკუთვნება და 2. დოქები ტრაპეციის ფორმის ყელით (G.N.: კატ. № 533, 535, 543, 545, 550), რომელთაც ყურზე ორი კოპი აქვთ დაძერწილი. ერთი ასეთი ჭურჭელი უკოპოა (G.N.: კატ. № 550).

ცილინდრულყელიანი დოქებში, ქობის გაფორმების მიხედვით, გამოიყოფა ორი ქვესახეობა: 1. შეთხელებულქობიანი, რომელსაც დოქების აბსოლუტური უმრავლესობა მიეკუთვნება და 2. შესქელებულ და დაკუთხულქობიანი (G.N.: კატ. № 479, 480, 482, 494). ამ უკანასკნელი ქვესახეობის დოქებში გვხვდება ისეთი ცალები, რომელთაც ყურის პირთან მიერთების ადგილზე ორი კოპი აქვს დაძერწილი (G.N.: კატ. № 481, 534, 538, 539, 542, 544).

მსხლისებურტანიანი ნისკარტიანი ქვეტიპის ჭურჭლები გვხვდება ძვ. ნ. V – ძვ. ნ.

III ს-ის დასაწყისში (G.N.: კატ. № 462-469). ეს ჭურჭლები დამზადებულია მინარევებიანი თიხისგან, გამომწვარია ლეგად (G.N.: კატ. № 462, 464), არათანაბრად (G.N.: კატ. № 463) ან მოვარდისფროდ (G.N.: კატ. № 465-469).

მსხლისებურტანიანი, მრგვალპირიანი და შეთხელებულქობიანი დოქები გავრცელებულია ძვ. ნ. V – III ს-ის დასაწყისში (G.N.: კატ. № 459, 471, 472, 470, 475, 478, 481, 483, 484, 492, 501, 504 - 513) და ძვ. ნ. I ს-ის მეორე ნახევარი - ახ. ნ. II საუკუნეებში (G.N.: კატ. № 479, 480, 482, 486, 487, 489, 493, 494, 500). გვხვდება მუქად (G.N.: კატ. № 459, 478, 479, 483, 486, 492, 494, 504, 505), მოჩალისფროდ (G.N.: კატ. № 472, 507) და მოვარდისფროდ (G.N.: კატ. № 470, 471, 475, 480-482, 484, 487, 489, 493, 500, 501, 506, 509-513) გამომწვარი ცალები. მოვარდისფროდ გამომწვარი ცალების ნანილი შეღებილი (G.N.: კატ. № 470-475, 482, 487, 489, 500, 501, 510, 512) ან მოხატულია (G.N.: კატ. № 506).

მსხლისებურტანიანი, მრგვალპირიანი და შესქელებულქობიანი დოქები ძვ. ნ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ. ნ. II საუკუნეებშია გავრცელებული. გვხვდება შავად (G.N.: კატ. № 479, 494) და მოვარდისფროდ (G.N.: კატ. № 480, 482) გამომწვარი ცალები. ისინი პირის გაფორმებით მსგავსია სფერულტანიანი, მრგვალპირიანი, ცილინდრულყელიანი და შესქელებულქობიანი დოქებისა, რომლებიც ამავე პერიოდს მიეკუთვნებიან. როგორც ვხედავთ მსხლისებურტანიანი დოქები ძირითადად V-IV სა-სა და ძვ. ნ. I ს-ის მეორე ნახევარი - ახ. ნ. II საუკუნეებშია გავრცელებული. რაც შეეხება ძვ. ნ. V – IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ დოქებს, მიგვაჩნია, რომ ისინი ძირითადად მის მეორე ნახევარში უნდა იყვნენ გავრცელებული (ამაზე ქვემოთ), ისე, რომ ადრეული, მსხლისებურტანიანი დოქების თარიღად, ძირითადად, ძვ. ნ. IV საუკუნე უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მათი ფართო გავრცელება მის მეორე ნახევარში ვივარაუდოთ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძვ. ნ. V – IV ს-ის პირველ ნახევრში გავრცელებული მხრი-

ანი დოქების პროპორციების თანდათანობით დაგრძელების შედეგად ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – III ს-ის დასაწყისში ძირითადად მსხლისებურტანიანი დოქები გვხვდება (სფერულტანიანი დოქები ყველა ქრონოლოგიური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი). ძვ.წ. III – ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევარში არც მხრიანი და არც მსხლისებურტანიანი დოქები არ გვხვდება. სამადლოს ნაქალაქარზე აღმოჩენილ დოქებს (G.N.: კატ. № 422-425, 427-431) დაბალი ყელი და სფერული ტანი აქვთ, ისევე როგორც ძვ.წ. II – ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევარში გავრცელებული დოქების ერთ სახეობას (G.N.: კატ. № 404-414). ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარის დასაწყისში ისევე ჩნდება მხრიანი დოქები და მაღლე ნამყვანი ფორმა ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ და გვიანდელ მხრიან დოქებს საერთო ფორმა აქვთ, მათ შორის გარკვეული განსხვავებაც შეინიშნება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ ცალებს უფრო ფართო პირი და ყელი აქვთ. ამასთან ადრეული ცალების ქობა ყოველთვის შეთხელებულია და ქობის კიდე კეცის სისქეზე თხელია. გვიანდელ ცალებს კი შესქელებული და დაკუთხული ქობა აქვთ. გვხვდება შეთხელებულქობიანი ცალებიც, მაგრამ მათი სისქე კეცის სისქისგან დიდად არ განსხვავდება. ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II საუკუნის ჭურჭლებს უფრო ვიწრო პირი და ყელი აქვთ. მათ შორის განსხვავება ზომებშიც შეინიშნება, ადრეული ცალები უფრო დიდებია, ვიდრე მოგვიანო. განსხავავება შეინიშნება თიხის სტრუქტურაშიც. რაც უკვე აღნიშნული გვქონდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ტექნოლოგიური სხვაობა ყველა ტიპის ჭურჭლს ახასიათებს (ამაზე ქვემოთ).

ბოლოს გვინდა განვიხილოთ დოქები, რომელთაც ტრაპეციის ფორმის ყელი აქვთ და დოქები, რომლებსაც ყურის პირთან მიერთების ადგილზე ორი კოპი აზით. ძვ.წ. V – III ს-ის დასაწყისის ასეთი დოქების თარიღებს ფორმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. მხრიანი დოქები, რომელთაც გადაშლილი პირი და

ტრაპეციის ფორმის ყელი აქვთ, მხოლოდ ძვ.წ. V – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარში გვხვდება. ორი მათგანი გამომწვარია მუქად (G.N.: კატ. № 548, 555). ერთი მოვარდისფროდაა გამომწვარი და შეღებილია (G.N.: კატ. № 556). სფერულტანიანი, პირსწორი დოქი, რომელსაც ტრაპეციის ფორმის ყელი აქვს და გამომწვარია მოჩალისფროდ, ერთი ცალია აღმოჩენილი და ძვ.წ. V-IV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება (G.N.: კატ. № 545). სფერულტანიანი დოქები, გადაშლილი პირით და ტრაპეციისებური ყელით დამზადებულია მინარევებიანი თიხისგან და გამომწვარია მუქად (G.N.: კატ. № 547, 549, 551-554, 557). ყველა მათგანი გავრცელებულია ძვ.წ. V – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარში.

მსხლისებურტანიანი, მრგვალპირიანი და ტრაპეციისებურყელიანი დოქები (G.N.: კატ. № 533, 536, 540, 543, 546, 550) ძვ.წ. V-III ს-ის დასაწყისშია გავრცელებული. ერთი მათგანი (G.N.: კატ. № 550) გამომწვარია მუქად, დანარჩენი მოვარდისფროდ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – III ს-ის დასაწყისის ყველა დოქს ყურთან ორი კოპი აზის.

სფერულტანიანი, ცილინდრულყელიანი, მრგვალპირიანი და პირსწორი დოქები, რომლებსაც ყურის პირთან მიერთების ადგილზე ორი კოპი აქვს დაძერწილი (G.N.: კატ. № 371, 372) ძვ.წ. V-IV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. ერთი მათგანი გამომწვარია მუქად (G.N.: კატ. № 371), მეორე მოჩალისფროდ (G.N.: კატ. № 372)

სფერულტანიანი, ცილინდრულყელიანი, მრგვალპირიანი და პირგადაშლილი დოქები შეთხელებული ქობით ძვ.წ. V – ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში თავსდება, ყველა მათგანი (G.N.: კატ. № 535, 537, 541) გამომწვარია მოვარდისფროდ.

მსხლისებურტანიანი მრგვალპირიანი და ცილინდრულყელიანი დოქები შეთხელებული ქობით ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება. ყველა მათგანი (G.N.: კატ. № 481, 534, 538, 539, 542, 544) გამომწვარია მოვარდისფროდ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლში გათხრილ ძეგლებზე გამოვლენილი დოქების აბსოლუტურ უმრავლესობას ცილინდრული ყელი (ყოველთვის როცა ცილინდრულ ყელზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს შეზნექილი ცილინდრის ფორმის ყელი) აქვთ. დოქების მთელ მასაში გამოიყოფა ცალები, რომელთაც ტრაპეციის ფორმის ყელი აქვთ და პირთან და მუცელთან მიერთების ადგილი მკვეთრად არის გამოყოფილი. ასეთი დოქები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი და როგორც ჩანს, დროის კონკრეტულ მონაკვეთში არსებობენ. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ყველა მათგანი ძვ.წ. V-VI სს დათარილებულ ძეგლებზეა აღმოჩენილი. როგორც ჩანს, მათ შორის ყველაზე ადრეულია მხრიანი დოქები, რომელებიც პირგადაშლილია და ტრაპეციის ფორმის ყელი აქვთ. მათი თანადროული უნდა იყოს ის სფერულტანიანი დოქები, რომელებიც პირგადაშლილია. მათ განვითარებულ სახეს წარმოადგენს სფერულტანიანი პირსწორი დოქი, რომელსაც მუცელი უკვე დაბლა აქვს დაწეული და მსხლისებურტანიანებს ემსგავსება. ის პირის გაფორმების მიხედვით (პირსწორია) ადრეულ ცალებს ჩამოჰვავს. ამდენად, ამ სახეობის დოქები მხრიანი, პირგადაშლილი და სფერულტანიანი, მრგვალპირიანი, პირგადაშლილი დოქების სახეობიდან, მსხლისებურტანიან, მრგვალპირიან დოქებზე გარდამავალ სახეობად უნდა მივიჩნიოთ. ყველაზე მოგვიანო კი ჩანს მსხლისებურტანიანი დოქები, რომლებსაც ტრაპეციის ფორმის ყელი აქვთ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხრიანი დოქები, რომელთაც პირგადაშლილი პირი აქვთ და სფერულტანიანი, მრგვალპირიანი, პირგადაშლილი დოქები რომელთაც ტრაპეციის ფორმის ყელი აქვთ ყველაზე ადრეულია და ძვ.წ. V ს-ს მიეკუთვნებიან.

ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში უნდა ინ-ყებდნენ გავრცელებას სფერულტანიანი, პირსწორი დოქების ის სახეობა რომელთაც უკვე ორი კოპი აქვთ. ამავე დროს ინყება ჭურჭლების პროპორციების დაგრძელება. ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებში კი ვრცელდება მსხლისებურ-

ტანიანი მრგვალპირიანი დოქები, რომელთაც ტრაპეციის ფორმის ყელი და კოპებით შემკული ყური აქვთ. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში კი უკვე ორი კოპით შემკული მსხლისებურტანიანი და ცილინდრულყელიანი ტიპის ჭურჭლები გვხვდება.

ზევით აღწერილი ყველა ტიპის დოქებში სხვადასხვა სეგმენტების შემკობის მიხედვით გამოიყოფა მცირე ზომის ხელადების ორი ვარიანტი - ე.წ. ყელწიბოიანი და კოპებიანი ხელადები.

პირველი ვარიანტის ჭურჭლებს ორი სახის ნიბო აქვთ. ერთ შემთხვევაში ნიბო წარმოქმნილია ყელის თანაბრად გამობერვის, მეორე შემთხვევაში კი ჭურჭლის ყელზე თიხის ზოლის დაძერწვის შედეგად.

გამობერილი ნიბოს უადრესი ნიმუშია ნაცარგორას დოქი (ტაბ. XXXII-15), რომელიც III ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება. ამგვარად შემკული დოქები IX ქრონოლოგიურ ჯგუფშიც გვხვდება (ტაბ. XXXIX-6,7; XL - 6).

დოქის ყელზე დაძერწილი ნიბოს ადრეული ნიმუშებიც III ქრონოლოგიური ჯგუფში ჩნდება (G.N. 319, 379), თუმცა, ჭურჭლის შემკობის ეს მეთოდი VII ქრონოლოგიურ ჯგუფიდან ინყებს გავრცელებსა. VII ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთი ნიბო უჩნდება ვიწრო და მაღალყელიან, მცირე ზომის ხელადებს. ჭურჭლების შემკობის ეს ნესი განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება III-IV საუკუნეებში (VIII ქრ. ჯგუფი). ამ პერიოდის ყელწიბოიანი ხელადების პირი ფართოა, ყელი კი დაბალი, რომელზეც ერთი რელიეფური ნიბოა გამოვანილი. ამავე ქრონოლოგიური ჯგუფის მეორე ნახევარში ასეთ ხელადებს ორი ნიბო უჩნდება (ტაბ XXXV, 9-16; XL - 1, 7-9). VII ქრონოლოგიურ ჯგუფში ნიბო უჩნდება დიდი ზომის დოქებსა და ორყურა ჩაფებს (XXVIII, 2-6).

დოქებსა და ხელადებზე კოპები/ბურცობები გვხდება როგორც დაძერწილი, ისე შიგნიდან მყარი საგნით გამობელი ბურცობის, კოპის სახით. ჭურჭლის ტანზე დაძერწილი ბურცობებით შემკობის მეთოდი III ქრონოლოგიური ჯგუფიდან გვხვდება (G.N. №416),

თუმცა, ის ფართოდ არ გავრცელებულა.

გამობურცვის საშუალებით წარმოქმნილი კოპებით შემკული ჭურჭლები ფართოდ არის გავრცელებული VII - VIII ქრონოლოგიურ ჯგუფებში (ტაბ. XXXV, 1-8; XXXVIII, 7,10, 13-15).

ზემოთ აღნიშნული ამ მეთოდებით შემკული მცირე ზომის ხელადები, ასევე შეიძლება ხელადისებურ სასმისებად განვიხილოთ.

XVII. ტოლჩა/კათხა (ტაბ. XLI- XLIII). თიხის ან ლითონისაგან დამზადებული სითხის მოსახმარად გამოსაყენებელი საყოველდღეო ჭურჭელი. თიხის ტოლჩა ცალყურიანია, მას სწორი ან ოდნავ გადაშლილი პირი, მაღალი ტანი და ფართო ბრტყელი ძირი აქვს. ამ ტიპის ჭურჭლები ძირითადად I – III ქრონოლოგიურ ჯგუფებში, ძირითადად ძვ.ნ. VII-VI სს-შია იყო გავრცელებული, თუმცა შემდგომი პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზეც გვხვდება.

ყველა ტოლჩას ბრტყელი ძირი აქვს. იშვიათად გვხვდება ცალები, რომლებსაც შესქელებული მასიური ქუსლი აქვთ. ისინი მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, ხელითაა ნაძერწი და ტლანქია [ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. IV-762, LXXII-1470]. კათხისებური სასმისები

ტოლჩები სამ ტიპად იყოფა: 1. მუცელგამობერილი; 2. მუცელშეზნექილი და 3. ბიკონუსური მუცლით.

პირველი ტიპის ჭურჭლებს მუცელი გამობერილი აქვს, პირმოყრილია, ყური კალთაზე აქვს მიძერწილი [დავლიანიძე სადრაძე 1993: ტაბ. XXIX-5; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. XI-900,921, XV-947, XXVIII-1058, XXIX-1067, XXXI-1087, XXXV-1131, LIV-1306, LIX-1353, LXV-1412].

მეორე ტიპისას ტოლჩისებურ სასმისებს ცილინდრული, შიგნით შეზნექილი ტანი აქვთ, პირის და ძირის დიამეტრიც თითქმის თანაბარია [ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. XI-902, XVIII-972, XXXVIII-1056, LV-1323, LXII-1380].

მესამე ტიპის ჭურჭლებს გადაშლილი პირი, შიგნით შეზნექილი კორპუსი, ძირთან ახლოს გარეთ გამოზიდული ბიკონუსური

მუცელი აქვთ. ამ ქვეტიპის ჭურჭლების ერთ ნაწილს წაგრძელებული ტანი აქვს [ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. LXXXIII-3, LXXXVI-8; ტაბ. LII-1308, LI-1313, LXXIII-1491], მეორე ნაწილის სიმაღლე და მუცლის დიამეტრი თითქმის თანაბარია [დავლიანიძე სადრაძე 1993; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. XVIII-971, XIX-979, XXV-1041, XXX-1079, XX-XIX-1161].

XVIII. სასმისი (ტაბ. XLIII- XLIV). სუფრის, ყოველდღიურად სახმარი ჭურჭელია. ამ დანიშნულებით აღბათ ტოლჩა/კათხაც გამოიყენებოდა. სასმისები ფორმის მიხედვით თოხ ტიპად იყოფა: 1. ხელადისებური, 2. ჭიქისებური, 3. ქოთნისებური, 4. კათხისებური.

ხელადისებური სასმისებისთვის დამახასიათებელია ფართო, გარეთ გადამლილი პირი, დაბალი ყელი, მომრგვალებული ან ბიკონუსური მუცელი და ბრტყელი ძირი. მრგვალგანიველიანი ყური მიძერწილია მუცელზე. გვხვდება მოვარდისფროდ გამომწვარი (G.N.: კატ. № 605-609,614,651,700, 704), რომელთა შორის არის მოხატული ეგზემპლარებიც (G.N.: კატ. № 505-509) და შავად გამომწვარი ცალები (G.N.: კატ. № 610,611,615-618,645,652,702,703).

ხელადისებურ სასმისებში უნდა გამოიყოს ორი ქვეტიპი: 1. ბიკონუსურ ტანიანი (G.N.: კატ. № 613). ასეთი სასმისი ერთი ცალია აღმოჩენილი კავთისხევში და ძვ.ნ V – IV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. 2. მომრგვალებულტანიანი სასმისები (G.N.: კატ. № 605-612,614-618,646,651, 652, 700,703) ძვ.ნ. II – ახ.ნ. II საუკუნეს მიეკუთვნება. ძვ.ნ. II – ძვ.ნ. I ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს ყველა ის ჭურჭელი, რომლებიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ზედაპირი „სარკისებურად“ აქვთ გაპრიალებული და ტანზე წნევით ამოღარული და გაპრიალებული სარტყლები დაუყვება (G.N.: კატ. № 610-612,615,618,652). შავად გამომწვარი ჭურჭლები არსებობას განაგრძობენ ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.ნ. II საუკუნეშიც, მაგრამ მათი ზედაპირი უკვე დაუდევრად

არის გაპრიალებული. მათ აღარ ახასიათებს წნევით ამოღარული და გაპრიალებული სარტყელები (G.N.: კატ. № 616,617,646,703). ამავე ჰერიოდში გვხვდება მოვარდისფროდ გამომწვარი ცალებიც, რომელთა ზედაპირიც ხაოიანია (G.N.: კატ. № 614,651,700,704) და მოხატულობაც ხაოიან ზედაპირზეა შესრულებული (G.N.: კატ. № 605-609). ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ხელადისებური სასმისი იშვიათია. ერთი ამგვარი ჭურჭელი ნარეკვავის ნამოსახლარზეა აღმოჩენილი [ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007:13,19, ტაბ. IV-761]. ის უხეშეციანია და მონაცრისფრო-მოყავისფროდაა გამომწვარი.

ჭიქისებურ სასმისებში გამოიყოფა ოთხი ქვეტიპი: 1. წაგრძელებულტანიანი, 2. მომრგვალებულტანიანი, 3. ვერტიკალურკალთიანი და 4. ცილინდრული.

წაგრძელებულტანიანი, ჭიქისებურ სასმისებში ორი სახეობა გამოიყოფა: 1. სასმისები, რომელთაც მრგვალგანივევეთიანი ყური პირსა და მუცელზე აქვთ მიძერნილი (G.N.: კატ. № 626,628,629,631). ამ სახეობის სასმისები ძვ.წ V - III ს-ის პირველი დასაწყისში (G.N.: კატ. № 626,629,631) გვხვდება; 2. ჭიქისებური სასმისები, რომლებსაც მრგვალგანივევეთიანი ყური პირსქვემოთ და მუცელზე აქვთ მიძერნილი (G.N.: კატ. № 625). ამ სახეობის სასმისი ერთი ცალია აღმოჩენილი კავთისხევში და ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება.

მომრგვალებულტანიანი, ჭიქისებურ სასმისებშიც ასევე ორი სახეობა გამოიყოფა: 1. სასმისები რომელთა ტანის დიამეტრი ნაკლებია, ვიდრე სიმაღლე (G.N.: კატ. № 622,623,630); ამ ქვეტიპის სასმისები ძვ.წ V – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარისათვის არის დამახასიათებელი; 2. სასმისები რომელთა ტანის დიამეტრი მეტია, ვიდრე სიმაღლე (G.N.: კატ. № 621,627). ამ სასმისებიდან ერთი ძვ.წ. II – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით (G.N.: კატ. № 621), მეორე კი (G.N.: კატ. № 627) ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II საუკუნეს მიეკუთვნება. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი მოვარდისფროდ არის გამომწვარი, ზედაპირი

ანგობირებული და გაპრიალებულია. მეორე კი მონაცრისფროა ხაოიანზედაპირიანი და, როგორც ჩანს, შავპრიალა კერამიკის გვიანდელ რეპლიკას წარმოდგენს.

ვერტიკალურკალთიანი ჭიქისებური სასმისები, რომელთა ტანის დიამეტრი მეტია, ვიდრე სიმაღლე (G.N.: კატ. № 620). ასეთი სასმისები ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარით და – ახ.წ. II საუკუნით თარიღდება.

ჭიქისებურ ცილინდრულ სასმისებში სამი სახეობა უნდა გამოიყოს: 1. სასმისები, რომელთა პირის დიამეტრი ოდნავ მეტია ძირის დიამეტრზე [დავლიანიძე სადრაძე 1993: ტაბ. XXX-3,4; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. LVI-1326] 2. სასმისები, რომელთა პირის დიამეტრი ნაკლებია ძირის დიამეტრზე [დავლიანიძე სადრაძე 1993: XXX-7, ტაბ. LIX-3,4], 3. სასმისები, რომელთა პირის და ძირის დიამეტრი თანაბარია [დავლიანიძე სადრაძე 1993: ტაბ. LXVI-2, LXXIX-3; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. XXIII-1013, XXXI-1088, XLI-1186, XLVII-1245,1249, XLIX-1269; LXXVI-1501].

ჭიქისებური ცილინდრული სასმისები ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე გვხდება. პირველ სახეობა მიეკუთვნება ერთი გამორჩეული, თასისებური ჭურჭელი [ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. XLI-1188]. ეს სასმისი წელშია გამოყვანილი და ამ ფორმის გამო არა მხოლოდ ამ ეპოქაში, არამედ მოგვიანებითაც იშვიათობას წარმოადგენს. ჭიქისებური ცილინდრული სასმისები ძირითადად მსხვილმარცვლოვანი თიხისაა და მონაცრისფროდ არიან გამომწვარი. თუმცა, გვხდება რუხი, ყავისფერი და ლეგა ცალებიც. მათი ზედაპირი სადაა, მეორე და მესამე სახეობის ზოგიერთი სასმისის ტანი გოფრირებულია ან ამოკანრული ორნამენტითაა შემკული. პირველი სახეობის სასმისების უმეტესობა ხელითაა ნაძერწი, მეორე და მესამე სახეობის კი, ძირითადად ჩარხზეა დამზადებული.

ქოთნისებური სასმისები ორ ქვეტიპად იყოფა: 1. პირგადაშლილი; 2. პირმოყრილი. პირველი ქვეტიპისათვის დამახასიათებელია ფართო, გარეთ გადაშლილი პირი, დაბალი,

გამოყვანილი ყელი, მომრგვალებული ტანი და ბრტყელი ძირი. მრგავლგანივცვეთიანი ყური მიძერნილია პირსა და მხარზე. ისინი ფორმით ძალიან გვანან ქოთნების ერთ ჯგუფს, მაგრამ მათგან განსხვავებით მცირე ზომისაა. ასეთი სასმისები ძირითადად ძვ.წ. VII-VI სს-ში გვხდება [დავლიანიძე სადრაძე 1993: ტაბ. XXXIX-1,2,3,4, LXIII-6, LXIX-4, LXXV-1; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. IV-763, V-764, VIII-863, IX-885, XII-910, XVI-953, XXXI-1093, XXXIV-1123, XXXVII-1137, 1157, XL-1177].

მეორე ქვეტიპის სასმისებს კი პირი მოყრილი აქვთ [დავლიანიძე სადრაძე 1993: ტაბ. XXIX-6, LVIII-3, LXXXIX-2; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. IV-762, IX-881; XVII-961,963, XXVII-1051, XL-1173]. ქოთნისებური სასმისები ძვ.წ. V-IV ს-ის პირველი ნახევარშიც არის გავრცელებული (G.N.: კატ. № 632-642,644,645). მათი უმრავლესობა მუქკეციანია; ერთია მოვარდისფროკეციანი (G.N. კატ. № 642). ქოთნისებური სასმისები შემდეგ პერიოდებში თითქოს აღარ გვხვდება.

კათხისებური სასმისები ერთი ტიპისა და ღრუქუსლიან მცირე ზომის ჭურჭლებს წარმოადგენენ [დავლიანიძე სადრაძე 1993: ტაბ. LXXXIII-3, LXXXVI-8; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. XIII-920,921,922; XV-945,950; XXI-999, XXXIII-1105, XXXIV-1122, LVI-1328, LXXVI-1502], რომლებიც კარგად განლექილი თიხისაა და ჩარხზეა დამზადებული. ამ ჭურჭლების უმეტესობას ორნამენტი ამკობს.

XIX. ლანგარი (ტაბ. XLV). ლანგარი დიდი ბრტყელი თეფშია, რომლის სიმაღლე 10 – 12 სმ-ს არ აღემატება, პირის დიამეტრი კი 25 სმ-ზე მეტია. გვხდება ხის, ლითონის და თიხის ლანგრები. თიხის ლანგრები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. მათ ფართო, ოდნავ გადამლილი პირი, პროფილირებული კიდე, მკვეთრად დაქანებული კალთები და პატარა, ბრტყელი ან მასიური ძირი აქვთ.

XX. ჯამი (ტაბ. XLV- XLVI). ჯამები სამზარეულო ჭურჭლის ყველაზე მრავალრიცხოვან სახეს მიეკუთვნება. მათ ახასიათებთ ფართო, მოყრილი, სწორი ან გადამლილი პირი,

მკვეთრად დაქანებული კალთები, ქუსლიანი ან უქუსლო (ბრტყელი) ძირი. ძირის გაფორმების მიხედვით ჯამები ორ ტიპად იყოფა: 1. ქუსლიანი და 2. უქუსლო.

ქუსლიან ჯამებში ორი ქვეტიპი გამოიყოფა: 1. მასიური ქუსლით და 2. რკალისებური ქუსლით. მასიურქუსლიანი ჭურჭლები წინამორბედი ხანის მსგავსი ჭურჭლების გვიანდელ ვარიანტს წარმოადგენენ, რკალისებურქუსლიან ჯამებს კი განვითარების დამოუკიდებელი ხაზი აქვთ (ამაზე ქვემოთ).

მასიურქუსლიან ჯამებში **ორი სახეობა** უნდა გამოიყოს: 1. ჯამები, რომელთაც ბრტყელი ქუსლი აქვთ და 2. ჯამები, რომელთა მასიური ქუსლიც ოდნავ შეზნექილია.

პირველი სახეობის მასიურქუსლიანი ჯამებს (G.N.: კატ. № 797,799,800,802,804,952) ფართო პირი, პროფილირებული კიდე, დაქანებული კალთები და მაღალი მასიური ქუსლი აქვთ. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომნვარია მუქად. ისინი იდენტურია ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერვინისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ჯამებისა და დიდი რაოდენობით გვხვდება ძვ.წ. VII-VI სს-ში [დავლიანიძე, სადრაძე 1993: XXXII-1; LXIII-3, LXXVII-6, LXXX-5; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: 318]. როგორც ფორმით, ისე ტექნოლოგით, მათ განვითარებას წარმოადგენენ ის მასიურქუსლიანი ჯამები, რომლებიც გადმონაშთის სახით გვხდება ძვ.წ. V ს-ის დასაწყისა და IV ს-ის პირველი ნახევარში (G.N.: კატ. № 799,911-915,961,970-972).

მეორე სახეობის ჯამები, რომელთა მასიური ქუსლი ოდნავ შეზნექილია (G.N.: კატ. № 798,801,803,967) [დავლიანიძე, სადრაძე 1993: XXXII-6, XLI-2, LXII-2, LXXIV-5] პირველი სახეობის ჯამებისაგან მხოლოდ ქუსლის შეზნექვით განსხვავდება. მათი დანარჩენი ფორმა და ტექნოლოგია ერთნაირია. შეზნექილქუსლიანი ჯამებიც ძირითადად ძვ.წ. VII-VI სს-შია გავრცელებული (G.N.: კატ. № 969) [დავლიანიძე, სადრაძე 1993: XXXII-6, XLI-2, LXII-2, LXXIV-5] და ძვ.წ. V ს-ის დასაწყისა და IV ს-ის პირველ ნახევარში უკვე იშვიათად გვხდება

(G.N.: კატ. № 798,801,803).

რკალისებურქუსლიან ჯამებს ერთნაირი ქუსლი აქვთ, ამიტომ მათი შემდგომი კლასიფიკირებისათვის უკვე პირის ფორმას ვიღებთ. ამ ნიშნით კი რკალისებურქუსლიან ჯამებში სამი სახეობა გამოიყოფა: 1. პირმოყრილი, 2. პირსწორი და 3. პროფილირებულპირიანი.

რკალისებურქუსლიანი პირმოყრილი (G.N.: კატ. № 748-750,752-754,756-796) სახეობის ჯამებისათვის დამახასიათებელია ფართო, მოყრილი პირი, მომრგვალებული კიდე, დაქანებული კალთა და დაბალი რკალისებური ქუსლი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. გვხვდება ნითელკეციანი (G.N.: კატ. № 749,750,757,769-775,777-784,790,791,796), რომელთა შორის არის ხაოიანზედაპირზე ნითელი საღებავით მოხატული (G.N.: კატ. № 769-775,777-779,784), დაუდევრად გაპრიალებული (G.N.: კატ. № 776,790,792,796) და ანგობირებული (G.N.: კატ. № 780-783) ცალები. ჯამების ნაწილი შავადაა გამომწვარი (G.N.: კატ. № 748,752-756,758-763,765-768,785-789,793-795), რომელთა შორის არის გაპრიალებული (G.N.: კატ. № 752,753,756,758-763,765,768, 785-789,793-795) და ანგობირებული (G.N.: კატ. № 748) ცალები. დანარჩენი ჯამების ზედაპირი ხაოიანია. ამ ქვეტიპის ჯამების ერთი ნაწილი (G.N.: კატ. № 748,761,763,788,793) მიეკუთვნება ძვ.ნ. II-ს-ის პირველ ნახევარს, ხოლო დანარჩენი ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.ნ. II საუკუნეს.

რკალისებურქუსლიანი პირმოყრილი ჯამები, შესაძლოა, ისევე როგორც კოლხეთში (ვანი), ბერძნული შავლაკიანი ჯამების მიბაძვით იყოს დამზადებული [მათიაშვილი 1977: 65,113]. გამორიცხული არაა, რომ ამ ქვეტიპის ჯამები, როგორც კოლხეთში, ისე იბერიაში მცირეაზიური ჯამების [იხ. მათიაშვილი 1983: 66-67, სურ. 286, 295, 301, 302, 312-314] მინაბაძებს წარმოადგენენ. შესაძლებელია, რომ რკალისებურქუსლიანი ჯამები კოლხეთიდან გავრცელებულიყო ქართლში. ისევე, როგორც ძვ.ნ V ს-ის დასაწყისსა და IV ს-ის პირველი ნახევრის კოლხური კერამიკისთვის დამახასი-

ათებელი ყურმილიანი დოქები (არქ. ძეგლები - ქასრაანთ მიწები, სამადლო, გოსტიბი, თიღვა) და კოლხური მონეტები (სურამი, არმაზი, აწყური, კლდე) [Дундуа 1987: 36, 114]. კოლხური კერამიკა შემდეგ საუკუნეებშიც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე; მაგ. "გრძელი მინდვრის" [ბოხოჩაძე 1979: 116] და "დედოფლის მინდვრის" [გაგოშიძე 1975: 68] კოლხური ქვევრებით გამართული მარნები. ძვ.ნ. IV ს-ის კოლხეთში შედის იბერიული მოხატული კერამიკა (ვანი, საირხე, ითხვისი). გვიანელინისტურ ხანაში კი დასავლეთ საქართველოში უკვე ფართოდ არის წარმოდგენილი (ვანი, საირხე) აღმოსავლეთ საქართველოს ე.ნ. მოხატული კერამიკა.

რკალისებურქუსლიანი პირსწორი ჯამები (G.N.: კატ. № 805, 807, 809-816) არც თუ ისე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი. მათთვის დამახასიათებელია ფართო პირი, მომრგვალებული ქობა, შვეული კიდე, დაქანებული კალთები და დაბალი, რკალისებური ქუსლი. გვხვდება როგორც შავკეციანი (G.N.: კატ. № 806, 807, 811-814), ისე მოვარდისფროდ გამომწვარი (G.N.: კატ. № 810, 815, 816) ჯამები. ზოგიერთი მათგანი დაუდევრადა გაპრიალებული (G.N.: კატ. № 806-807). ამ სახეობის ჯამები მხოლოდ ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.ნ. II საუკუნეში გვხვდება.

რკალისებურქუსლიანი პროფილირებულპირიანი (G.N.: კატ. № 706,707,709-739,741,744-745, 747) ჯამებისათვის დამახასიათებელია ფართო პირი, პროფილირებული ქობა, დაქანებული კალთები და დაბალი რკალისებური ქუსლი (G.N.: კატ. № 706,707,709-738,741,744,745,747). ზოგიერთი მათგანის კალთა პროფილირებულია (G.N.: კატ. № 711,712) ან შემოუყვება რელიეფური სარტყელი (G.N.: კატ. № 707, 716, 720, 723, 744). ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ზედაპირი „სარკისებურად“ აქვს გაპრიალებული. ამ სახეობის ჯამები მხოლოდ ძვ.ნ. II საუკუნესა და ძვ.ნ. I ს-ის პირველი ნახევარშია გავრცელებული. რკალისებურქუსლიანი

პროფილირებულპირიანი ჯამები ქართლის ტერიტორიაზე ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისიდან იწყებენ გავრცელებას. რკალისებურქუსლიანი პირმოყრილი ჯამები კი, როგორც ჩანს, ძვ.წ. II ს-ის ბოლოს ჩნდებიან და ფართოდ არიან გავრცელებული ძვ.წ. I და ახ.წ. I სს-ში (უფრო მის პირველ ნახევარში). რაც შეეხება რკალისებურქუსლიანი პირსწორ ჯამებს, ისინი ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეში იწყებენ გამოჩენას და ფართოდ არიან გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაში (დაწვრილებით რკალისებურქუსლიანი ტიპის ჯამებზე იხ. გაგოშიძე 1979: 85-86; გაგოშიძე 1982: 23-27; იქვეა საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა).

უქუსლო ჯამების შემდგომი კლასიფიკაცია პირის გაფორმების მიხედვით უნდა მოხდეს. ამ ნიშნის მიხედვით უქუსლო ჯამებში სამი ქვეტიპი გამოიყოფა: 1. პირმოყრილი, 2. პირსწორი და პროფილირებულპირიანი.

უქუსლო პირმოყრილ ჭურჭლებში (G.N.: კატ. № 817-843, 845, 847, 881, 892, 925, 926, 934, 935, 894-897, 940-950, 979, 1007, 1011, 1052-1054, 1056-1063) ორი სახეობის ჯამები შეიძლება გამოიყოს: 1. უქუსლო ჯამები, რომელთაც პირზე ტუჩი, გადმოსაღვრელი აქვთ გაკეთებული (G.N.: კატ. № 220, 882-891, 828, 884-886, 934) და 2. უქუსლო ჯამები, რომელთაც კალთაზე დატანებული აქვთ გადმოსაღვრელი ხვრელი (G.N.: კატ. № 936-939). უქუსლო პირმოყრილი ჯამებისთვის დამახასიათებელია ფართო, მოყრილი პირი, მომრგვალებული კიდე, დაქანებული კალთები და ბრტყელი ძირი. გვხვდება წითელკეციანი (G.N.: კატ. № 817, 818, 837-840, 848, 851, 855, 857, 858, 860, 861, 867-871, 874-876, 881-895, 897, 940-944, 948, 949, 979, 1052-1062), რომელთა შორის არის შეღებილი ეგზემ-პლარებიც (G.N.: კატ. № 817, 818, 827, 837, 855, 857, 858, 860, 861, 868-870, 875, 940, 948, 449, 1057), გვხვდება მუქეციანი ცალები (G.N.: კატ. № 819-826, 841-843, 845, 848, -?850, 853, 854, 856, 862-866, 872, 873, 896, 997, 1007), ზოგი მათგანი ხელით არის ნაძერნი (G.N.: კატ. № 864, 872), ზოგი გაპრიალებული (G.N.: კატ.

№ 849) ან ანგობირებულია (G.N.: კატ. № 850).

ძვ.წ. VII-VI სს-ში უქუსლო პირმოყრილი ჯამები პრაქტიკულად არ გვხდება, ისინი ძირითადად ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში იწყებენ გავრცელებას (G.N.: კატ. № 817-819, 822-826, 837, 842, 843, 845, 862-865, 872, 876, 892, 950, 979, 1007) და ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან თითქმის ყველა პერიოდში გვხვდება (G.N.: კატ. № 820, 821, 829-836, 838-841, 847-862, 866, 868-870, 873, 874, 877, 894, 896, 940, 925, 926, 947-94, 1052-1062).

გადმოსაღვრელიანი ჯამები ძვ.წ. VII - ახ.წ. VII სს-ში ყველა ეტაპზე გვხვდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ განსახილველი ეპოქის ადრეულ ეტაპზე უფრო ისეთი ცალებია გავრცელებული, რომლებსაც სადინარი კორპუსში აქვთ დატანებული, შემდეგ ხანებში კი სადინარი ტუჩის სახითაა გაფორმებული და პირზე ქობის გადმოკეცვითაა მიღებული. უქუსლო, გადმოსაღვრელიანი ჯამების ერთი ნაწილი გამომწვარია მუქად (G.N.: კატ. № 886-888, 690, 937-939), მეორე ნაწილი კი, მოვარდისფროდ (G.N.: კატ. № 828, 882-885, 889, 891, 936).

უქუსლო ჯამები, რომელთაც პირზე ტუჩი, გადმოსაღვრელი აქვთ გაკეთებული ძვ.წ. VII-VI სს-ის არქეოლოგიურ მასალაში პროტოტები არ მოეძებნებათ. ძვ.წ. V-III ს-ის დასაწყისში გავრცელებულ ამ ტიპის ჯამებს ვიწრო, გვიანდელებს კი შედარებით ფართო ტუჩი აქვთ. უქუსლო ჯამებს და ლანგრებს, რომლებსაც გვერდზე ან წიბოზე დატანებული აქვთ სადინარი, ფართოდაა გავრცელებული ძვ.წ. VII-VI სს-ში [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 43, ტაბ. XXXI-1, 2, 3, 7, 6, 9; XXXII-7]. მათი პროტოტიპები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალებში. უქუსლო პირმოყრილი ტიპის ჯამებში უნდა გამოიყოს ერთი ჯგუფი ჯამებისა, რომელთა ძირზეც შიგნიდან დატანილია ჩაღრმავებული სამკუთხედები (G.N.: კატ. № 1059), ირიბი ჭდეები (G.N.: კატ. № 1058, 1061) ან ამოღარული კონცენტრული ღარები (G.N.:

კატ. № 1052, 1060). ამგვარად შემკული ჭურჭლები ძირითადად ძვ.ნ. V – ახ.ნ. II სს-ში არის გავრცელებული.

როგორც ვხედავთ, უქუსლო პირმოყრილი ჯამები გვხვდება განსახილველი პერიოდის მთელ მანძილზე. ფორმის მიხედვით ძნელია მათ შორის ქრონოლოგიური განსხვავების დაჭერა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ძვ.ნ. VII-VI სს-ში გავრცელებულ ჯამებს მომრგვალებული ან დაკუთხული ქობა აქვთ, ძვ.ნ. V - III ს-ის დასაწყისის ჯამებს კი ძირითადად შეთხელებული ქობა და შედარებით ვიწრო ძირი აქვთ, მოგვიანო ხანის ჯამების ქობა და კეცის სისქე თანაბარია. უქუსლო პირმოყრილი ჯამების დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ჭურჭლის თიხის სტრუქტურას და საერთოდ ტექნოლოგიას. ამ საკითხზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. უქუსლო პირმოყრილი ჯამების გენეზისის საკითხები დაწვრილებით არის განსხილული ი. გაგოშიძის ნაშრომებში [გაგოშიძ 1979: 84-85, იქვე საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა], ამიტომ მათ აქ ჩვენ აღარ შევხებით.

უქუსლო პირსწორი ჯამებში (G.N.: კატ. № 844,846,919,922-924,927-933,951,1008) გვხვდება ტუჩიანი ცალებიც (G.N.: კატ. № 928,929). ამ ტიპის ჯამებისათვის დამახასიათებელია ფართო პირი, მომრგვალებული ქობა, შვეული კიდე, დაქანებული კალთები და ბრტყელი ძირი. გვხვდება როგორც მუქად (G.N.: კატ. № 844,846,919,922-924,927,933,935), ისე მოვარდისფროდ გამომწვარი (G.N.: კატ. № 951,1009) ჯამები. მათი უმრავლესობა მიეკუთვნება ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისსა და IV ს-ის პირველი ნახევარს (G.N.: კატ. № 844,846,919,922-924,932,933,935,951,1008), მცირე რაოდენობით გვხვდება ძვ.ნ. VI საუკუნის მეორე ნახევარსა და ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისშიც (G.N.: კატ. № 930, 931).

უქუსლო პროფილირებულპირიანი ჯამებისათვის (G.N.: კატ. № 898-910, 916-918,920,921,955,956,964,976, ვბ 978,980-984,1008,1010,1012,1013,1036,1037,1039-1041,1043-1046) დამახასიათებელია ფართო,

გარეთ გადაშლილი პირი, პროფილირებული კიდე, დაქანებული კალთები და ბრტყელი ძირი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისგან. გვხვდება მუქად (G.N.: კატ. № 898,899,901,902,904-907,909,910,916-918,920,921,981,984,1036,1037,1039-1041,1043-1046) და მოვარდისფროდ (G.N.: კატ. № 900, 903,908,980,982,983,955,956,1010,1013,1045) გამომწვარი ჭურჭლები. ამ ტიპის ჯამები გავრცელებულია ძვ.ნ. VII-VI სს-ში [სადრაძე, დავლიანიძე 1993: ტაბ. XXVI-10, XXXII-1,2,3,4,6,9, XLI-1,2,3,4; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: 318], ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისსა და IV ს-ის პირველი ნახევარში (G.N.: კატ. № 898 - 904, 908 , 909, 916 - 918, 920, 921, 981 - 984, 955, 956, 967, 1010, 1012, 1013, 1036, 1037, 1039, 1041, 1043 - 1045) და ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისში (G.N.: კატ. № 905-907,980,1040). შეიძლება ითქვას, რომ უქუსლო პირგადაშლილი ჯამებს პროტოტიპები მოეძებნება გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებში და როგორც ჩანს, მათი მიბაძვით არის დამზადებული. უქუსლო პირგადაშლილი ჯამები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ჯგუფის პირგადაშლილ ფიალებთან, მაგრამ მათთან შედებით ჯამები დიდი ზომებით გამოირჩევიან.

XXI. ფიალა (ტაბ. XLVII- XLVIII).. ფიალა ინდივიდუალურად სახმარი, სუფრის საზეიმო-სარიტუალო სასმისია. დაკავშირებული იყო ღვინის შენირვასთან, სითხის სამსხვერპლო დაქცევასთან. ეს განაპირობებდა მის ზომას. ისინი ფორმით პროფილირებულ-პირიან ჯამებს მოგვავრებენ. მათთან შედარებით პატარა ზომისაა და ძირიც მომრგვალებული აქვთ. ჩვეულებრივ, ფიალას ნახევარსფერულთან მიახლოვებული ტანი და მეტ-ნაკლებად მომრგვალებული ძირი აქვს. ზოგჯერ ძირი ცენტრში შეზნექილია ისე, რომ ფსკერზე ბურცობი - ომფალოსი აქვს.

ქართლში გავრცელებულია ორი ტიპის ფიალები: ნახევარსფერული, რომელსაც პირი არ აქვს გამოყოფილი (მას ნახევარსფერულს ვუნიდებთ) და პირგადაშლილი. ამდენად, ფორმის მიხედვით ფიალების ორი ძირითადი

ტიპი გამოიყოფა: 1. ნახევარსფერული და 2. გადაშლილპირიანი.

ნახევარსფერული ტიპის ფიალები, ძირის გაფორმების მიხედვით, ორ ქვეტიპად იყოფა: 1. უომფალოსო და 2. ომფალოსიანი.

ნახევარსფერული უომფალოსო (G.N.: კატ. № 991, 992, 993) ფიალა აღმოჩენილია დილომში. [წიკოლაიშვილი 1978: ტაბ. 51-49], უფლისცი-ხეში [ხახუტაიშვილი 1964: ტაბ. XXXII-6, 10, XVIII, XX], თბილისში (ქორიძე 1958: ტაბ. IX). ამ ქვეტიპის ფიალებისათვის დამახასიათებელია ფართო, შეთხელებული ქობა, თანაბრად მომრგვალებული კალთები და მომრგვალებული ძირი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ერთი (G.N.: კატ. № 991) შავად არის გამომწვარი და გაპრიალებულია, ორი კი (G.N.: კატ. № 992, 993) გამომწვარია მოვარდისფროდ, ხაოიანი ზედაპირი მოხატულია წითელი სალებავით. ნახევარსფერული უომფალოსო ფიალები ძირითადად ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.ნ. I საუკუნეშია გავრცელებული. უფლისციხეში აღმოჩენილი ფიალა (G.N.: კატ. № 991) ზედაპირის გაფორმებით მსგავსია „სარკისებურზედაპირიანი“ ჭურჭლების მომდევნო შავკეციანი ჭურჭლებისა. მოხატული ცალებიც სტილისტურად სწორედ აღნიშნულ ხანაში გავრცელებულ „სამთავროს სტილის“ მოხატულობას ემსგავსება [ამ ტიპის ჭურჭლების ნარმომავლობის შესახებ იხ. თираცია 1965; თираცია 1971].

ნახევარსფერული ომფალოსიანი (G.N.: კატ. № 986) ქვეტიპის ფიალას ფართო პირი, ჰორიზონტალური ქობა, შვეული, ძირისაკენ ოდნავ შევიწროვებული კალთები და ომფალოსიანი ძირი აქვს. იგი აღმოჩენილია შულავერის სამაროვნის №2 ორმოსამარხში და ახ.ნ. I საუკუნით თარიღდება [დავლიანიძე 1975].

გადაშლილპირიან ფიალებში ორი ქვეტიპი გამოიყოფა: 1. სადა და 2. რელიეფურორნამენტიანი. გადაშლილპირიანი, სადა ფიალები ორ სახეობად იყოფა: 1. ომფალოსიანი (G.N.: კატ. № 985) და 2. უომფალოსო.

გადაშლილპირიანი, ომფალოსიანი ფიალებისათვის დამახასიათებელია ფართო პირი,

მომრგვალებული ქობა, გამოყვანილი ყელი. მომრგვალებული კალთები ასეთივე ძირში გადადის, რომელიც ომფალოსით მთავრდება. ასეთი ჭურჭლები აღმოჩენილია გუმბათში, კამარახევში, პატარძეულში და ოხერახევში. გუმბათის ომფალოსიანი ფიალა, რომელსაც ბურცობები არ აქვს, ძვ.ნ. VI-ის მიწურულსა და ძვ.ნ. IV ს-ის შუა ხანებს შორის თავსდება [Ludwig 2010: 23-24, 350, ტაბ. 187-შ9ბ.2]. კამარახევის სამაროვანზე აღმოჩენილი ფიალა (G.N.: კატ. № 985) III ქრ. ჯგუფს მიეკუთვნება. ბურცობების გარეშე პატარძეულის ცალიც და ის ძვ.ნ. I - ახ.ნ. I ს-ით არის დათარიღებული [წარიმანიშვილი 1999:68-70]. ჩვენთვის ცნობილია კიდევ ერთი ასეთი ფიალა, რომელიც აღმოჩენილია ოხერახევის სამაროვანზე და ძვ.ნ. II ს-ით თარიღდება [Apakidze ი დრ. 1995]. ომფალოსიანი თიხის ფიალები, როგორც დავინახეთ, არც თუ ისე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ასეთი ფიალების წარმომავლობისა და გავრცელების საკითხები დაწვრილებით არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში [დავლიანიძე 1983; საგინაშვილი, გაგოშიძე 1973; Herink 1978], ამიტომ მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

უომფალოსო სახეობის ფიალებში, სიღრმის მიხედვით, ორი ქვესახეობის გამოყოფა შეიძლება: 1. გადაშლილპირიანი უომფალოსო ფიალები, რომელთაც პირის დიამეტრი და სიმაღლე თითქმის თანაბარი აქვთ და 2. გადაშლილპირიანი უომფალოსო ფიალები, რომელთა სიმაღლე პირის დიამეტრის 1/3 ან ნაკლებია.

გადაშლილპირიანი უომფალოსო პირველი ქვესახეობის ფიალებისათვის დამახასიათებელია ფართო და მაღალი, გადაშლილი პირი, მკვეთრად გამობერილი დაბალი მუცელი და მომრგვალებული ან თითქმის შეუმჩნეველი პატარა ძირი. გვხვდება მუქეციანი (G.N.: კატ. № 1028), შავკეციანი ზედაპირგაპრიალებული (G.N.: კატ. № 1023, 1024, 1026, 1035) და მოვარდისფრო კეციანი, შეღებილი (G.N.: კატ. № 1030, 1031, 1034) ცალები. გავრცელებულია ძვ.ნ V-IV ს-ის პირველ ნახევარში (G.N.: კატ.

№ 1028), ძვ.წ. II საუკუნე – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარში (G.N.: კატ. № 1034,1035) და ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. I საუკუნეში (G.N.: კატ. № 1023,1024,1026,1030,1031).

ამ სახეობის ფიალებში გამოიყო ფიალები, რომელთაც მხარზე ღარი დაუყვებათ. ერთი მათგანი VI ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება (G.N.: კატ. № 1034), ერთი კი ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. I საუკუნით (VII ქრ. ჯგუფი) თარიღდება (G.N.: კატ. № 1023). მათ შორის ღარების გაფორმებაში განსხვავების გარდა შეინიშნება მკვეთრი ტექნოლოგიური განსხვავება. ამ სახეობის ფიალების უმტესობა (გარდა G.N.: კატ. № 1028, რომელიც მსხვილმარცვლოვანი თიხისგანაა დამზადებული) დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული ცალების თიხა, გვიანდელებთან შედარებით, უფრო მსხვილმარცვლოვანია. ამ სახეობის ფიალები ყოველთვის კონუსურძირიან დოქტან ერთად გვხვდება სამარხებში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ისინი ორივე სარიტუალო დანიშნულებით გამოიყენებოდა.

გადაშლილპირიანი უომფალოსო ფიალების მეორე ქვესახეობაში (G.N.: კატ. № 987 - 990, 1014, 1025, 1027, 1029, 1032, 1033, 1038, 1040, 1042) შეიძლება ერთი ვარიანტის გამოყოფა. ესენია წითელი საღებავით მოხატული ფიალები.

გადაშლილპირიანი უომფალოსო ფიალებისათვის დამახასიათებელია ფართო პირი, ყელი მკვეთრად გამობერილი, დაბალი მუცელი და მომრგვალებული ძირი. გვხვდება მუქქეციანი (G.N.: კატ. № 990,1032,1033), მოჩალისფრო (G.N.: კატ. № 1029,1038) და მოვარდისფროკეციანი (G.N.: კატ. № 987-989,1008,1009,1014,1025,1027,1040,1042) ცალები. ამ უკანასკნელთა ნაწილი შეღებილი (G.N.: კატ. № 1025,1027,1042) ან მოხატულია (G.N.: კატ. № 987-989) წითელი საღებავით. მოხატული ფიალები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ხაოიანი ზედაპირი წითელი საღებავითაა მოხატულია. უნდა აღინიშნოს, რომ

მოხატული ფიალები იშვიათად გვხვდება ქართლის ძვ.წ. V-I სს. არქეოლოგიურ მასალაში. ზემოთ დასახელებული ცალები სტილისტურად ახლოს დგანან ძვ.წ. I - ახ.წ. II სს-ში გავრცელებულ „სამთავროს სტილის“ მოხატულობასთან (იხ. ქვემოთ). მიგვაჩნია, რომ მოხატული ფიალებიც აღნიშნული პერიოდით უნდა დათარიღდეს. ამავე ხანას განეკუთვნება უფლისციხეში აღმოჩენილი ფიალაც (G.N.: კატ. № 990), რომელიც შავად არის გამომწვარი და ზედაპირი გაპრიალებული აქვს. დანარჩენი ფიალები ძვ.წ V – ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარს (G.N.: კატ. № 1009,1014,1025,1029,1032, 1033,1038) და ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისს (G.N.: კატ. № 1027,1040,1042) მიეკუთვნება, რომლებიც ძვ.წ V-IV ს-ის პირველი ნახევარის ფიალებისგან განსხვავებით შედარებით მსხვილმარცვლოვანი თიხისაგანაა დამზადებული.

მეორე ქვეტიპის, გადაშლილპირიანი რელიეფურორნამენტიანი ფიალები რელიეფის ხასიათის მიხედვით ორ სახეობად იყოფა: 1. ფიალები, რომლებსაც ძირზე შიგნიდან რელიეფური წრეები აქვთ და 2. ბურცობებიანი ფიალები. ფიალებისათვის, რომლებსაც ძირზე შიგნიდან რელიეფური წრეები აქვთ დამახასიათებელია ფართო გადაშლილი პირი, შეთხელებული და მომრგვალებული ქობა, მკვეთრად გამოხატული მხარი და მომრგვალებული ძირი (G.N.: კატ. № 994-1006,1016-1022). ისინი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ყველა მათგანი შეღებილია წითელი საღებავით. ამ სახეობის ფიალებს ქართლის არქეოლოგიურ მასალაში პროტოტიპები არ მოექცენებათ და ისინი ძირითადად ფართოდ არიან გვარცელებული V-VI ქრონოლოგიურ ჯგუფებში.

ბურცობებიანი, გადაშლილპირიანი და რელიეფურორნამენტიანი ფიალებიც ორ ქვესახეობად იყოფა: 1. ომფალოსიანი (G.N.: კატ. № 1047) და 2. უომფალოსო (G.N.: კატ. № 1048-1051).

რელიეფური ორნამენტით შემკული ომფა-

ლოსიანი თიხის ფიალები მცირე რაოდენობითაა. ერთი აღმოჩენილია სამადლოში (G.N.: კატ. № 1047); ერთი გუმბათში [Ludwig 2010: 350, ტაბ. 187-S9b.1]. მათ ფართო, გარეთ გადაშლილი პირი, მომრგვალებული ქობა, პროფილირებული კალთა და მომრგვალებული, ომფალოსიანი ძირი აქვს. ფიალების ერთი ნაწილი ბურცობებითაა შემკული, მეორე კი სადაა. გუმბათის ომფალოსიანი და ბურცობებიანი ფიალა ძვ.წ. VI –ის მიწურულსა და ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებს შორის თავსდება [Ludwig 2010: 23-24, 350, ტაბ. 187-S9b.1]. სამადლოს ფიალა (G.N.: კატ. № 1047) კი, რომლის კალთა 12 კოვზისებური გამონაბერით არის შემკული ძვ.წ. III – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება.

უომფალოსო რელიეფურორნამენტიანი ფიალებისათვის დამახასიათებელია ფართო, გადაშლილი პირი, პროფილირებული კალთა, ბრტყელი ან მომრგვალებული ძირი. კალთა შემკულია რვა (G.N.: კატ. № 1051), თორმეტი (G.N.: კატ. № 1049) ან ცამეტი (G.N.: კატ. № 1048) კოვზისებური ბურცობით. ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს ფიალა, რომელსაც ძირზე ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს და კალთაზე ექვსი ოვალური ჩაღრმევება აქვს (G.N.: კატ. № № 1050), რომლებიც ალბათ კოვზისებური ბურცობების დეგრადირებული სახეა. ასთივერა ქვემო ქედის ძირბტყელი ფიალაც, რომელიც ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება [Ludwig 2010: 24-26, 350, ტაბ. 187-S9b.3]. ღრმახევისთავის მომრგვალებულძირიანი ფიალა (G.N.: კატ. № 1048) ძვ.წ V-IV ს-ის პირველ ნახევარს, სამადლოს ფიალები (G.N.: კატ. № 1049, 1050, 1051) კი, ძვ.წ. III-II ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება. ბურცობებიანი, გადაშლილ-პირიანი და რელიეფურორნამენტიანი თიხის ფიალები მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი. როგორც ჩანს, ეს მათი სპეციფიკური დანიშნულებით უნდა აიხსნას. ამ ქვეტიპის მსგავსი ლითონის ფიალების კლასიფიკაცია ეკუთვნის ჰ. ლუშიეს [Luschey 1939], რაც გაზიარებულია ყველა მკვლევარის მიერ. ბურცობებიანი ფიალების თიხის ჭურჭლების ქართლში გავრცელების, მათი დანიშნულებისა

და წარმომავლობის შესახებ გამოთქმულია დამაჯერებელი მოსაზრებანი [გაგოშიძე 1979: 81-83].

XXII. ლარნაკი (ტაბ. XLIX). ლარნაკი სუფრის, სარიტუალო-საზეიმო ჭურჭელია. მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მაღალი ფეხი. ამ ნიშნის მიხედვით ლარნაკები ორ ტიპად იყოფა: 1. ერთფეხიანი და 2. სამფეხიანი.

ერთფეხიან ლარნაკებში ფეხის სიმაღლის მიხედვით ორი ქვეტიპი უნდა გამოიყოს: 1. ლარნაკები, რომელთა ფეხის სიმაღლე საერთო სიმაღლის 1/3-ს უდრის, და 2. ლარნაკები, რომელთა ფეხის სიმაღლე საერთო სიმაღლის ნახევარია.

ლარნაკებში, რომელთა ფეხის სიმაღლე საერთო სიმაღლის 1/3-ს უდრის ორი სახეობა უნდა გამოიყოს: 1. პროფილირებულპირიანი, 2. პირმოყრილი.

პროფილირებულპირიანი (G.N.: კატ. № 705, 708, 740, 742?, 743?, 746?, 747) ლარნაკები-სათვის დამახასიათებელია ფართო პირი, დაბრტყელებული და პროფილირებული ქობა, დაქანებული კალთები და მაღალი, ღრუ ფეხი. ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია ან შავად და ზედაპირგაპრიალებულია (G.N.: კატ. № 705, 708, 747), ან მოვარდისფროდ და შეღებილია წითელი საღებავით (G.N.: კატ. № 740, 742, 743, 746). ამ ქვეტიპის ლარნაკები გავრცელებულია ძვ.წ. III ს-დან ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებამდე.

პირმოყრილი ლარნაკებისათვის (G.N.: კატ. № 751, 808) დამახასიათებელია ფართო, მოყრილი პირი, მომრგვალებული ქობა, დაქანებული კალთები და მაღალი, ღრუ ფეხი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ერთი მათგანი (G.N.: კატ. № 808) შეღებილია წითელი საღებავით. მიგვაჩნია, რომ ისინი პირმოყრილი ფიალების მიბაძვით არის დამზადებული და მათ მოგვიანო ვარიანტებს წარმოადგენენ და ძირითადად ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეში უნდა იყვნენ გავრცელებული.

ლარნაკებისათვის, რომელთა ფეხის სიმაღლე საერთო სიმაღლის ნახევარია (G.N.: კატ. № 1102, 1103) დამახასიათებელია ფართო პირი, მომრგვალებული კალთები და მაღალი ზარისებური, ღრუ ფეხი. დამზადებულია განლექილი, მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია მონაცრისფრო-მოყვისფროდ. ერთ მათგანს (G.N.: კატ. № 1102) ძირზე შვიდი ნახევრეტი აქვს. ეს ჭურჭლები არც თუ ისე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი. მსგავსი ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია ნასტაკისში და ლართისკარში გათხრილ სამლოცველოებში [Нариманишвили 1991:52] და როგორც ჩანს, ძვ.წ. III – I ს-ის პირველ ნახევარშია გავრცელებული. არ არის გამორიცხული, რომ ისინი სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელს წარმოადგენდნენ.

სამფეხიან ლარნაკებში, ფეხის გაფორმების მიხედვით, სამი ქვეტიპი გამოიყოფა: 1. სწორფეხა; 2. მოკაუჭებულფეხიანი და 3. ირიბფეხიანი.

სწორფეხიანი ლარნაკები (G.N.: კატ. № 1064, 1073, 1075-1077). ფეხის დაბოლოების გაფორმების მიხედვით ორ სახეობად იყოფა: 1. მომრგვალებული და 2. ქუსლიანი ფეხით.

ლარნაკები, რომელთაც ფეხი მომრგვალებული აქვთ (G.N.: კატ. № 1073, 1075) დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და გამომწვარია მოვარდისფროდ. ზედაპირი გაპრიალებული და შეღებილია. აღმოჩენილია სამადლოს ნაქალაქარზე, ქვედა ელინისტურ ფენაში და ძვ.წ. III – II საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

მეორე სახეობის ლარნაკების ფეხი ძირთან შესქელებულია და ქუსლის ფორმა აქვთ (G.N.: კატ. № 1076, 1077). ამ ლარნაკებისთვის დამახასიათებელია ფართო პირი და მომრგვალებული კალთა. ძირზე მიძერნილია სამი ვერტიკალური ფეხი, რომელიც დაბალი ქუსლით ბოლოვდება (G.N.: კატ. № 1064). დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია ან მუქად და გაპრიალებულია (G.N.: კატ. № 1064, 1077) ან მოვარდისფროდ და შეღებილია (G.N.: კატ. № 1076). ორი ლარნაკი

(G.N.: კატ. № 1064, 1077) ზედაპირის დამუშავებით დიდ მსგავსებას იჩენს შავად გაპრიალებულ ჭურჭლებთან. № 1064-ს პირთან ამოღარული გაპრიალებული სარტყელი შემოსდევს, რითაც იგი გავს ძვ.წ. II – I ს-ის პირველ ნახევარში გავრცელებულ „სარკისებურზედაპირიან“ ჭურჭლებს, მაგრამ მათგან განსხვავებით ზედაპირი შედარებით დაუდევრადაა გაპრიალებული. ამ ნიშნით იგი VI ქრონოლოგიურ ჯგუფში გავრცელებულ შავკეციან ჭურჭელს ემსგავსება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ № 1064 და 1077 ჭურჭლები ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებს მიეკუთვნებიან. რაც შეეხება № 1076 ჭურჭლის ფრაგმენტს, იგი სამადლოს ნაქალაქარის ქვედა ელინისტურ ფენაშია აღმოჩენილი, ზედაპირის დამუშავებით ამ პერიოდში გავრცელებული ჭურჭლების მსგავსია. ამდენად იგი ძვ.წ. III – II ს-ის დასაწყისით უნდა დავათარილოთ.

სამფეხა მოკაუჭებულფეხიან ლარნაკებში (G.N.: კატ. № 1069-1072, 1074) ფეხის გაფორმების მიხედვით ორი სახეობა გამოიყოფა:

1. ლარნაკი, რომელთა ფეხები მაღალია და მოკაუჭებული ფეხის წვერი ჭურჭლის ძირიდან მოცილებულია (G.N.: კატ. № 1069). ამ სახეობის ლარნაკს ფართო, გარეთ გადაშლილი პირი, პროფილირებული კალთა და მომრგვალებული ძირი აქვს. ძირზე მიძერნილია სამი მოკაუჭებული მაღალი ფეხი. დამზადებულია განლექილი, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია მოჩალისფროდ. იგი აღმოჩენილია კამარახევის სამაროვანზე და ძვ.წ. V – IV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება.

2. ლარნაკები, რომელთა მოკაუჭებული, დაბალი ფეხის წვერი ჭურჭლის ძირთან არის შეერთებული (G.N.: კატ. № 1070-1072, 1074). ამ სახეობის ჭურჭლებისათვის დამახასიათებელია ფართო, მოყრილი პირი, მომრგვალებული კალთები და ძირი. ძირზე მიძერნილია სამი მკვეთრად მოკაუჭებული დაბალი ფეხი. ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი, თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ორი მათგანი (G.N.: კატ. № 1070, 1074) შეღებილია. ორს ძირზე ამოღარული სამკუთხედები (G.N.: კატ. № 1072 - ლარნა-

კის რეკონსტრუქცია არასწორია, სამფეხა უნდა იყოს) ან წრები (G.N.: კატ. № 1071) აქვს, რითაც ისინი ასეთივე ორნამენტით შემკულ ჯამებს (G.N.: კატ. № 1052, 1058-1061) გავს. აღმოჩენების ვითარების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ამ ქვეტიპის ჭურჭლები ძვ.წ. III საუკუნიდან ძვ.წ. I საუკუნის მიწურულამდე გვხვდება. თუმცა იცვლება თიხის სტრუქტურა, ზედაპირის დამუშავების წესი და ორნამენტი.

ლარნაკები, რომელებსაც ირიბი ფეხი აქვთ (G.N.: კატ. № 1065-1068) პირის გაფორმების მიხედვით ორი სახეობა გამოიყოფა – 1. პირმოყრილი და 2. პირგადაშლილი.

პირმოყრილი ლარნაკებისთვის (G.N. კატ. № 1065-1067) დამახასიათებელია ფართო პირი, მომრგვალებული კალთები და ძირზე ირიბად მიძერნილი სამი ფეხი. დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ერთი მათგანი მოხატულია წითელი საღებავით (G.N.: კატ. № 1066). ერთი ლარნაკი (G.N.: კატ. № 1067) ძვ.წ V – IV ს-ის პირველ ნახევარს, ორი კი (G.N.: კატ. № 1065, 1066) ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა – III ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება.

პირგადაშლილირიბულებიან [Нариманишвили 1991: კატ. № 1068] ლარნაკებს ფართო პირი, პროფილირებული კალთა და მომრგვალებული ძირი აქვს. ძირზე მიძერნილია სამი ფეხი. დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. იგი დიდ მსგავსებას იჩენს ლარნაკებთან, რომელთა მოკაუჭებული ფეხის წვერი ჭურჭლის ძირიდან მოცილებულია. ორივე კი ემსგავსება პირგადაშლილ ჯამებს [Нариманишвили 1991: კატ. № 1036, 1037, 1039, 1041-1046] და მათთან ერთად ძვ.წ. V – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარით თარიღდება.

XXIII. თასი (ტაბ. LI). დეკორატიული და საზეიმო ჭურჭელი. მზადდებოდა ქვის, ლითონის და თიხისაგან. ისინი ძირითადად სარიტუალო დანიშნულების იყო, თუმცა იყენებდნენ სახლის ან დარბაზის მოსართვადაც. თასები არ იყო მასიური წარმოების და როგორც ჩანს

ინდივიდუალურად მზადდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ მათი ერთი ნაწილი - ხელით ნაძერნი, უხეშკეციანი ცალები, რომლებიც მდიდრული თასების მიბაძვით მზადდებოდა – ერთჯერადი გამოყენების იყო და აღბათ დაკრძალვის რიტუალში გამოიყენებოდა.

XXIV. მათარა (ტაბ. L). სითხის გადასატანი ჭურჭელია. მზადდებოდა ტყავის, ხის, ლითონის და თიხისაგან. თიხის მათარები ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს-ში ყველა ქრონოლოგიურ ჯგუფში გვხდება. ისინი ძირითადად სამგზავრო ჭურჭელს წარმოადგენენ, ხოლო დიდი ზომის მათარები ტარად გამოიყენებოდა.

სარიტუალო ჭურჭლები. ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს-ში, რელიგიურ წმინდა-წარმოდგენებთან დაკავშირებული რიტუალის დროს თითქმის ყველა ტიპის ჭურჭელი იხმარებოდა. ამავე დროს, არქეოლოგიურ მასალაში გვხდება ისეთი ფორმის ჭურჭლებიც, რომლებიც მხოლოდ რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული. შესაძლოა ასეთებია: ოთხკუთხაბაკიოანი ჭურჭლები, უყურო დოქები და მილიანი ხელადები.

XXV. ოთხკუთხაბაკოიანი ჭურჭელი (ტაბ. LII). სიმცირის გამო ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას ცუდად ექვემდებარება. ასეთი სახის ჭურჭელი პირველად უფლისციხეში აღმოჩნდა. ისინი in situ მდგომარეობაში პირველად კავთისხევის ციხიაგორას სამლოცველოს გათხრისას დადასტურდა, რამაც მიგვანიშნა ამგვარი ჭურჭლების საკულტო დანიშნულებაზე. ასეთივე სიტუაცია დადასტურდა სამადლოს ნაქალაქართან გათხრილ სამლოცველოშიც [Апакидзе и др. 1987]. ოთხკუთხაბაკოიან ჭურჭელს ფართო, მრგვალი პირი აქვს, რომელსაც ჰორიზონტალური, ოთხკუთხა ბაკო შემოუყვება. ამ ტიპის ჭურჭლებს ცილინდრული, ძირისაკენ ოდნავ შევინწოვებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს (G.N.: კატ. № 1082-1092). ყველა მათგანი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია მუქად. ზედაპირი გაპრიალებულია. ამ ტიპის ჭურჭელი ძვ.წ. III საუკუნიდან ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევრამდე ჩანს გავრცელებული.

XXVI. უყურო დოქტი (ტაბ. LIII). ძვ.ნ. V – I სს. არქეოლოგიურ მასალაში უყურო დოქტები იშვიათობას წარმოადგენენ. ისინი მხოლოდ სამარხებშია აღმოჩენილი. ამასთან ორ მათგანს ძირზე ნახვრეტი აქვს (G.N.: კატ. № 1093-1101), რაც გამორიცხავს მათ სითხის მოსაკავებლად გამოყენებას. ზოგიერთ ჭურჭელს კი კონუსური ძირი აქვს (G.N.: კატ. № 1094, 1097-1101) და უპირატესად კონუსურძირაოან ფიალებთან ერთად გვხვდება სამარხებში. ისინი, როგორც ჩანს, ერთ კომპლექტს წარმოადგენენ. კონუსურძირაოანი ჭურჭელი აღმოჩენილია: უფლისციხეში [ხახუტაიშვილი, დ. 1964:79-80], „მთა ქართლზე“ [გაგოშიძე 1982: 14, 26-27], ურბნისის ნაქალაქარიზე, ნერონ-დერესის სამარხებში, ზემო ავჭალაში და ახალციხეში [გაგოშიძე 1982: 26], ნასტაკისის სამლოცველოში [Бохочадзе и др. 1982а:47, ტაბ. XXIV-1] და სხვ.

უყურო დოქტები ორი ტიპი გამოიყოფა – 1. ბრტყელძირა და 2. კონუსურძირაოანი. ბრტყელძირა ცალები გვხვდება I-III ქრონოლოგიურ ჯგუფებში, ძირწვეტიანი კი VI ქრონოლოგიურ ჯგუფში.

XXVII. მილიანი დოქტი/ხელადა (ტაბ. LIV, LV). ქართლის ძვ.ნ. VII – ახ. ნ. VII სს. ძეგლებზე ორი ტიპის მილიანი დოქტები გვხვდება: 1. ე.ნ. „ჩაიდნები“ და 2. ყურმილიანი დოქტები.

ე.ნ. „ჩაიდნები“ (ტაბ. LV) ფართო, გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, მხრიანი, სფერული ან მსხლისებური ტანი და ბრტყელი ძირი აქვთ. ცილინდრული მილი აღმართულია ყურის მოპირდაპირედ. ფორმის მიხედვით, ისევე როგორც დოქტები, სამ ქვეტიპად იყოფა: 1. მხრიანი (G.N. კატ. № 517), 2. სფერულტანიანი (G.N. კატ. № 514-516, 518-521, 523-527, 530) და 3. მსხლისებურტანიანი (G.N. კატ. № 522). ასეთი ჭურჭლები დამზადებულია კარგად განლექილი, მინარევებიანი თიხისაგან, გამომნვარია მოვარდისფროდ. მათი ნანილი შეღბილია წითელი საღებავით. ასეთი ტიპის ჭურჭელი საქართველოში ძირითადად ძვ.ნ. V-IV სს-ში გვხვდება, რაც შესაძლოა აქემენიდურ ირანს უკავშირდებოდეს, სადაც ესეთი ტიპის

კერამიკა უძველესი დროიდან ფიქსირდება. ძვ.ნ. III – ახ.ნ. VII სს-ში ამ ტიპის ჭურჭელი იშვიათად გვხვდება. ე.ნ. „ჩაიდნების“ გენეზისის და გავრცელების საკითხები დაწვრილებითაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში [გაგოშიძე 1979: 77-78; დავლიანიძე 1983: 17-19, 132; იქვე იხ. ლიტ.].

ყურმილიან ხელადებს (ტაბ. LIV), გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, მხრიანი, სფერული ან მსხლისებური ტანი და ბრტყელი ძირი აქვთ. სითხის გადმოსაღვრელი მილი ყურმისა განთავსებული.

ფორმის მიხედვით, ისევე როგორც „ჩაიდნები“, სამ ქვეტიპად იყოფა: 1. მხრიანი, 2. სფერულტანიანი და 3. მსხლისებურტანიანი. ასეთი ჭურჭლები დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან და ძირითადად რუხი ფერისაა. ზედაპირ შემკულია ამოღარული ან ამოკანრული ორნამენტით. ამ ტიპის ჭურჭლების გავრცელების ძირითადი არეალი დასავლეთ საქართველოა. თუმცა ქართლის დასავლეთ რეგიონებშიც გვხვდება, სადაც ძირითადად ძვ.ნ. V-IV ს-შია გავრცელებული. შემდგომ ხანებში ისინი ქართლის ტერიტორიაზე იშვიათად გვხდება.

ძვ.ნ. VII – ახ.ნ. VII სს-ის კერამიკის ქრონოლოგია, ტექნოლოგია და მოხატული კერამიკის სტილისტური ანალიზი

დათარილების საკითხისათვის. ქართლის (იბერიის) კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგიურმა კლასიფიკაციამ, ზოგადად, საშუალება მოგვცა ძვ.ნ. VII – ახ.ნ. VII სს-ის კერამიკაში ცხრა ქრონოლოგიური ჯგუფი გამოგვეყო. მათი გამოყოფა განხორციელდა ამა თუ იმ ტიპის ჭურჭლების ერთად აღმოჩენის საფუძველზე (სამარხებსა და ნამოსახლართა კარგად სტრატიფიცირებულ ფენაში). ყველა მონაცემის შეჯერების საფუძველზე გაირკვა, რომ თითოეულ ქრონოლოგიურ ჯგუფს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტიპის ჭურჭლი შეესაბამება, თუმცა გამონაკლისის სახით გვხვდება ისეთი ტიპებიც, რომლებიც ყველა ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება (ქოთნები-

სა და კოჭბების ერთი ჯგუფი). თითოეული ქრონოლოგიური ჯგუფისათვის, კარგად და-თარიღებული კომპლექსების საშუალებით, შემუშავდა ქრონოლოგია. შედარებულია (კო-რელაცია) სხვადასხვა სახის ტიპოლოგიური რიგები ერთმანეთს და თანხვედრის საფუძველზე დადგენილია ზოგადი ქრონოლოგიური ჯგუფები. ცალკეული სეგმენტების გაფორმების მიხედვით დახასიათებულია ამა თუ იმ ქრონოლოგიურ ჯგუფში შემავალი კერამიკის თავისებურება.

ძვ.წ. VII – ახ.წ. VII საუკუნეების კერამიკის თანხვედრის საფუძველზე ცხრა ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო¹:

1. ძვ.წ. VII – ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი
2. ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი.
3. ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი (ადრე შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით I ქრ. ჯგუფი).
4. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი (ადრე შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით II ქრ. ჯგუფი).
5. ძვ.წ. III ს. – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი (ადრე შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით III ქრ. ჯგუფი).
6. ძვ.წ. II ს. – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი (ადრე შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით IV ქრ. ჯგუფი).
7. ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II საუკუნე (ადრე შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით V ქრ. ჯგუფი).
8. ახ.წ. III – IV სს.
9. ახ.წ. V - VII სს.

ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს. კერამიკის დათარიღებისათვის პირველ რიგში დიდი მნიშვნელობა აქვს აბსოლუტურ თარიღებს, რომლებსაც სხვა, კარგად დათარიღებული არტეფაქტები იძლევიან. მოცემული ქრონოლოგიური მონაკვეთის ძეგლებზე ასეთი მასალები

არათანაბრადაა გადანაწილებული. ძვ.წ. V-I სს ძეგლებზე ისინი შედარებით ნაკლებია, შემდეგ ეპოქაში უფრო მრავლად გვხვდება ის-ეთი არტეფაქტები, რომლებიც უფრო ზუსტი დათარიღების შესაძლებლობას იძლევა.

ყველაზე უკეთ არის დათარიღებული ის ქრონოლოგიური ჯგუფები, რომლებშიც მონეტები გვხვდება, თუმცა დათარიღებისას სხვა არტეფაქტებიც არის გამოყენებული. ხაზგასასმელია ისიც, რომ გვაქვს სტრატიფიცირებული ნამოსახლარები და მათი შესაბამისი სამაროვნები, რაც დათარიღების სიზუსტეს უფრო ზრდის.

I-II ქრონოლოგიური ჯგუფების (ძვ.წ. VII – VI ს-ის პირველი ნახევარი) დათარიღებისას რ. აბრამიშვილის, დ. მუსხელიშვილის, ვ. სადრაძის და რ. დავლიანიძის ნაშრომებს დავეყყრდენით [აბრამიშვილი 1957; აბრამიშვილი 1980; მუსხელიშვილი 1978, სადრაძე, დავლიანიძე 1993]. ძვ.წ. VII-VI სს კერამიკის ორ ქრონოლოგიურ ჯგუფში გადანაწილება აღმოსავლეთ საქართველოს ამ ეპოქის მნიშვნელოვანი არქოლოგიური ძეგლების (ნარეკვავი, ხოვლე, კახეთი) სტრატიგრაფიული მონაცემების, იმპორტული კერამიკის, არტეფაქტების მეცნიერული ანალიზის და რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

ხოვლეს და ნარეკვავის ნამოსახლების სტრატიგრაფიული მონაცემები და შესაბამისი ჰორიზონტების თარიღები შემდეგ სურათს იძლევა:

ხოვლეს ნამოსახლარზე სტრატიგრაფიულად გამოყოფილია რვა ჰორიზონტი, რომლებიც ქრონოლოგიურად ძვ.წ. XV – IV საუკუნეებს მოიცავენ. ჩვენთვის საინტერესო ეპოქას მიეკუთვნება IV-I ჰორიზონტები [მუსხელიშვილი 1978: 34-59]. IV ჰორიზონტი ძვ.წ. IX-VII სს-ით არის დათარიღებული, III ჰორიზონტი – ძვ.წ. VI ს-ით, II ჰორიზონტი - ძვ.წ. V ს-ით, I ჰორიზონტი კი, ძვ.წ. IV ს-ით. [მუსხელიშვილი 1978: 34-59]. ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის დათარიღების დროს ყურადღებას იქცევს III ჰორიზონტის თარიღი, რომელიც ძირითადად

¹ ძვ.წ. V – I სს ქართლის კერამიკისათვის ჩვენს მიერ ადრე შემუშავებული იყო შესაბამისი ქრონოლოგია, რომელსაც ახალთან კორელაციის გაადვილების მიზნით აქვე გთავაზობთ.

სკვითური ისრისპირების თარიღების საფუძველზეა მოცემული [მუსხელიშვილი 1978: 75-77]. ამ ფენის დათარიღებისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება წითელკეციან კემარიკას. III ჰორიზონტის დათარიღებისას გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება ნასოფლარის სტრატიგრაფიას. ნასოფლარზე, რომელიც სამხრეთიდან ეკვრის ხოვლეს ბორცვს, ორი მკვეთრად გამოყოფილი სტრატიგრაფიული ფენა დაფიქსირდა. ქვედა ფენა დროის მიხედვით შეესაბამება ხოვლეგორის III ჰორიზონტს, ხოლო ზედა - II ჰორიზონტს [მუსხელიშვილი 1978: 41]. სკვითური ისრისპირების დახასიათებისას აღნიშნულია, რომ ისინი ძირითადად ძვ.წ. VI ს-ს განეკუთვნებიან. თუმცა III ჰორიზონტის ნაგებობის იატაკზე აღმოჩენილი ცალი უფრო ძვ.წ. VI საუკუნის შუა ან მეორე ნახევარისა უნდა იყოს [მუსხელიშვილი 1978: 75-76]. ამავე ფენაშია აღმოჩენილი ბერძნული შავფიგურიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელიც ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელი მესამედით თარიღდება [მუსხელიშვილი 1978: 75-77].

ნარეკვავის ნამოსახლარზე სამი სამშენებლო ჰორიზონტი გამოიყო. ზედა, I ჰორიზონტი ძვ.წ. VI-ის მინურულითა და VII ს-ის დასაწყისით (C_{14} მონაცემებით ძვ.წ. 480 ± 40), II ჰორიზონტი - ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევრითა და VI ს I ნახევრით (C_{14} მონაცემებით 1. ძვ.წ. 450 ± 120 , 2. ძვ.წ. 583 ± 39), III ჰორიზონტი - ძვ.წ. VIII ს-ის მინურულითა და VII ს-ის პირველი ნახევრით (C_{14} მონაცემებით ძვ.წ. 540 ± 39) არის დათარიღებული [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 64-65]. ნარეკვავის ნამოსახლარის სტრატიგრაფია გვიჩვენებს, რომ სახლების უმეტესობა კაპიტალურად არის გადაკეთებული, ხშირ შემთხვევაში კი ერთმანეთის თავზეა გამართული. ნამოსახლარის კალანდაძისგორა 2-ზე დაფიქსირებულია, რომ № 1 სახლის (I ჰორიზონტი) ქვეშ № 2 სახლია (II ჰორიზონტი) გამართული. ორივე სახლი კი № 3 სახლის (III ჰორიზონტი) ნანგრევებზეა აღმართული. № 5 სახლი აგებულია № 6 სახლზე, № 8 სახლის თავზე № 7 სახლი დგას. ერთმანეთის თავზეა გამართული № 10 (I ჰორიზონტი), № 11 (II ჰორიზონტი) და № 12 (III

ჰორიზონტი) სახლები (დავლიანიძე, სადრაძე 1993: 15-21).

ამდენად, მოტანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ხოვლეგორას და ნარეკვავის ნამოსახლარის მასალები და აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკის ტიპოლოგია, ამ ნამოსახლართა შესაბამისი ჰორიზონტების ქრონოლოგიის კორექტირების საშუალებას იძლევა; კერძოდ, ხოვლეგორას IV და ნარეკვავის III ჰორიზონტები შეიძლება ძვ.წ. VII – VI ს-ის პირველი ნახევარით (I ქრონოლოგიური ჯგუფი), ხოვლეგორას III და ნარეკვავის II ჰორიზონტები ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარითა და V ს-ის დასაწყისით (II ქრონოლოგიური ჯგუფი) დავათარიღოთ; ხოვლეგორას II და ნარეკვავის I ჰორიზონტები ძვ.წ. V ს-ის დასაწყისა და IV ს-ის პირველ ნახევარს (III ქრონოლოგიური ჯგუფი) მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება ხოვლეს I ჰორიზონტს, აღსანიშნავია, რომ მისი შესაბამისი მასალა მეტად მცირერიცხვანი და ფრაგმენტულია. ამ ფენაში სხვადასხვა ეპოქის, მათ შორის გვიანელინისტური ხანის მასალებიც (VII ქრონოლოგიური ჯგუფი) ერთმანეთშია შერეული [მუსხელიშვილი 1978: 75-77], ამდენად ამ ჰორიზონტის ზუსტი დათარიღება ჭირს. თუმცა, მასალების დიდი ნაწილი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. ასევე რთულია IV ჰორიზონტის ქვედა თარიღის განსაზღვრა, თუმცა ეს საკითხი ამჯერად ჩვენი კვლევის სფეროს არ ნარმოადგენს. ვიტყვით მხოლოდ რომ I ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკის დიდი ნაწილი ფორმობრივ-ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად წინამორბედი ხანის თიხის ჭურჭლის მსგავსია და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურულისტორიული პროცესის თანმდევი მატერიალური კულტურის ერთგვარობის გამოხატულებას წარმოადგენს.

III ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი) გამოყოფა შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ნიშნების მემვეობით. ამ ჯგუფის კერამიკა ტექნოლოგიურად დიდ მსგავსებას იჩენს

რკინის ფართო ათვისების ხანისათვის დამახასიათებელი ჭურჭლების ტექნოლოგიასთან. შეინიშნება გარკვეული ფორმობრივი მემკვიდრეობაც. III ქრონოლოგიური ჯგუფის საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ გვხვდება რკინის ფართო ათვისების ხანისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალა. ესენია: მხრიანი, მრგვალპირიანი ხელადები, რომელთაც დაბალი ყელი, მკვეთრად გამობერილი მხრები და ვიწრო ძირი აქვთ. მათთან თანაარსებობენ ასევე მრგვალპირიანი დოქები, რომელთაც ზემოთ აღნერილებთან შედარებით მაღალი ყელი, დაქანებული კალთები და შედარებით ფართო ძირი აქვთ. III ქრონოლოგიური ჯგუფის საწყის ეტაპზე ჩნდება ნისკარტიანი და მილიანი ხელადები, რაც სრულიად უცხოა წინამორბედი ეპოქისათვის. III ქრონოლოგიური ჯგუფის საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ გვხვდება პროფილირებულკალთიანი, მასიურქუსლიანი ჯამები (G.N. კატ. № 797,799,800,802,804,952; 798,801,803,967), რომლებიც ძირითადად I-II ქრონოლოგიური ჯგუფებისათვის არის დამახასიათებელი. ამავე დროს ჩნდება პირმოყრილი ბრტყელძირა ჯამებიც (G.N. კატ. № 817-843,845,847-881,925,926,934,935,940-950,979,1007, 1011,1052-1054,1056-1063). III ქრონოლოგიური ჯგუფით დათარიღებულ კერამიკასთან ერთად (სამაროვნებზე) ჯერ კიდევ არ გვხვდება ზურგშეზნექილი სამაჯურები. ამ პერიოდში გავრცელებულია მრგვალზურგიანი, გველისთავებიანი ან ზურგდაკეჭილი სამაჯურები. ზურგდაკეჭილი სამაჯურები კი რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლებისათვის (სამთავრო, ნარეკვავი) არის დამახასიათებელი (I-II ქრონოლოგიური ჯგუფი). III ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკასთან ერთად ამგვარი სამაჯურები აღმოჩენილია კამარახევის №119 სამარხში [ჯდარკავა 1983: სურ. 1195], ღრმახევისთვის [აბრამიშვილი და სხვ. 1980: სურ. 116-258, 260, 159-395], ბეჭთაშენის [დავლიანიძე 1983, ტაბ. XI-343, 344, XV-544] შავსაყდარას [კვიშინაძე 1975: ტაბ. XX-X-4] სამაროვნებზე. ისინი თითქმის იდენტურია სამთავროს [კალანდაძე 1982: სურ.

309, 310, 328, 527, 528, 582, 583, 613-615, 740, 741, 758, 761], ნარეკვავის [დავლიანიძე 1985: სურ. 97, 119], ღრმახევისთავის [აბრამიშვილი და სხვ. 1980: სურ. 179-472] სამაროვნებზე აღმოჩენილ სამაჯურებისა. კამარახევის სამაროვანზე აღმოჩენილი გველისთავიანი სამაჯურები [ჯდარკავა 1983: სურ. № 934, 935, 941, 942, 964, 1001, 10035, 1174, 1204, 1375, 1455, 1482, 1483, 1594, 1506] გარკვეულ მსგავსებას იჩენენ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ გველისთავიან სამაჯურთან [კალანდაძე 1982: სურ. 904, 891, 890].

მოტანილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ზურგდაკეჭილი სამაჯურები უფრო მეტად რკინის ფართო ათვისების ხანისათვის არის დამახასიათებელი და I ქრ. ჯგუფში გადმონაშთის სახითდა გვხვდება. ხოლო გველისთავებიანი სამაჯურები კი პირიქით – პირველად რკინის ფართო ათვისების ხანის ბოლო ეტაპზე ჩნდება და ფართოდ არის გავრცელებული მომდევნო ხანაში.

ამ მოკლე მსჯელობიდანაც კარგად ჩანს, რომ III ქრონოლოგიური ჯგუფის არქეოლოგიური მასალა რკინის ფართო თვისების ხანის (I-II ქრონოლოგიური ჯგუფი) მსგავსია და მის განვითარებას წარმოადგენს.

IV ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი) კვლავ გვხვდება მრგვალპირიანი დოქები და ხელადები, თუმცა I ქრონოლოგიური ჯგუფის ცალებისაგან განსხვავებით მათ უფრო მაღალი ყელი, დაქანებული კალთები და ფართო ძირი აქვთ. პროპორციების დაგრძელების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს და IV ქრონოლოგიურ ჯგუფის მიწურულისათვის მხოლოდ მსხლისებურტანიანი დოქები და ხელადები გვხვდება. ეს პროცესი შეეხორცორცი მრგვალპირიან, ისე ნისკარტიან და მილიან დოქებსა და ხელადებს.

III და IV ქრონოლოგიური ჯგუფების კერამიკაში შეიძლება გამოიყოს ჭურჭლის ამათუ იმ სეგმენტის თავისებურება, რომელიც ან III ან IV ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ III ჯგუფშია დადასტურებული და

შემდეგ აღარ გვხვდება – დოქტი, რომლებ-საც ტრაქეციის ფორმის ყელი აქვთ, მილიანი დოქტი – მკვეთრად გამობერილი მხრებით და ვერტიკალურად მიმართული გადმისალვრე-ლით. მხოლოდ IV ქრონოლოგიური ჯგუ-ფისთვის არის დამახასიათებელი – ხელადები მსხლისებური ტანით (გვხვდება გარადამა-ვალი ტიპის ჭურჭლებიც, რომლებიც III ქრო-ნოლოგიური ჯგუფის ბოლოს ჩნდება), ყურის თავზე ორი კოპის დაძერწვა, ლენტისებურყ-ურიანი ჭრაქტები (მუხათგვერდი). მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა ორივე ჯგუფის კერამიკას ბევრი საერთო აქვთ. ძვ.წ. V ს-ში შე-მოსული ტექნოლოგია და ტიპები IV ქრონოლო-გიური ჯგუფის დასასრულამდე არსებობენ.

III და IV ქრონოლოგიური ჯგუფის არქე-ოლოგიური მასალა იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ისინი ქმნიან ერთიან მატერიალურ კულტურას, რო-მელიც განსხვავდება როგორც რკინის ფარ-თო ათვისების ხანის, ასევე მომდევნო (V ქრო-ნოლოგიური ჯგუფი - ძვ.წ. III საუკუნე – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი) ხანის არქეოლოგიური მასალ-ისაგან. ამასთან უფრო დიდ სიახლოვეს იჩენენ (III ქრონოლოგიური ჯგუფი) ნინამორბედი ხანის, ვიდრე მომდევნო ხანის მასალასთან. ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. კავშირი შეინიშნება, მაგალითად „სამკუთხედებით მოხატული კერამიკის“ განვითარებაში.

ისიც უნდა ითქვას, რომ „დაჭრილების“ (G.N.: კატ. № 995-997) და თეთრიწყაროს (G.N.: კატ. № 994) სამაროვნებზე აღმოჩენილი ფიალები (IV ქრონოლოგიური ჯგუფი) სამად-ლოს ნაქალაქარზე აღმოჩენილი ფიალების (V ქროლოგიური ჯგუფი) მსგავსია, როგორც ტექნოლოგით, ისე ფორმით და როგორც ჩანს ქრონოლოგიურადაც ახლოს არიან ერთ-მანეთთან. საერთოდ „დაჭრილების“ სამა-როვანზე აღმოჩენილი ნივთები, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, მაინც განსხვავდე-ბიან IV ქრონოლოგიური ჯგუფით დათარიღე-ბული გომარეთის, მუხათგვერდის და ციხედი-დისხევის მასალებისაგან. ეს განსხვავება შეი-

ნიშნება თიხის ჭურჭელშიც. მაგ. დოქტი სხვა სამაროვნებზე აღმოჩენილი დოქტებისაგან გან-სხვავებით უფრო ვიწროყელიანია, ზედაპირის შემკულობით კი (G.N.: კატ. № 574) V ქრონო-ლოგიურ ჯგუფში გავრცელებულ ჭურჭლებს გავს. ხოლო ორი მოხატული დოქტი (G.N.: კატ. № 435, 576) კი სტილისტურად უფრო მოგვია-ნო ხანის ჭურჭლებს მოგვაგონებს. ასევე საყუ-რადღებოა ამ სამაროვანზე აღმოჩენილი ორი დოქტი (G.N.: კატ. № 413-414), რომლებიც ფორ-მით ასევე მოგვიანო ხანის ჭურჭლების (G.N.: კატ. № 406-416) მსგავსია. ამდენად მიგვაჩინია, რომ „დაჭრილების“ სამაროვანი IV ქრონოლო-გიური ჯგუფის მიწურულს და V ქრონოლო-გიური ჯგუფის დასაწყისს მიეკუთვნება. თუ „დაჭრილების“ მასალების მსგავი არტეფაქ-ტები შემდგომში სხვა ძეგლებზეც გამოვლინ-და, არ არის გამორიცხული, რომ ეს მასალები კიდევ ერთი ქრონოლოგიური ჯგუფის გამო-ყოფას დაედოს საფუძვლად.

ქართლის არქეოლოგიურ მასალაში V ქრო-ნოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. III საუკუნე – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი) მყარად დამათარიღებელი მასალები არ მოიპოვება. გვაქვს რამდენიმე ცალი მონეტა (არმაზისხევში - კოლხური ნახ-ევარდრაქმა; ავჭალაში - პტოლემეოს III? /247-222 ძვ.წ./ სპილენძის მონეტა; ნიჩბისში - ძვ.წ. IV ს-ის ოლბიური მონეტა; სურამში – აქემენი-დური სიკილა და კოლხური ნახევარდრაქმები [Дундუა 1987: 31,136,144]), რომლებიც შემთხ-ვევითი მონაპოვრებია (გარდა არმაზისხევის ცალისა, რომელიც რაიმე კომპლექსთან არ არის დაკავშირებული) და ამდენად დათარი-ღებისათვის არ გამოდგება. კოლხური მონ-ეტები აღმოჩენილია ახალციხესთან, წნისის სამაროვანზე [კვიჯინაძე 1987:34].

IV ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი) კერამიკის დათარიღებისათვის დიდი მნიშ-ვნელობა აქვს ვანის ნაქალაქარზე გათხრილ მდიდრულ სამარხებს. აქ აღმოჩენილი ზოგი-ერთი ნივთი დიდ მსგავსებას იჩენს ქართლის ტერიტორიაზე გამოვლენილ მასალასთან (მაგ. ზურგშეზნექილი და ბურთულებიანი

სამაჯურები, სხივანა საყურეები, ბეჭდები), ზოგიერთი კი (მაგ. წითელი საღებავით მოხატული ხელადები) ზუსტი ანალოგიაა ქართლში აღმოჩენილი ნივთებისა. ამდენად, ძვ.წ. IV ს-ის მასალის დათარიღებისას, ძირითადად, ვანის ნაქალაქარზე გათხრილი მდიდრული სამარხების თარიღებს ვეყრდნობით. ამან საშუალება მოგვცა, რა თქმა უნდა სხვა მასალასთან ერთად, ქართლის მატერიალურ კულტურაში გამოვეყო კერამიკის ერთი ჯგუფი, რომელსაც IV ქრონოლოგიურ ჯგუფში ვათავსებთ.

V ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. III საუკუნე – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი) კერამიკის დათარიღებაც კარგადაა შესაძლებელი. ამ ჯგუფის კერამიკა უკავშირდება ე.წ. „სამადლოს ტიპის“ კერამიკას. ამგვარი კერამიკა კი დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი სამადლოს ნაქალაქარის ქვედა ელინისტური ხანის ფენაში. ამ ფენის შესახებ კი აღნიშნულია, რომ იგი ძირითადად ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება და ნაწილობრივ მოიცავს ძვ.წ. IV ს-ის II ნახევარს და შეიძლება შედის ძვ.წ. II ს-ში [გაგოშიძე 1979: 49]. ეს ქრონოლოგიური ჯგუფი სამადლოს ნაქალაქარზე მოპოვებული იმპორტული კერამიკის საფუძველზეა დათარიღებული [გაგოშიძე 1979: 49].

VI ქრონოლოგიური ჯგუფი (ძვ.წ. II საუკუნე – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი) სამადლოს, კავთისხევის, ნასტაკისის, დედოფლის მინდვრის სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით გამოვყავთ. ამ ჯგუფის განმსაზღვრელ კერამიკულ მასალას ე.წ. „სარკისებურზედაპირიანი“, შავად გამომწვარი ჭურჭლები ნარმოადგენენ. ასეთი შავპრიალა კერამიკა განსხვავებულია მანამდე ქართლში ცნობილი ფორმებისაგან. ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს. არქეოლოგიურ მასალაში ეს ჭურჭლები ფორმით და ტექნოლოგით განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან, რომელთა საუკეთესო ნიმუშები უფლისციხეში და ურბნისშია აღმოჩენილი [გაგოშიძე 1979; ხახუტაიშვილი 1964; ხახუტაიშვილი 1970; ჭილაშვილი 1964]. ასეთი ჭურჭლები სამადლოს ნაქალაქარის ქვედა

ელინისტურ ფენაში საერთოდ არ აღმოჩენილა, ზედა ფენაში კი მხოლოდ ერთი ნატეხია ნაპოვნი [გაგოშიძე 1979: 85]. ისინი დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი კავთისხევის ციხიაგორაზე, სადაც ასეთი კერამიკის შემცველი ფენა ზემოდან ედო „სამადლოს ტიპის“ კერამიკის შემცველ ფენას და თითქმის მხოლოდ ასეთი კერამიკას შეიცავდა [გაგოშიძე 1979: 85, იქვე საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა]. ასეთივე სიტუაცია დადასტურებულია დედოფლის მინდვრის (გაგოშიძე, 1978: 75) და ნასტაკისის სამაროვნებზე, სადაც კერამიკული მასალის აბსოლუტური უმრავლესობა შავად არის გამომწვარი და გაპრიალებული. ასეთი კერამიკის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნასტაკისის ველზე ნარმოებულ გათხრებს, სადაც I და II ნაკვეთებში საინტერესო სტრატიგრაფია დადასტურდა. აღნიშნულ ფართობზე გამოვლინდა რამდენიმე სამშენებლო ფენა და სამაროვანი. ყველაზე კარგად სტრატიგრაფია სამლოცველოს გათხრების დროს დადასტურდა. სამლოცველო მასში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ძვ.წ. III-II სს. თარიღდება (იგი, როგორც ჩანს, სამადლოს ნაქალაქარის ქვედა ელინისტური ფენის თანამედროვე უნდა იყოს). სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი. განსაკუთრებით საინტერესოა სამლოცველოს ჩრდილოეთ კედელში ჩაშვებული სამარხი, რომელშიც შავად გამომწვარი და გაპრიალებული ჭურჭლები დადასტურდა [ნიშან 1982: 47, ტაბ. LXXIV-1] ამდენად, იგი გვიანდელია ვიდრე სამლოცველო. უნდა აღინიშნოს, რომ ნასტაკისის სამაროვანზე ძირითადად შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული ჭურჭლები დადასტურდა, რომელშიც ზოგადად ძვ.წ. II-I სს. არის დათარიღებული. მოგვიანო სამარხები ასეთ ჭურჭლებს არ შეიცავენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ნასტაკისის №5 სამარხი (G.N.: კატ. № 29), რომელშიც შავად გამომწვარ და ზედაპირგაპრიალებულ სასმისთან ერთად მითრიდატე I-ის (ძვ.წ. 171-138 წწ) დრაქმა აღმოჩნდა [ნიშან 1982: 47, ტაბ. LXXIV-1]. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ნასტაკისის №5 სამარხი (G.N.: კატ. № 29), რომელშიც შავად გამომწვარ და ზედაპირგაპრიალებულ სასმისთან ერთად მითრიდატე I-ის (ძვ.წ. 171-138 წწ) დრაქმა აღმოჩნდა [ნიშან 1982: 47, ტაბ. LXXIV-1].

103, ტაბ. XXVII-15-17; დუნდა 1987: 163]. ეს მონეტა დღეისათვის ქართლის ტერიტორიის სამარხებში ნაპოვნი მონეტებიდან ერთ-ერთი უადრესია.

არკნეთის სამაროვანზეც ასეთი სატუაციაა დადასტურებული. ქვევრსამარხი, რომელიც „სარკისებურზედაპირიან“ კერამიკას (G.N.: კატ. № 1099, 1000) შეიცავს, №1 ორმოსამარხის ქვეშ აღმოჩნდა. ორმოსამარხები კი, მონეტების მიხედვით, ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. არის დათარიღებული [ჯაფარიძე 1956: 197-205].

„სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენაში გვეხმარება სამთავროს, „საყარაულო სერიის“ ქვევრსამარხები, აღაიანის, ნასტაციისის და არკნეთის ორმოსამარხები. ეს სამარხები მონეტების მიხედვით არის დათარიღებული და ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარს და შემდგომ ხანას მიეკუთვნებიან და „სარკისებრზედაპირიან“ კერამიკას არ შეიცავენ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ შავად გამომწვარი, „სარკისებრზედაპირიანი“ ჭურჭლები ძვ.წ. II-I სს-ში არის გავრცელებული.

„სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკა დიდხანს არ ყოფილა ყოფაში, ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებისათვის ის უკვე აღარ არსებობს. შავპრიალა კერამიკის დეგრადირებული ნიმუშები კიდევ გვხვდება ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც. მაგრამ მათთვის აღარ არის დამახასიათებელი მაღალხარისხოვანი თიხა, ზედაპირი ზერელედაა გაპრიალებული. აღარ გვხვდება პროფილირებულპირიანი ჯამები, ყველა მათგანი უკვე პირმოყრილია. შავად გამომწვარი კერამიკა აღარ არის შემკული წნევით შესრულებულლი გაპრიალებული ხაზებით.

„სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შავად გამომწვარ კერამიკასთან არც ტიპოლოგიური და არც ტექნოლოგიური კავშირი არ შეინიშნება. ასეთი კერამიკა უცრად ჩნდება და მალე, თითქმის უკვალოდ ქრება. ამ კერამიკის გამოჩენა ქართლში, ქრონოლოგიურად სომხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთში

ასეთი კერამიკა თითქმის ცნობილი არ არის, მისი გავრცელება ქართლში მაინც არტაშეს I-ის დაპყრობით პოლიტიკას უნდა დავუკავშიროთ; კერძოდ, არტაშეს I თითქმის გამეფებისთანავე (ძვ.წ. 180 წ.) იბერიას აჭრის ხორზენეს, გოგარენეს, პარიადრს. ეს ტერიტორიები კი, როგორც დღეისათვის არის მიჩნეული, მტკვრის ზემო წელზე უნდა მდებარეობდნენ, ანატოლიაში. ჩვენი აზრით, სწორედ ამ ტერიტორიიდან გადმოსახლებული ქართველი ტომების ნაწილის მიერ უნდა იყოს შემოტანილი შავპრიალა, „სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკა. მით უმეტეს, რომ შავად გაპრიალებული კერამიკა ითვლება ტიპიურ ფრიგიულად და ანატოლიაში გვიანელინისტურ ხანაშიც გვხვდება (G.N.: კატ. № 6). ყოფაში ეს კერამიკა დიდხანს არ შემორჩია. იგი გარკვეულ დეგრადაციას განიცდის და წელთაღრიცხვათა მიჯნისათვის მხოლოდ ხაოიანზედაპირიანი, შედარებით უხეში ჭურჭლები გვხვდება. ამ დროისათვის მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. ასეთი კერამიკის გაქრობა შეინიშნება სამთავროს ქვევრსამარხებში და მის თანადროულ ძეგლებზე. ამდენად, სამთავროს ქვევრსამარხების ქვედა თარიღმა უნდა მოგვცეს ასეთი კერამიკის გავრცელების ზედა თარიღი. სამთავროს ქვევრსამარხების უძველესი ჯგუფი კი, ჩვენი აზრით, ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. სწორედ ამ ხანაში უნდა ჩნდებოდეს კერამიკის ახალი ჯგუფი, რომელიც მომდევნო ხანისათვის არის დამახასიათებელი და VII ქრონოლოგიურ ჯგუფს (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II საუკუნე) მიეკუთვნება.

VI ქროლოგიური ჯგუფისათვის (ძვ.წ. II საუკუნე – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი) ძირითადად გაპრიალებული „სარკისებური“ კერამიკაა დამახასიათებელი. თუმცა, ამ ქრონოლოგიურ ჯგუფზე მოდის ქართლის მოხატული კერამიკის განვითარების შემდეგი ეტაპიც. ამ დროს გავრცელებული „კაზრეთის სტილის“ კერამიკა მხატვრული თვალსაზრისით აშკარად ჩამოუვარდება „სამადლოს ტიპის“ კერამიკას. ტექნოლოგიის და მხატვრული სტილის

დეგრადაციის პროცესი ძვ.წ. I ს-შიც (VII ქრონოლოგიური ჯგუფი) გრძელდება. „სამადლოს ტიპის” კერამიკისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია გაპრიალებული და ანგობირებული ზედაპირის მოხატვა, გვიანელინისტურ ხანაში საღებავი ჭურჭლის ხაოიან ზედაპირზე დაჰქონდათ. ამასთან ერთად შეინიშნება ორნამენტის გამარტივება. ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. კერამიკა შემკულია ხაზებით, ზიგზაგებით და წერტილოვანი ორნამენტით („სამთავროს სტილი“).

VII და VIII ქრონოლოგიური ჯგუფების კერამიკის დათარიღებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მონეტებიან კომპლექსებს (საყარაულო სერის და სამთავროს ქვევრ-სამარხები, რიყიანების ველის სამაროვანი, მცხეთის, არმაზისხევის, ნასტაკისის, ალაიანის ჟინვალის სამაროვნები, არკნეთისა და შულავერის სამარხები), რომლებიც ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით და მომდევნო ხანით თარიღდებიან. ამდენად ალინიშნული კომპლექსები იძლევიან აბსოლუტურ თარიღებს და კარგად განსაზღვრავენ VII (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II საუკუნე) და VIII ქრონოლოგიური ჯგუფების (ახ.წ. III – IV სს.) როგორც ქვედა, ისე ზედა თარიღებს.

IX ქროლოგიური ჯგუფის (ახ.წ. V-VII სს.) კერამიკის ტიპოლოგია და ქრონოლოგია ძირითადად მცხეთის და ურბნისის ნაქალაქარების არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით არის წარმოდგენილი.

ტექნოლოგია.

ამ პერიოდის კერამიკამ ტექნოლოგიური თვალსაზრისით არაერთი ცვლილება განიცადა. მისი დამზადების ტექნიკასა და ტექნოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს თიხის ჭურჭლის დათარიღებაში. ეს კერამიკა, კეცის ფერის მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა – მუქეციანი და მოვარდისფროკეციანი. თითოეულ ქრონოლოგიურ ჯგუფს, გარდა ფორმებისა, გარკვეული ტექნოლოგიაც შეესაბამება. პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა ძირითადად მსხვილმარცვლიანი თიხისგანაა

დამზადებული; გამომწვარია მუქად. გვხვდება არათანაბრად გამომწვარი, ხელით ნაძერწი ჭურჭლებიც. ამ ჯგუფის კერამიკა ტექნოლოგიურად წინამორბედი ხანის კერამიკის მსგავსია. ძვ.წ. VII – IV სს. მუქეციანი კერამიკის ტექნოლოგია განსხილულია ზ. მაისურაძის ნაშრომებში [იხ. მაისურაძე 1952]. აღნიშნული ხანის მუქეციანი კერამიკა მსხვილმარცვლოვანია, უპირატესად არათანაბრად არის გამომწვარი. ამ ჯგუფის კერამიკისაგან მკვეთრად განსხვავდება გვიანელინისტურ ხანაში (VI ქროლოგიური ჯგუფი) გავრცელებული მუქეციანი კერამიკა, რომელიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ზედაპირი ანგობირებული და „სარკი-სებურად“ აქვთ გაპრიალებული. ზედაპირზე დაუყვება წნევით ამოდარული, გაპრიალებული ხაზები. ასეთი კერამიკის ტექნოლოგიის საკითხები არაერთხელ იყო განსხილული სამეცნიერო ლიტერატურაში [ჭილაშვილი 1964; ხახუტაშვილი 1970; გაგოშიძე 1975; ნარიმანიშვილი 1997].

ძვ.წ. VII – VI საუკუნეების (ე.წ. რკინის ფართო ათვისების ხანა) კერამიკა არაერთხელ იყო განსხილული სხვადასხვა არქეოლოგის მიერ, თუმცა სპეციალური გამოკვლევა არც ამ ეპოქის თიხის ჭურჭელების შესახებ არსებობს [მუსხელიშვილი 1978]. ქართლის გვიანბრინ-ჯაო-ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ეპოქების კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური გამიჯვნა ჭირს [ავალიშვილი 1974: 76].

დღევანდელი მონაცემების მიხედვით შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ ქართლის ძვ.წ. VII - VI სს კერამიკა (I-II ქრონოლოგიური ჯგუფები) ძირითადად შავად ან ლეგა-მონაცრისფროდ არის გამომწვარი. საჭურჭლე თიხა კარგად არის განლექილი და ერთგვაროვანია. კეცი უმეტესწილად წვრილსილან-არევია, გვხვდება მსხვილკენარევი თიხაც (უმეტესწილად კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში). ამ პერიოდის თითქმის ყველა ჭურჭელი ჩარჩოზეა დამზადებული. გამონაკლისის სახით გვხვდება ხელით ნაძერწი,

მსხვილმარცვლოვანი, უხეში ჭურჭელი. ქვემო ქართლში ხელით ნაძერნი ჭურჭელი შედარებით მეტია, ვიდრე სხვა რეგიონებში. ამასთან აქ უხეში ჭურჭლის თიხაში წვრილად დანაყილი ობსიდიანიც გვხვდება.

ძვ.ნ. VII-VI სს. კერამიკის შემკულობას უმეტესად ამოღარული, წრიული ორნამენტი წარმოადგენს. კონცენტრული ამოღარული ხაზები ძირითადად მხრებზეა დატანილი. ხშირია ტალღისებური ორნამენტი და ირიბი, მოკლე ნაჭდევები. გვხვდება გაპრიალებული ხაზებით შემკული ჭურჭლები. ქართლში VII-VI სს-ში ახალი ტექნოლოგით დამზადებული თიხის ჭურჭელი შემოდის ხმარებაში. ჩნდება თითო-ოროლა ცალი წითლად გამომწვარი კერამიკა [იხ. მუსხელიშვილი 1978: 89], რაც სიახლეს წარმოადგენდა ამ ეპოქისათვის. ფიქრობენ, რომ კერამიკულ წარმოებაში მომხდარი ცვლილება ადგილობრივ ნიადაგზე მოხდა [მუსხელიშვილი 1978: 90].

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქართლის კერამიკაში პირველი დიდი ტექნოლოგიურ-ტიპოლოგიური ტეხილი ძვ.ნ. VI ს-ის ბოლოს თუ ძვ.ნ. V საუკუნის დასაწყისში ხდება, რაც გარკვეულად აქემენიდური ირანის აქტივობასთან არის დაკავშირებული. ჩატარებული კვლევების მიხედვით ნათელი გახდა, რომ ძვ.ნ. V საუკუნის თიხის ჭურჭელი ტექნოლოგიურად და ტიპოლოგიურად წინამორბედი ხანის კერამიკის დიდ გავლენას განიცდიდა.

ძვ.ნ. V საუკუნის დასაწყისიდან ქართლის მატერიალურ კულტურაში ჩნდება ახალი ელემენტები, რომლებიც წინამორბედი ხანისათვის არ არის დამახასიათებელი. ესენია: ნისკარტიანი და მილიანი დოქები, პირმოყრილი ჯამები, წითლად გამომწვარი და წითელი სალებავით შეღებილი და მოხატული ჭურჭლები, ოქროს, ბრინჯაოს და რკინის ზურგშეზნექილი, ზურგდაკეჭნილი და ბურთულებიანი სამაჯურები და სხვ. ამ ინოვაციებმა ძვ.ნ. V-IV სს-ის ქართლში ერთიანი მატერიალური კულტურის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომელიც მცირე სახეცვლილებებით ძვ.ნ. IV ს-ის მიწურულამდე გრძელდება. ძვ.ნ. V საუკუნის

დასაწყისში ჩნდება წითლად გამომწვარი, შეღებილი და მოხატული კერამიკა, რომელთა თიხის სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება მუქკეციანი კერამიკის თიხისაგან. წითელკეციანი კერამიკა დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან გამომწვარია თანაბრად, მოვარდისფროდ. ყველა მათგანი ჩარჩზეა ამოყვანილი. ამ ტექნოლოგიით დამზადებული ჭურჭელი III ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისი – ძვ.ნ. IV ს-ის პირველი ნახევარი) მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი, მაგრამ ისინი ამ ეპოქის განმსაზღვრელ, წინამორბედი ხანისაგან განმასხვავებელ მასალას წარმოადგენენ.

კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ ძვ.ნ. VI საუკუნეში ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებულია ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად წინამორბედი ხანისათვის დამასაითებელი მუქკეციანი კერამიკა.

წითელკეციანი კერამიკა ძვ.ნ. VII-VI სს. დათარიღებულ ძეგლებზე (სამთავრო, ნარეკვავი) არ აღმოჩენილა. ძვ.ნ. VI ს-ში ასეთი კერამიკა მხოლოდ ხოვლეს ნამოსახლარზეა დადასტურებული. I-II ქრონოლოგიური ჯგუფების კერამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძვ.ნ. VI ს-ში ქართლის ტერიტორიაზე გაბატონებულია ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიურად წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკა. წითელკეციანი კერამიკა კი არა მხოლოდ VI საუკუნეში, არამედ ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისშიც იშვიათია.

წითელკეციანი კერამიკის ქართლში გავრცელებით იწყება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩნდება მილიანი და ნისკარტიანი ხელადები, მაღალყელიანი დოქები, პროფილირებული და შვერილიანი ჯამები. ამავე დროს ვრცელდება წითელკეციანი, შეღებილი და მოხატული კერამიკა. ამ ტიპის კერამიკა ირანიდან ვრცელდება.

ძვ.ნ. V საუკუნის დასაწყისიდან ქართლში ჩნდება მოხატული კერამიკაც. ასეთი კერამიკა უეცრად ჩნდება ანტიკურ ხანაში. მოხატული კერამიკის უეცარი გამოჩენა გარე სამყაროს უნდა დავუკავშიროთ. კერძოდ ირანს,

იმ რეგიონს, რომალსაც მოხატული კერამიკის დიდი ტრადიციები აქვს და ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც აწარმოებს მას. ირანში მოხატული კერამიკა ადრეენეოლითის ხანიდან აქემენიდური ხანის ჩათვლით არის გავრცელებული.

ახალი ტეხილი, ე.წ. „სამადლოს სტილის“ მოხატული კერამიკის გამოჩენას უკავშირდება. ეს სიახლე ძვ.წ. IV ს-ის მინურულიდან და ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება; ძვ.წ. III ს-ის ქართლში დადასტურებული მატერიალური კულტურის რიგი ელემენტები გენეტიკურად ძვ.წ. V-IV სს. მატერიალურ კულტურასთან არის დაკავშირებული და მათ განვითარებას წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს ქვევრების და დოქების ერთი ჯგუფი. ასევე წინა პერიოდთანაა დაკავშირებული ჭურჭლების შეღებვისა და მოხატვის წესი.

ქართლის კერამიკაში შემდეგი სიახლე ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისში ფიქსირდება და „სარკისებურზედაპირიანი“, შავპრიალა კერამიკის გამოჩენასთან არის დაკავშირებული (VI ქრონოლოგიური ჯგუფი). ასეთი კერამიკა კარგად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული და შავადაა გამომწვარი. მისთვის სრულიად ახალი ფორმებიცაა დამახასიათებელი. დოქებისა და ხელადების ზედაპირი „სარკისებურად“ არის გაპრიალებული და შემკულია წნევით ამოღარული და გაპრიალებული სარტყლებით. ამ დროს ჩნდება ჯამ-ფიალების ერთი ჯგუფი, რომლებსაც პროფილირებული ქობა, დაქანებული კალთები და დაბალი რკალისებური ქუსლი აქვს. ზოგიერთი მათგანის კალთაც პროფილირებულია ან შემოუყვება რელიეფური სარტყელი. აღსანიშნავია, რომ შავად გამომწვარი ჭურჭელი არსებობას განაგრძობს VII ქრონოლოგიურ ჯგუფშიც (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II საუკუნე), მაგრამ მათი ზედაპირი უკვე დაუდევრად არის გაპრიალებული. მათ აღარ ახასიათებს წნევით ამოღარული და გაპრიალებული სარტყლები.

თიხის ჭურჭლების ფორმების შემდეგი ცვლილება ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარიდან ფიქსირდება (VII ქრონოლოგიური ჯგუფი) და,

როგორც ჩანს, ქართლის (იბერიის) რომის იმპერიის ორბიტაში მოქცევას უკავშირდება. ამ დროს ქართლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში ახალი საფეხური იწყება, რაც მატერიალურ კულტურაშიც აისახა.

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე გაჩენილი კერამიკული ტიპები, მცირე სახეცვლილებების მიუხედავად ახ.წ. II საუკუნის ჩათვლით იკავებენ გაბატონებულ მდგომარეობას. ამ დროს ჯერ კიდევ გვხდება მოხატული ცალები, შემორჩენილია ჭურჭლების შეღებვის წესი. კერამიკის უმეტესობა წითლადაა გამომწვარი. ჭურჭლების ზედაპირი უმეტესწილად ხაონიანია. ამ ეპოქისათვის ძირითადად სამტუჩა ხელადები, ქუსლიანი და ბრტყელირა ჯამ-ფიალებია დამახასიათებელი. დერგები უორნამენტოა. ქვევრებს კი კვლავ ყელზე აქვს რელიეფური ორნამენტი. ამ ეპოქის კერამიკაზე ორნამენტი მნირია და დოქებისათვის რელიეფური სარტყლების ერთი ან ორი რიგით შემოიფარგლება.

ახ.წ. III - IV საუკუნეებში (VIII ქრონოლოგიური ჯგუფი) აღარ გვხდება მოხატული და შეღებილი ჭურჭლები. კერამიკა კარგად განლექილი თიხისა და ძირითადად მოვარდისფროდ ან მოჩალისფროდაა გამომწვარი. ზედაპირი ძირითადად ხაონია. აღსანიშნავია, რომ ყველა ტიპის თიხის ჭურჭლის ზომები იზრდება. დიდი ზომის დოქებს ორი ყური უჩნდება; დერგების, ქოცოებისა და ქვევრების მთელი ტანი იფარება რელიეფური სარტყლებით. დოქებისა და ხელადების ყელს ორი ან სამი წიბო ამკობს. ამავე დროს შეინიშნება თიხის ჭურჭლის პროპორციების დაგრძელება, რაც მომდევნო ეპოქაში (V-VII სს.) უფრო თვალსაჩინო ხდება.

V-VII სს-ის (IX ქრონოლოგიური ჯგუფი) ქართლში ძირითადად ორი ტიპის, კვერცხისებური მოყვანილობის და სფერულმუცლიანი ქვევრები გვხვდება. მათი ნაწილი მოწითალოდ და ნაწილი კი მოჩალისფროდ არის გამომწვარი. მათი უმრავლესობა სქელკეციანია, რომლებსაც დაბრტყელებული, ძირითადად განიერი და სქელი პირი აქვთ, გვხვდება თხელკეციანი ცალებიც. ქვევრების

უმეტესობას მთელ ტანზე დაკეჭნილი რელიეფური სარტყელების ხშირი რიგები შემოსდევს. გვხვდება უყურო და ორყურა ქოცოები (მაგ.: მცხეთა, სამთავრო, ნასტაკისი, ძალისი, კარსნისხევი და სხვ). ფორმით მათი მსგავსია ოდნავ მომცრო დერგები, რომელებიც მიწითალო-მოვარდისფროდ, ღია მოჩალისფროდ, მონაცრისფრო-მოჩალისფროდ და მომწვანო-მოჩალისფროდაა გამომწვარი (მცხეთა, ნასტაკისი, ძალისი, უინვალი, ურბნისი, ზღუდერი და სხვა). ამ ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა ძირითადად ღია მოჩალისფროდ და მოვარდისფროდ არის გამომწვარი.

ნითელკეციანი კერამიკა. როგორც აღნიშნული იყო წითლად გამომწვარი კერამიკა ძვ.წ. VII-VI სს-ის ძეგლებზე არ დადასტურებულა და ძვ.წ. VI ს-ში ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებულია ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად იგივე კერამიკა, რაც წინამორბედ ხანაში. წითლად გამომწვარი ჭურჭლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ძვ.წ. V-IV სს. დათარიღებულ ძეგლებზე – სანთა, კუშჩი, თაშბაში, კარიაკი [გაგოშიძე 1982], შორი [ტყეშელაშვილი 1969], ღრმახევისთვის [აბრამიშვილი და სხვ. 1980]. აბელია, შავსაყდარა, ალექსეევა, ჯიგრაშენი, ასურეთი [კვიშინაძე 1975], კამარახევი [ჯლარკავა 1983], ვარსიმაანთკარი [წითლანაძე 1983], ქასრაანთ მიწები [ბერიძე 1980], აბანო [ნუცუბიძე 1978], გომარეთი [დავლიანიძე 1983], ბეშთაშენი [მენაბდე, დავლიანიძე 1968], სულ 18 ძეგლი - გათხრილ 395 სამარხში აღმოჩნდა 659 თიხის ჭურჭელი, რომელთაგან 197 ღია ფერისაა – მოწაბლისფრო, ღია ყავისფერი, ღია ნაცრისფერი, მოწითალო, მოვარდისფრო. მათ შორის მხოლოდ 42 ჭურჭელია შეღებილი წითელი საღებავით და 11 მოხატული.

ამათგან III ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებზე (სანთა, აბანო, ვარსიმაანთკარი, ბეშთაშენი, შორი, ღრმახევისთავი, კამარახევი, ქასრაანთ მიწები) გათხრილ 306 სამარხში 526 თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, აქედან 135 ღია ფერის, რომელთაგან 20 შეღებილია წითელი საღებავით და 5 მოხატულია. თუ გა-

ვითვალისწინებთ, რომ ზემოთჩამოთვლილ ძეგლებზე ზოგიერთი სამარხი ძვ.წ. IV საუკუნითაც თარიღდება და ღია ფერის კერამიკის შემცველი სამარხები შეიძლება უფრო ახალგაზრდა იყოს, მაშინ ცხადი გახდება, რომ III ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკაში ღია ფერის ჭურჭელების ხევდრითი წონა მცირეა.

IV ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი) ძეგლებზე (კუშჩი, თაშბაში, კარიაკი, შავსაყდარა, ასურეთი, ჯიგრაშენი, ალექსეევკა, ჩხიკვთა, აბელია, გომარეთი) გათხრილ 89 სამარხში 133 თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, აქედან 62 ღია ფერისაა, რომელთაგან 34 წითლად არის გამომწვარი, 22 წითელი საღებავით შეღებილი, 6 მოხატული. ამ მასალის პროცენტული შეფარდება შემდეგ სურათს იძლევა - III და IV ქრონოლოგიურ ჯგუფებში მუქი ფერის კერამიკა – 70,4%, ღია ფერის – 29,8%, შეღებილი – 6,5%, მოხატული – 0,9%. III ქრონოლოგიური ჯგუფი – მუქი ფერის კერამიკა – 74,4%, ღია ფერის – 25,4%, შეღებილი – 3,8%, მოხატული – 0,9%. IV ქრონოლოგიური ჯგუფი – მუქი ფერის კერამიკა – 53,4%, ღია ფერის – 46,6%, შეღებილი – 16,5%, მოხატული – 4,5%.

როგორც მოტანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, III ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებზე ღია ფერის კერამიკა მცირერაოდენობით არის აღმოჩნდილი, განსაკუთრებით თვალში საცემია შეღებილი ცალების სიმცირე. IV ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებზე კი მუქი და ღია ფერის ჭურჭელები თითქმის თანაბარი რაოდენობითაა გამოვლენილი.

წითელკეციანი კერამიკა საბოლოოდ ბატონდება მხოლოდ ამ პერიოდის ბოლოს, ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე. ძვ.წ. VI ს-ში ქართლის ტერიტორიაზე გაბატონებულია ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიურად წინა პერიოდიდისათვის (რკინის ფართო ათვისების ხანა) დამახასიათებელი კერამიკა, თუმცა შეინიშნება ახალი ელემენტიც. შეიძლება ითქვას, რომ არა თუ ძვ.წ. VI ს-ში, არამედ ძვ.წ. V ს-ის დასაწყისშიც წითელკეციანი კერამიკა იშვიათია.

კერამიკის მთელ ამ მასალაში გამოიყოფა

ორი დიდი ჯგუფი:

1. თიხის ჭურჭლები, რომლებიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ ან მონითალოდ, თხელკეციანია, მსუბუქი, ზედაპირი უმეტეს შემთხვევაში შეღებილი, ანგობირებული, ან კარგად გაპრიალებული აქვთ. ყველა მათგანი ჩარჩოეა დამზადებული.

2. თიხის ჭურჭლები, რომლებიც დამზადებულია მინარევებიანი, მქისე თიხისაგან (საუკეთესო ეგზემპლარებიც კი მინარევებიანი თიხისაა). ასეთი კერამიკის კეცი ხშირად არათანაბრად არის გამომწვარი, ჭურჭლის ზედაპირი ჭრელია, ზოგან მუქი, ზოგან ღია ფერისაა. გვხვდება მონაბლისფრო, ღია ყავისფერი, ღია ნაცრისფერი, მოვარდისფრო კეცით. ჭურჭლები სქელკეციანია, მძიმე. ზედაპირი იშვიათად გაპრიალებულია. ასეთი კერამიკის უმეტესი ნაწილი ხელით არის ნაძერწი.

V ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. III საუკუნე – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი) წითელკეციან კერამიკას გაბატონებული მდგომარეობა უკავია. ამ პერიოდის კერამიკის თიხა უფრო კარგად არის გარჩეული, კეცი უფრო მუქად (მონითალოდ) გამომწვარი, თიხა უფრო მკვრივია, ვიდრე III და IV ქრონოლოგიური ჯგუფების წითელკეციანი კერამიკა. წითელკეციანი კერამიკა არც მომდევნო ხანაში გამოდის ყოფიდან, მხოლოდ VI ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. II საუკუნე – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი) ხდება მისი დროებითი შემცირება.

წითელკეციანი კერამიკის დათარიღების დროს გასათვალისწინებულია მათი ზედაპირის დამუშავების და საღებავის ხარისხი. ასე მაგალითად III და IV ქრონოლოგიური ჯგუფის ჭურჭლების საღებავი უფრო მუქია და ჭურჭელზე უფრო სქლად არის ნასმული ვიდრე V-VI ქრონოლოგიური ჯგუფისა, შემდეგი ქრონოლოგიური ჯგუფების კერამიკის შესამკობად კიდევ უფრო დაბალი ხარისხის საღებავია გამოყენებული. ასევე აღსანიშნავია, რომ III-V ქრონოლოგიური ჯგუფის წითელად გამომწვარი კერამიკის ზედაპირი უმეტესწილად ანგობირებული და გაპრიალებულია. VI ქრო-

ნოლოგიურ ჯგუფში კი უკვე გვხვდება ხაოიან-ზედაპირიანი, უყურადღებოდ გაპრიალებული ცალები, VII ქრონოლოგიური ჯგუფისათვის კი ძირითადად ხაოიანზედაპირიანი კერამიკა დამახასიათებელი [აღნიშნულ საკითხზე დაწვრილებით იხ. ხახუტაიშვილი 1970].

წითელი საღებავით მოხატული კერამიკის სტილისტური ანალიზი. ქართლის მოხატული კერამიკა ძირითადად მონიქრომულია. პოლიქრომული კერამიკა იშვიათად გვხვდება (რამდენიმე ფრაგმენტია ნაპოვნი ნასტაკისა და ციხია-გორაზე [მახარაძე, ნარიმანიშვილი 2001] წითელი საღებავით მოხატულ ჭურჭლებთან ერთად გვხვდება თეთრი ანგობით მოხატული ნიმუშებიც. ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს წითელად მოხატული კერამიკის ორნამენტის სტილისტურმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ ამ მასალაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი სტილი: ე.წ. 1. სამკუთხედების სტილი; 2. სამადლოს სტილი; 3. კაზრეთის სტილი; 4. სამთავროს სტილი.

1). ე.წ. სამკუთხედების სტილის მოხატულობა, როგორც წესი, დატანილია ჭურჭლის გაპრიალებულ ან ანგობირებულ ზედაპირზე. დეკორის მთავარ დეტალს წარმოადგენს სამკუთხედი, რომელიც ხშირად სხვა ორნამენტთან ერთადაც გვხდება (თევზიფხური, ზიგზაგები, ჰორიზონტალური ხაზები), თუმცა, ამ შემთხვევაში ისინი მეორად დატვირთვას ატარებენ. ამ სტილში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ჯგუფი: A. სამკუთხედები წვერით ზემოთ [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002: ტაბ. I₁₋₂₂] და B. სამკუთხედები წვერით ქვემოთ [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. I₂₄₋₃₅].

A ჯგუფის მოხატულობის ძირითადი ნაწილი ჭურჭლის ტანზე, ერთ ან ორ ფრიზადაა განლაგებული. სამკუთხედები ჩასმულია ჰორიზონტალურ ხაზებს შორის. ერთ ფრიზად განლაგებული სამკუთხედების ერთი ნაწილი მთლიანად ბადისებრი იორნამენტითაა შევსებული [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. I₁₋₉]. სხვა ჭურჭელზე დატანილი სამკუთხედების ერთი ნაწილი ბადისებრი ორნამენტით ნაწილობრივაა შევსებული [ნარი-

მანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. I_{12,15,17}]. ორ ეგზემპლარზე ბადისებრი ორნამენტით შევსებულ სამკუთხედებს შორის ჩახატულია სამკუთხედებითვე შევსებული სამკუთხედები [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. I_{10,11,13}]. ერთ დოქტერ შეუვსებელ სამკუთხედებს შორის ჩახატულია ბადისებრი ორნამენტით შევსებული სამკუთხედი [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. I₁₄], ორი ჭურჭელი კი შეუვსებელი სამკუთხედებითაა შემკული [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. I_{16,18}].

B ჯგუფის მოხატულობა ერთგვაროვანია – წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები შევსებულია ირიბი ხაზებით. ამ მოხატულობის ცალკეულ ნიმუშებს შორის განსხვავება მხოლოდ ჭურჭლის ყელისა და მუცლის გაფორმებაში შეინიშნება – საკუთხედების ზემოთ და ქვემოთ დატანილა ჰორიზონტალური ხაზები, ზიგზაგები, ბადე ან ე.ნ. თევზიფეხური ორნამენტი [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. I₂₄₋₃₄].

ქართლის აქემენიდური ხანის კერამიკის ქრონოლოგია გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად, ძვ.წ. V ს-დან ვრცელდება აქემენიდური სტილის კერამიკის ერთი ჯგუფი – მილიანი ხელადები (ჩაიდნები), ნისკარტიანი დოქები და პროფილირებული ჯამები [ნარიმანიშვილი, მახარაძე 2010: ტაბ. III, 1,2,4,5,7,8]. ამ ტიპის კერამიკის უმეტესობა გამომწვარია მოვარდისფროდ, მათი ნაწილი შეღებილია წითელი საღებავით. რაც შეეხება მოხატულ კერამიკას, ის უფრო გვიან, ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებში ჩნდება.

2) ე.ნ. „სამადლოს სტილის“ კერამიკა. ეს სტილი წარმოადგენს ტრადიციული მოტივების სინთეზს, რომელიც დაკავშირებულია იმ ნოვაციასთან, რაც დამახასიათებლია ახლო აღმოსავლეთის ელინიზირებული ქვეყნებისათვის. „სამადლოს სტილის“ მოხატულობა წარმოდგენილია შევრონებით, ზოომორფული და ანთროპომორფული ფიგურებით, მცენარეული ორნემენტით და გეომეტრიული ფორმებით [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. III_{1,2}; IV; V]. ნახატი დატანილია ჭურჭლის ანგობირებულ ან ნაპრიალებ ზედაპირზე. ეს

სტილი ხშირად დიდი ზომის ჭურჭელზეც – ქვევრებსა და თაღარებზე გვხვდება [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. III₂; IV_{1,2,41}]. ასეთი ორნამენტი დიდი რაოდენობით სამადლოს ნაქალაქარზე იქნა გამოვლენილი და მის ქვედა ელინისტურ ფენას უკავშირდება, რომელიც იმპორტულ მასალაზე – შავლაკიან სანელსაცხებლეებსა და ლანგრებზე დაყრდნობით ძვ.წ. III ს-ით თარიღდება [გაგოშიძე 1979: 47]. სამადლოს სტილის „მოხატულობა გამოვლენილია ისეთ ნამოსახლარებზე, როგორიცაა მჭადიჯვრის გორა [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. III₁] და ციხიაგორა [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. V₁₋₃; VI_{7,18}]. ამ სტილის კერამიკა დადასტურებულია სამადლოს ზედა ელინისტურ ფენაშიც, რომლიც ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან იმპორტირებული ამფორისკების [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. IV₃₂] საფუძველზე ძვ.წ. II ს-ით თარიღდება [გაგოშიძე 1979: 43, 47].

3). ე.ნ. „კაზრეთის სტილის“ კერამიკა. ამ სტილის მოხატულობა „სამადლოს სტილთან“ შედარებით მარტივია. ჭურჭლის უხეშ ან ნაპრიალებ ზედაპირზე წითელი საღებავია დატანილი, ორნამენტს კი შეღებილ ნაწილებს შორის დატოვებული ჰორიზონტული ხაზები ქმნის [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. VI_{1-4,9-12,14,19}]. „კაზრეთის სტილის“ კერამიკა სამადლოს სტილის პარალელურად, სამადლოს ნაქალაქარის ქვედა ელინისტურ ფენაში [გაგოშიძე 1981: 12, 25, ტაბ. VII₆₄, XXV_{321,322}] გვხვდება. ასეთი კერამიკა მრავლადაა ციხია-გორასა [მახარაძე 1999: 58, ტაბ. III₂, V₁] და თელათგორის [ცკიტიშვილი და ქარაძე 1991: 67, ტაბ. 166] ნასახლარების გვიანელინისტურ ფენებში. იგი გვხვდება სამაროვნებზეც [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. VI_{3,4,10,11,14}]. ასეთი მასალა განსაკუთრებულად დამახასიათებელია კაზრეთის თელების ველის სამაროვნისათვის [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. X_{1-13,35-42}], რომელიც ძვ.წ. I საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება და ის „სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკის ბატონობის

გვიანდელ ეტაპზე ჩნდება.

4). ე.ნ. „სამთავროს სტილის“ მოხატულობა დატანილია ჭურჭლის ხაოიან ზედაპირზე და წარმოდგენილია ჰორიზონტალური ხაზებით, ზიგზაგებით, წერტილებითა და ლენტისებური ორნამენტით. ამ სტილის ზოგიერთი დეტალი წინამორბედი სტილების ორნამენტშიც გვხვდება, თუმცა იქ ისინი მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ. ამ სტილის კერამიკის უადრესი ნიმუშები თანაარსებობს სამადლოსა და კაზრეთის სტილის გვიანდელ ნიმუშებთან ერთად თელათგორის ნამოსახლარზე [ჟკითხვილი და ა. 1991: ტაბ. 166,167]. ბამბების სამაროვანზე შესწავლილ კომპლექსებს, რომლებიც სამთავროს სტილის კერამიკას შეიცავს (ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. X_{14,19,20,34}), ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევრითა და ა.ნ. I ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს აქ აღმოჩენილი პართული მონეტები. დაახლოვებით ამავე პერიოდით თარიღდება აღაიანსა (ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. VI_{27,29}) და სამთავროში (ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, 2002: ტაბ. VI_{28,32}) აღმოჩენილი ანალოგიური მასალაც.

თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა. ამ სტილის მოხატულობა ძვ.ნ. VII – ა.ნ. VII საუკუნეების დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში გვხდება. ამგვარად მოხატული ჭურჭლები ძირითადად კახეთში ძვ.ნ. IV - ა.ნ. IV საუკუნეებშია გავრცელებული [Пицхелაури 1977: 228]. ფიქრობენ, რომ ამ სტილით მოხატულ ჭურჭელს პროტოტიპები კახეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალებს შორის ეძებნება. ქართლში ასეთი კერამიკა მხოლოდ IV – VI ქრონოლოგიურ ჯგუფებში გვხვდება და ითვლება, რომ თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლები ქართლში კახეთიდან არის გავრცელებული [Пицхелაури 1977; გაგოშიძე 1979]. როგორც ჩანს, ქართლში თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი IV ქრონოლოგიური ჯგუფის დროს ვრცელდება კახეთის სამეთუნეო ცენტრებიდან. შესაძლებელია ამ სტილის მოხატული კერამიკა ქართლში, ადგილობრივ

მხოლოდ VI ქრონოლოგიურ ჯგუფში მზადდებოდა. არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებენ, რომ ამავე ხანაში კახეთში ვრცელდება ქართლური, წითელი სალებავით მოხატული კერამიკა.

დასკვნა. ძვ.ნ. VII – ა.ნ. VII სს-ის კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგიური, ტექნოლოგიური და სტილისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. ქართლის ამ ეპოქის კერამიკა ცხრა ქრონოლოგიურ ჯგუფად შეიძლება დაიყოს;
2. ყოველი ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა მტკიდროდ არის დაკავშირებული წინამორბედი ხანის კერამიკასთან, მის წიაღში ისახება და მის განვითარებას წარმოადგენს;
3. კერამიკის ფორმირებაში გარე ფაქტორებიც მოქმედებს და გარკვეულ გავლენას ახდენს როგორც თიხის ჭურჭლის ფორმაზე, ისე ტექნოლოგიაზე (ირანული, ცენტრალურანატოლიური, ბერძნული და რომაული იმპორტული კერამიკა, ან მათთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიები);

4. კერამიკული მასალა საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს უცხო ეთნიკური ელემენტების შემოქრის ფაქტები. მაგ. ე.ნ. აღაზან-იალოილუთეფეს კულტურის (ალბანური) კერამიკა, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ რეგიონში (მტკვრისა და ალაზნის შესათავი) და მცირე ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ძვ.ნ. I – ა.ნ. I საუკუნის მიჯნა) ფიქსირდება. აღნიშნულ კერამიკას ქართლის ამ პერიოდის კერამიკის ფორმირებაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია;

5. ძვ.ნ. VII – ა.ნ. VII სს. კერამიკა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის არ-სებულ შიდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ასახავს (მაგ. ე.ნ. კოლხური კერამიკის აღმოჩენის ფაქტები აღმ. საქართველოს და ე.ნ. ქართლური თიხის ჭურჭლების დაფიქსირება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე).

6. ყოველი ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა ქართლის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს და მეურნეობის ხასიათზე მიუთითებს.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი 1957: აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B, გვ. 115-140.

აბრამიშვილი და სხვ. 1980: აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ. ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ავალიშვილი 1974: ავალიშვილი გ. ქვემო ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი.

ამირანაშვილი 1997: ამირანაშვილი ჯ. საკრაველის სამაროვანი. - ძმ № 3, (98) გვ. 15-17.

აფაქიძე 1963: აფაქიძე ა. ქალაქებიდასაქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი.

აფაქიძე და სხვ. 1955: აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. - მცხეთა I, თბილისი.

აფაქიძე და სხვ. 1978: აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., სიხარულიძე ა., ხეცურიანი ლ., ჯლარკავა თ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., გიუნაშვილი გ. მცხეთა 1976, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბილისი, გვ. 81-156.

აფაქიძე და სხვ. 1978ა: აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთა 1975, მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. - მცხეთა II, თბილისი, გვ. 8-80.

აფაქიძე და სხვ. 1983: აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ღლონტი ნ. დიდი მცხეთა, 1979. – მცხეთა, ტ. VI, გვ. 191-218

აფაქიძე და სხვ. 2004: აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ნარიმანიშვილი გ., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., ირემაშ-

ვილი შ., ნონეშვილი ალ., ხეცურიანი ლ., გავაშელი ე. მცხეთის ექსპედიცია, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1990-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბილისი, გვ. 70-80.

ბერაძე 1980: ბერაძე ე. ადრეანტიკიური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნიდან. - კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, გვ. 14-17.

ბოხოჩაძე 1963: ბოხოჩაძე ა. ანტიკიური ხანის სამარხები თეთრიწყაროდან. მსკა, III, 1963, გვ. 27-38.

ბოხოჩაძე 1981: ბოხოჩაძე ა. არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები I, თბილისი.

ურბნისის XXV და XVI უბანზე აღმოჩენილ სამაროვანზე გაითხარა 280-მდე სამარხი. სამარხების უმრავლესობა თარიღდება ახ.ნ. I-II საუკუნეებით. სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, მონეტები, მინის ჭურჭლის ადრეული ფორმები, ბეჭდები. სარკე აღმოჩნდა სამაროვნის XXV და XVI უბანის 14 სამარხში (№№1,3,9,20,49,57,73,93,96,125,193, 205,230). აქედან მინის ჭურჭელთან ერთად – 7 სამარხში (№№20,25,73,125,193,205,230), ხოლო ბეჭდებთან ერთად – 6 სამარხში (№№73,93,96,193,218,230). ურბნისის სამაროვნის მასალის (დ. ქორიძის ხელნაწერი), მინის ჭურჭლის (საგინაშვილი 1970) და ბეჭდების (ჯავახიშვილი 1972) გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება სარკიანი სამარხების დათარიღება. ურბნისის სარკიანი სამარხები, ძირითადად, ახ.ნ. I-II საუკუნეებს ეკუთვნის.

როგორც აღვნიშნეთ, ახ.ნ-დან სარკე სამარხებში უფრო ხშირად ჩანს, მაგრამ ფირმით ისინი იმდენად ერთგვაროვანია (მრგვალი დისკო, გაპრიალებული ზედაპირი, ზურგის მხარეს ოდნავ ამობურცული) და ამასთანავე, თითქმის ყველა შემთხვევით თუ შეგნებულად დაზიანებული, რომ მიზან-შენონილად მივიჩნიეთ ქრონოლოგიური თან-მიმდევრობით რამდენიმე სამაროვნის სარკიანი სამარხების ერთად წარმოდგენა.

30-32. II საუკუნით თარიღდება სამთავროს სამაროვნის სარკეებიანი სამარხები: აგურსა-მარხი №29,41 (1938 წ.), კრამიტსამარხი №148 (1938 წ.), ქვასამარხი №140 (1938 წ.) [Иващенко 1980: 109-110].

33. II საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება არმაზისხევის ერისთავთა სამარხების მეშვიდე სამარხი-სარკოფაგი, სადაც ოქროს მდიდრულ სამკაულთან ერთად ბრინჯაოს დამტვრეული სარკე აღმოჩნდა. სარკის დიამ. 8 სმ. [აფაქიძე, გობეჯიშვილი 1955: 96].

34. II-III სს-ში ვერცხლის სარკე და სარკეების ფრაგმენტები აღმოჩნდა ბაგინეთის მდიდრულ

სარკოფაგში [აფაქიძე გ. 1973: 59-65].

35-36 (ტაბ. I, 10). I-III საუკუნეებს ეკუთვნის თრელის (დილომი) ბრინჯაოს სარკიანი №2 ორმოსამარხი. სარკის დიამ. 4 სმ. [ნიკოლაიშვილი 1978: 91-103] და მოგვთაკარის №6 კრამიტსამარხი. სარკის დიამ. 8,8 სმ. [სიხარულიძე, აბუთიძე 1985: 109-131, სურ. 687].

37 (ტაბ. I, 11, 12). III საუკუნით თარიღდება სამთავროს მდიდრული №605 ვერცხლის სარკიანი თიხისფილა სამარხი, სარკის დიამ. 7,7 სმ. [აპაკიძე, ნიკოლაიშვილი 1984: 47, ტაბ. VI, 7; აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1989: 57, სურ. 378] და ბრინჯაოს სარკიანი ასევე თიხისფილა სამარხი №547. სარკის დიამ. 9,5 სმ. [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1989: 17, სურ. 39; მანჯგალაძე 1985: 82, სურ. 468].

38. III-IV საუკუნეებს ეკუთვნის სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს სარკეებიანი ქვისსამარხები №460 (სარკის დიამ. 12,2) და №257 (სარკეს შემორჩენილი აქვს ხის ბუდის? ნაშთები. სარკის დიამ. 5,4 სმ.) [აპაკილვე ნიკოლაიშვილი 1986: 32-33, ტაბ. VII, 9; მანჯგალაძე 1985: 58, სურ. 314].

39. IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს სარკიანი შემდეგი ქვაყუთები: №110 (სარკის დიამ. 8,5 სმ.), №180 (სარკეს შემორჩენილი აქვს ქსოვილის ნაშთები. სარკის დიამ. 2,5 სმ.), №485 (სარკის დიამ. 9 სმ) [მანჯგალაძე 1985: 49, 50, 97, სურ. 247, 256, 559].

კიდევ რამდენიმე სამაროვნის IV-V სს-ების სამარხებია (ცნობილი, სადაც ამ ტიპის სარკეები აღმოჩნდა (ურბნისი, რუსთავი და სხვ.), მაგრამ ერთგვაროვნების გამო ჩამონათვალს აღარ გავაგრძელებთ.

II.1. 40. არმაზისხევის ერისთავთა II საუკუნის შუა ხანის მდიდრულ პირველ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის მრგვალი, ფირფიტოვანი სარკე მნიშვნელოვანი დეტალით: "... სარკეს ნაპირზე ორ ადგილას, ერთმანეთის პირისპირ აქვს მცირე გამონაშვერი, რომელიც რგოლურ ჩარჩოზე ამოჭრილ ორ სათანადო ბუდეშია ჩასმული და ამრიგად მაგრდება სარკე ჩარჩოში. ეს ხელს შეუწყ-

ობდა სარკის თავისუფალ ტრიალს და მისი ორივე ზედაპირით სარგებლობას" სარკე მიცვალებულის თავს უკან იდო. სარკის დიამ. 4,2 სმ, ჩარჩოს 4,9 სმ. [აფაქიძე, გობეჯიშვილი 1955: 35, ტაბ. XI, 3, X, 6].

II.2. 41. კიდევ ერთი ფორმით საინტერესო სარკე სახელურის გარეშე აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის II საუკუნით დათარიღებულ №158 კრამიტსამარხში. განსხვავებით ამ ტიპის სარკეებისგან (მრგვალი დისკი), ეს სარკე ექვსწანიანია. სარკე დამტვრეულია [Иващенко 1980: 109-110].

რაც შეეხება პარალელებს, თითქმის ყველა ჩამოთვლილი სარკე იმდენად დაზიანებულია, რომ ანალოგების მოძებნა შეუძლებელი ხდება. სახელურიან სარკეებს მხოლოდ სახელურის მიმაგრების დეტალები (მანჭვლები, ნახვრეტები, შვერილები და სხვ.) აქვთ შემორჩენილი, რაც სავარაუდოდ მიგვანიშნებს, რომ ფორმაში სახელურიანად ჩამოსხმული სარკეები არ გვხვდება (ფიჭვნარის ნეკროპოლისის №261 სამარხის სარკის გამოკლებით). ზოგადად, მსგავსი სახელურიანი სარკეები და სარკეები სახელურის გარეშე გავრცელებულია I-II საუკუნეებში სომხეთის ტერიტორიაზე: გარნიში, არტაშატში [Хачатрян 1976: 119-121; ხაჩატრյან 1981: ტაბ. 49, 1], ჩრდილო კავკასიის, ვოლგისპირეთის სარმატულ და სკვითურ სამარხებში [Ивановский 1911: 169, თაბ. VI, 3; ხაზანოვ 1963: 63-65, რიც. 3, 4]. მსგავსი სარკეები აღმოჩნდა დურაევროპოსის I საუკუნის სამარხებშიც [Toll 1946: 122-123, fig. LV, VIII].

დაბოლოს, სარკის მეორე სახელი "მიჭვრითანა" [ორბელიანი 1949: 213] გავრცელებული იყო ტრადიციულ ყოფაში. ლიტერატურულ ძეგლებში კი "სარკე" პირველად გვხვდება VIII-IX საუკუნის მოღვანის იოანე მტბევარის საგალობელში "... სარკედ სათნოვებათა გამოჩნდა დღეს..." [ძველი ქართული..., 1913: 118, 93] (მასალა მოვიპოვეთ ვეფხისტყაოსნის კომიტეტში).

ამრიგად, 1. საქართველოს ტერიტორიაზე სარკე გვხვდება სახელურიანი და სახელუ-

რის გარეშე. 2. სარკე პირველად ფიჭვნარის ნეკროპოლისის ძვ.წ. V საუკუნის სამარხებში გხვდება; ყველა ეს სარკე სახელურიანია და იმპორტულია. 3. ბრინჯაოს სარკის ერთი შემთხვევა ჩანს განძში (ახალგორის განძი. ძვ.წ. IV-III სს.) და ნამოსახლარზე – ვერებ-ჩაგინის გორაზე, ოთახის ნანგრევში [Куфтин 1949: 25]. 4. სახელურიანი სარკების ორი ვარიანტი დადასტურდა, ხოლო უსახელურო სარკების – სამი. 5. სარკე არ ჩანს IV-V საუკუნეების შემდგომ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე.

დღესდღეობით, საქართველოს არქეოლო-
გიურ ძეგლებზე სარკის შესახებ არსებული
მონაცემები სხვა დასკვნების გამოტანის სა-
შუალებას არ იძლევა. მომავალმა ძიებამ შეს-
აძლებელია კორექტივი შეიტანოს კვლევის
შედეგებში.

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କା:

აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა.,
ლომთათიძე გ. 1955: მცხეთა I, არმაზისხევის
არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., ხეცურიანი ლ. 1989: დიდი მცხეთა, 1980, მცხეთა IX, თბილისი. გვ. 6-39.

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ. 1989: დიდი მცხეთა, 1981, მცხეთა IX, თბილისი. გვ. 40-76.

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. 1996: მცხეთის
წარჩინებულთა განსასვენებელი. ახ.ნ. III
საუკუნის აკლდამა 905. მცხეთა XI, თბილისი.
გვ. 7-79.

აფაქიძე გ. 1973: ბაგინეთის კლდეეკარის სარ-
კოფაგი, ძეგლის მევობარი, თბილისი. გვ. 59-65.
თოლორდავა ვ. 1983: მდიდრული სამარხი
დაბლაგომიდან, ვანი II, თბილისი. გვ. 68-79.

თოლორდავა ვ. 1986: ცენტრალური ტერა-
სის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი. სანი VIII,
თნილისი. გვ. 79-92.

კახიძე ა. 2007: ფიქვნარი II, ბათუმი.

კახიძე ა., ვიკერსი მ. 2014: ფიჭვნარი VI, ნაწ.
I. ბათუმი, ოქსფორდი.

კილურაძე ნ., თოლუა თ. 2001: ვერცხლის
სარკე ბიჭვინტის სამაროვნიდან – ძიებანი,
№8, გვ. 76-78.

ლორთქიფანიძე გ. 1991: ბიჭვინტის ნაქა-
ლაქარი, თბილისი.

მანჯგალაძე გ. 1985: სამთავროს სამაროვ-ნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, მცხეთა VII, თბილისი, გვ. 43-108.

ნიკოლაიშვილი ვ. 1978: ანტიკური ხანის
ძეგლები დილმის ხეობიდან – კრებ. საქართ-
ველოს არქეოლოგიის საკითხები, თბილისი.
გვ. 91-103.

ნიკოლააშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995:
ბაიათხევი, მცხეთა X, თბილისი, გვ. 119-136.

ორბელიანი ს.ს. 1949: ქართული ლექსიკონი
(სიტყვის კონა), თბილისი.

საგინაშვილი მ. 1970: ურბნისის სამაროვნის
მინის ჭურჭელი, თბილისი.

სიხარულიძე ა., აბუთიძე ა. 1985: მოგვთა-
კარის სამაროვანი, მცხეთა VII, თბ. გვ. 109-131.
ქორიძე დ. 1965: ურბნისის სამაროვანზე (XXV
უბანი) აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის
ძეგლების პერიოდიზაციის საკითხებისთვის.
ხელნაწილი.

ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ნ. I:
1913.

ჭილაშვილი 1964: ნაქალაქარი ურბნისი, თბ.
ჯავახიშვილი ქ. 1972: ურბნისის ნაქალაქა-

რის გლობტიკური ძეგლები, თბილისი.
ჯინჯიხაშვილი გ. 1980: ძვ.წ. | და ახ.წ. | ს.
ქვევრსამარხები “საყარაულო სერის” სამა-
როვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძე-
გლები, თბ. გვ. 42-59.


Апакидзе А. М., Николайшили В. В.,
Сихарулидзе А.Н., Садрадзе В. Д., Хецуриани
Л. Г., Гиунашвили Г. Д., Иремашвили Ш. А.
1984: Результаты полевых изысканий в Мцхета.
ПАИ в 1981 году, Тб., стр. 45- 50

- Апакидзе А. М., Николайшили В. В., Манлжгаладзе Г.И., Хецуриани Л.Г., Абутидзе А. В., Дзнеладзе М. С., Давлианидзе Р. В., Гиунашвили Г. Дж., Глонти Н. В., Молашвили Н. И. 1986:** Мцхетская экспедиция. ПАИ в 1983 году, Тб., стр. 31- 37.
- Ивановский А. А. 1911:** По Закавказью МАК, VI, М
- Иващенко М. М. 1980:** Самтаврские погребения первых трех веков н. э., გვეთა III. თბ.
- Козенкова В. И. 1998:** Материальная основа быта Кобанских племен. М.
- Кузнецова Т. 1980:** Зеркала из Сарматских погребений Ставрополья, КСИА 162, М., с. 101-104
- Куфтин Б. Н. 1949:** Материалы к археологии Колхиды. Тб.
- Максимова М. И. 1954:** Зеркало из Келермеса, СА XXI, стр. 281- 305.
- Мелюкова А. И. 1979:** Скифия и Фракийский мир. М.
- Низовский А. 2002:** Сто великих археологических открытий, М.
- Смирнов Я. И. 1934:** Ахалгорийский клад. Тб.
- Хачатрян Ж.Д. 1976:** Гарни V. Ереван.
- Хачатрян Ж.Д. 1981:** Арташат II. Ереван.
- Kakhidze A, 200-2001:** Spesiment Clasical Bronze Toreutics from Pichvnari. TALANTA XXXII-XXXIII, pp.41-55, fig. 8,9,10.
- Lemer 1994:** The Horizontal-handled Mirror in Iran and Central Azia: Occurrences and Origin. New-York, USA
- Thompson N. de Grummond 1982:** A Goude to Etruscan Mirrors. Tallahassee, Florida.
- Toll N.P. 1946:** The Excavation at Dura-Europosm Part II. The Necropoles. London.

0ლუსტრაციების აღნირილობა:

ფაზ. I, 1-9. სახელურიანი სარკეები: ფიჭვნარის №№ 23,100, ბიჭვინტის №03-5, მცხეთის №25, ურბნისის №№ 20 (XXV უბანი), 1, 3 (XVI უბანი) სამარხებიდან და მცხეთის №905 აკლდამიდან. **სურ. 10-12. სარკეები სახელურის გარეშე:** მოგვთავარის №6 და სამთავროს №№ 547, 605 სამარხებიდან.

I



სავარცხელი საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან

სავარცხელი – ყველა დროის, ძველი და ახალი სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არტეფაქტია, რომელმაც კაცობრიობასთან ერთად ყველა ევოლუციური ეტაპი გაიარა – თევზის ფხიდან – იუველური ხელოვნების ნაწარმამდე.

სავარცხელი მრავალგვარი დანიშნულების ნივთი იყო: თმის დავარცხნის, ბეწვის და ქსოვილის დამუშავების, კერამიკის მოხატულობის და სხვ. ს.ს. ორბელიანის მიხედვით “სავარცხელი – თმათ დასავარცხნელი, სავარცხელი ენოდების ფეიქრის ლაფათანსა ლერწმისგან შეწყობილსა, გინა კარის ფიცართა გარდასაბამსა, გინა ერთსა თევზსა ხიმანჯასა...” [ორბელიანი 1949: 290]. ის იხმარებოდა როგორც ტუალეტის, ჰიგიენის, ასევე სამკაულის სახითაც. ხშირად, სოციალური დანიშნულების ეს არტეფაქტი მოხატულობის და შემკულობის მიხედვით მხატვრული ხელოსნობის ნიმუშს წარმოადგენდა.

სავარცხელი ხშირად ფიგურირებს მითებში, ფოლკლორში და ზღაპრებში. მათ შორის ქართულ ზღაპრებშიც. ე.ი. გარდა უტილიტარული თუ სამკაულის დანიშნულებისა, ამ ნივთს სხვადასხვა ხალხის წარმოდგენაში საკრალური დატვირთვაც შექმნდა.

ჯერ კიდევ, 5000-4000 წწ. გრძელებილებიანი, ცხოველის გამოსახულებიანი სპილოს ძვლის სავარცხლები ცნობილია ეგვიპტეში, ბადარიისა და ამრატის კულტურის მატარებელ ტომებში, რომელიც ამ სავარცხლებს თმაში ან პარიკებში ხმარობდნენ, ანუ თავსამკაულად იყენებდნენ [Чайлд 1956: 104, სურ. 26, ტაბ. VIII], ასევე ძვ.წ. 3000 წლის წინ ურის დედოფალ შუბადის თავსამკაულს ოქროს სავარცხელი ამშვენებს [Низовский 2002: 85].

სავარცხელს სხვადასხვა მასალისაგან ამზადებდნენ. ძირითადად ეს იყო: ძვალი, ხე და ლითონი.

საქართველოს სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებიდან, ჯერჯერობით, სავარცხლის მხოლოდ 12 ერთეულია ცნობილი. რა თქმა უნდა, მასალა მეტად მწირია, თუმცა საინტერესო ინფორმაციის მატარებელი.

სანამ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვადასხვა პერიოდის ამ არტეფაქტს წარმოვადგენთ, ერთი საერთო და შესამჩნევი ფაქტი უნდა აღინიშნოს. თითქმის ყველა სავარცხელი მცირე ზომისაა ან მინიატურული. ამასთანავე, სავარცხლებს ზედა ნაწილში (ცენტრში, თავზე) ნახვრეტი აქვთ გაკეთებული. ალბათ, ზონარის გასაყრელად ვარაუდის სახით, ორ შესძლებელ ვარიანტს ვუშვებთ: 1. მცირე ზომის სავარცხლები ნახვრეტით სპეციალურად დაკრძალვისთვის მზადდებოდა და რიტუალური საკიდის დატვირთვა ჰქონდა; 2. ვინაიდან ამ სავარცხლების ზედა ნაწილი თითქმის ყოველთვის ფიგურულია - თმებისთვის სამკაულის სახით გამოიყენებოდა (ამის პრეცედენტი იხ. ზემოთ). რადგან ამ არტეფაქტს ყველა აღმოჩენი (გამოხრელი) სავარცხლად თვლის, ჩვენც ამ ნივთს ასევე განვიხილავთ

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან სულ 12 სავარცხელი დაფიქსირდა. აქედან 9 სავარცხელი სხვადასხვა პერიოდის სამაროვანზე აღმოჩნდა; ერთი – შემთხვევითი მონაპოვარია კულტურულ ფენიდან; ერთიც – ნამოსახლარ ფენაში დადასტურდა. ამ ძეგლებზე აღმოჩენილი სავარცხლები დამზადებულია ყველა აქამდე ცნობილი მასალისგან: ძვლის, ხის და ბრინჯაოსგან. უფრო კონკრეტულად: 5 სავარცხელი – ბრინჯაოსია, 4 – ძვლის და 3 – ხის. ქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით, ბრინჯაოსა და რკინის ხანაში გვხვდება ბრინჯაოსა და ძვლის სავარცხლები, ხოლო წინაანტიკურ და ანტიკურ ხანაში – ძვლის

სავარცხელი ქრება, სამაგიეროდ ჩნდება ხის სავარცხლები.

მცირეოდენი მონაცემებითა და ინვენტარის მიხედვით სავარცხელი ქალის სამარხებში (სამთავრო, კულანურხვა) უფრო ჩანს.

ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე სავარცხელი ჩანს სხვადსხვა პერიოდის საშუალო ფენის სოციალურ წარმომადგენელთა სამარხებში. მაგრამ, ზოგიერთ ხალხში, ისევე როგორც ბევრი სხვა არტეფაქტი, სავარცხელიც ხშირ შემთხვევაში სოციალური დანიშნულების მატარებელი ნივთი ხდება. ასე მაგალითად, ოქროსაგან დამზადებული სავარცხლის შესანიშნავი მხატვრული ნიმუშები ჩანს ძვ.წ. VI-IV და V-IV სს-ების სკვითურ მდიდრულ სამარხებში [ლინეროვ 1965: 22, ტაბ. 33,8,10; მანცევიჩ 1950: 223]. ასევე ცნობილია, ორნამენტით შემკული ხის სავარცხელი ძვ.წ. II-I სს-ების მდიდრულ სკვითურ სამარხიდან [Погребнова 1961: 173, სურ. 26,5] და სხვ.

საქართველოს არქეოლოგიური მასალა არ იძლევა სავარცხლის ტიპოლოგიური კლასიფიკირების საშუალებას, ამიტომ ქრონოლოგიური სისტემით ვიხელმძღვანელებთ.

1 (ტაბ. I, 1) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი სავარცხელი შემთხვევითი მონაპოვარია სამთავროს ველის კულტურულ ფენაში. ეს სავარცხელი შუა ბრინჯაოს ხანისაა [აფაქიძე, ყიფიანი... 2001: 29, ტაბ. IX, 5] და ყველაზე ადრეულია საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან. სავარცხელი ძვლისაა; ხელის მტევნის მიცვანილობის, ექვსი გრძელი კბილით; სავარცხელს სამი ნახვრეტი აქვს. აქედან, ზედა ნაწილში ერთი დიდი ნახვრეტია გაკეთებული. ზომები: 7X3 სმ. ამ ფორმის სავარცხელი ერთადერთია საქართველოს ტერიტორიაზე. ანალოგები ამ სავარცხლის არ ჩანს.

2 (ტაბ. I, 2) ასევე ადრეულია გვიანბრინჯაოს ხანის ნაღვლის სამაროვანის №91 სამარხში, მარცხენა გვერდზე დაკრძალულ მიცვალებულთან აღმოჩენილი ბრინჯაოს

სავარცხელი [რამიშვილი 1990: 38]. სავარცხელი ჩამოსხმულია; 10-მდე მოკლე და თხელი კბილი აქვს. ზედა ნაწილი ფიგურულია – ნაგრძელებული, სხვადასხვა ზომით გვერდებშეჭრილი ფირფიტა. ზომები: 6,5 X4,1 სმ. როგორც გამთხრელი აღნიშნავს, ამ სავარცხლის ანალოგი არ ჩანს

3. გვიანბრინჯაოს ხანას ეკუთვნის კვირაცხოვლის სამაროვანზე ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებით დათარიღებულ №65 სამარხში აღმოჩენილი ძვლის სავარცხელი (გამთხრელები “საფეიქრო მაქოს” უწოდებენ). სავარცხელს 6 კბილი აქვს.: ზედა ნაწილი შუაში სახელურისამებრ წაგრძელებულია. ზომები:-3X5 სმ [გამაშიძე, კვიჯინაძე 1982: 31, ტაბ. XXX-VI,310].

4 (ტაბ. I, 3) ძვ.წ. XIII-XI სს-ით თარიღდება კავთისხევის “საყარაულო სერის” სამაროვნის №9 ორმოსამარხი, სადაც ძვლის დაზიანებული სავარცხელი დადასტურდა [გვეტაძე 1980: 8, ტაბ. IV,3]. სავარცხელს სამი კბილი აქვს შემორჩენილი. ზედა ნაწილი ფიგურულია (დაზიანებულია, ვერ იკითხება). ზომები: 3 X4 სმ.

5 (ტაბ. I, 4) სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე გათხრილ (1938 წ.) ქალის №29 სამარხში მიცვალებულის სახის ნინ ძვლის სავარცხელი აღმოჩნდა. სავარცხელს 5 კბილი აქვს შემორჩენილი. ზედა ნაწილი (თავი) ფიგურულია, ვიწრო, სეგმენტური. ზომები: 3,5X1,9 სმ. სამარხი ძვ.წ. XI ს-ით თარიღდება [კალანდაძე 1981: 45; 1982: 66].

6 (ტაბ. I, 5) ძვ.წ. VIII-VII სს. ეშერის კრომლებში, სადაც 500-მდე ნივთი აღმოჩნდა. მხოლოდ ერთი ბრინჯაოს სავარცხელი დადასტურდა. სავარცხელს 13 კბილი უნდა ჰქონდა. ზედა ნაწილი ფიგურულია - ანტენისებული. შუაში ერთი დიდი და მის თავზე ორი - პატარა ნახვრეტით. ზომები: 8 X5,5 სმ. [შამბა 1974: 44, ტაბ. XXVI,6]. ეს ერთადერთი ყველაზე მოზრდილი სავარცხელია საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან.

7 (ტაბ. I, 6) ძვ.წ. VIII-VII სს-ებს ეკუთვნის კულანურხვას სამაროვნის №2 ქალის სამარხი, სადაც ბრინჯაოს სავარცხელი დადა-

სტურდა. სავარცხელი ჩამოსხმულია; აქვს ექვსი კბილი; ზედა ნაწილი ფიგურულია და ცულის სქემატურ გამოსახულებას წარმოადგენს. შუა ნაწილში ერთი ნახვრეტი აქვს. ზომები: 5X3,5 სმ, [Трапиш 1970: 105-106, ტაბ. III,3].

8. ერგეტის მეორე სამაროვნის ძვ.წ. VIII-VII სს-ის №4 ორმოსამარხში 596 ნივთს შორის ერთი ხის სავარცხელი აღმოჩნდა. სავარცხელი ფიგურულია, ზედა ნაწილი პეპლისებურია. [პაპუაშვილი 1999: 3-9].

9 (ტაბ. I, 7) მერელენ-დერესის ქვისამარხში №4, რომელიც ძვ.წ. VII ს-ით არის დათარილებული ერთი ბრინჯაოს სავარცხელი დადასტურდა. სავარცხელს ხუთი კბილი აქვს. ზედა ნაწილი ფიგურულია – ნახვარმთვარისებურად მორკალული, შუა ნაწილში ერთი ნახვრეტით. ზომები: 4X3,8 სმ. როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, ამგვარივე სავარცხელი აღმოჩნდა ლელვარის (სომხეთი) სამაროვანზე [Куфтин 1941: 52, სურ. 50, ტაბ. XXIII].

10 (ტაბ. I, 8) ნამოსახლარის ბორცვზე “სიმაგრეში” (დასავლეთი საქართველო) ძვ.წ. VI-V სს. ნივთებს შორის აღმოჩნდა ხის სავარცხლის ფრაგმენტი. სავარცხელს გრძელი, ნვრილი კბილები აქვს; ზედა ნაწილი მასიურია და შემკულია წრეებით, რომლებიც შევსებულია შუაში წერტილისებური მცირე წრით. როგორც თ.მიქელაძე აღნიშნავს, ეს შემკულობა “... გამეორებაა უფრო ადრეული ტრადიციების მატარებელი კოლხური კერამიკისათვის ... რაც ასახავს ერთი კულტურის სხვადასხვა ხასიათის შემადგენელი ნაწილების შინაგან კავშირს” [მიქელაძე 1978: 59, ტაბ. XXXIX]. ზომები: 5X2 სმ.

11. (ტაბ. I, 9) ხის სავარცხელი დადასტურდა ძვ.წ. IV-III სს-ით დათარილებულ სხვალთის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტი) №1 ორმოსამარხში [ნიკოლაიშვილი 2013: 433, ტაბ. III, 16]. სავარცხელი დაზიანებულია. შემორჩენილი აქვს ექვსიოდე კბილი. მასიური ზედა ნაწილი სოკოსებურად გადმოფენილია კბილებზე; თავს ორი ანტენისებური შვერილი ამკობს. ზომები: 4,2X2,3 სმ.

12 (ტაბ. I, 10) ჯერჯერობით ერთადერ-

თი სავარცხელი ჩანს ახ. წელთაღრიცხვის ძეგლებზე. ეს არი მუხათგვერდი I-ის VI-VIII სს-ით დათარილებულ სამარხში № 15 აღმოჩენილი ბრინჯაოს სავარცხელი [ხეცური-ანი 1985: 156, სურ. 900]. სავარცხელს ექვსი კბილი აქვს. ზედა ნაწილის თავი ფიგურულია – სახელურისებურად გამოყოფილი ორნახვრეტიანი ფირფიტით. ზომები: 3,6X3,3 სმ.

რაც შეეხება პარალელებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არტეფაქტი ყველა დროისა და სივრცის დამახასიათებელი ნივთია, მეზობელი ქვეყნების არქეოლოგიურ ძეგლებზეც იშვიათად ჩანს. თუმცა სომხეთში არიჭის სამაროვანზე, ძვ.წ. XVIII-XVII სს-ებით დათარილებულ №104 სამარხში, ერთი ცხრაკბილიანი, ფიგურული სავარცხელი, თავზე ერთი ნახვრეტით, დადასტურდა [Хачатрян 1975: 104, სურ. 57]. ხოლო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მინგეჩაურის სამაროვანზე (VI ფენა) მხოლოდ ახ.წ. II-IV სს. ერთი, ასევე ზედა ნაწილში ნახვრეტიანი სავარცხელი ჩანს [Асланов Вайдов, 1959: ტაბ. I]. ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე (ყობანი, კორცა, ბალთა) სავარცხელი ახ. წ. VI-VII სს-ებში გვხვდება [Уварова, 1900: 71, 92, 134, ტაბ. X, 9, XV, 18, XI, 21].

ეს არტეფაქტი იშვიათად გვხვდება სხვა ქვეყნებისა და სხვადასხვა დროის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ანალოგიების მოძებნა ჭირს, რადგან თითქმის ყველა ეს ნივთი სხვადასხვა ფორმისა თუ ზომისაა და რაც მთავარია, ინვიდუალური გემოვნებისა თუ დამზადების ნიმუშებს წარმოადგენს.

ასეთია, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ ამ არტეფაქტის შესახებ არსებული მწირე ინფორმაცია, რომლებიც ასევე მცირე დასკვნების საშუალებას იძლევა. კერძოდ: 1. აღწერილი 12 სავარცხლი სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნის (შუა ბრინჯაოდან ახ.წ.-ის ჩათვლით) და სხვადასხვა ძეგლის ნივთია. 2. მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურდაა ერთი და იმავე ეპოქაში - ძვ.წ. VIII-VII სს-ში ორი სავარცხელი 2. ყველა აღმოჩენილი სავარცხელი სხვადასხვა

ფორმისა და ზომისაა. 3. კავკასიაში აღმოჩენილი სავარცხლებისთვის დამახასიათებელი დეტალია – სავარცხლის ზედა ნაწილში არსებული ნახვრეტი; 4. როგორც ჩანს, სავარცხლეს ძირითადად პრაკტიკული დანიშნულება ჰქონდა და დაკრძალვის რიტუალში სავარცხლის ჩატანების ტრადიცია არ არსებობდა, რადგან უმთავრესად მხოლოდ საკიდის ან თავსამკაულის ნიშნით გვხვდება.

ამრიგად, სულ ეს არის არსებული ინფორმაცია ამ არტეფაქტის (სავარცხლი) შესახებ. შემდგომმა აღმოჩენებმა შესაძლოა, სავარცხლების კოლექცია გაამდიდროს და კვლევის ახალი შედეგები მივიღოთ.

ლიტერატურა:

აფაქიძე ა., ყიფიანი გ., მანჯგალაძე გ., გიუნაშვილი გ., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა. 2001: არქეოლოგიური გათხრები სამთავროზე 2000 წელს. მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია. თბ. გვ. 24-29.

გვეტაძე ჯ. 1980: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხები საყარაულო სერიდან. კავთისხვის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., გვ.6-13.

კალანდაძე ა. 1981: სამთავროს სამაროვნის წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, V, თბ., გვ. 7-118.

კალანდაძე ა. 1982: სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, VII, თბ., გვ. 7-138.

მიქელაძე თ. 1978: არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ.

ორბელიანი ს.ს. 1949: სიტყვის კონა, ქართული... . ლექსიკონი. თბ.

პაპუაშვილი რ. 1999: ერგეტის მეორე სამაროვანი (სამარხი №4), ძეგლის მეგობარი, №3, გვ. 3-9.

რამიშვილი 1990: შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიის პრობლემები. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქ-

ტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.

ხეცურიანი ლ. 1985: მუხათგვერდი I, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი, კატალოგი, მცხეთა, VII, თბ., გვ. 181-162.

ასლანოვ გ. მ.. ვაიდოვ რ. ი., იონე გ. ი. 1959: Древний Мингечаур, Баку.

გამბაშიძე Օ. ს., კვიჯინაძე კ. დ. 1982: Месхет- Джавахетская экспедиция, ПАИ в 1980 году, ПАИ, 1982, Тбилиси, с. 29-31.

კუფტინ 1941: Археологические раскопки в Триалети. Тб.

ლიბეროვ პ. დ. 1965: Памятники скифского времени на среднем Дону. Археология СССР. Свод археологических источников, Д1- 311. Мос.

ნიზოვსკი ა. 2002: Сто великих археологических открытий. Мос.

Погребова Н. Н. 1961: Погребения в мовзолее Неаполя Скифского. МИА, #96. Мос., с. 103-213


Трапиш მ. მ. 1970: Труды, I, Сухуми.

Уварова П. 1900: Могильники Северного Кавказа, вып.VIII, Мос.

Шამბა გ. კ. 1974: Эшерские кромлехи, Сухуми.

Чайлд Г. 1956: Древнейший Восток, Мос.

Хачатрян Т.С. 1975: Древняя культура Ширака III-I тыс. до н.э. Ереван.



ნინო ერქომაიშვილი

ალიზი

(ისტორია, მოვლა და კონსერვაცია)

ალიზი უძველესი სამშენებლო მასალა. ალიზის აგური და ნაგებობანი, აშენებული ალიზის გამოყენებით, ყველაზე ძველია კაცობრიობის ისტორიაში. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ, როგორც მარტივი ფორმების საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს, ასევე მასიურ საკულტო შენობებს. ძლიერად დაპრესილი, მძიმე, მაგრამ სუსტი წნევის მიმართ, ალიზის მასები ისეთივე კედლის წყობას ქმნიან, როგორსაც გამომწვარი აგური და ქვა. პრაქტიკულად ინერტულნი (თუ გამორიცხულია პირდაპირი ქიმიური ზემოქმედება), ისინი მყარად რჩებიან დროთა განმავლობაში და იღებენ სპეციფიურ შეფერილობას. კომპაქტურობა მიღწეულია მასალის შეკვრით, ხოლო კონსტრუქციის ფორმები შემუშავებულია ისტორიული, გეოგრაფიული და კულტუროლოგიური მახასიათებლებით. მათი კვალიფიციური შეკეთება მოითხოვს იმ ისტორიული მეთოდიკის, მასალებისა და ტექნიკის გამოყენებას, რომელიც ზუსტად შესაბამისია კონკრეტული ნაგებობისათვის.

ალიზის აგური – გამოუწვავი და მზეზე გამომშრალი აგური, რომელიც მზადდება თიხისაგან და სიმტკიცისათვის ურევენ არაორგანულ და ორგანულ მინარევებს (მსხვილმარცვლოვანი ქვიშა, წვრილად დაკეპილი თივა, ბზე და სხვ.) ახლაც, მიუხედავად სამშენებლო ტექნიკის და ტექნოლოგიის განვითარებისა, საკმაოდ პოპულარულია. ის კვლავაც მოსახერხებელია დროებითი ნაგებობების აშენებისას (იხ. ტაბ. 1).

ალიზის მშენებლობაში გამოყენებას აქვს როგორც დადებითი, ასევე თავისი უარყოფითი მხარეები; დადებითი მხარეები განისაზღვრება მასალის სიიაფით - ნედლეული უფასოა, არ საჭიროებს შორ გზაზე ტრანსპორტირებას, მოიხმარს მცირე მოცულობის

ენერგიის ხარჯვას წარმოებისას და მშენებლობის დროსაც. ასევე, ნაკლებდ აალებადია, საკმაოდ კარგი ხმა- და თბოგაუმტარია, აქვს ბუნებრივი ფერი, მდგრადია მიწისძვრისას. გარდა ამისა, იოლია მისგან სხვადასხვა ფორმებისა და ზომის ნაგებობების აშენება, ან ცალკეული აგურების დამზადება.

უარყოფითი მხარეები კი შემდეგში მდგომარეობს: მიწა, რისგანაც იგი მზადდება, აუცილებლად უნდა შეიცავდეს საკმაორაოდენობის თიხას (თიხის ოპტიმალური შემცველობა 5% - 50%), ვერ უძლებს ზენოლას, ამიტომ გადახურვის კონსტრუქციები აუცილებლად მსუბუქი უნდა იყოს, ასევე, ვერ უძლებს სართულებით დატვირთვასაც. ამ ტიპის ნაგებობა სასურველია მხოლოდ ერთსართულიანი იყოს, მშენებლობის პროცესი კი ხშირად დამოკიდებულია ამინდზე.

ალიზი, თავისი შედგენილობით, დამზადებისა და შენების ტექნილოგიითა და, ასევე, ზომებით, სხვადასხვაგვარია. ხელით დამზადებული ალიზის აგურისათვის, ჩვეულებრივ, ისტორიულადაც და ახლაც, კორდოვანი ფენის ქვეშიდან აღებულ მიწის ქვედა ფენას იყენებენ. მიწის გადაზელილ მასაში ხშირად ურევენ მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ბოჭკვივან მასალას (ბზე, თივა, ჩალა, ცხოველური მინარევები). აგურების ერთმანეთთან დასაკავშირებლად და ნაგებობის შესალესად საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა სხვადასხვა მინარევებით გამდიდრებული თიხა (იხ. ტაბ. 1). თანამედროვე, ქარხნული წესით დამზადებული ალიზის აგურის ძირითად მასალად გამოიყენება თიხა, ქვიშა და ხის სხვადასხვა ზომის ნახერხი. ლიგნოსულფატის დამატება დუღაბში და ბათქაშში კედლის სტრუქტურას და, შესაბამისად, მთელ ნაგებობასაც ჰიდროფობურ თვისებებს სძენს [Bouwens, D. 1997].

სახურავი, ალიზის ნაგებობებს, ჩვეულებრივ, დაბალი და მსუბუქი აქვს. თვითონ სახურავის კონსტრუქციაც შედარებით განსხვავებულია ჩვეულებრივი სახურავებისაგან – კოჭები პირდაპირ ეყრდნობა კედლებს და ჩამაგრებულია მიწის ფენაში. ალიზით ნაშენი კედლების სიმაგრე და სიმტკიცე პროპორციულია საშენ მასაში წყლის შემცველობისა – სამშენებლოდ გამოუდეგარია, როგორც ზედმეტად წყლიანი მასა, ასევე ზომაზე მეტად გამოშრალი.

ალიზით შენების სხვადასხვაგვარი მეთოდი არსებობს. მაგალითად, მეთოდი, რომლის გამოყენებისას თიხიანი მიწის გადაზელილ მასას სპეციალურ მაღალ ხის ყალიბში ტკეპნიან და პირდაპირ კედელი ამოჰყავთ, უძველესია. არსებობს მეთოდი, სადაც გადაზელილ თხელ მასას აგურის ფორმის ყალიბში ასხამენ და შემდეგ აშრობენ. არსებობს აგრეთვე, ე.ნ. დაპრესილი ალიზის აგური (ეს მეთოდი მე-19 საუკუნიდან იკიდებს ფეხს), რომელსაც სპეციალური საწნეხი მანქანებით ამზადებენ, აშრობენ და შემდეგ იყენებენ მშენებლობაში. გავრცელებულია, აგრეთვე, ალიზის აგურის დამზადება ადგილზე, კედელზევე, როდესაც აგურის ფორმირება სპეციალური ლითონის ყალიბით პირდაპირ კედლის წყობაზე ხდება. ამ მეთოდის ნაკლი ის არის, რომ შრობისას აგური იკლებს ზომებში, ანუ მისი მოცულობა მცირდება, ეს იწვევს აგურებს შორის მანძილების არაერთგვაროვან ცვლილებას, რამაც თავის მხრივ, შესაძლოა მთლიანად კედლის ან ნაგებობის დეფორმაცია გამოიწვიოს [Bouwens D. 1997].

საქართველოში ყველაზე გავრცელებული მეთოდი ჰაერზე გამომშრალი აგურის გამოყენება იყო. ალიზის აგურის მშენებლობაში გამოყენების პირველი მაგალითები საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ VI–IV ათასწლეულებიდანაა დადასტურებული. უადრესი ალიზის ნაგებობები, რომელიც აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად – საცხოვრებელი სახლებია, ხოლო თვითონ ალიზის აგურს ე.ნ. პლანო-კონვექ-

ტური, ანუ ბრტყელ-ამოზნექილი ფორმები აქვს. აგურებს ძირი და გვერდები ბრტყელი, ხოლო ზედაპირი ამოზნექილი აქვს. პლანო-კონვექტური ფორმის ალიზის აგური, ასევე, აღმოჩენილია, მაგალითად, ეგვიპტეში, შუამდინარეთში. ნაგებობებს ხშირად მომრგვალებული ფორმები აქვს, გადახურვაც მრგვალია, დუღაბად და ბათქაშად ისევ თიხის მასაა გამოყენებული, რომელიც კედელს ატმოსფერული ნალექებისაგან და ტენისგან იცავს.

საქართველოში საშენ მასალად ალიზის გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე, ალიზი უმთავრესი საშენი მასალა იყო საცხოვრებელი, დროებითი და დამხმარესათავსოების ასაგებად. პირველი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი სწორედ ალიზით არის აგებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მასალაა მოძიებული არქეოლოგიური გათხრებისას, რომელიც ტერიტორიულად ახლანდელ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნამოსახლარებია: არუხლოს გორა, შულავერის გორა, ხრამის დიდი-გორა. აღნიშნულ ნამოსახლარებში საცხოვრებელი კომპლექსები შედგება სახლისა და სამეურნეო ნაგებობისაგან.

ძირითადი საშენი მასალა კარგად განლექილი წვრილმარცვლოვანი თიხაა, ღია-რუხი ფერისა, მოყვითალო ტონებით, რომელიც ადგილობრივად არის მოპოვებული. იგი აგრეთვე შეიცავს მსხვილმარცვლოვან ქვიშასა და დაკეპილ ბზეს. აგურის დამზადება მიმდინარეობდა მარტივი ხის დამხმარე ხელსაწყოებით, აგურებს აქვთ პლანო-კონვექტური ფორმა. მკაცრი გეომეტრიული ფორმები და ზუსტი ზომები დაცული არ არის. ყველაზე გავრცელებული ზომებია $30 \times 20 \times 8$ სმ, $30 \times 15 \times 8$ სმ და $25 \times 15 \times 7$ სმ. თუმცა ხანდახან გვხვდება აგურები სიგრძით 45 და 50 სმ და სიგანით 20 და 25 სმ. შენობებში კედლის წყობა ჰორიზონტულია, ერთი აგურით. თითო აგური ძევს შემდეგიდან 2-3 სმ-ის სი-

მაღლებებს. კედლებს არ გააჩნიათ საძირკველი და აღმართულნი არიან უშუალოდ გრუნტზე ან წინასწარ გასწორებულ და კარგად დატკეპნილ ადრეულ ნაგებობებზე. კედლებში დუღაბად გამოიყენებულია ხსნარი – კარგად განლექილი თიხა, რომელიც სიცარიელებს ავსებს აგურებსა და მათ გამოზნექილ ნაწილებს შორის და გაშრობისას მაღალ სიმტკიცეს იძენს. ყოველ ახალ ზედა რიგში აგურის წყობა მიემართება შიგნით, ცენტრისაკენ, რის შედეგადაც მიღებულია მრგვალი გადახურვა. თვით საცხოვრებლის ფორმაც მომრგვალოა [Джавахишвили 1973]. კედლები ორივე მხრიდან გალესილია საკმაოდ მტკიცე თიხის ხსნარით და მათი სისქე 20–25სმ-ია. ნაგებობის სიმტკიცე მიღწეული იყო საფუძველთან რკალური შემოსარტყვყვლით – მკრივად დატკეპნილი თიხის “ბალიშით”. არავითარი კვალი ხის ბოძებისა ან სხვა რაიმე საყრდენი ნაგებობისა, არსად არის ნაპოვნი [ლორთქიფანიძე 2002].

საინტერესო არქიტექტურის მქონე, ძვ.წ. IV ათასწლეულის, ძეგლია აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოში, სახელწოდებით “ბერიკლდები”. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია გალავნის 0.80მ-ის სიგრძეზე შემორჩენილი ფრაგმენტი და ნაგებობა. გალავანს მყარი საფუძველი არ გააჩნია, ჩვენამდე მოღწეულია დაახლოებით 1მ-ის სიმაღლით; ის შედგენილია მოყვითალო ფერის მკვრივი აგურებისგან. მათი ზომებია 44 X 20 X 8სმ და შედარებით იშვიათად – 48 X 25 X 8სმ. უკიდურესად ქვედა სტრუქტურაში უფრო ვიწრო აგურებიც ჩანს — 44 X 15 X 8სმ. წყობაში ისინი გრძივად არის დაფენილი რუხი თიხის მკვრივ ხსნარზე. ხსნარის სისქე, როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ნაკერებში 5-8სმ-ია. წყობის გადარჩენილი მონაკვეთები საკმაოდ მკვრივი და მონოლითურია და აგურების გამოცალკევება ჭირს. ეს არის ე.წ. გვიან გამშრალი აგურები, რომლებიც იქმნებოდა ნედლი სტრუქტურებისას გან და შემდგომ, დროთა განმავლობაში შრობასთან ერთად მტკიცდებოდა, განსხვავებით

წინასწარ მზეზე გამომშრალი აგურებისაგან. გალავნის სიგანე 7 აგურითაა შედგენილი და მისი სიგანე 2მ-ია. ნაგებობა აგებულია იგივე ზომის აგურით, როგორიც გალავანშია გამოყენებული. აგურები აქაც ნედლი სახითაა დაწყობილი და შემდეგაა გამომშრალი. კედლების შიგა და გარე მხარეები გაღესილია კარგად განლექილი ღია ფერის ბზენარევი თიხით [ლორთქიფანიძე 2002].

შემდეგი ისტორიული ეტაპი, სადაც ალიზის აგურია გამოყენებული არის კარგად განვითარებული ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურა (ძვ.წ. IV-III ათასწლ. ძვ.წ.), რომელიც შემდეგი არქეოლოგიური ძეგლებითაა წარმოდგენილი: ამირანის-გორა, სამშვილდე, ქვაცხელები და სხვ. ეს ძეგლებიც სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი. ამ პერიოდში უკვე თვალნათლივია რომ არქიტექტურა გარკვეულად განვითარებულია; ნაგებობების ძირითად ტიპს წარმოადგენს ოთხუთხედი, მომრგვალებულ კუთხებიანი სახლი, რომელსაც თიხატკეპნილი იატაკი და, ასევე, ბრტყელი თიხატკეპნილი სახურავი აქვს. თუმცა ამ პერიოდში კიდევ გვხვდება მრგვალი სახლებიც [Человек и окружайшая., 1984]. საშენ მასალად აქ გამოყენებულია ისევ თიხა და ალიზი. ალიზის შემადგენლობა ძირითადად იგივეა, ზოგან გვხვდება ობსიდიანის წვრილი მინარევები ან კვარცის ფხვნილი. ალიზის აგურის ზომებია 36 X 18 X 9სმ. ნაგებობა ეყრდნობა ხის კონსტრუქციას, კედლები თითქმის ვერტიკალურად მიემართება. სახლის კარკასი შედგება წნელებისაგან, გადახურვაში კი გამოყენებულია ხის ბოძები. კედლებში ალაგ-ალაგ ჩართულია ქვაც. ზოგიერთი შენობის მომრგვალებულ კუთხეებში ჩატანებულია საგანგებო ფორმის ლეკალური მოყვანილობის აგური. საზოგადოდ, აგურის გეომეტრიული ფორმები ბევრად უფრო სრულყოფილი და დახვეწილია, ვიდრე ეს წინა პერიოდებში გვხვდებოდა. შემდგომში, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნამოსახლარებში სამშენებლო მასალად ალიზი

აღარ გამოიყენება, ნაგებობაში ჭარბობს ქვა ან წნელები და თიხა-ალიზი გამოიყენება მხოლოდ გასალესად.

ანტიკურ პერიოდში, კერძოდ ძვ.წ. IV–III ს. ალიზი ისევ ჩნდება. აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიურად შესწავლილია ნაქალაქარი სამადლო თავისი შიდაციხითა და კონტრფორსებით. აღნიშნულ ნაქალაქარზე ალიზი მრავალფუნქციურადაა გამოყენებული. არსებული არქეოლოგიური მასალები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თითქმის ყველა შენობა ქვით იყო აგებული, ხოლო გალავანი უმეტესწილად ქვის ცოკოლზე დაგებული ალიზის აგურებითაა აშენებულია - ალიზის ფენა ზოგან 1,5 მ-ის ან მეტ სიმაღლეზე შენარჩუნებული. გვხვდება ნაგებობებიც, რომლებიც ქვაყრილის საფუძველზე ალიზის აგურითაა აშენებული და თიხატკეპნილი იატაკი აქვთ. ალიზი შედგება თიხის, მსხვილმარცვლოვანი ქვიშისა და ბზისაგან. გეომეტრიული ფორმები დაცულია. აგურები კვადრატული ფორმისაა, ზომებით: 50 X 50 X 10 (11) სმ ან 50 X 22 X 11 სმ. ბათქაშისათვის კი, შიგნიდანაც და გარედანაც, ალიზის მასასთან ერთად გამოყენებულია თაბაშირიც. ციფრადელში, აგრეთვე, აღმოჩენილია ძვ.წ. IV–III ს. აკლდამის ნანგრევები, რომლის კამერაც, ასევე ქვის წყობითა და ალიზის აგურებით იყო აშენებული [გაგოშიძე 1979].

სამადლოს სიახლოვესაა აღმოჩენილი ძვ.წ. III საუკუნის ნაქალაქარი ნასტაკისი. აქაც, ისევე როგორც სამადლოში, ნაპოვნია ნაგებობები, სადაც საშენ მასალად ალიზის აგურია გამოყენებული [ნიშანაძე 1977].

არქეოლოგიური ძეგლი, სადაც აგრეთვე სამშენებლო მასალად ალიზია ნარმოდგენილი არის მცხეთის აკროპოლი, რომელიც ძვ.წ. II–I ს. და ახ.წ. I–II საუკუნეებითაა დათარიღებული. ის მდ. მტკვრის სიახლოვეს დღევანდელ ქ. მცხეთისთან მდებარეობს. აკროპოლისი შემოსაზღვრულია მძლავრი დამცავი კედლებით, გამაგრებული კოშკებითა და კონტრფორსებით. გალავანი კი შედგება კლდოვანი გრუნტის ამოკვეთილ ბუდეებში

ჩასმული ქვის კვადრებისაგან, რომლებზეც ალიზის აგურით ნაშენი კედლის წყობაა ამოყვანილი. აგურის ზომებია 52 X 52 X 12 სმ. ალიზის მასაში წყობის გასწვრივ და პერპენდიკულარულად ჩაწყობილია ხის ბოძები. ამჟამად შემორჩენილი კედლების სიმაღლე მერყეობს 2,8 მ-დან 3,20 მ-დე. სავარაუდო სიმაღლე კი 6-8 მ უნდა ყოფილიყო. ალიზის აგურების გამოყენების იგივე მეთოდი (ქვის კვადრების საფუძველზე ალიზის აგურის წყობა) სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზეცაა აღმოჩენილი, ესენია, მაგალითად: სამთავრო, სარკინეთი, ურბნისი. საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლია ასევე “დედოფლის-მინდორი”. აქ სატაძრო ნაგებობათა გრანდიოზული სისტემაა ნარმოდგენილი, რომელიც 6 ჰა მართულების ქმნიდა. ყველა ნაგებობის კედლები აგებულია სტანდარტული ზომის (50 X 50 X 12 სმ და 50 X 25 X 12 სმ) ალიზით, რომელიც რიყის ქვის საფუძველზეა ამოშენებული. კედლების სისქე ძირითადად 1.10 მ-ია, ორივე მხრიდან გალესილია თიხით. იატაკი თიხატკეპნილია. ნაგებობები ეყრდნობა ხის კარვასს. ხის სვეტებს ბაზები არ ჰქონდათ, ისინი თიხატკეპნილი იატაკებში ამოღებულ ოთხკუთხა ფოსოებში იჯდა, სვეტების უმრავლესობას აგვირგვინებდა ქვის კაპიტელები. აღნიშნული კომპლექსი განადგურებულია ძლიერი ხანძრისაგან და არქეოლოგიური გათხრებისას მხოლოდ ნაშთებილა იყო შემორჩენილი [გაგოშიძე 1977].

დასავლეთ საქართველოში ალიზის აგური გვხვდება ძვ. წ. IV–III ს. ვანის ნაქალაქარზე. აქ ალიზის აგური ძვ. წ. II–I ს. ების ნაგებობებში გამოიყენება. კედლების საძირკველი კარგად დამუშავებული სწორკუთხა ქვათლილებით ორ და სამ რიგადაა ამოყვანილი, ქვათლილები ერთმანეთთან მშრალად, დუღაბის გარეშეა ნაგები. ზემოდან შემორჩენილია ბზენარევი ალიზით ამოყვანილი კედლებიც. ალიზის აგურის ზომებია: 52X 52X12 სმ და 52X26X11 სმ [ლორთქიფანიძე 2002]. ჩამოთვლილი უნიკალური ძეგლების დიდი ნაწილი სამწუხაროდ თითქმის მთლიანად განად-

გურებულია არასრულყოფილი კონსერვაციის ან კონსერვაციის არარსებობის გამო.

შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში მოიპოვება ინფორმაცია, სადაც აღნერილია ალიზით მშენებლობის ტექნოლოგია. ალიზისათვის მოყვითალო მიწას, აყალოს (ზოგჯერ, ასეთ მიწას თირსაც უწოდებენ) არჩევენ. თუ ნიადაგი წვრილებისათვის, არ ცრიან; თუ მსხვილი ღორღი აქვს შერეული – საცერში ატარებენ. მიწა უკეთესია წებოვანი და ნესტიანი იყოს. გამომშრალი და ფხვიერი მიწიდან დამზადებული ალიზი უფრო იშლება. თუ ნიადაგი ძალიან თიხიანია (ასეთ ნიადაგს ცხიმიანსაც უწოდებენ), მიწას ქვიშასაც ურევდნენ. მოჭრილ მიწას ათავსებდნენ სპეციალურ მოსწორებულ ადგილზე; ასხამდნენ წყალს და ზელდნენ ნიჩბით, თან უმატებდნენ ბზეს, სადაც ბზის რაოდენობა, თვითონ მიწის თიხიანობაზე იყო დამოკიდებული. მიწას ან ცხენებს აზელინებდნენ, ან ადამიანები ფეხით ზელდნენ. მიწის მასა კარგად გადაზელილი მაშინ იყო, როცა ხელს აღარ ეკვროდა. გამზადებული მასიდან აგურის მოჭრა იწყებოდა. ხანდახან ამოგუნდავებულ აგურს ქვიშაში ამოვლებდნენ ხოლმე. ალიზი ყალიბში იჭრებოდა. ყალიბი შეიძლება ერთაგურიანიც ყოფილიყო და ორაგურიანიც, ხელით ტკეპნიდნენ და ზემოდან სპეციალური ხის საფხევით ასწორებდნენ. მოჭრის დროს გვერდზე წყალი ედგათ, ყალიბს ან კალაპოტს ასველებდნენ, რომ აგური ფორმიდან იოლად ამოსულიყო. ალიზის აგური სამი დღე ერთ მხარეზე დადებული შრებოდა, მერე ფეხზე აყენებდნენ და ისე ანიავებენ. დანიშნულების ადგილას მხოლოდ მეხუთე დღეს მიჰქონდათ; საბოლოო გაშრობის დრო ყველას სხვადასხვა ჰქონდა და დამოკიდებული იყო ნიადაგზე. ალიზის ზომები შუა საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა იყო, ზოგი 18 X 9 X 9სმ, ზოგი კი 24 X 24 X 12სმ [მასალები საქართველოს..., 1976].

ამგვარად დამზადებული ალიზის აგურისაგან შენდებოდა ნაგებობები, სადაც დუღაბად და ბათქაშად ისევ თიხა იყო გამოყ-

ენებული. კონსტრუქციები ან პირდაპირ შენდებოდა, ან შესაძლებელი იყო ხის გამოყენებაც მორების, სვეტების, არმატურის ან ნკნელების სახით.

ალიზის დაზიანების მიზეზები. ალიზი საკმაოდ ფაქიზი სამშენებლო მასალაა. განსხვავებით გამომწვარი აგურისაგან, სადაც სიმტკიცე მიღწეულია ალიზის თერმული დამუშავების პროცესში მიმდინარე გარდაქმნებით, გამოუწვავი და ჰაერზე გამშრალი ალიზი უფრო სუსტია კლიმატური პირობების, ატმოსფერული ნალექებისა, ვიბრაციის და სხვადასხვა მექანიკური პროცესების მიმართ. ალიზის აგურით აშენებული ნაგებობა უფრო მეტადაა მგრძნობიარე ტენის მომართ, ვიდრე გამომწვარი აგურისგან ან ქვისგან ნაშენი. ეს გასაგებიცაა: მაკავშირებელი ხსნარი, ანუ თიხა, ამ შემთხვევაში ისე მყარად ვერ არის შეჭიდული სხვა ინგრედიენტებთან, როგორც გამომწვარ აგურში და ქვის მონოლითში. ყველაზე მეტად გავრცელებული რისკ-ფაქტორები ალიზისათვის არის წყლის პირდაპირი მოქმედება, ხშირი და ძლიერი ქარი, არასწორი გადახურვა და შეკეთება, და, ყველაზე მნიშვნელოვანი – დრო, ანუ ბუნებრივი ცვეთა. წყლის ზემოქმედება, გარდა ატმოსფერული ნალექებისა, შეიძლება სხვა მიზეზებითაც იყოს გამოწვეული. ერთ-ერთი ასეთი მიზეზია აღმავალი ტენი. ალიზით აშენებული ნაგებობების უმეტესობას საფუძველი ღრმა არ აქვს და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს რამდენიმე რიგისაგან შემდგარ აგურის ან ქვის ყრილს (სიმაღლე სხვადასხვაა და მერყეობს 15 სმ-დან 120 სმ-მდე). სწორედ ამიტომ, ალიზის ნაგებობების აღმავალი ტენისაგან დაცვა, პირველ რიგში, შენობის საძირკვლის ტენისაგან დაცვას გულისხმობს. იმ შემთხვევაში, თუ ნაგებობას ქვის ან აგურის საძირკველი არ გააჩნია და პირდაპირ მიწაზეა აშენებული, აღმავალი ტენისაგან დაცვა ბევრად უფრო რთულია, ასეთ დროს საჭიროა სადრენაჟო კონსტრუქციების მოწყობა უშუალოდ ნიადაგში და წვიმისაგან, როგორც ნაგებობის, ასევე

მიმდებარე ტერიტორიის დაცვაც.

ალიზის სტრუქტურის დაზიანების საგულისხმო მიზეზი შეიძლება გახდეს არასწორად შერჩეული ბათქაში ანუ შეღესილობა. ალიზის ნაგებობები, უმეტესად, შიგნიდანაც და გარედანაც გაღესილია იგივე მასალით, რითაც აშენებულია თვითონ ნაგებობა. შეკეთება და მოვლა ისეთი შენობისა, რომელსაც ისტორიული და კულტურული ღირებულება აქვს, განსხვავებულია, ის მოითხოვს ისტორიული ძეგლის მრავალმხრივ და საფუძვლიან შესწავლას, გეგმაზომიერ ლაპორატორიულ კვლევას, რესტავრატორებისა და ქიმიკოს-კონსერვატორების მჭიდრო თანამშრომლობას.

ალიზის ნაგებობების შეკეთება, კონსერვაცია და აღდგენა: ალიზის შენობათა შეკეთება და კონსერვაცია შედგება სამი ძირითადი კატეგორიისაგან, ესენია: კარგი სახურავისა და დამცავი ზედაპირების შეკეთება, გაბზარული, გატეხილი, და ფიზიკურად დაკარგული ნაწილების შევსება და ზედმეტი ნადები მასის მოცილება. შესაძლებელია, როგორც ტრადიციული, ასევე სინთეზური, მაგრამ აუცილებლად შესაბამისი მასალების გამოყენება. რესტავრატორმა, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის, თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თუ რა გზა ამოირჩიოს ძეგლის კონსერვაციისას – ტრადიციული, მხოლოდ ორიგინალური მასალის გამოყენება, თუ სინთეზური ნაერთების დამატება. რასაკვირველია, თუ ამის საშუალება არის, ყოველთვის სჯობს ტრადიციული მასალების გამოყენება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ისტორიული ძეგლის გადასარჩენად მხოლოდ სინთეზური მასალების გამოყენებაა ერთადერთი, სწორი და აუცილებელი გზა. განსაკუთრებით კი ისეთი მყიფე და მსხვრევადი სტრუქტურისათვის, როგორიც ძველი ალიზია.

გადახურვის არასწორმა ან არასაკმარისმა კონსტრუქციამ, შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს შენობას. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ალიზით

ნაგებ ისტორიისა და კულტურის ძეგლს, შენობა მთლიანად უნდა იყოს დაცული წყლის ზემოქმედებისაგან. ამ მიზნით, თუ ამას ნაგებობის არქიტექტურა ითვალისწინებს, ძეგლს უნდა ჰქონდეს მსუბუქი, მაგრამ ხარისხიანი ხის კოჭებით გამართული სახურავი ან ნაგებობას (თუ ეს, მაგალითად გალავანი, ან უსახურავო ობიექტი, ან არქეოლოგიური ძეგლია) ზევიდან უნდა გაუკეთდეს დროებითი, წვიმისაგან დამცავი გადახურვა. ასევე მნიშვნელოვანია კედლების დაცვა წყლისაგან. წყლის დამლუპველი გავლენისაგან დაცვა სჭირდება თვითონ კედლის წყობას და ბათქაშსაც. ამას უზრუნველყოფს შენობის საფუძველთან მოწყობილი კარგი სადრენაჟო სისტემა და წყალგაუმტარი სახურავი.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ხშირად, ალიზით შენებისას, სამშენებლო მასისათვის სიმტკიცის მისანიჭებლად, იყენებენ ბზეს ან ჩალას. ნესტიანი კლიმატის რეგიონებში ან წყლის პირდაპირი ზემოქმედების შედეგად, მცენარეული დანამატები ლპობას განიცდიან, რასაც თან სდევს კედლის სტრუქტურაში სხვადასხვა მწერებისა და პარაზიტების გაჩენა. მათი ცხოველებები კი კიდევ უფრო მეტად აზიანებს კედელს. ასეთ დროს გამართლებულია სარესტავრაციო მასაში ქიმიური ინგრედიენტების დამატება. პრაქტიკაში მიღებულია დაქუცმაცებული პოლიპროპილენის ბოჭკის გამოყენება. დაქუცმაცებული პოლიპროპილენის ბოჭკო წარმატებული და სამედო ალტერნატივაა ამ ტიპის დაზიანებებთან საბრძოლველად. ასეთივე ნარევი შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი ბათქაშის მასის მომზადებისას.

ნესტიანი კლიმატის რეგიონებში ალიზის ნაგებობებს წყლისგან დასაცავად კირით ფარავენ. ეს მეთოდი გაუმართლებელია ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლის შემთხვევაში, რადგან ნაგებობას უცვლის ფერს და, შესაბამისად, თავდაპირველ იერ-სახეს. გარდა ამისა, კალციუმის კარბონატის კრისტალები, რისგანაც ძირითადად შედგება კირხსნარი, დროთა განმავლობაში წვი-

მის წყალში მსუბუქად იხსნება და ირეცხება ზედაპირიდან. ამ პროცესს ქარიც აჩქარებს. წვიმის წყალი, როგორც ცნობილია, თანამედროვე ეკალოგიური მდგომარეობის გამო, მსუბუქად შემჟავებულია და აგრესიული ფაქტორია გამორეცხილი ბათქაშისათვის, და შესაბამისად დაუცველი ალიზის ფენისთვისაც. კირით ალიზის ნაგებობის შეთეთრება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შენობა არ წარმოადგენს კულტურის ძეგლს და ასეთი შეღებვა მოხდება ყოველწლიურად. ასევე დაუშვებელია ნაგებობის შეღებვა კირის რამდენიმე ფენით – კირის სქელი ფენა კედელზე დამოუკიდებელ მყარ კარბონატულ მასას წარმოქმნის, რომელიც შეიძლება მოწყდეს კედელს სხვადასხვა ზომის ფრაგმენტების სახით და დაზიანოს კედელიც.

ზოგ გეოგრაფიულ რეგიონში ტრადიციულად მიღებულია კედლების ცხიმებით დაფარვა (მაგ. სელის ზეთი, ცხოველის ქონი). ცხიმმა შეიძლება გამოიწვიოს სტრუქტურის გამაგრება, მაგრამ სელის ზეთი დროთა განმავლობაში მძალდება, იშლება და შესაძლოა ძირითად საშენ მასალაზე სხვა პრობლემები წარმოშვას. ცხოველური ცხიმები ასეთი გარდაქმნების გამო ხელს უწყობენ ბაქტერიების გაჩენას, რაც არასასურველი ფაქტორია სამშენებლო მასალისათვის. გარდა ამისა, საქონლის ქონი პოხავს ალიზის ფორებს და აირმიმოცვლის უნარს უკარგავს კედელს.

კონსერვაციის პროცესში, შესაძლებელია, ჩასატარებელი იყოს სამუშაოები ნაგებობის კონსტრუქციის გასამყარებლად (შენობის შეკვრა, ე.ნ. სარტყელის გაკეთება). ასეთ დროს აუცილებელი ხდება არმატურის გამოყენება. ალიზის ნაგებობის შემთხვევაში, მიზანშენონილია უჟანგავი და მსუბუქი ლითონებისაგან დამზადებული მასალები. ცემენტის გამოყენება დუღაბად და ბათქაშად დაუშვებელია ისტორიული ძეგლის ან არქეოლოგიური ალიზის შემთხვევაში. ძველი ალიზის საკონსერვაციოდ, ცემენტი აგრესიული და დამანგრეველი ფაქტორია.

ბათქაშისათვის ჰიდროიზოლაციური თვისებების მისანიჭებლად გავრცელებული მეთოდია ბიტუმის გამოყენება (ბიტუმები მყარი ან თხევადი კონსისტენციის ორგანული ნივთიერებებია. განასხვავებენ ბუნებრივ და ტექნიკურ ბიტუმებს. ბუნებრივ ბიტუმებს შეიცავს ქანები ბუდობების სახით. ტექნიკურ ბიტუმს ნავთობისა და წიაღისეული საწვავი ნახშირების გადამუშავებისას იღებენ). ბიტუმს ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ სამშენებლო და ჰიდროსაიზოლაციო საქმეში. ცნობილია ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულის ნაგებობები მესოპოტამიასა და ეგვიპტეში, რომელთა მშენებლობისას გამოყენებულია ბიტუმი. ბიტუმით ფარავდნენ კედლებს, იატაკებს, წყალსაცავებს. ბიტუმის ისეთი თვისებები, როგორიცაა გაჭიმვის დროს წარმოქმნას გარკვეული სიგრძის ძაფი, კარგი შელწევადობა, შეკვრისა და ელასტიურობის უნარი, აგრეთვე დარბილების, აალებისა და სიმკვრივის მახასიათებლები, განსაზღვრავს მის გამოყენებას სამშენებლო საქმეში. ბიტუმები მაგრდებიან ხსნად ფრაქციათა დაკარგვის ხარჯზე, მაგრამ არ წარმოქმნიან პოლიმერიზებულ ფორმებს, ხანგძლივად ინარჩუნებენ დრეკადობას და აქვთ კარგი ჰიდროფობიზაციის უნარი [ICOMOS the 10th General..... 1993].

მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე შესალეს-საბათქაშე მასაში გამოიყენებოდა ბლანტი ბიტუმი, მაგრამ იმ დრომდე, სანამ ბიტუმსა და ალიზის შიდა ფენას შორის კავშირი მიიღებოდა, უკვე დასუსტებული ალიზის გარეთა სუბსტრატი ვერ უძლებდა ბიტუმით დამუშავებას და იშლებოდა. წარმატებული შედეგები შეიძლება მიღწეულ იქნას მაშინ, როდესაც ბიტუმი წინასწარ არის ნაწილობრივ გათხევადებული და მომზადებული ალიზის შიდა ფენებში შესაღწევად; ამ მიზნით ბიტუმს აცხელებენ გარკვეულ ტემპერატურამდე და გამოიყენებენ ცხლადვე. თუ ალიზის სტრუქტურა დაშლილია, ბიტუმიანი მასის მოდიფიცირებისათვის კარგია ქვიშის დამატება. ბიტუმი ასევე წარმატებით გამოიყენება ახა-

ლი ელემენტების ფორმირებისათვის; დაკარგული ნაწილების აღსადგენად გამოიყენება პლასტიკური მასები, რომლებიც წარმოადგენს ძველი ალიზის ნაფხვენებისა და ბიტუმის ნარევს, რომელსაც მოდიფიცირებისათვის ასევე უმატებენ ხოლმე ქვიშასაც.

ბიტუმის გამოყენება გასალესად არ არის მიზანშეწონილი ტენიანი კლიმატის პირობებში და დახშულ, უფანჯრო ნაგებობების შემთხვევაში. ბიტუმის ფენა ხელს უშლის შენობის შიგნით დაგროვილი ტენის აორთქლებას და იწვევს ალიზის დესტრუქციას. გარდა ამისა, ბიტუმი შენობას აუცილებლად სძენს, ყველასათვის ცნობილ შავ შეფერილობას; ამიტომ ბიტუმის გამოყენება კონსერვაციაში შეიძლება მაშინ, თუ ნაგებობა ისტორიულად ისედაც დაფარული იყო ბიტუმით ან სხვა შავი საღებავით.

დაკარგული ფრაგმენტების ახლად დამზადებული მასებით აღდგენისას, ყოველთვის გასათვალისწინებელია მათი წონა. ახალი მასები, როგორც წესი, ყოველთვის უფრო მძიმეა ძველ წყობასთან შედარებით, ამიტომ ისინი, სასურველია გამოყენებულ იქნას ნაგებობის ქვედა ფენებში. თუ შენობის ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, შეიძლება გამოიყიტული ალიზის ცალკეული აგურები ან ფრაგმენტები გადაადგილდეს ნაგებობის ზედა ნაწილებში, ხოლო ახალი მასები მოთავსდეს საძირკველთან. ამ პრინციპითაა აღდგენილი, მაგალითად ჩინეთის დიდი კედლის გარკვეული ნაწილები [Morton T. 2005].

ძველი, ისტორიული ალიზით აშენებული ნაგებობები, ხშირად, აღარ გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით და მათი ფუნქცია ხშირად განისაზღვრება მხოლოდ ისტორიული ან მხატვრული ღირებულებით. მთელი რიგი ალიზის ნაგებობებისა, რომელთაც დიდი ისტორიული ან კულტურული ღირებულება აქვთ, აღდგენილი შეიძლება იქნას მხოლოდ ორიგინალური ფორმების დაბრუნებით და ტრადიციული ტექნიკის გამოყენებით, თუმცა ხშირად საჭირო ხდება ძეგლზე დამატებითი კონსტრუქციული, ქიმიური

და ბიოლოგიური ჩარევები. თუ ძეგლი ძალიან დაზიანებული არ არის, მისი კონსერვაცია შეიძლება მოხდეს მარტივი და ბუნებრივი მასალების გამოყენებით. ასეთი შეკეთება არ მოითხოვს ხანგრძლივ ლაბორატორიულ და მულტიდისციპლინარულ კვლევას. ალიზის ცალკეული აგურები და ნაგებობები შეიძლება შევსებული იქნას ორიგინალის ანალოგიური მასალებით.

ნიადაგის მრავალფეროვნების გამო, შეუძლებელია არსებობდეს გამზადებული რეცეპტი ნარევისა, რომელიც ალიზის შესაკეთებლად ან გასაღესად შეიძლება იქნას გამოყენებული. ყველა შემთხვევაში, ნარევი უნდა შეიცავდეს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს, ესენია: თიხა, ქვიშა ან ცარცი (ცარცი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საწყისი მასა კირქვულ მინარევებს შეიცავს) და წყალი. კონკრეტული შემთხვევებისათვის შეიძლება დაემატოს შეკვრის პროცესის შემანებლებები – დაკეპილი ბზე, თივა ან მსხვილფეხა საქონლის უხეში თმა. ზედმეტი თიხის შემცველობამ ასეთ ნარევში, მასალის შეკლების გამო, შესაძლოა გამოიწვიოს კედლის ზედაპირის დასკდომა, მაგრამ ასეთი ბზარები მხოლოდ ესთეტურ პრობლემას წარმოქმნიან (განსხვავებით ცემენტის გამოყენებით გაჩენილი ბზარებისა), ისინი არ აზიანებენ ნაგებობის კონსტრუქციას, რადგან არ იწვევენ ზედაპირის ფორების დახშობას. შესაკეთებელი ნარევი, ჩვეულებრივ, მზადდება კონკრეტული მიზნებისათვის – მსხვილი ან წვრილი ბზარების ამოსავსებად, დაზიანებული ფრაგმენტების შესავსებად ან აღსადგენად. შესაბამისად, ნარევის კონსისტენციაც და შემადგენლობაც დამოკიდებულია, სწორედ, ამ კონკრეტულ მიზანზე. გასაღესად, ნარევი, ბუნებრივია, მეტ წყალს შეიცავს და შეიძლება საერთოდ არ შეიცავდეს მცენარეულ ან ცხოველურ მინარევებს. დაზიანებული ფრაგმენტების და მსხვილი ბზარების ამოსავსებად ნარევი ნაკლებ წყალს შეიცავს და გამდიდრებულია მცენარეული და ცხოველური ბოჭკოთი (სოფლებში დღესაც

გავრცელებულია მსხვილფეხა საქონლის შარდის, ჯაგრის და ახალი ნაკელის გამოყენება).

შესაკეთებელი ადგილი სამუშაოს დაწყებამდე სასურველია წყლით ოდნავ დასველდეს – ასე გასაღესი მასალა უკეთესად ეჭიდება ზედაპირს. სამუშაო იარაღები ისეთივეა, როგორიც ჩვეულებრივ, შენების ან ლესვის დროს გამოიყენება (ხის ქაფჩა, ფუნჯი და ა.შ.). თუ გამოსაცვლელია ცალკეული აგური, ორიგინალური (ან მასთან მიახლოვებული) რეცეპტურით და ასევე ორიგინალური ტექნოლოგიით მზადდება ახალი ალიზის აგური და ძალიან ფრთხილად, ისე რომ კედელი არ დაზიანდეს, თავსდება შესაბამის ადგილზე.

რესტავრატორებს, ძირითადად, მაინც ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძეგლებთან უნევთ მუშაობა. ასეთ დროს ზემოთ აღნერილი მარტივი მეთოდები სამუშაოს სრულყოფილად ჩასატარებლად საკმარისი არ არის ხოლმე. ეს საკითხი განსაკუთრებით რთულდება მაშინ, თუ ძეგლი დიდი გაპარიტული ზომებისაა, აქვს სხვადასხვა ტიპის დაზიანებანი, თვითონ ალიზი გამოფიტულია, ნაგებობა კონსტრუქციულად გასამაგრებელია და სხვ. ეს პრობლემები განსაკუთრებით რთულდება, თუ ძეგლი საინტერესო ობიექტია კულტურული ტურიზმისათვის.

ასეთ დროს ობიექტის აღდგენას ორმაგი დატვირთვა აქვს: აუცილებელია თვით ძეგლის გადარჩენა და დამატებით, ისეთი სპეციფიური პირობების შექმნა, რომ ტურისტების ნაკადმა ის იოლად არ დააზიანოს. ალიზით აშენებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების დიდი ნაწილი თავმოყრილია თურქეთში, ირანში, ავღანეთში, არაბულ ქვეყნებში, შუა აზიაში, ინდოეთში, ჩინეთში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში და სხვ. ყველა ძეგლი უნიკალურია; ბევრი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული და მათ მოვლა-პატრონობაზე კონტროლია დაწესებული. სამნუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე, რომ ისტორიული ძეგლის „რესტავრაციას“ თვითნებურად იწყებენ და შესაბამისი მეთოდიკის გარეშე ახორციელებენ არაკვალი-

ფიცირებული ორგანიზაციები; ასეთი „კონსერვაცია-რესტავრაცია“ ძეგლისათვის უფრო სახიფათოა, ვიდრე არსებულ მდგომარეობაში დატოვება. ამასთან დაკავშირებით, ისეთმა საერთაშორისო სარესტავრაციო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა ICOMO-ში და GETTY-ის საკონსერვაციო ინსტიტუტი, შეიმუშავეს ერთობლივი პრინციპები და საბაზო კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს ალიზის კონსერვაციასა და ნაგებობის აღდგენას. ეს პრინციპები მდგომარეობს შემდეგში:

1. საკონსერვაცია მასალა უნდა იყოს რევერსული, ანუ შეიძლებოდეს მისი მოცილება.
2. საკონსერვაციო მასალა ფასითაც დატექნოლოგითაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ყველასათვის გასაგები და ნათელი.
3. საკონსერვაციო მასალა უნდა იყოს პირდაპირი გამოყენების და ეკოლოგიურად უსაფრთხო.
4. საკონსერვაციო მასალა არ უნდა იწვევდეს ძეგლის ან გარემოს სათუო დაზიანებას მომავალში.
5. საკონსერვაციო მასალა არ უნდა იწვევდეს ზედაპირის ფერის და ფაქტურის შეცვლას, ან ზედაპირზე აპკის წარმოქმნას.
6. საკონსერვაციო მასალა იოლად უნდა შეერიოს ნიადაგს ზუსტად განსაზღვრული ფორმების წარმოქმნით.
7. საკონსერვაციო მასალა უნდა იყოს გამდევ გარემო პირობებისადმი და ჰიდროფობური, მაგრამ არ ახშობდეს წყლის კაპილარულ შეღწევას სტრუქტურის შიგნით.
8. საკონსერვაციო მასალა უნდა იყოს მდგრადი მარილთა კრისტალიზაციისა და ყინვის მიმართ.
